ქართულ-ამერიკული რესპუბლიკური ალიანსი გიწვევთ

2017 წლის 19 მარტს, კვირას, 3-8 სთ

გაიმართება ტრადიციული, 142-ე

ლინკოლნ-დინნერი

ქვინსის რესპუბლიკურ კლუბში

ამერიკის უძველესი რესპუბლიკური კლუბი 1875 წლიდან

აქ თქვენ გაიცნობთ და შეხვდებით ნიუ-იორკის რესპუბლიკელ სტრატეგისტებს, პოლიტიკურ კომენტატორებს, ასამბლეის დეპუტატებს, ნიუ-იორკის მერობის სამივე კანდიდატს რესპუბლიკური პარტიიდან; ყველას, ვინც პოლიტიკურ ამინდს ქმნის ქვეყანაში.



ბილეთი 100$

917-379-7141

ANTUN's,
96-43 Springfield blvd,
Queens Village, NY 11429

იმისათვის, რომ ქართველები ფეხზე დავდგეთ, - როგორც ძლიერი დიასპორა, გავიჩინოთ თანამოაზრეები ამერიკის მთავრობაში, აქედან დავეხმაროთ ჩვენს სამშობლოს, - არ გამოტოვო ეს შანსი, მონაწილე გახდე ამ დიდი ტრადიციისა...

ჟურნალის ამ ნომერს პატარა
ლაზარე შალუტაშვილი
ჩუქნის ქართველ ემიგრანტებს

5 ვინ არის პოპულისტები
რომლებიც იმარჯვებენ?

9 ვინ არის ის ხალხი
ვინც ტრამპი აირჩია?

13 პირველი ქალი
პარლამენტარები

14 ილუზიონი კაბადონებში
„ვესტსაიდური ამბავი“

18 პავლე ინგოროყვა
დავიწყებული მადლობა

21 ვინ მოკლა
მიხა ხელაშვილი?

25 წერილი
ღმერთს

26 ნანული ცხვედიანის
ანარეკლი სარკედან

35 რომანი ჟურნალში
მანუჩარ კაჭახიძის „საბა“

თბილისში, ტაქსით მგზავრობისას დაუსრულებელი საცობი შეგხვდა... მეჩქარებოდა და გავიფიქრე, ოხ, ნეტა გადამფრინა-მეთქი, მაგრამ რას წარმოვიდგენდი მძღოლი თუ მგზავრების ფიქრებს კითხულობდა. საპირისპირო ხაზში გადავედით, მივაპობ-დით და დაუბრკოლებლად ვლახავდით კილომეტრებს, ვუვლიდით გვერდს საცობში ასობით პატიოსნად მდგარ მანქანას.

წამოვიწიე მძღოლისკენ, რომ მეთქვა, უხერხულია, იქნებ სხვასაც უნდა გაფრენა და მოდი, ახლა სხვისი ჯერი იყოს-თქო, რომ შემხვედრი მანქანაც გამოჩნდა.

მოულოდნელობით შეშინებულმა მძღოლმა ძლივს ავვიარა გვერდი და ხელით ანიშნა ჩვენს ტაქსს, „რას აკეთეებო“. ჩვენმა მძღოლმა „მამაკაცური“, გაწელილი ხმით ჩაილაპარაკა „რა ხელებს მიქნევ, ბიჭოო“ და უცვლელად განაგრძო გზა..

და აი, მაშინ მივხვდი მთავარს..

ნამდვილი ქართველობის ხიბლი სწორედ „პროწიგზე“ სიარულშია. ამ დროს ჩანს მთელი ჩვენი ეროვნული სიმდიდრე: ქართველი კაცის მოხერხებულობა, სითამამე, ღირსება, თავმომწონეობა, უშიშრობა, გმირობა....

ზოლიდან ზოლში გადავა-გადმოვა, გაუსწრებს-გამოუსწრებს, ტროტუარზე ავა, თუ ამანაც არ გაამართლა, საპირისპირო ზოლში გადავა და აჩვენებს კლასს საცობში მორჩილად მდგარ მანქანებს. „პროწიგზე“ მიმავალი საკუთარ გზაზე მომავალ მანქანას არ შეუშინდება და გზასაც დაათმობინებს.

თუ ვინმე უკმაყოფილო სახით, ხელების ქნევით შებღალავს მის ღირსებას, მანქანიდან გადმოიყვანას და ყველას დასანახად აუხსნის, რომ „პროწიგზე“ სათამაშოდ არ არის გადმოსული...

მის გაზჩაყენებულ „ბიეიდაბლიუს“ თქვენ არ იცით რა შეუძლია. ხოდა, „პროწიგზე“ გასული მგასაც დაგიმტკიცებთ...

220-240-ით მიმავალმა იცის, რომ შეიძლება არ გაუმართლოს, მაგრამ ის მაინც იცის, რომ წინაპრების მსგავსად, გმირულად და დაიღუპება. ასე ურჩევნია საცობში მორჩილად დგომას.

და ასე ყოველდღე ვკარგავთ ქართველ გმირებს.

მოუთმენლობისთვის, უსარგებლო უშიშრობისთვის, სასაცილო სიმამაცისთვის, კრედიტით ნაყიდი მანქანით თავის მოწონებისთვის, კაი ტიპობისთვის...

და ასე ყოველდღე:
მაგისტრალი...
მერე საცობი მაგისტრალზე..
მერე ძარღვებში მოწოლილი ქართველობა..
მერე... 200..
მერე 240
და მერე....
სხვი შვილი... სხვისი დედა... სხვისი ძმა...
სხვისი ერთადერთი ნათესავი...
სხვისი საუკეთესო მეგობარი...
...სხვისი საკუთარ ქორწილში მიმავალი ცოლი...
სხვისი ჯერ არ დაბადებული შვილი...
და ასე ყოველდღე...
ძვირფასო გმირებო, ჩვენ არ გვინდა გმირული სიკვდილი...
მშობლებთან ყოფნა გვირჩევნია...
ჯერ შვილები გვყავს გასაზრდელი...
უმცროს ძმას კალათბურთის თამაშის სწავლას შევპირდით...
პატარძლები ახალ ცხოვრებას ვიწყებთ და...
გმირობისთვის არ გვცალია...
მალე მამები გავხდებით და... მოდი, გმირობა მერე იყოს...
სკოლას ვამთავრებთ, პროფესია გვაქვს ასარჩევი...
ჯერ მუცელში ვართ, არც კი დავბადებულვართ და გმირობა არ ვიცით რა არის...
ხოდა, #iarenela ჩვენი სიცოცხლისთვის!!!

SOS

მამული

შემეცნებით-საზოგადოებრივი ჟურნალი ამერიკაში

№ 14(82) მარტი, 2017

მთავარი რედაქტორი **მანუჩარ კაჭახიძე**

EDITOR&PUBLISHER **MANUCHAR KATCHAKHIDZE**

გარეკანზე:
„ეს გზა ტაძრამდე მიდის?“
კემოს ილუსტრაცია.

ჩვენი სარედაქციო: **ასავად-დასავალი**

მოგვწერეთ: PO Box 13121, Jersey City, NJ 07303

ტელ.: 1-347-724-0770; თბილისიდან: 2-420-320

ელფოსტა: mamuliusa@gmail.com; www.mamuli.com

ჟურნალი აკრებილია, დაკაბადონებულია, დაბეჭდილია და აკინძულია შეერთებულ შტატებში და ამ ნომრის გამოცემის დროს წარმოადგენს ერთადერთ ემიგრანტულ, ქართულ გამოცემას ა.შ.შ.-ში.

❖ **გიორგი ცხადაია**
ბლოგერი

ვინ არიან პოპულისტები, როგლეჯილ იმარჯვებენ და რა უნდათ?

დღეს დასავლეთში პოპულისტები ხალხს არწმუნებენ, რომ ყველაფრის თავი და თავი ერი-სახელმწიფოს დასუსტებაში უნდა ვეძებოთ. სინამდვილეში კი ერი-სახელმწიფოს დასუსტება მხოლოდ პრობლემის სიმპტომია. თავად პრობლემის არსი კი გლობალური კაპიტალიზმის მოწყობაშია საძებნელი. ამ პრობლემის გადაჭრას უპირველეს ყოვლისა ნაციონალისტური შიშებისა და აგრესიის გვერდზე გადადება და ცივი გონებით მოქმედება სჭირდება.

თანამედროვე დემოკრატიულ სამყაროში ერთგვარი კატაკლიზმური პერიოდი დაიწყო. აშშ-ში 2017 წლის 20 იანვარს კონსერვატორი პოპულისტი მილიარდერი დონალდ ტრამპი ქვეყნის 45-ე პრეზიდენტი გახდა. ევროპაში კონსერვატორული პოპულისტური მოძრაობები თითქმის ყველა ქვეყანაში აღმავლობის გზაზე არიან. მათ უკვე მოახერხეს ბრიტანეთის რეფერენდუმში გამარჯვება, რის გამოც გაერთიანებული სამეფო დატოვებს ევროკავშირს. მათ ლამის გაიმარჯვეს ავსტრიის საპრეზიდენტო არჩევნებში, სადაც ერთმანეთს უპირისპირდებოდნენ დამოუკიდებელი კანდიდატი ალექსანდერ ვან დერ ბელენი (მწვანეთა პარტიის წევრი) და პოპულისტური „ავსტრიის თავისუფლების პარტიის“ კანდიდატი ნორბერტ ჰოფერი. ჰოფერი გავიდა არჩევნების მეორე ტურში, სადაც ხმების 46.2 % მოაგროვა და დამარცხდა. ამ დამარცხების მიუხედავად, მის მიერ მიღწეული შედეგი მაინც შთამბეჭდავია, რადგან გამოდის, რომ ქვეყნის ნახევარზე ცოტა ნაკლებმა მისცა ხმა.

ანალოგიური პროცესები მიმდინარეობს საფრანგეთში. პოპულისტი მარინ ლე პენი უდიდესი ალბათობით გადავა რესპუბლიკელ ფრანსუა ფიიონთან ერთად 2017 წლის 23 აპრილის საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურში, სადაც უკვე ძნელი სათქმელია, რომელი გაიმარჯვებს. იტალიაში ცენტრისტული პოპულისტური მოძრაობა, ყოფილი კომიკოსის ბეპე გრილოს ხელმძღვანელობით, ეროვნული დონის არჩევნებზე უკვე აგროვებს ხმების 20 %-ზე მეტს. იტალიის 4 დეკემბრის საკონსტიტუციო რეფერენდუმში მემარცხენე ცენტრისტული პარტიის წინადადების დამარცხების შემდეგ, ამ მოძრაობას გაძლიერების მეტი შესაძლებლობა აქვს.

ჯერჯერობით კონსერვატორული პოპულიზმის ყოვლისმომცველი ტალღა არ შეხებია გერმანიას (გერმანიის მთავარი პოპულისტური პარტია „ალტერნატივა გერმანიისთვის“ ჯერ კიდევ შორს არის გამარჯვებისგან), მაგრამ თუ ევროკავში-

რის წამყვან ქვეყნებში პოპულისტებმა გაიმარჯვეს, ეს აუცილებლად მოახდენს გავლენას გერმანიის შიდა პოლიტიკაზეც.

ამ ყველაფრის ფონზე შეიძლება გაჩნდეს კითხვა, თუ ვინ არიან ეს პოპულისტები, რომლებიც იმარჯვებენ და რა უნდათ.

პირველ რიგში დავიწყებ იმის განმარტებით, თუ რას ვგულისხმობ ტერმინ „პოპულიზმში". „პოპულიზმი" ამ სტატიაში აღნიშნავს ისეთი პოპულარული მოწოდებებით გამოსვლას, რომლებსაც ზურგს არ უმაგრებს მოვლენების რეალისტური შეფასება და არ არის ორიენტირებული პრობლემების რაციონალური გადაჭრის გზაზე. პოპულისტები, როგორც წესი, ასევე იყენებენ მოსახლეობის გარკვეული ნაწილის შიშებს განსხვავებული ეთნიკური, რელიგიური და სხვა სახის უმცირესობების მიმართ, იმისათვის, რომ ადამიანის უფლებები და თავისუფლებები შეზღუდონ.

ამ სტატიაში ვეცდები პოპულისტების ეკონომიკური დაპირებები და პროგრამები განვიხილო. მათ მიერ კულტურული იზოლაციონიზმის ქადაგების ანალიზს კი მომავლისთვის გადავდებ.

თანამედროვე დასავლური პოპულიზმის გასაგებად ტრამპის მაგალითს ავიღებ.

ტრამპი შესანიშნავად გამოხატავს თანამედროვე კონსერვატორული პოპულიზმის არსს:

1. ის ეწინააღმდეგება იმიგრაციას, რასაც ზოგჯერ ეკონომიკური მიზეზით ამართლებს (მაგ. ამბობს, რომ იმიგრანტები ადგილობრივ მოსახლეობას სამუშაო ადგილებს ართმევენ), ზოგჯერ - რასისტული და შოვინისტური არგუმენტებით (მაგ. მოითხოვს იმას, რომ მუსლიმებს აეკრძალოთ აშშ-ში შესვლა, ან ამტკიცებს, რომ ეთნიკურად მექსიკელი ადამიანი ვერ იქნება სამართლიანი მოსამართლე და ა.შ.);

2. ტრამპი ეწინააღმდეგება გლობალიზაციას, რადგან მიიჩნევს, რომ გლობალიზაცია ართმევს ამერიკელ მუშებს სამუშაო ადგილებს;

3. გლობალიზაციის წინააღმდეგ იგი აპირებს პროტექციონისტული ზომების გატარებას (ტარიფებისა და კვოტების დაწესებას იმპორტზე, ასევე იმ ამერიკული კომპანიების დასჯას, რომლებიც სხვა ქვეყნებში გადაიტანენ წარმოებას);

4. ტრამპის საგადასახადო პოლიტიკა არც მემარჯვენეა და არც მემარცხენე. ის აპირებს გადასახადების შემცირებას ფაქტობრივად ყველასთვის, მათ შორის ყველაზე მეტად - მდიდრებისთვის, მაგრამ ამავე დროს, არ გეგმავს სახელმწიფო ხარჯების შემცირებას, რასაც აუცილებლად მოჰყვება საგარეო ვალის ზრდა. (მემარჯვენეები, როგორც წესი, გადასახადების შემცირებასთან ერთად სახელმწიფო ხარჯებსაც ამცირებენ, რადგან საგარეო ვალის წინააღმდეგ გამოდიან; მემარცხენეები, როგორც წესი, მაღალი პროგრესული გადასახადების და ყოვლისმომცველი სახელმწიფო სოციალური პროგრამების მომხრეები არიან.)

ტრამპის ბოლო წინადადება რომ პოპულისტურია, ამაზე დიდხანს აღარ შევჩერდები (წესით, ისედაც ცხადია, რომ ამას შედეგად ასტრონომიული სიდიდის საგარეო ვალის დახვავება შეიძლება მოჰყვეს). უფრო მეტად იმაზე გავამახვილებ ყურადღებას, თუ რატომ არის გლობალიზაციის წინააღმდეგ მიმართული მისი გეგმა პოპულისტური.

გლობალიზაციის წინააღმდეგ ტრამპისეული გალაშქრება პოპულისტურია ორი თვალსაზრისით: პირველი, მას წინ არ უძღვის არსებული მდგომარეობის რეალისტური შეფასება და მეორე, შესაბამისად, პრობლემის გადაჭრის გზის ყველაზე არარეალისტური გზაა შემოთავაზებული.

ის, რომ ამერიკელი მუშები ვეღარ არიან ისე სტაბილურად დასაქმებულები, როგორც ინდუსტრიული ეპოქის პიკის დროს იყვნენ, მხოლოდ იმით კი არ არის გამოწვეული, რომ სამუშაო ადგილები გლობალიზაციის შედეგად მესამე მსოფლიოს ქვეყნებში გადავიდა, არამედ იმითიც, რომ ინდუსტრიული სექტორის (და არა მხოლოდ ინდუსტრიულის) მზარდი ავტომატიზაცია მიმდინარეობს. როგორც ნობელის პრემიის ლაურეატი, ამერიკელი ეკონომისტი ჯოზეფ სტიგლიცი შენიშნავს:

„გლობალიზაცია პრობლემის მხოლოდ ნაწილია. მოხდა ტექნოლოგიური გარღვევები და ამ ახალ რეალობასთან ადაპტირება რთული გამოდგა. წარმოშობით მე ვარ ინდიანის შტატიდან ქალაქ გერიდან. ეს არის ფოლადის მწარმოებელი პატარა ქალაქი. ჩვენ ახლა ზუსტად იმდენ ფოლადს ვაწარმოებთ, რამდენსაც საუკეთესო წლებში ვაწარმოებდით, უბრალოდ, ამისთვის ადრე დასაქმებული მუშების რაოდენობის ერთი მეექვსედი გვჭირდება."

სტიგლიცს იმის თქმა სურს, რომ მსგავსი სიტუაციაა ინდუსტრიული სექტორის ბევრ დარგში: წარმოების მოცულობა უცვლელია და ზოგჯერ ბევრად აღემატება ძველ მაჩვენებლებს, მაგრამ ამ კომპანიებში დასაქმებული მუშების რიცხვი კლებულობს. გათავისუფლებული მუშების ნაწილი ახალ უნარებს იძენს (ზოგ ქვეყანაში სახელმწიფო აქტიურად არის ჩართული მუშებისთვის ახალი პროფესიული უნარების და ცოდნის მიწოდებაში, მაგრამ ძირითადად ეს უფრო მეტად ევროპის იმ ქვეყნებში ხდება, სადაც სახელმწიფო აქტიურად ერევა შრომითი ბაზრის რეგულირებაში. აშშ-ში ამგვარი ჩარევის ტრადიცია შედარებით სუსტია) და სხვა დარგების კომპანიებში გადადის, ნაწილი დროებით, დაბალ ხელფასზე და არასტაბილურად საქმდება (ეკონომისტები და სოციოლოგები ასეთ, არასტაბილურად დასაქმებულ ღარიბ მუშებს უწოდებენ „პრეკარიატს". პრეკარიატი, როგორ წესი, იღებს დაბალ ანაზღაურებას, ის მუდმივად სამსახურიდან გაშვების საფრთხის წინაშეა და არ აქვს ჯანმრთელობის დაზღვევის გარანტიები), ნაწილი კი უმუშევარია და სახელმწიფოსგან სოციალურ დახმარებას იღებს (საქართველოსგან განსხვავებით, დასავლეთის ქვეყნებში სახელმწიფო დაუსაქმებელ ხალხს უმუშევრობის დახმარებას უნიშნავს). მხოლოდ ძალიან მცირე ნაწილი თუ აღწევს განსაკუთრებულ წარმატებას - იმას, რასაც ადრე ამერიკაში „ამერიკულ ოცნებას" უწოდებდნენ.

ავტომატიზაციის პროცესი არ შეჩერდება, რადგან ტექნოლოგიური გარღვევების რიცხვი ექსპონენციალურად იზრდება. შარშან ოქსფორდის უნივერსიტეტის მკვლევარებმა გამოაქვეყნეს საინტერესო კვლევა, სადაც სხვადასხვა პროფესიის ავტომატიზაციის რისკი შეაფასეს. ამ სიაში ავტომატიზაციის მაღალი რისკის შემცველ პროფესიებად, სხვებთან ერთად, მოხსენიებულია: მძღოლები (თვითმართვადი ავტომობილები სულ უფრო და უფრო მეტად გადმოდის ფანტასტიკის სფეროდან რეალობაში. 2016 წლის სექტემბერში ერთ-ერთ რეგიონულ ამერიკულ გამოცემაში, აშშ-ის პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ გამოაქვეყნა წერილი, რომელშიც თვითმართვადი მანქანების მომავალზე და მასთან დაკავშირებულ სიკეთეებსა და საფრთხეებზე საუბრობს), გაყიდვების კონსულტანტები და მენეჯერები და მოლარეები (ბევრ დაწესებულებაში უკვე სპეციალური ავტომატების მეშვეობით ხორციელდება ფულადი ოპერაციები). ასევე, ამ კვლევის თანახმად, გაგრძელდება და უფრო გაღრმავდება ინდუსტრიულ სექტორში ავტომატიზაცია, რაც ამ სფეროში დასაქმებული ტრადიციული მუშათა კლასის რიცხვს კიდევ უფრო მეტად შეამცირებს.

ავტომატიზაციასთან ერთად, ეკონომიკური გლობალიზაციაც არის დამნაშავე იმაში, რომ თანამედროვე კაპიტალიზმი მუდმივად წარმოშობს სტრუქტურულ უმუშევრობას. გლობალიზაცია პრობლემის მხოლოდ ერთი ნაწილია. მისი გავლენა ერი-სახელმწიფოების ეკონომიკებზე შემდეგნაირად შეიძლება შევაფასოთ: კაპიტალი მუდმივად ეძებს სახელმწიფოს, სადაც იაფი და დისციპლინირებული მუშახელი, ნაკლები რეგულაცია და ეკონომიკური განვითარებით დაინტერესებული მთავრობაა.

ბოლო ორი ათწლეულის მანძილზე ასეთი იდეალური ქვეყანა ჩინეთი იყო რამდენიმე მიზეზის გამო: პირველი, ჩინეთი ავტორიტარული სახელმწიფოა და, შესაბამისად, მუშათა კლასის მოთხოვნები ამ ქვეყანაში დიდწილად რეპრესირებულია;

მეორე, ჩინური კულტურა აქცენტს თავდაუზოგავ შრომასა და სწავლაზე აკეთებს; მესამე, ჩინეთში გარემოს დაცვის რეგულაციები მინიმალურია (რამაც ჩინეთის ზოგიერთი ქალაქი და რეგიონი შეიძლება ეკოლოგიური კატასტროფის წინაშე დააყენოს); და ჩინეთში მთავრობა დაინტერესებულია ეკონომიკური განვითარებით. ჩინეთის სახელმწიფო ინფრასტრუქტურული და სხვა სახის პროექტებით მუდმივად ხელს უწყობს კერძო სექტორის საქმიანობას. (აქ ერთი მნიშვნელოვანი და აღსანიშნავი დეტალია ის, რომ ჩინეთი შერეული ეკონომიკაა, რაც იმას ნიშნავს, რომ ამ ქვეყანაში სახელმწიფო ბევრი მნიშვნელოვანი საწარმოს მფლობელია. ამ თვალსაზრისით ის უნიკალურ შემთხვევად შეიძლება მივიჩნიოთ - თანამედროვე კაპიტალიზმის უმთავრეს ბენეფიციარ სახელმწიფოდ, რომელიც თავისუფალი ბაზრის დოგმატიკას ბოლომდე არ ემორჩილება.)

გლობალიზაციის ამ უარყოფით მხარეს სპეციალისტები უწოდებენ „რბოლას ფსკერისკენ". ეს მეტაფორა კარგად აღწერს იმას, თუ როგორ ეჯიბრებიან სახელმწიფოები ერთმანეთს მუშახელის ხელოვნურად „გაიაფებაში". მის შესაჩერებლად ერთი რომელიმე სახელმწიფოს ძალისხმევა არ კმარა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, „რბოლისგან" მთლიანად გამოთიშვა თითქმის შეუძლებელია. მთლიანად გამოსათიშად საჭიროა თავად „რბოლის" თამაშის წესების ხელახლა დაწერა, რასაც სახელმწიფოთა კოლექტიური ძალისხმევა სჭირდება. ევროკავშირის წევრ ქვეყნებში პოპულისტები ძირითადად ევროკავშირს და მის მიერ შექმნილ თავისუფალ ბაზარს აბრალებენ უმუშევრობას და შრომითი სტანდარტების დაწევას, მაგრამ ისინი, პირველ რიგში, სწორედ იმას არ ითვალისწინებენ, რომ ცალკეული ერი-სახელმწიფო სხვა სახელმწიფოების დახმარების გარეშე ვერ აღუდგება წინ უზარმაზარი გლობალური ბაზრის მოთხოვნებს.

გლობალური ბაზრის მოთხოვნების მთლიანად უგულებელყოფა ერთპიროვნულად ვერც ამერიკის მსგავს სუპერსახელმწიფოს ძალუძს. მით უმეტეს, შეუძლებელია ამის ბოლომდე წარმატებით განხორციელება იმ არასისტემური მეთოდებით, რითიც ტრამპი ხელმძღვანელობს. ტრამპი არჩევიდან სამ კვირაში ესტუმრა ინდიანის შტატის ქალაქ ინდიანაპოლისს, იმისათვის, რომ აღენიშნა თავისი გამარჯვება კომპანია Carrier Corporation-ის საქმეში. ეს კომპანია აპირებდა თავისი წარმოების მექსიკაში გადატანას, რასაც 1000-ზე მეტი სამუშაო ადგილის დაკარგვა მოჰყვებოდა ინდიანაში. ტრამპის გუნდმა გადასახადების შემცირების დაპირებით, კომპანია დაარწმუნა, რომ დიდწილად მაინც შეენარჩუნებინა თავისი წარმოება ამერიკაში. ტრამპი ასევე დაემუქრა იმ ფირმებს, რომლებსაც აშშ-ის თავდაცვის სამინისტროს, პენტაგონთან აქვთ კონტრაქტები, რომ დაუმორჩილებლობის შემთხვევაში სახელმწიფო მათთან აღარ ითანამშრომლებდა.

ამის პარალელურად უკვე ჩნდება იმის ნიშნები, რომ ასეთი ინდივიდუალისტური და არასისტემური მიდგომა ყოველთვის ვერ იმუშავებს. მაგალითად, ცნობილი iPhone-ების და MacBook-ების მწარმოებელი კომპანია „ეფლი" (Apple) ინდოეთში აპირებს ახალი საწარმოს გახსნას. „ეფლი" ამერიკული კომპანიაა და მისი ეს ნაბიჯი ტრამპის დეკლარირებულ პოლიტიკას ეწინააღმდეგება. მედიაში გაჟონა „ეფლის" აღმასრულებელი დირექტორის ტიმ კუკის (Tim Cook) მიერ თავისი თანამშრომლებისთვის გაგზავნილმა მესიჯმა, რომელშიც კუკი ამართლებს თავის ყოფნას ტრამპის მიერ მოწყობილ შეხვედრაზე: „ძალიან მნიშვნელოვანია (ჩართვა), მთავრობებს შეუძლიათ გავლენა მოახდინონ ჩვენს ქმედებებზე. მათ შეუძლიათ დადებითი და არც თუ ისე დადებითი გავლენის მოხდენა... ჩვენ ჩავერთვებით, როდესაც ვეთანხმებით და არ ჩავერთვებით, როდესაც არ ვეთანხმებით... ჩვენ დავიცავთ იმას, რისიც გვწამს... და ასეც გავაგრძელებთ."

კუკის სიტყვები იმის მანიშნებელია, რომ პროტექციონისტული პოლიტიკა გარანტირებულ შედეგებს ისეთ ძლევამოსილ სახელმწიფოსაც კი ვერ მისცემს, როგორიც ამერიკაა. ძალიან ძნელია კომპანიებს დაუშალო სხვა ქვეყნებში ინვესტიციების განხორციელება, თუ ისინი ამით უზარმაზარ მოგებას ნახულობენ. ისინი უკან მხოლოდ იმ შემთხვევაში დააბრუნებენ წარმოებას, თუკი მშობლიურ ქვეყანაში გარკვეული ეკონომიკური სტიმულები იქნება შექმნილი - მაგალითად, თუ მშობლიურ ქვეყანაში მუშახელის ფასი იმდენი იქნება, რამდენიც, მაგალითად, მექსიკაში ან ჩინეთშია, ან, ალტერნატიულ შემთხვევაში, თუკი მშობლიურ ქვეყანაში სახელმწიფო მუშების პროფესიულ განვითარებასა და სოციალურ დაცვას განსაკუთრებით მაღალ დონეზე უზრუნველყოფს (რასაც ნამდვილად ვერ ვიტყვით აშშ-ზეც, თუ შედარებისთვის ცენტრალური ევროპის და სკანდინავიის ქვეყნებს ავიღებთ).

ტრამპისეული პროტექციონიზმის წინააღმდეგ კიდევ ერთი მნიშვნელოვანი არგუმენტი ისიც არის, რომ რაც უნდა გასაკვირი იყოს, ზოგიერთი კვლევის მიხედვით, აშშ უკვე არის მსოფლიოს ყველაზე პროტექციონისტული სახელმწიფო (აშშ რომ თავისუფალი ვაჭრობის სანიმუშო მაგალითად მოჰყავთ, იმათ ეს ფაქტი განსაკუთრებით გაუკვირდებათ). უფრო მეტი პროტექციონისტული ზომის გატარებამ, ნაკლებად სავარაუდოა, რომ ხელშესახები შედეგი

მოიტანოს.

ამ ყველაფერთან ერთად, ორი რამ უნდა გავითვალისწინოთ: პირველი, ის ფაქტი, რომ „რბოლა ფსკერისკენ" არსებობს, აუცილებლად არ ნიშნავს იმას, რომ ნებისმიერი განვითარებადი ქვეყანა ავტომატურად გახდება უხვი ინვესტიციების მიმღები ობიექტი, და მეორე, მდიდარი ქვეყნებისთვის აუცილებელი არ არის მაინცდამაინც შრომითი სტანდარტების ქვემოთ დაწევა (ამის გაკეთება რაღაც აზრით შეუძლებელიც არის) და მკაცრი სავაჭრო პროტექციონისტული ზომების გატარება გლობალიზაციასთან და ავტომატიზაციასთან გასამკლავებლად. გლობალური ბაზრის ლოგიკასთან ნაწილობრივ მაინც გამკლავება (ვინაიდან შევთანხმდით, რომ სრულად გამკლავება ინდივიდუალურ დონეზე შეუძლებელია) ალტერნატიული, არახისტი გზებითაც არის შესაძლებელი, რისი დანახვაც ცენტრალური ევროპისა და სკანდინავიის ქვეყნების მაგალითზე შეგვიძლია.

პირველი ფაქტის საილუსტრაციოდ საქართველოს მაგალითის მოყვანაც საკმარისია. საქართველოში შრომითი სტანდარტები უკიდურესად დაბალ დონეზეა, მინიმალური ხელფასი ფაქტობრივად არ არის, გარემოს დაცვის რეგულაციების მუდმივად არღვევენ კომპანიები, პროფკავშირები არარსებულია და გადასახადები ძალიან დაბალია (მემარჯვენე პარტიები კი უფრო ქვემოთ დაწევას მოითხოვენ, მაგრამ უკვე იმდენად დაბალია გადასახადები, რომ მხოლოდ გაუქმებაღა თუ იქნება შემდეგი ნაბიჯი). ამის მიუხედავად, ჯერჯერობით არც ერთ სერიოზულ მულტინაციონალურ კორპორაციას არ განუხორციელებია საქართველოში სერიოზული ინვესტიცია. ამის მიზეზი ის არის, რომ ბევრის თვალში ჩვენი რეგიონი უკიდურესად არასტაბილურია, როგორც გეოპოლიტიკურად, ისე პოლიტიკური თვალსაზრისით (მუდმივი შიდა არეულობის საფრთხე). ბევრ ბიზნესს სტაბილურობა და გრძელვადიანი პერსპექტივა არანაკლებ აინტერესებს, უფრო მეტად თუ არა, ვიდრე დაბალი გადასახადები ან იაფი მუშახელი. შესაბამისად, როდესაც საქმე საქმეზე მიდგება, ვიღაცას ურჩევნია მეტი ინვესტიცია განახორციელოს ჩეხეთში, სადაც მუშახელი უფრო ძვირია და გადასახადები უფრო მაღალია, ვიდრე საქართველოში. (აქვე უნდა აღინიშნოს, რომ რეგიონში სტაბილურობის პრობლემა იქამდე იქნება, სანამ რუსეთი მუდმივ კონფრონტაციას არ შეწყვეტს დასავლეთთან და მეზობელი ქვეყნების, განსაკუთრებით, ევროპული ქვეყნების სუვერენიტეტს საფრთხეს არ შეუქმნის. ჩვენ შეგვიძლია მაქსიმუმი გავაკეთოთ და ყველანაირად განვმუხტოთ დაძაბული სიტუაცია, მაგრამ პრობლემას ვერასდროს აღმოვფხვრით, რადგან მისი სათავე კრემლის საგარეო პოლიტიკაშია.)

მეორე შენიშვნა ის არის, რომ მდიდარი ქვეყნებისთვის გადასახადების შემცირება, სოციალურ სახელმწიფოზე უარის თქმა და ხისტი სავაჭრო პროტექციონიზმი გამოსავალი ყოველთვის არ არის. ამის საუკეთესო მაგალითი სკანდინავიის და ცენტრალური ევროპის ქვეყნებია. მათ მოახერხეს ის, რომ შეინარჩუნეს თავიანთი მოქალაქეების სოციალური დაცვის მექანიზმები ისე, რომ ეკონომიკურ განვითარებასაც არ შეუქმნეს საფრთხე. მათი წარმატების გასაღები ის არის, რომ ამ ქვეყნებში სახელმწიფო მუდმივად აკონტროლებს ეკონომიკაში მომხდარ ცვლილებებს, მუშებს სთავაზობს გადამზადების ფართომასშტაბიან პროგრამებს და ხელმისაწვდომ უმაღლეს განათლებას (მათ შორის, პროფესიულ განათლებას) და კერძო კომპანიებთან მუდმივად გადის კონსულტაციებს მსოფლიო ბაზარზე კონკურენციის დასაძლევად (მაგალითისთვის, გერმანულ „შპიგელში" რამდენიმე კვირის წინ გამოქვეყნდა საინტერესო სტატია, სადაც საუბარია იმაზე, რომ გერმანიის მთავრობა ცდილობს უბიძგოს გერმანულ ავტოინდუსტრიის გიგანტებს, წაახალისონ ელექტრონული მანქანების განვითარება, იმისათვის, რომ მსოფლიო ბაზარზე პოზიციები არ დაკარგონ).

სკანდინავიის და ცენტრალური ევროპის ქვეყნები, პარალელურად, ავტომატიზაციის პრობლემის გადაჭრაზეც ფიქრობენ. 2016 წლის ივნისში შვეიცარიაში გაიმართა რეფერენდუმი იმის შესახებ, უნდა შემოეღოთ თუ არა უნივერსალური საბაზისო შემოსავალი. მართალია, რეფერენდუმში მოსახლეობის 77 %-მა უარი თქვა ინიციატივაზე, მაგრამ მისმა წამოყენებამ ავტომატიზაციის თემაზე დისკუსიის გაფართოებას შეუწყო ხელი. უნივერსალური საბაზისო შემოსავლის უკან დგას იდეა, რომ თანამედროვე სამყაროში, სადაც ავტომატიზაცია გარდაუვალია, უმჯობესი იქნება, თუ ტექნოლოგიური გარღვევების შედეგად მიღებული შემოსავლით ყველა ადამიანს ღირსეული ცხოვრებისთვის საბაზისო პირობებს შევუქმნით. ამით არა მხოლოდ ადამიანების სოციალურ საჭიროებებს დავაკმაყოფილებთ, არამედ ეკონომიკასაც შევუწყობთ ხელს, რადგან უმუშევარ მოქალაქეებს საშუალებას მივცემთ, სათანადოდ მოემზადონ ახალი პროფესიების ასათვისებლად. ჯერჯერობით, არავინ იცის, თუ საბოლოოდ რა ფორმას მიიღებს ეს იდეა, მაგრამ მის გამოცდაზე საუბარი უკვე სერიოზულად მიმდინარეობს. მაგალითად, ფინეთის პარლამენტმა დეკემბერში წამოიწყო ისტორიული ექსპერიმენტი, რომელიც საშუალებას მოგვცემს გავიგოთ, თუ როგორ შეიძლება იმუშაოს მსგავსმა სისტემამ ერთი ქვეყნის მასშტაბით. ამ სისტემის საინტერესო ანალიზი მოცემულია ამერიკული „ფორბსის" დამოუკიდებელი ავტორის სტატიაში. ისიც გვევლინება იდეის მხარდამჭერად და ამტკიცებს, რომ ეს სქემა გარკვეული ფორმით ხელს შეუწყობს დასაქმების შესაძლებლობების წახალისებას.

ამგვარად, სკანდინავიისა და ცენტრალური ევროპის ქვეყნები მსოფლიო ბაზრის ლოგიკის წინააღმდეგ კი არ მიდიან (რასაც ტრამპი აპირებს თავისი პროტექციონისტული პოლიტიკით), არამედ ამ ლოგიკას თავის სასარგებლოდ იყენებენ. მეორე მხრივ, ინდივიდუალისტური ნაბიჯებით მსოფლიო ბაზრის ლოგიკისთვის მთლიანად გვერდის ავლა მაინც შეუძლებელ ამოცანად რჩება. მიუხედავად იმისა, რომ პროტექციონიზმივით დამღუპველი არ არის, ცენტრალურ-ევროპული და სკანდინავიური სტრატეგიაც, იმის გამო, რომ თავისი არსით ნაციონალისტური და ინდივიდუალისტურია (ინდივიდუალისტური იმ აზრით, რომ უშვებს, რომ ცალკე აღებულ ერთ ერ-სახელმწიფოს შეუძლია მთლიანად გადაურჩეს გლობალური ბაზრის გამოწვევებს) სისტემურ გამოწვევებს ყოველთვის ვერ უპასუხებს. მაგალითად, სწორედ გერმანიისთვის ახლა გადამწყვეტი მომენტია დამდგარი, რადგან თუკი ევროკავშირი დაიშლება, ის მნიშვნელოვან გასაღების ბაზარს დაკარგავს და უკიდურესად დაზარალდება. სხვა ქვეყნებში აგორებული პროტექციონისტული ტალღა მასზე აუცილებლად მოახდენს უარყოფით გავლენას (ამიტომაც ახლა გერმანიის მთავრობა განსაკუთრებით შეშფოთებული და გაღიზიანებულია ბრიტანეთის რეფერენდუმის შედეგებით).

გერმანიის მსგავსი საფრთხე ემუქრება ევროკავშირის სხვა ქვეყნებსაც, რადგან თუ ეს ერთობა დაიშლება (რომელიც, გულწრფელად თუ ვიტყვით, იდეალურისგან ძალიან შორსაა), მარტო დარჩენილი ერი-სახელმწიფოები გლობალურ ბაზართან ბრძოლაში აუცილებლად დაზარალდებიან. დღეს დასავლეთში პოპულისტები ხალხს არწმუნებენ, რომ ყველაფრის თავი და თავი ერი-სახელმწიფოს დასუსტებაში უნდა ვეძებოთ. სინამდვილეში კი ერი-სახელმწიფოს დასუსტება მხოლოდ პრობლემის სიმპტომია. თავად პრობლემის არსი კი გლობალური კაპიტალიზმის მოწყობაშია საძებნელი. ამ პრობლემის გადაჭრას უპირველეს ყოვლისა ნაციონალისტური შიშებისა და აგრესიის გვერდზე გადადება და ცივი გონებით მოქმედება სჭირდება. ■

ვინ არის ის „ხალხი“, ვინც ტრამპი აირჩია

განსხვავებული პოზიცია

გასაოცარია, მაგრამ ამ წყვილის ასე გაბერილი და მსოფლიო მნიშვნელობის დონემდე აყვანილი ჭიდილი, სრული აზრობრივი სიხისტისა და მოარული სოციალური ცნება/ტერმინების სიცოცხლე მოკლებულ ენობრივ დონეზე განიხილება. ის მოვლენა კი, რომლის კონტექსტშიც ეს არჩევნები მხოლოდ სიმპტომური ნიშანია, სამყაროს ყველაზე ზე-მაშტაბური ვიტალური პროცესის ამსახველია; ბევრად დიდის, ვიდრე რაიმე პოლიტიკური მოვლენა ან ვითარება აქამდე არსებობდა. ამიტომ ამ არჩევნების სტერეოტიპების საშუალებით განხილვა, ანუ დროსა და სივრცეში კონკრეტულ/ადგილობრივ, სოციალურ/პოლიტიკური წარმოდგენების ჩარჩოებში მოქცევა, სწორედ სიცოცხლის ყველაზე ცხოველმყოფელად ამსახველი ფაქტის მკვლელობაა ენით, ენაში და მხოლოდ ენისთვის.

ამ მოვლენასთან კავშირში სერიოზული ფილოსოფოსების შეგნებული განცხადებები თვალში არ მომხვედრია - მხოლოდ ჟიჟეკის უსუსური, არაფრის მთქმელი და სუზან ზონტაგის სამარცხვინოდ ბრტყელი შეფასება წავიკითხე, თანაც ძალიან უსიამოვნო, პროვოკაციული დაბოლოებით.

თუ მომხდარის ყველაზე ზუსტად დახასიათდება მოვინდომეთ, ალბათ უნდა ვთქვათ, რომ ეს მოვლენა კურიოზული და გამაოგნებლად ამბივალენტურია: ანუ, სრულყოფილი დემოკრატიული პროცედურით, სრულიად არადემოკრატიული ფასეულობების მატარებელი პრეტენდენტი იქნა არჩეული;

რა შეიძლება იყოს უფრო სახალისო?!

სახელმწიფოში დემოკრატიის ყველაზე აშკარა წარმატების მანიშნებელმა - დემოკრატიული არჩევნების მექანიზმმა, თავის მშობელ დემოკრატიულ სულისკვეთებას ვერაფერი შესძინა შესაშური!

არის კი დემოკრატიული სულისკვეთების სურვილი სათავეში ბრიყვი ექსცენტრიკი დგომა? არა. არის კი სოციალისტური მოძღვრების ეთიკის სურვილი ქვეყანაში ტოტალიტარიზმის დამყარება? არა. არადა, ასეთი შედეგები განუწყვეტლივ იჩენს თავს, ჩვენს ახალ ისტორიაში. აქედან მაქსიმა: ჰუმანური იდეა განსხეულების პროცესს ვერ ახორციელებს, რადგან - კეთილი არაკეთილ საზოგადოებაში კეთილის მეშვეობით სიკეთეს ვერ ამკვიდრებს, ძალადობით კი, კეთილი თვითონ აუქმებს სიკეთის არსს - ესე იგი, საკუთარ თავს.

ასეთია დღესდღეობით სამყაროს ხარისხი და ამასთან გვიწევს საქმის ჭერა.

მაგრამ არჩევნებს დავუბრუნდეთ, რომელმაც **გონიერ** თვალს შვებაც მოჰგვარა: - კიდევ ერთხელ და, მგონი, ახლა საბოლოოდ გაქარწყლდა კონსპირაციული თეორიების და ისთებლიშმენტის ზე-სიმძლავრის მითი. ანუ, ზე-სტრუქტურების აღვირაშვებული ზე-გავლენების არსებობის ზღაპრები (ჩვენებურად/ქართულად: „მიდი რა ყველაფერი ჩაწყობილია“). ეს ბევრს მეტყველებს და ამ მოვლენის ძალიან პოზიტიური მხარეა! **არჩევნები მოიგო ტრამალის მგელმა (უკმეხმა „ქუჩის ბიჭმა“) და არა საბავშვო ბაღის სამაგალითო/წესიერმა გოგონამ, რომელიც კეთილსინდისიერად წარმოადგენდა ბაღის ადმინისტრაციისა და დამფინანსებლების ერთიან ნებას.**

ის რომ ისტებლიშმენტმა და მის უკან „ბნელმა“ ძალებმა არ, ან ვერ გამოიყენეს საკუთარი უზარმაზარი მანქანა, ანუ მანქანამ თავისი კანდიდატის წარმატების ამოცანა ექსტრემალურ სიტუაციაშიც კი, ვერ ან არ უზრუნველყო - ამ ფაქტისთვის ამერიკის სახელმწიფოებრივი სისტემა და აპარატი მხოლოდ კომპლიმენტს იმსახურებს.

და რა მოხდა სინამდვილეში და ზოგადად?

მხოლოდ ვიღაც, ბრტყელი ცნობიერების მსხვერპლი, ან ძალიან ცბიერ/მიზანდასახული იდეოლოგისტი (ჩომსკის ტიპის) თუ გააკეთებს ასეთ დასკვნას: გაიმარჯვა „ხალხმა“ - „ხალხს“ ყელში ამოუვიდა „ნეოლიბერალების“ თარეში, „ისთებლიშმენტის“ გამყიდველური პოზა და კორპორაციების ბატონობა,

მოდით ასეთი უბრალო, ან „მელია გონების“ პატრონს ვკითხოთ - ვინ არის ტრამპი? სწორედ ტრამპი არ არის „ინსტინქტზე დაფუძნებული ნეოლიბერალიზმის“ უწარმატებულესი წარმომადგენელი? - ერთ-ერთი იმათგანი, რომელმაც „გონებაზე და კეთილმყოფელობის სურვილზე დამყარებულ,ძირეულ/ისტორიული ტიპის ლიბერალიზმს“ რეპუტაცია შეულახა?! ესე იგი, ეს როგორ გამოდის - არჩევნებმოგებული ოლიგარქისა და გავეშებული „ნეოლიბერალი“ ტრამპის გაპრეზიდენტება, თურმე ნეოლიბერალიზმის ყელში ამოსვლის მოწმობაა?

რაღაც ვერა ვართ ლოგიკაში გამართული.

ახლა კი მთავარი დავსვათ კითხვა: რა, ან ვინ არის „ხალხი“? - ვინც, ასე ვთქვათ არჩევანი გააკეთა. რა სოციალური წარმონაქმნია ეს „ხალხი“ და რა სოციალური მახასიათებლების მატარებელია ეს სიტყვა დღეს - ოღონდ არა როგორც ცნება, არამედ როგორც კონკრეტულობა.

მოდით ეს კითხვა ჩვენ გარემო მაგა-

ლითზე გავხადოთ თვალსაჩინო - რადგან მთელი დასავლური საზოგადოება, როგორც სტრუქტურა, ერთ ყაიდაზეა მოჭრილი.

იყო თუ არა თქვენ გარშემო, ან თუნდაც უშორეს დისტანციაზეც კი ვინმე, ვინც ტრამპს უჭერდა მხარს? არა. არც ჩემ გარშემო, არც ჩემს მეგობრებ/ნაცნობებში, მეგობრების მეგობრებში, კოლეგებში, სტუდენტებში არ ყოფილა ტრამპის მხარდამჭერი არც გერმანიაში და არც საქართველოს ციფრულ სივრცეში. არც ჩემს შვილ ანნას, მის მეგობარ ფლორიანს და თამუნას (ჩემს მეუღლეს) გაუგიათ ნიუ-იორკში ვინმე ახლობელ/შორეულისგან, რომ ტრამპის გაპრეზიდენტების სურვილი ჰქონოდა. არადა, როგორც ვიცით, ამ თემებზე გაცხოველებული დისკუსიები მიმდინარეობდა და ხედვადობა მაღალი იყო. უკლებლივ ყველას უკიდურეს სიმორეზეც კი კულტურულ გარემოში ერთნაირი შეფასება ჰქონდა: ტრამპი - ავანტიურისტი, პოლიტიკურ/კულტურულად ბრმა, ამორალურ/ჩარჩენილი ხამი/გოიმი.

როგორც ვიცით, ამომრჩევლის დამოკიდებულება არჩევნის საგანთან, როგორიც არ უნდა იყოს ის, არასდროს არის ინდივიდუალური, დამოკიდებულება ყოველთვის კულტურულ/ტერიტორიალურია. ადამიანთა ერთობა, რომელიც მე ვახსენე, საზოგადოების იმ შრეს განეკუთნება, რომელიც კულტურულ/სოციალური დინამიკის მთავარი მატარებელია და ამ დინამიკისთვის და ამ დინამიკით არსებობს, ანუ გული აქვს მიხეული. ეს ადამიანები საზოგადოების მომავალთან დაკავშირებულ საკითხებზე დებატებში აქტიურად მონაწილეობენ და პროგრესის შესაძლებელი ვერსიებით არიან გულწრფელად დაინტერესებული. ამ წრის ხალხს მიეკუთვნებიან: სტუდენტები, შემოქმედნი, მეცნიერები, ფილოსოფოსები, სოციალური უფლებებისთვის და ტოტალურად დემოკრატიული საზოგადოების შექმნისთვის მებრძოლი ადამიანები, ზოგადად, ასე ვთქვათ, პროგრესული სულისკვეთების მატარებელი წრე. ეს სოციალური სპექტრი ამერიკაშიც და ყველა სხვა ქვეყანაშიც ერთსულოვნად ტრამპის მოწინააღმდეგე იყო. მაგრამ, როგორც აქედან ჩანს, ეს საზოგადოების ვიტალურად მამოძრავებელი სპექტრი „ხალხს“ არ წარმოადგენს - მათ ხომ ტრამპი არ აურჩევიათ!

აბა ვინ არის ის სხვა „ხალხი“, ვინც ტრამპი აირჩია?

ეს „ხალხი“ ხმა/სმენა წართმეული ადამიანების „ნაცრისფერი ზონაა“, რომელიც კულტურულ პროცესში მხოლოდ ფიქტობრივად მონაწილეობს, ანუ ამ პროცესში მარგინალიზირებულია. ისინი, ერთის მხრივ, საკუთარი უნიჭობის, მეორეს მხრივ კი, საზოგადოების აღნიშნული აქტიური ნაწილის მიერ „ნაცრისფერ ზონაში“ არ ჩადებული ყურადღებისა და ენერგიის გამო დარჩნენ გარიყული და პრაქტიკულად არ მონაწილეობენ კულტურის დინამიკაში - ანუ სამომავლო ცნობიერების გაფორმების საქმეში. სწორედ ამიტომ „ნაცრისფერი ზონა“ ჩარჩენილი და გამაგრებულია „გადარჩენა დაფუძნების ცნობიერებაში“ (სადაც „აქ“ და „ჩემი“ - მსოფლხედვის განმსაზღვრელი ვექტორებია), ანუ სწორედ იმ ცნობიერებაში, რომლის დაძლევის უდაძაბულეს მცდელობებსაც წარმოადგენს დასავლური კულტურის (ხსენებული ვიტალურ/პროგრესული ნაწილის) აქტიურობა აგერ უკვე 150 წელია.

უახლოეს წარსულში, ამ ძალისხმევებში კულტურას გვერდში დაუდგა და დღეს ყველანაირად მხარს უბამს ისთებლიშმენტი - აფინანსებს, უქმნის გარემოებებს და შესაძლებლობებს საზოგადოების ცნობიერების წინ გამწევ საქმიანობას. ისე, რომ ბლოკის - სოციალურ/კულტურულად აქტიური საზოგადოების ნაწილი + ისთებლიშმენტი მიზნები, „ნაცრისფერი ზონის“ გაგებებსა და სურვილებს არანაირად არ ემთხვევა, ანუ „ხალხს“ მოწყვეტილია და თანაც ეს მოწყვეტა/ნაპრალი სულ უფრო ღრმავდება და დაძაბულობა სულ უფრო იზრდება.

„ნაცრისფერ ზონას“ არ ესმის, რატომ უღალატა მას ისთებლიშმენტმა, რატომ აუბა მხარი მან არა ლოკალური ინტერესების მატარებელ იდეალიზმს - რა ალიანსია ეს და რა მომავლისთვის იღვწის ის. მართლაც, საუკუნის წინ ისთებლიშმენტის წმინდა მემარჯვენეობას წყალი არ გაუვიდოდა. ახლა კი ის გლობალიზმს, ანტირასიზმს, ფემინიზმს, ანტიკოლონიალიზმს ქადაგებს და ყველა ტიპის ფუნდამენტალიზმსა და უმცირესობათა ჩაგვრას გასაკვირი ენთუზიაზმით ებრძვის - „ნაცრისფერი ზონის“ პატრიოტიზმის გაგებისთვის და ტერიტორიალური ინტერესების მისეულ აღქმისთვის ეს ნამდვილად ანტინაციონალისტური პოლიტიკაა.

შეხედეთ არჩევნების რუკას - ყველა შტატმა სადაც აქტიური კულტურული ცხოვრება მიმდინარეობს, ჰილარის დაუჭირა მხარი! შეხედეთ არჩევნებში მონაწილე სოციალურ ჯგუფების სტატისტიკას, - ყველა სოციალური ჯგუფი, ვის გარშემოც აქტუალური სიტუაცია/დებატებია - სტუდენტები, ინტელექტუალები, ფერადკანიანები, ფემინიზმის წარმომადგენლები, ლგბტ წევრები, დევნილები, ემიგრანტები და სხვა - ასევე ჰილარის მხარეს იყო.

ესე იგი, კიდევ ერთხელ - ვინ უჭერს მხარს ტრამპს და ვინ არის „ხალხი“?

„ხალხი“ არის - ტეხასელი ფერმერი/ქაუბოი, არკანზასელი კლერკი, აიოველი დიასახლისი, ვისკონსინელი მეთევზე - ადამიანები, ვინც კულტურის ყრუ-მუნჯი ნარჩენებით იკვებებიან,რომელთაც პრინციპულად ეზიზღებათ ის რაზედაც სრულიად ბუნდოვანი წარმოდგენა აქვთ: თანამედროვეობის მიერ გაფორმებული ერთიანი კაცობრიობის ერთიანი მომავლის პროსპექტი და „ადამიანის“ გადალახვისკენ მიმართული დინამიკა. ამაში „ნაცრისფერი ზონა“ მხოლოდ მერყევ საფუძველს და შემაძრწუნებელ მომავალს ხედავს - მათი შინაგანი, არაცნობიერი ლტოლვა ხომ მხოლოდ „გადარჩენა/დამკვიდრების“ პრინციპისკენაა. ხომ გახსოვთ „უდარდელ მოგზაურში“ („Easy Rider“) როგორი უმოწყალო სისასტიკით, წარბშეუხრელად, კლავენ ცენტრალური შტატების წარმომადგენელი ფერმერები მოტოციკლეტებით მოგზაურ გრძელთმიან მეამბოხეებს? აი დღეს სწორედ მან, კულტურულად ყრუ-მუნჯმა ამერიკამ გაამარჯვებინა ტრამპს. განუდგა ისთებლეშმენტს - რახან ის განახლებას და უცნობ მომავალს დაუდგა გვერდში: შემოქმედებს, მეცნიერებს, ნამდვილ მემარცხენეებს (არა იდეოლოგისტებს), ანუ კულტურულ ავანგარდს, რომლებმაც „დამკვიდრება/გადარჩენის ცნობიერების“ ისტორიულად განმსაზღვრელი სოციალური იდეის დესტაბილიზაცია შეძლო და ამით უმნიშვნელოვანესი საქმე გააკეთა და აკეთებს მომავლისთვის. - მათ ხომ საფუძველი მოურყიეს ტრადიციული კლასიკური კულტურის, მყარ/ერთმნიშვნელოვან ფასეულობებს - ადამიანი მიწას მოწყვიტეს და ჰაერში გამოკიდეს (suspention) - შანსის მოლოდინში და შანსის ხელიდან არგასაშვებად: რომ ღვთაებრივი სტუმარი მეტი აღარ გავუშვათ ჯვარზე - ღვთაებრივი სტუმრის სახე ხომ ყოველთვის თავიდან გამოსაცნობია, ამას კი „ჭეშმარიტი და მყარი ღირებულებები“ უშლის ხელს. ეს ჰაერში გამოკიდება არის ის, რასაც სოციალური პროცესების ანალიზში სუსტი და პრიმიტიული გონებები „პოსტმოდერნულ ქაოსს“ ან „პოსტმოდერნულ განცხრომას“ ეძახიან. პოსტმოდერნი კი, თანმიმდევრულად აკეთებს და ახორციელებს იმას, რაც მოდერნმა დარგო და დასახა - თავგანწირვა აბსურდისთვის, ანუ შანსისთვის - ოღონდ პოსტმოდერნი ამას არა ინდივიდუალურ დონეზე (მოდერნისტულად), არამედ ახალი ორიენტაციით ახორციელებს - კომუნალური სივრცის ჩართვით და მასზე ზრუნვით.

სწორედ აღწერილის გამო „ნაცრისფერ ზონაში“, ანუ „ხალხში“ უზარმაზარი რესენტიმენტის განცდაა დაგროვილი. „ნაცრისფერ ზონას“ სძაგს ყველაფერი, რაც ცნობიერების წინსვლასთან, ანუ ტერიტორიების განზავებასთან არის დაკავშირებული: ანტირასიზმი, ფემინიზმი, ლგბტ მოძრაობა, სოლიდარობა, ტოლერანტობა, გენდერული დეტრმინიზმის მიღმა გაღწევის მცდელობები, ხალხთა ერთიანობა, ლტოლ-

ვილების დახმარება და გაჭირვებულთა შველა/მიმღებლობა - ყველაფერი ეს მას სძულს.

ის, რაც „ნაცრისფერ ზონას“ სურს, უყვარს და ეიმედება, ეს ძლიერი დაკუნთული ფეხებია, მიწაზე მყარად მდგარი და (!) ეს ის, უძველესი ფეხმოკიდება გადარჩენის პირუტყვული ინსტინქტია ადამიანში, რომლითაც ის დაიბადა, რომელმაც მას ემსახურა - ათრია და გაატარა ისტორიის უღრანი ტყეები, ბოლოს კი, სინათლის გამოჩენისას, თავისი მისია ამოწურა. ეს მისიაამოწურულობა ჯერ მხოლოდ ცნობიერდება, მტკივნეულად, ტრავმატულად და უგნურების მარადი თანხლებით.

გუშინ, ძველი ცნობიერების რევანშის პიკი „ბრექსიტი“ იყო, დღეს ტრამპია, რომელმაც უკვე აიწეპა ყველა ტიპის ფაშისტური განწყობების მქონე ტერიტორიალიზმის გამომხატველი ტერმინები („თეთრი მუშათა კლასი“, „თეთრი ამერიკა“, „კაცი სამყაროს ბურჯი - ქალი სამყაროს დეკორაცია“ და ა.შ.).

დღევანდელი გამწვავება სამომავლო და ძველი ცნობიერების ფორმებს შორის ისტორიულად უპრეცენდენტოა და საზოგადოებრივი სისტემების ცვლილებებზე ბევრად დიდი და მტკივნეული პროცესია და ასევე შეუდარებლად მნიშვნელოვანი (ნიცშეანური „შუადღე“ შედის თავის უფლებებში). ტრამპის „ნაცრისფერი ზონა“ გაბრაზებულია - მათ არ უნდათ პატრიარქატის კასტრაციის მსხვერპლი იყვნენ - კლი(ნ)ტორინა მათ არ აწყობთ - ეს, ისედაც ძნელი ასახსნელი პროსპექტი, მათთვის გაუგებარია - თანაც მათთვის ამ „ახლის“ ახსნა/განმარტებაზე დიდი ენერგია ჯერჯერობით არავის დაუხარჯავს - ზოგადად გასაგები მიზეზების გამო:

- პროგრესულმა ცნობიერებამ (ყველა უბანზე - ხელოვნება, ფილოსოფია, მეცნიერება) 150 წელი გარღვევის ძალისხმევას მიაკლა თავი. ეს იყო, „ცნობილის“ რღვევის ხარჯზე „უცნობში“ გაღწევის განწირულობითა და ტრავმებით სავსე გზა და სამყაროსთვის სერიოზული და დისკურსულად დახურდავებული გაცნობიერება/განმარტებისთვის ვერავინ სერიოზულად ვერ მოიცალა.

სწორედ ამიტომაა სამყაროში ასეთი სიმწირე გრანდიოზულ ცვლილებთან დაკავშირებული, ზე-გლობალური პრობლემის გააზრების შემომტანი ტექსტების. დიდ ფილოსოფოსთა ავთენტური დისკურსები, სამწუხაროდ,კვლავაც ვიწრო დისციპლინარულ ტერიტორიებზე რჩება, ანალიტიკურ კომენტარებს მხოლოდ ელის - რამაც „ნაცრისფერი ზონისთვის“, ნელ-ნელა და რუდუნებითი ძალისხმევით გასაგები უნდა გახადოს ეს სამომავლო პროექტი; დინებადი ცნობიერების ფენომენი, ანუ ახალი სამომავლო სამყარო, რომელიც ჯერჯერობით, თავისი ბუნდოვანი და მოუხელთებელი კონტურებით - შიშის ზარს სცემს ძველი, მყარი, გასაგები, მტკიცე ღირებულებების იერარქიულად გაწყობილი სამყაროს ფორმასთან გაიგივებულ ადამიანებს - რადგან მათვის თავგანწირვა წყალს გაყოლა. გადახსნილი შანსი, არასოდეს ყოფილა ფასეული - მათთვის არავის უსწავლებია ამის სიყვარული.

„ნაცრისფერი ზონის“ რესენტიმენტისთვის ანონიმური თვითგამოხატვის **ერთადერთი** საშუალება დღეს მხოლოდ სახალხო და საყოველთაო არჩევნები და რეფერენდუმებია - სხვაგან და ყველგან, დღეს, მათი აზროვნება და ხედვა რეგრესულ-რევანშისტული რომ არ ვთქვათ, იმბეცილურად ითვლება - რადგან სამყაროში სამომავლო/ინოვაციური ცნობიერების დამკვიდრების კონკრეტული მოთხოვნები უკვე დღის წესრიგში დგას, ისთებლიშმენტის მხარდაჭერით გამაგრებული. სწორედ ასეთ დროს და ასეთი ფორმებით (ანონიმური არჩევნები, რეფერენდუმები) ამტკიცებს „ნაცრისფერი ზონა“ თავს („ბრექსიტი“ წმინდა წყლის რესენტიმენტის ფენომენია). გადარჩენა/დამკვიდრების ცნობიერება დღეს სრულ კონვულსიაშია და ისტერიული ბრძოლა აქვს გამოცხადებული უცნობი მომავლისთვის - ესაა ტერორიზმის ძირეული და ნამდვილი მიზეზი (სხვა მიზეზები ლოკალურ/მომყოლია), ასევე რუსეთის ფუნდამენტალისტური აზროვნებისა და აგრესიის საფუძველიც (ბატონ გარეწარ-დუგინის იდეოლოგიურ მოძღვრებაში ეს დიქოტომია უგნურად, მომავლის მიმართ თვალდათხრილად, მაგრამ სტრუქტურის დონეზე ცხადად აქვს დანახული).

მოკლედ, მსოფლიოს ლიდერი ქვეყნის სათავეში მოვიდა კაცი - ყოველგვარი პოლიტიკური ცოდნის გარეშე, უმრავლესობის აზრით გაუნათლებელი, პრიმიტიული ენით მოსაუბრე, ზედაპირული წარმოდგენებით სამყაროზე და მოვლენებზე, არანაირი პოლიტიკური ცოდნის და უნარ/ჩვევების მქონე, ბუნებით კარიერისტ/ავანტიურისტი, რომელსაც ეკუთვნის სიტყვები: „მე დემოკრატების იდეები უფრო მომწონს, მაგრამ რესპუბლიკელების სახელით ვიმოქმედებ, რახან მათი დარწმუნება უფრო ადვილია“(!).

აი ასეთი უპირობო ოპორტუნისტი დაიყენა სათავეში რეტროგრადთა და კონფორმისტთა ერთობამ და ეს მრავალზე მეტყველებს, მათ ისტერიკაზე და უკიდეგანო შიშებზე. „გადარჩენა/დაფუძნების ცნობიერების“ საზოგადოება ხომ შიშის ნაშიერია! ის დღეს ყოველგვარ „კეთილსინდისიერებას“ მოკლებული იბრძვის ყველა ტერიტორიაზე ანტიჰუმანური და ანტისამომავლო მოთხოვნების განსახორციელებლად!

იმის, რაც მოხდა კიდევ ერთი ფსიქოლოგიური მხარე/მიზეზი გააჩნია: ქარი და მისი პერფორმატიულ მომნუსხავი ბუნება. ქარი უყვარს რუტინაში დაძირულ ხალხს (ჩვენ კი, უკლებლივ ყველა ადამიანი, რაღაც, გარკვეული რუტინის მატარებელი ყოველთვის ვართ). უცბად ამოვარდნილი, უფიქრელი, უცბად მომსვლელი, უცბად მომგებ/გამარჯვებულ/წამსვლელი. ქარის შარმი, შტორმის შანსი/მოლოდინი, შტორმის შემდეგ განახლებული პეიზაჟის წარმოსახვითი ხიბლი, უყვარს ადამიანს (ყველას უკლებლივ - ქვეცნობიერად) - რახან პრაქტიკულად ყველა აცნობიერებს საკუთარი თავის შიგნით, დიდს და ქმედითს ვერაფერს ატარებს, ამიტომ გარედან შემოსულს ელტვის - ის, რაც მათთვის გულის შემტოკებელი გასართობია ამ მოსაბეზრებლად განმეორებად სამყაროში. ასეთი შარმი ყველაზე მომნუსხავი დაუხვეწავი, სტიქიურად ინსტინქტებს მიმყოლი ადამიანებისთვისაა: მომავალზე დაუფიქრებლობა/გაუფრთხილებლობა, „ექმენი“ (ერთჯერადი ქმედება) და მერე წყალსაც წაუღია ყველაფერი - ისტერიკის ეს ფორმა განუვითარებელი და დინამიკით არდაკავებული გონების მახასიათებელია! მაგრამ ეს ქარიც აუცილებელია სამყაროსთვის. ეს მტოკავი ნერვი, რომელიც უეცარ სიტუაციებს აჩალიჩებს და სამყაროს არადაგეგმილად ავრცობს. ეს გაუგებრობის, საჭირო და სასარგებლო ქაოსის შემომტანი ძალაა - რომელსაც თუ საბოლოოდ გონებამ არ უხელმძღვანელა, დამღუპველიც შეიძლება გამოდგეს.

ტრამპი - არადამძიმებული (არსებულ სტრუქტურებში გაბმულობის სერიოზულობით), გოიმბაზი ენერგიით, კონტრავერსულად ექსტატურ/ექსცენტრული, უბრალო ენით და მარტივი პროპოზიციებით მეტყველი, - პოპულისტი/ოლიგარქი - ანუ ააკაშვილ-ივანიშვილის ნაზავი შეიძლება სულაც უცნაური ჯოკერი გამოდგეს, თუ მართლა უგონო, მაგრამ „ნების თამაშების გამტარია“. ისე რომ, სრულიად შესაძლებელია, რომ სპექტაკლმა მოულოდნელი მიმართულებაც აიღოს!

და კიდევ გეტყვით: პრაქტიკულად ყველა ადამიანი დღესდღეობით, ანუ ადამიანის ისტორიული განვითარების ამ ეტაპზე, გულის სიღრმეში კვლავაც ნაწილობრივ მემარჯვენეა - ესე იგი, შიშებით დათრგუნულ/გაფაციცებული და გადარჩენა/დამკვიდრების ვნებით შეპყრობილი სუბიექტი. ჩემი და თქვენი ჩათვლით. ის, თუ ვინმეს ცოტა გონება უჭრის და მომავლის ხედვის რაღაც უნარი გააჩნია, არ ნიშნავს, რომ შიშების მიღმა დგას - და თუ მას ფეხზე მყარად დგომას დაპირდები (რანაირი ყალბიც არ უნა იყოს დანაპირები), მასზე (და არა „სხვაზე“) ზრუნვის შენი სურვილის პროპაგანდას თავს მოახვევ, სხვისგან გა-

მოყოფილ ბედნიერება/წარმატებას აღუთქვამ და ეტყვი, რომ „სხვა“ მას არ სჭირდება, თუ მტერს დაუკონკრეტებ და ასევე ხელისშემშლელ გარემოებებზე ზუსტად მიანიშნებ - ის შენ ნამდვილად წამოგყვება. შეიძლება მეც და თქვენც წავყვეთ: „не исповедимы пути Господни“ - ნათქვამია.

ასეც მოხდა - ცოცხალ/ვიტალურმა, პერსონიფიცირებულმა სიგიჟემ დახვეწილ და მიზანმიმართულ, მაგრამ რუტინას (თუნდაც დინამიურს) ვერ გაქცეულ ტავტოლოგიურ ენობრივ სტრუქტურას მოუგო ომი.

ამ მომენტისთვის ზოგადად მსოფლიო კულტურის ყველაზე დიდი სირთულე, მაგრამ უსაინტერესოესი მომენტი, სამყაროსეული მნიშვნელობის მქონე გარდამავალ პერიოდში არსებობაა. ადამიანის ცნობიერება იმყოფება არა ეპოქალურ, არამედ ბევრად მეტ - სამყაროსეული მეტამორფოზის სიტუაციაში. გონიერების მთავარმა მოძრაობამ - ლიმიტების მიღმა არსებულის წვდომის ავანგარდმა, ბოლო 150 წლის უზარმაზარი დაძაბულობისა და დინამიზმის ხარჯზე გაარღვია ცნობიერების ისტორიულ/ფუნდამენტური ფორმა „გადარჩენა/დამკვიდრების ცნობიერება“ - დაეხსნა ბრჭყალებიდან ამ პრიმიტიულ მონსტრს, რომელსაც ადამიანი ცხოველურ დამოკიდებულებაში და მიბმულობაში ჰყავდა სამყაროში არსებობის მოდუსთან მიმართებაში - ანუ, „აქ“ არსებობაზე მიჯაჭვულობაში ამყოფებდა.

ნელ-ნელა ფორმდება აქამდე სრულიად უცნობი, მომავლის დინამიზმისთვის თავგანწირვის ფორმა, ანონიმურ ზეტექნოლოგიურ ცნობიერებაში ჩაღვრილობა-განწოვის შინაგანი სურვილი, ანუ ისეთი ცნობიერების ფორმა, რომელმაც უზარმაზარ და სრულიად ახალ სააზროვნო ვექტორებს გვაზიარა. ამ სამყაროსეულ მოვლენაში ადამიანის უსანუკვარესი ოცნება სრულდება: კომუნალურ დინამიკაში (არა ინდივიდუალურში - როგორც აღმოსავლეთშია) ჩაამთავროს „ადამიანის“ ისტორიული ბედი და ახალ სრულიად ირაციონალურ გადახსნილობაში განზავდეს - ამისთვის მას ადამიანის „აქ“ არსებობა მოაქვს შესაწირზე. ამ დინამიკაში ხელოვნების ავანგარდმა, როგორც ირაციონალურის ისტორიულმა ლიდერმა, ეს საპატიო მისია დღეს მეცნიერებას დაუთმო, რომელმაც სამყაროს საწყისის და მისი ძირის სრული ირაციონალობა აღმოაჩინა. ისე რომ, კომუნალურ დონეზე ხდება საკუთარი თავის, ანუ კულტურული იდენტურობის, მსხვერპლად მოტანა. სამსხვერპლო საგანი ცნობიერებაა - რომელიც მომავალში სინგულარობის ყოვლისმომცველ ერთიანობის ანონიმურობაში უნდა განიწოვოს - ასეთ დღესასწაულში უნდა დამთავრდეს „ადამიანი“ და ეს მან ნებაყოფლობითად უნდა განახორციელოს, ამისთვის თვითშეგნებული მზადებით და მზადყოფნით.

მოკლედ, სამყარო სრულფასოვან და სისხლსავსე ცხოვრებას ცხოვრობს და ფინიშის ხაზისთვის დამახასიათებელ უდაძაბულეს ბრძოლებშია (უზოგადეს ბინარულ წინააღმდეგობებს შორის) დღეს ჩაბმული - დიდი ამპლიტუდური რყევებით, რხევებით და გადახრებით.

ერთ დღეს ეს დამთავრდება - მწამს, რომ სულ მალე და უცნობი სიკეთით!

მე ასევე მწამს, რომ ტრამპის ფენომენი (თუ ის „კაცური კაცია“, მართლა ექსცენტრიკია და არ გაჰყვა პასიურად დინებას) მხოლოდ კარგს მოგვიტანს: კიდევ ერთხელ, აშკარად და შეიძლება საბოლოოდ(!) დაგვარწმუნებს, რომ „ცნობიერების ცვლილების“ დინამიკა უპირობოდ სწორია და კაცობრიობა ასაფრენ ბილიკს ადგას! კიდევ და საბოლოოდ შევიგნებთ, რომ საერთო სახალხო რეფერენდუმებმა/არჩევნებმა არაფერი შეიძლება მოუტანოს კაცობრიობას **კარგი** და **პროგრესული**, როცა გადასაწყვეტი დილემა მომავალს და წარსულს ეხება, რახან ასეთ დროს კონფორმიზმი „ნაცრისფერი ზონის“ გვერდში დგომით ყოველთვის გაიმარჯვებს!

ჯერჯერობით და ამჟამად „ნაცრისფერი ზონა“ კაცობრიობის მინიმუმ 70%-ს შეადგენს და ის ყველაფერს ყოველთვის უცნობი, ანუ გადახსნილი მომავლის საწინააღმდეგოდ გაწყვეტს! ამ სიტუციამ შეიძლება საბოლოოდ მიგვახვედროს, რომ წინმსწრაფ დინამიკასთან პარალელურად უდიდესი ენერგია და დრო უნდა ჩაიდოს საზოგადოების სულიერ/მენტალური რეალობის ერთიანობის მოსაპოვებლად და ეს განათლებისა და მომავლის სურნელის შეტანით უნდა მოხდეს „ნაცრისფერ ზონაში“.

და კიდევ, ბოლოს და ბოლოს უნდა გაცნობიერდეს, რომ ეს ბანალურ/პრიმიტიულად გაგებული დემოკრატიის იდეა უმაქნისია და ბევრად დრეკადი და სიტუაციონისტური პოლიტიკა გვმართებს თუ გვსურს: რომ ერთიანი, არატერიტორიალურ/დენადი ცნობიერების იდეა საბოლოოდ გახდეს ადამიანის მომავალი.

გია ეძგვერაძე

ჩვენი მეგობარია ძაძი მერაბ ბოთერაშვილი

მსხვილი ვარიკოზული ვენების მკურნალობის უახლესი და ყველაზე უდანაკარგო მეთოდი

ტკივილის გარეშე!
ნაწიბურების გარეშე!
ნარკოზის გარეშე!

ეროვნული ბოთერაშვილი

2177 65th st.
Brooklyn, NY 11204
1-718-238-1555

VEIN & LASER CENTER

პირველი ქალი პარლამენტარები

1919 წელს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საკანონმდებლო ორგანოს დამფუძნებელთა კრება წარმოდგენილი იყო 130 დეპუტატის შემადგენლობით, აქედან 4 ქალი იყო. მათ, მოგვიანებით მეხუთე ქალი დაემატათ. ყველა მათგანი საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის წევრები იყვნენ. ინტერესმოკლებული არ იქნება მათი გაცნობა.

ელისაბედ (ლიზა) იოსების ასული ნაკაშიძე-ბოლქვაძე (1885-1937), 1904 წლიდან საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის წევრი, 1917 წლიდან „გურიის ქალთა საზოგადოების“ თავმჯდომარე იყო. 1921 წლიდან ანტისაბჭოთა მოძრაობაში ჩაება, რის გამოც 1923 წელს დააპატიმრეს.

გადასახლებიდან დაბრუნების შემდეგ, ანტისაბჭოთა მოღვაწეობა განაგრძო და ხელახლა დააპატიმრეს. 1937 წელს კონტრრევოლუციური ორგანიზაციის ხელმძღვანელობის ბრალდებით კრასნოიარსკში დახვრიტეს. რეაბილიტირებულია 1956 წელს.

* * *

ოლა სოლოღაშვილი (1882-1937) 1903 წლიდან საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის წევრი, საბიბლიოთეკო და სარედაქციო კომისიის წევრი იყო. საქართველოს გასაბჭოების შემდეგ ანტისაბჭოთა არალეგალურ მოძრაობაში ჩაება. 1925 წლიდან პედაგოგიურ საქმიანობას ეწეოდა. 1937 წელს შინსახკომის სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის რაიონულმა განყოფილებამ დააპატიმრა. ანტისაბჭოთა და ანტისაკოლმეურნეო პროპაგანდის, შოვინისტური განწყობების, ასევე მეწშევიკთა ლიდერ რამიშვილთან კავშირის ბრალდებით, ოლა სოლოღაშვილს დახვრეტა მიუსაჯეს.

* * *

ელეონორა (ლოლა) მიხეილის ასული ტერ-ფარსეგოვა-მახვილაძისა 1875 წელს დაიბადა. 1902 წლიდან საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის წევრი იყო. 1905 წლის 17 ოქტომბრის მანიფესტის შემდეგ, ორგანიზაციამ - სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ბათუმის კომიტეტის სოხუმის ჯგუფმა, რომლის ერთ-ერთი ხელმძღვანელი ელეონორაც იყო, რეალურად ხელში აიღო ქალაქ სოხუმის მმართველობა და მეფის ხელისუფლების თითქმის ყველა სტრუქტურა ჩაანაცვლა. ამის გამო, 1908 წელს პირველად დააპატიმრეს. 1921 წლიდან ანტისაბჭოთა არალეგალურ მოძრაობაში ჩაება. 1925 წელს საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის არალეგალური ცეკას შემადგენლობაში აირჩიეს. საგანგებო კომისიამ 1926 წელს დააპატიმრა და ამიერკავკასიის ფარგლებიდან გაასახლა. 30-იან წლებში, გადასახლებიდან დაბრუნების შემდეგ, კერძო პედაგოგიურ საქმიანობას ეწეოდა. გარდაცვალების თარიღი უცნობია.

* * *

ქრისტინე (ჩიტო) გიორგის ასული შარაშიძე (1887-1973) 1905 წლიდან საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის წევრი იყო. 1905-1906 წლებში ტფილისის რევოლუციურ გამოსვლებში აქტიურად მონაწილეობდა და საგაზეთო მასალებს ამზადებდა. საქართველოს გასაბჭოების შემდეგ რამდენჯერმე დააპატიმრეს. მისი ოჯახი რეპრესიებში მოყვა. სხვადასხვა დროს, მასწავლებელთა სახლის ქართული ენის კაბინეტის გამგე და საისტორიო-საეთნოგრაფიო მუზეუმის თანამშრომელი იყო. 1941-1964 წლებში საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილებასა და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიაში მუშაობდა. მან ქართული ბეჭდვითი სიტყვის ისტორიის შესახებ მნიშვნელოვანი შრომები მოამზადა. ასევე, ხევისა და სამხრეთ საქართველოს ისტორიის გამოკვლევების ავტორი იყო. IX-XIX საუკუნეების 1500-ზე მეტი ხელნაწერი დაამუშავა და შეისწავლა.

* * *

მინადორა ეფრემის ასული ორჯონიკიძე-ტოროშელიძე 1873 წლის 14 მარტს, სოფელ ღორეშაში აზნაურის ოჯახში დაიბადა. ქუთაისის წმინდა ნინოს ქალთა გიმნაზია დაამთავრა. ამ დროიდან მარქსისტული წრეების მუშაობაში ერთვება. 1901 წელს ჟენევის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტზე განაგრძო სწავლა. ქალაქის სოციალისტურ წრეებში და „ისკრის“ დამხმარე ჯგუფში აქტიურად მუშაობდა.

ჟენევაში მალაქია ტოროშელიძესთან იქორწინა. 1905 წელს თბილისში დაბრუნებისთანავე რევოლუციურ მოძრაობაში ჩაება. მინადორა წითელ ჯვარში და „არა“-ში (ამერიკული დახმარების ადმინისტრაცია) მუშაობდა. პარალელურად ქალთა არალეგალურ ორგანიზაციას ხელმძღვანელობდა, რომელიც დაპატიმრებული სოციალ-დემოკრატების და ფედერალისტების ოჯახებს ეხმარებოდა.

1924 წლის დასაწყისში იძულებით მოსკოვში გაასახლეს. მას შემდეგ, რაც მენშევიკურ პარტიაში მუშაობაზე უარი თქვა, თბილისში დაბრუნდა. 1936 წელს მინადორა ორჯონიკიძე-ტოროშელიძე დაპატიმრეს. მან ბრალდებები უარყო და თავი დამნაშავედ არ ცნო. 5 წლით ყაზახეთში გადაასახლეს, სადაც ქალაქ ჩიმკენტის პოლიკლინიკაში ექიმად მუშაობდა. 1937 წლის 5 ივნისს დააპატიმრეს და 8 წლით შრომა-გასწორების კოლონიაში ყოფნა მიუსაჯეს. მისი სასჯელის ვადა 1945 წელს დამთავრდა, მაგრამ სამშობლოში დაბრუნების უფლება არ მისცეს. თბილისში 1950 წელს ჩამოვიდა.

რეაბილიტირებულია 1956 წელს.

მინადორა ორჯონიკიძე-ტოროშელიძე 1967 წლის 19 ოქტომბერს გარდაიცვალა.

„ვესტსაიდური ამბავი“

ფილმი, რომელშიც წამიერად ეს ბრ ჩნდება ლაქვარდი ცა

ოთარ სეფიაშვილი,
საქართველოს ხელოვნების
დამსახურებული მოღვაწე

სურათი, რომელსაც დღეს ვიხილავთ, უკვე კარგა ხანია მხოლოდ ფრაგმენტალურად - ნაწყვეტებით თუ ჩნდებოდა ჩვენს ტელე-ეკრანებზე.

ბევრი ნამდვილი ისტორიული მნიშვნელობის ზიარი გავხდით ამ ხნის განმავლობაში. გარდატეხა მოხდა ჩვენს შეგნებაშიც, შეიცვალა ჩვენი დამოკიდებულება სინამდვილისა და მრავალი ფასეულობისადმი, მათ შორის - ხელოვნების ნაწარმოებებისადმიც. დარწმუნებული ვარ, დღეს სულ სხვა თვალით შეხედავს და სრულიად განსხვავებული განწყობილებით აღიქვამს მაყურებელი სურათს, რომელსაც ამჯერად გთავაზობთ, ეს არის ამერიკული ფილმი-მიუზიკლი - „ვესტსაიდური ამბავი“.

თავის დროზე, ამ ჟანრის სხვა ნიმუშებთან დაკავშირებით ჩვენ უკვე გვქონია მეტნაკლებად ვრცელი საუბარი იმ მხატვრულ შემოქმედებით ძიებებზე, რომლებიც მიმდინარეობდა ამერიკულ კინოში 50-იანი წლებისათვის უკვე თავდაღმართ დაქანებულ მიუზიკლის განახლებისა და აღორძინებისათვის...

საბედნიეროდ, ეს პროცესი 1961-ში დაგვირგვინდა ბევრი რამით ნოვატორული და დღემდე, ალბათ, სწორუპოვარი - „ვესტსაიდური ამბავის“ შექმნით. ვთქვათ ისიც, ბედმა რომ ინება და, მიუზიკლის ისტორიაში ამ ახალი და ნათელი ფურცლის ჩაწერა წილად ხვდა რეჟისორ რობერტ უაიზს – იმხანად უკვე 47 წელს მიტანებულ პროფესიონალს, რომელიც, მართალია, აქამდე წელიწადში თითო, ზოგჯერ კი - ორ ფილმსაც იღებდა, მაგრამ მისი შემოქმედებითი ბიოგრაფიის ყველაზე მნიშვნე-

ლოვან ფაქტად რჩებოდა ის, რომ იგი დიდი ხელოვანის - ორსონ უელსის უახლესი თანაშემწე იყო კინოხელოვნების ისტორიაში ნიშანსვეტური ფილმ „მოქალაქე ქეინის“ გადაღებისას.

შეგახსენებთ, ფილმ „ვესტსაიდურ ამბავს“ საფუძვლად დაედო ბროდვეიზე გახმაურებული სპექტაკლი, რომელიც, სხვათაშორის, თავის მხრივ, მწერალ ლორენთსის ამავე სახელწოდების რომანის ინსცენირება გახლდათ.

მიუხედავათ ამგვარი, თუ შეიძლება ითქვას, ორმაგი დასესხებისა, სურათი ჭეშმარიტად მაღალი ხელონების ნაწარმოები გამოდგა. ფილმშიც, ისევე როგორც სპექტაკლში, ძირითადი გამომსახველობითი საშუალებანია მუსიკა და ცეკვა, მაგრამ როგორც არაერთგზის აღგვინიშნავს, ცეკვის პირობითობა - საერთოდ - ძალზე ორგანული აღმოჩნდა ეკრანული გამოსახულების პირობითობისათვის და მაყურებელმაც იმთავითვე, უმტკივნეულოდ და ბუნებრივად აღიქვა „ვესტსაიდური ამბის“ თხრობის უჩვეულობა, ადვილად ეზიარა მის თვითმყოფ სამყაროს.

ბევრი მაყურებელი თუ კრიტიკოსი ამ სურათს დღემდე უწოდებს თანადროულ „რომეო და ჯულიეტას“. ფილმში, მართლაც, იმთავითვე პირდაპირ და მკვეთრად არის გაცხადებული მისი ნათესაობა შექსპირის ტრაგედიის მარადიულ სიუჟეტთან. თუმცაღა, ისიც ნათელი იყო, თავიდანვე, რომ ეს ტრაგიკული კინორევიუ განსაკუთრებით ახლო იდგა არა შექსპირულ პოეტიკასა და თემებთან, არამედ მჭიდროდ უკავშირდებოდა თანადროული ამერიკული მწერლობისა და ხელოვნების მიდრეკილებებს, მათში გამჟღავნებულ ტენდენციებს.

ფილმი კინო-აკადემიის 11 ნომინაციაში წარადგინეს და აქედან 10-ში გაიმარჯვა, მათ შორის „საუკეთესო ფილმის“ ნომინაციაში. სულაც არ არის შემთხვევითი, რომ თავად ამერიკელი კრიტიკოსები - ამ სურათზე მსჯელობისას - იხსენებდნენ კერუაკის პროზას, იმჟამინდელ გახმაურებულ ფილმებს - შირლი ქლინქის „მეკავშირეს“, ჯონ კასავიტისის - „ჩრდილებს“. საგანგებოდ აღნიშნავდნენ თანადროული ამერიკული ფილმის ტრაგიკული კონცეფციის განსხვავებას მისი თავწყაროსაგან.

და მართლაც - თუ შექსპირის „რომეო და ჯულიეტაში“ საგვარეულო მტრობა და შუღლი მონტეგებსა და კაპულეტებს შორის მხოლოდ ფონია, ერთგვარი საბაბია ვერონელი შეყვარებულების საოცარი მიჯნურობისა და მათი ტრაგიკული აღსასრულისა, - აქ, ამ ფილმში, წინა პლანზე იწევს თაობათა გათიშულობისა და სიძულვილის თემები.

„ვესტსაიდური ამბავი“ - არც ჩანაფიქრით, არც შესრულებით - სულაც არ

ჰგავს ლირიკულ ფილმს სიყვარულზე. მასში გადმოცემული და განზოგადებული ამბავი საგულისხმოა და იმავდროულად, საგრძნობია მისი ანალიზის ცდაც.

ეს არის არა მარტოდენ ერთი შეყვარებული წყვილის, არამედ მთელი თაობის ტრაგედია, - შეუწყნარებლობის ტრაგედია, რომელიც თითქოსდა გამრთობი მიუზიკლის ფორმითაა გამოხატული, დააკვირდით - ფილმში ერთხელაც არ ჩნდება ცის ლაჟვარდი.

ამიტომაცაა, რომ სურათის არნახული წარმატების კვლევისას, უწინარეს ყოვლისა, აღნიშნავდნენ მის სოციალურ მნიშვნელობას, სიახლოვეს ცხოვრებისეულ რეალიებთან, რომლებიც მხოლოდ ამერიკისათვის არ ყოფილა დამახასიათებელი.

არც ის არის შემთხვევითი, რომ „ვესტსაიდურ ამბავს“, - თუნდაც ისევ ამერიკის ეკრანებზე, - მალე მოჰყვა ისეთი მეამბოხე სულის ფილმები, როგორიცაა იმავე შირლი ქლარქის „ცივი სამყარო“, რეჟისორ კორმანის - „ველური ანგელოზები“, შლეზინგერის - „შუაღამის კოვბოი“ და კიდევ ბევრი სხვა სურათი, რომლებიც თავის დროზე - გასაგები თუ აუხსნელი მიზეზების გამო - საბჭოურ ეკრანებზე არ ყოფილა დავებული და რომლებსაც ახლა ვიდეოკასეტებით ეცნობიან ჩვენში კინოს მოყვარულები.

შესაძლოა, ამ ფილმებში უფრო მჭახედაცაა წამოჭრილი, ან უფრო ღრმადაც განხილული თანადროული ახალგაზრდობის პრობლემები, - (ცხადია, აქ მხედველობაშია მისაღები მიუზიკლის ჟანრის თავისებურებებიც), - მაგრამ ისიც უთუოდ ფაქტია, რომ ამ მეამბოხე ფილმებიდან, ზოგიერთს მაინც, რამდენიმე წლით წინ უსწრებდა „ვესტსაიდური ამბავი“...

ამ ფილმ-მიუზიკლის, - როგორც არცთუ უნაკლო, მაგრამ ჭეშმარიტად მაღალი ხელოვნების ნიმუშის - გამო, ჩვენ სხვა დროსაც გვექნება საუბარი. აღსანიშნავია, მისი უეჭველი მხატვრულ-ნოვატორული ღირსებებიც და ზოგ-ზოგი ნაკლიც, რაც, - უმთავრესად, - თავს იჩენს დამტკბარ-დაშაქრულ ლირიკულ სცენებში. ამჯერად კი, შენიშნავდით ალბათ, გულისყური გავამახვილე ფილმის სოციალურ ჟღერადობაზე, მის ტრაგიკულ მიხვედრებზე, რომლებიც - (ვაგლახ რომ) - დროით დადასტურდა და მარტო ერთი ერისა თუ ქვეყნის წიაღში მიმდინარე პროცესების ანარეკლად არ წარმოგვიდგება...

ამჯერად, ამ რაკურსში გავიხსენოთ ამერიკული ფილმი-მიუზიკლი „ვესტსაიდური ამბავი“. ვფიქრობთ, დღეს სულ სხვაგვარად აღიქმება ეს სურათი თაობათა ტრაგიკულ გათიშულობასა და სიძულვილზე, ფილმი, რომელშიც, - ვიმეორებ, - ერთხელაც არ ჩნდება ცის ლაჟვარდი...

https://youtu.be/rI48V8X0lC0

ეს შენი ტელევიზიაა

TVOYO

www.tvoyo.tv

საუკეთესო ხარისხი ფასად

160+ არხზე მეტი
HD ხარისხი
გადახვევა არქივი
ინტერაქტიული მენიუ
მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში ნახვა
ვიდეოთეკა

1 წელი	1 თვე	6 თვე	1 წელი
ყოველთვიური გადახდა 25 $	ნინასწარი გადახდა 30 $	ნინასწარი გადახდა 120 $	ნინასწარი გადახდა 215 $
+45$ STB	+45$ STB	+30$ STB	+25$ STB
სულ 95$	სულ 75$	სულ 150$	სულ 240$

პირველი და ბოლო თვე

საუკეთესო ხარისხი ფასად

24 საათიანი მომსახურება

1 800 563 7705
1 347 462 1924
1 347 748 0459



სახიფი დღეს ჩვენი ხომ ახის, ეს პავლეს დამსახურებაა!

შეუძლებელია, გენიალური პიროვნება, მისი შემოქმედება ჩრდილმა დაფაროს. შესაძლოა, სულ მალე მსოფლიოს ყურადღება საქართველომ პავლე ინგოროყვას მიერ ხეთური იეროგლიფების გაშიფვრის ფაქტის გამო მიიპყროს... ამ საკითხზე მკვლევარისა და მეცნიერის შვილიშვილი, გიო მგელაძე მუშაობს. პავლე ინგოროყვას შემოქმედებისა და ისტორიული მნიშვნელობის დამსახურების შესახებ სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე, პავლე ინგოროყვას ორი ტომის გამომცემელი, დავით გალეგაშვილი საუბრობს, ხოლო ცხოვრებისეულ ეპიზოდებს გიო მგელაძე და შვილთაშვილი, ჟურნალისტი ნინია ახვლედიანი იხსენებენ...

დავით გალეგაშვილი:

- ამ მასშტაბის საზოგადო მოღვაწე, მკვლევარი და მეცნიერი XX საუკუნეში ბევრი არ გვყოლია, მაგრამ მათ შორის ყველაზე მივიწყებული პავლე ინგოროყვა გახლავთ. ეს უდიდესი მეცნიერი, თავისი ცხოვრებითა და მოღვაწეობით მაგალითია იმისა, თუ როგორ შეიძლება, სამშობლოს ისე ემსახურო, რომ იმპერიას, რეჟიმს ან სხვა ნებისმიერ ბნელ ძალას ძღვენი არ მიართვა. საოცარი მემკვიდრეობა დაგვიტოვა, რომელიც დღეს საქართველოში სანახევროდაც კი არ არის შესწავლილ-შეფასებული და მით უმეტეს, დაფასებული... უფრო მეტიც, ამ ადამიანის სახელი დღემდე გარიყულია საგანმანათლებლო წრეებიდან.

- რთულია ერთ ინტერვიუში პავლე ინგოროყვას მრავალმხრივი მოღვაწეობის შესახებ ყველაფერი ითქვას. მისი ცხოვრებისა და შემოქმედების მცირე, თუმცა, მეტად მნიშვნელოვან ნაწილზე ვისაუბროთ...

- პავლე ინგოროყვა 20 წლისაც არ იყო, როცა აღმოაჩინა, რომ ის ჰიმნოგრაფიული ტექსტები, რასაც ჩვენ პროზად მივიჩნევდით, პოეზია ყოფილა. X საუკუნის საგალობლების ამოცნობა მისი პირველი უდიდესი აღმოჩენა გახლდათ. 40 წლის შემდეგ მან იმავე ტექსტებში წითელი შრიფტით ჩაწერილი სანოტო ნიშნებიც ამოიცნო. მის მიერ გაშიფრული მიქაელ მოდრეკილის კრებულის XI საუკუნის რამდენიმე საგალობელი სახელმწიფო საგუნდო კაპელას შესრულებით, სიონის საკათედრო ტაძარში ჩაიწერა. ჩაწერას უწმინდესი და უნეტარესი ეფრემ მეორეც დაესწრო. მეორე დღეს ჩანაწერი პავლე ინგოროყვას გამოსვლის ტექსტთან ერთად, „იუნესკოში“ გაიგზავნა და 1962 წელს მთელი მსოფლიოს გასაგონად აჟღერდა... მის კიდევ ერთ მიგნებას - „ძველ ქართულ წარმართულ კალენდარს“ ივანე ჯავახიშვილმა „უაღრესად საინტერესო გზის გამკვლევი მონოგრაფია“ უწოდა.

- მკვლევრის ისტორიული შრომებიდან ყველაზე მნიშვნელოვნად „გიორგი მერჩულე“ მიიჩნევა. 60-იან წლებში გამოსულ პავლე ინგოროყვას ტომეულების გამოცემისას, „გიორგი მერჩულეს“ პოლიტიკური ნაწილი არ დაიბეჭდა...

- „გიორგი მერჩულე“ შუქს ჩვენი ისტორიის ყველაზე ნაკლებად შესწავლილ მონაკვეთს - VII-IX საუკუნეებს ჰფენს. უამისოდ როგორ იქნებოდა და, გარკვეულ წრეებში ნაშრომის მიმართ არავჯანსაღი განწყობა გაჩნდა. სამშობლოდან მოწყვეტილმა გრიგოლ რობაქიძემ ჟენევიდან დას, ლიდა რობაქიძეს წერილი გამოუგზავნა: „ეს წიგნი დიდი გამარჯვებაა, დიდი. თავისებურება მისი, არაჩვეულებრივი: კითხულობ მას და ხედავ: საქართველო იზრდება, ვითარ ცოცხალი არსი, ვრცელდება თანდათან, მკვიდრდება ნელინელ, დგინდება, მტკიცდება. წიგნი ციხე-სიმაგრედაა აღმართული, ისეთ ციხე-სიმაგრედ, რომელსაც ვერარა შელახავს და ვერარა აიღებს. ამას ესეც უნდა დაერთოს: ამ მძლავრ ხელებში დიდი მადლიცაა“. ძმამ ლიდას ასევე მისწერა, რომ წერილი პავლესთვის მიეტანა. ალბათ, გასამხნევებლად... პავლეს ბარათიდან ეს ადგილი ამოუწერია და შეუნახავს. ასევე, რო-

ბაქიძის სხვა ბარათიდან ამოწერილი ჰქონდა ამგვარი შეფასება: „გამოკვლევა პავლე ინგოროყვასი „გიორგი მერჩულე“ დიდი მარჯვა საქართველოსი“. პავლეს ასევე შენახული ჰქონდა ემიგრაციაში მოღვაწე ქართველი სწავლულის, ალექსანდრე მანველიშვილის ნაწერიც: „აქ ავტორი გვევლინება, როგორც მეცნიერი მხედარი, რომელიც იცავს მამა-პაპათა მიერ სისხლით მორწყულ მიწას. და მათ გაპოზიერებულ ნიადაგზედ შექმნილ ქართულ კულტურას, სიმართლისა და ისტორიული ჭეშმარიტების საფუძველზე...“

ალბათ, გასაკვირი აღარ არის, რატომ წვავდნენ 50-იან წლებში ამ წიგნს აფხაზი სეპარატისტების იდეური წინაპრები სოხუმის ცენტრში. ვინ იცის, რამდენ უბედურებას ასცდებოდა საქართველო, ქვეყნის ხელისუფლებაში მყოფ ადამიანებს მტკიცედ რომ დაეცვათ ინგოროყვასეული პრინციპები აფხაზეთთან მიმართებაში.

- რაც შეეხება „რუსთველიანას“, ამაზე რას გვეტყვით?

- ჩემთვის ყველაზე ძვირფასი მაინც „რუსთველიანაა“, „განსაცვიფრებელი „რუსთველიანა“, - როგორც ამას ნოდარ დუმბაძე იტყოდა. თუკი ვინმეს აინტერესებს, ვინ იყო სინამდვილეში მსოფლიო პოეზიის მწვერვალის, „ვეფხისტყაოსნის“ ავტორი, მან სწორედ ეს ნაშრომი უნდა წაიკითხოს. მასში მოცემულია ინფორმაცია რუსთაველის წარმოშობის, ოჯახის შესახებ; აღწერილია მისი ბრძოლა მონღოლების წინააღმდეგ, მონაწილეობა კოხტასთავის აჯანყებაში; იერუსალიმის მონასტრისადმი მისი დამსახურება და ფილოსოფიური შეხედულებები. ამ მონოგრაფიის გამო, საბჭოთა პოლიტიკურმა და სამეცნიერო ელიტამ პავლე ინგოროყვა მორალურად გაანადგურა. წიგნი დაიბეჭდა, მაგრამ იგი უსაფუძვლოდ იქნა უარყოფილი.

- ამის მიზეზი რა იყო?

- მისი თვალსაჩინო საზოგადო მოღვაწეობა. იგი იყო ხელმომწერი დამოუკიდებლობის აქტისა, მონაწილე ყველა კომისიის (როგორც მენშევიკური, ისე ბოლშევიკური), რომელიც სადაო ტერიტორიულ საკითხებს განიხილავდა თურქეთთან, სომხეთთან, აზერბაიჯანთან.

საბჭოთა პერიოდში,ფილიპე მახარაძის პირველკაცობისას, პავლე ილიას პირველი ათტომეულის გამომცემელი, ჟურნალების დამაარსებელი გახლდათ. ასევე, მან დააარსა ხელნაწერთა განყოფილება სახელმწიფო მუზეუმში, რომლის საფუძველზეც, მოგვიანებით, ხელნაწერთა ინსტიტუტი შეიქმნა. ცნობილია მისი დავა სერგო ორჯონიკიძესთან საქართველოს ტერიტორიების შესანარჩუნებლად. პავლემ და მისმა მეგობრებმა 20-იან წლებში მიხეილ ჯავახიშვილი დახვრეტას გადაარჩინეს, მაგრამ 30-იანებში, სამწუხაროდ, ეს ვეღარ მოახერხეს. სწორედ ამ „რეაქციონერობის“ გამო გამორიცხეს ის მწერალთა კავშირიდან.

აი, მაშინდელი ოფიციოზის დოკუმენტიც: „პავლე ინგოროყვა გამორიცხულ იქნა, როგორც აშკარა რეაქციონერი და შოვინისტი მწერალი, რომელმაც ჯერ კიდევ ანტისაბჭოთა ჟურნალის „კავკასიონის“ რედაქტორობის დროს ნათლად გამოამჟღავნა თავისი რეაქციონური და ნაციონალისტური სახე... პავლე ინგოროყვა იყო ქართული მწერლების რეაქციონური და შოვინისტური ნაწილის ორგანიზატორი და ხელმძღვანელობდა რეაქციონურ „ქართ. წიგნის“ გამომცემლობას, რომელიც წარმოადგენდა მისი ხელმძღვანელობის დროს საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ განწყობილ მწერალთა თავშესაფარს“.

1931 წელს კონსტანტინე გამსახურდია დაიჭირეს. წარმოიდგინეთ, პავლე რუსეთში ჩავიდა და ციხის წინ ქართული ჩოხით დააბიჯებდა... ციხის უფროსმა თქვა: ან ეს კაციც ჩასვით, ან გამსახურდია გაუშვითო და კონსტანტინე გაათავისუფლეს. 30-იან წლებში ანუ მაშინ, როცა სტალინი უკვე ძალაუფლების ზენიტში იყო, გადაწყდა, რომ მოსკოვში ქართული კულტურის დღეები ჩატარებულიყო. მაშინდელი მწერალთა კავშირის თავმჯდომარის მიერ მომზადებული ქართული მწერლობის ისტორია სტალინს არ მოეწონა და მისი გადაწერა პავლეს დაევალა. პავლემ ორ ღამეში გადაწერა და გაგზავნა. ორჯერ იყო ბერიას კაბინეტში, სადაც მისი დაკავება-განადგურების საკითხი უნდა გადაწყვეტილიყო, თუმცა, გადარჩა. მართალია, ფიზიკურად არ გაანადგურეს, მაგრამ მუდმივად შევიწროებული იყო.

პავლე ინგოროყვამ სიცოცხლის ბოლოს ასე შეაფასა თავისი სამეცნიერო დანატოვარი - „ქართული ცივილიზაციის ისტორია“. მე ამას დავუმატებდი: ქართველ მეცნიერთაგან პირველმა პავლე ინგოროყვამ შეაღო ის კარიბჭე, რომლის მიღმაც ყველასათვის უცნობი და უხსოვარი საქართველოს წარსული იყო.

- რა წვლილი აქვს პავლე ინგოროყვას აჭარის ბედის გადაწყვეტაში საქართველოს გასაბჭოების შემდეგ?

- ბრესტ-ლიტოვსკის ზავით ლენინმა თურქეთს რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში მყოფი ტერიტორიების ნაწილი, მათ შორის, ბათუმის ოლქის მიწები დაუთმო. აჭარლებისა და გენერალ მაზნიაშვილის გმირული ბრძოლების შედეგად, თურქები განდევნილ იქნენ ბათუმიდან. მაგრამ თურქეთი ზავის პირობების შესრულებას და შესაბამისად, ართვინისა და არტაანის მსგავსად ბათუმის გადაცემასაც მოითხოვდა.

საბჭოთა რუსეთისა და თურქეთის ხელისუფალთა გადაწყვეტილებით შექმნილ კომისიაში გასაბჭოებული საქართველოს მხრიდან ახალგაზრდა მეცნიერი, 24 წლის პავლე ინგოროყვა ჩართეს. მან თურქულ ტექსტში მიაკვლია ცნობას, რომ სასაზღვრო მდინარედ განსაზღვრული თურქულად ჩაწერილი სიტყვა - „ჩოროქ“ არა ჩოლოქს (როგორც ამას თურქული მხარე ამტკიცებდა), არამედ ჭოროხს ნიშნავდა, რომელიც გაცილებით უფრო სამხრეთით მდებარეობდა. საბოლოოდ, საზღვარმა ამ ცნობის მიხედვით გაიარა. შედეგად კი, აჭარა დღეს საქართველოა...

ნინია ახვლედიანი,

პავლე ინგოროყვას შვილთაშვილი:

- პავლე დედის მხრიდან ჩემი დიდი ბაბუა იყო. როცა დედაჩემის დედას მამა გარდაეცვალა, მამის ძმამ, პავლემ საკუთარი ძმისშვილები შვილებივით გაზარდა. თვითონ შვილი არ ჰყავდა. მართალია, თავად ამას აპროტესტებდა, მაგრამ ძმისშვილები მამას ეძახდნენ. 2 წლის ვიყავი, როცა პავლე გარდაიცვალა. საოცრებაა და ალბათ დაუჯერებელი, მაგრამ როცა გოგებაშვილზე, ჩვენს სახლში მივდიოდი, კადრად მახსოვს, როგორ ეჯდა ბებია საწოლთან თეთრწვერა პავლეს და მაწონს აჭმევდა. პავლეს ლურჯი ქუდი ეხურა.

დედას მონათხრობიდან ვიცი პავლეს სიყვარულის ამბავი, რამაც ის სულ სხვა ჭრილში დამანახა ანუ ასეთ დიდ საზოგადო მოღვაწეს, ადამიანს, რომელმაც სამშობლოს და ქართულ ენას შესწირა მთელი ცხოვრება, როგორი სიყვარული შეძლებია ქალის მიმართ.

მას ქეთევან ბაქრაძე, არაჩვეულებრივი, ულამაზესი, არისტოკრატიული გარეგნობის, დახვეწილი, ევროპულად მოაზროვნე ქალი უყვარდა. როცა ის ცოლად სხვას გაჰყვა, პავლემ სასოწარკვეთისგან თვითმკვლელობა სცადა: ტყვია გულში ისროლა. რთული წარმოსადგენია, მაგრამ ტყვია გულთან გაჩერდა და პავლე გადარჩა. ის ტყვია კი სიცოცხლის ბოლომდე არ ამოაღებინა სხეულიდან, სიყვარულის ნიშნად დაიტოვა.

მოგვიანებით, ქეთო ქმარს გაშორდა და ცოლად პავლეს გაჰყვა. სამაგალითო და ბედნიერი ცოლ-ქმრობა ჰქონდათ სიცოცხლის ბოლომდე. ქეთო არაჩვეულებრივი მთარგმნელი იყო. მან დიკენსის „დევიდ კოპერფილდი“ თარგმნა, რომელიც ერთ-ერთ საუკეთესო თარგმანად მიიჩნევა. ქეთომ ზუსტად იცოდა, ვინ იყო პავლე, ვის გვერდით ცხოვრობდა და საოცრად აფასებდა.

- მკაცრი ხასიათი ჰქონდა?

- დედასგან ვიცი, რომ უფრო თბილი იყო, ვიდრე - მკაცრი. მუდმივად საქმეში ჩაფლული, მილიონი ფურცლითა და წიგნით გარშემორტყმული... თურმე, გამოვიდოდა თავისი ოთახიდან და იკითხავდა: „მე დღეს ვჭამე?“ ანუ ჭამა მხოლოდ იმისთვის

სჭირდებოდა, რომ არ წაქცეულიყო.

ვიცი კიდევ ბაბუას, გუგული მგელაძის მონათხრობი: „ცეკას“ მდივანი შევარდნაძე უკვე ძალიან მოხუც და სკლეროზით დაავადებულ პავლეს მონახულებას აპირებდა. გუგული იუმორით გვიყვება: შევდიოდი და „ვავარჯიშებდი“, - შევარდნაძე რომ გკითხავს, ხომ არაფერი გნებავთო? უნდა უთხრა, რომ ბინა გვჭირდებაო. ერთხელაც, გუგულიმ პავლეს „გამოცდა“ მოუწყო და ვითომ, შევარდნაძე იყო, ოთახში თავად შევიდა. მოიკითხა, გაესაუბრა და გასვლისას მიუბრუნდა: ხომ არაფერი გჭირდებათო?

პავლემ მიიხედ-მოიხედა თურმე და ჩუმად იკითხა: ჩემი სიძე აქ ხომ არ არისო? მერე კი „შევარდნაძეს“ უთხრა: „საქართველოს მიმიხედე, საქართველოს!“. ინტერვიუზე მისულს ერთხელ თამაზ ჩხენკელმა მითხრა, სარფი დღეს ჩვენი რომ არის, ეს პავლეს დამსახურებაო.

გიო მგელაძე,

პავლე ინგოროყვას შვილიშვილი:

- 14 წლამდე პავლესთან ვიზრდებოდი. შეიძლება ითქვას, ასკეტურად ცხოვრობდა. 24 საათიდან ოცს მუშაობაში ატარებდა. მხოლოდ იმ პერიოდში შეწყვიტა საქმიანობა, როცა მისი მეუღლე ავად გახდა. ლოგინად მყოფი ქეთოს მოვლა პავლემ იკისრა და ის დრო საყვარელ მეუღლესთან ერთად გაატარა. მახსოვს, უყვარდა სიტყვა „მაშასადამე“.

ხშირად მეუბნებოდა: კომუნისტებს არ დაუჯერო, ბაბუ, „ჟულიკები“ არიანო... ძალიან მძიმე პორტფელით დადიოდა. ავტობუსშიც კი ამოიღებდა ხოლმე თავის ფურცლებს და მუშაობდა ან კითხულობდა... თუ სადმე ვინმეს დალოდება მოუწევდა, დროს არ კარგავდა. ახლაც კი მაოცებს ხოლმე მის წიგნებში გაკეთებული შენიშვნები, ნებისმიერ მეცნიერებაზე ჰქონდა თავისი წარმოდგენა, აკეთებდა ანალიზს.

პავლე ნებისმიერი მთავრობისგან დევნილი იყო. რეპრესიების პერიოდში ოთხი წელი ქეთოსთან ერთად, მეუღლის სოფელში გაატარა. ალბათ, არც უნდოდათ მისი ფიზიკური განადგურება, თორემ ბუნებრივია, იქ მისი მიგნება არ გაუჭირდებოდათ.

ერთ ამბავს გავიხსენებ, რომელმაც დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე: მესამე კლასში ვიქნებოდი. კარზე ზარი დარეკეს. გავაღე და ზღურბლთან ძალიან მაღალი სასულიერო პირი დავინახე. პავლე იკითხა. ოთახში შევუძეხი. პავლე იწვა. ეს ადამიანი მეუფე აღმოჩნდა. პავლეს ოთახში შესულმა საწოლთან დაიჩოქა და ბაბუას ბიბლია გადასცა. უთხრა, რომ პატრიარქისგან ჰქონდა ასეთი კურთხევა. ეს ძალიან ემოციური სურათი გახლდათ...

- პარადოქსია, მაგრამ პავლე ინგოროყვა ისე გარდაიცვალა, აკადემიკოსის ხარისხი არ ჰქონდა...



- ვისაც პავლეს პიროვნებასა და ცხოვრებაზე წარმოდგენა აქვს, იცის, რომ ეს ფაქტი მისი პერსონისთვის, მისი ცხოვრების მრწამსისა და წესისთვის ორგანულია. პავლეს საკანდიდატოც არ ჰქონდა დაცული.

სახლში გვაქვს 40-იანი წლების 4 აკადემიკოსის წარდგინება. კონსტანტინე გამსახურდიამ, გალაკტიონმა და გოგლა ლეონიძემ წარადგინეს აკადემიკოსად, მაგრამ ბოლშევიკებმა არ მიიღეს ეს წინადადება. იზა ორჯონიკიძემ ლიტერატურის მუზეუმში პავლეს 85 წლის იუბილე გამართა. მიუხედავად იმისა, რომ იუბილე არაფორმალურად ჩატარდა, მეორე დღეს იზა თანამდებობიდან გაათავისუფლეს. მე ვესწრებოდი ამ იუბილეს, სადაც იმ ეპოქის მნიშვნელოვანი მოღვაწეები საოცარ ამბებს იხსენებდნენ, აღიარებდნენ პავლეს გენიალურობას. მაშინვე გამიჩნდა კითხვა საკუთარ თავთან: ასეთ გენიოსად თუ აღიარებდნენ, რატომ არავინ მოსულა მასთან სახლში, არ უკითხავს როგორ იყო, რაზე მუშაობდა?!

უკვე შეუძლოდ გახლდათ, ამ საღამოს არ დასწრებია და ყველაფერი მე ვუამბე. იუბილეზე კაკო ბაქრაძე გამოვიდა წინადადებით, - პავლესთვის აკადემიკოსობის მინიჭების მოთხოვნით აკადემიასთან ტრანსფარანტებით მისულიყვნენ. მაშინ რეზო თვარაძემ თქვა: ვეთანხმები კაკოს, მაგრამ დღევანდელი საქართველოს მეცნიერებათა აკადემია არის კი ღირსი პავლე ინგოროყვა მისი წევრი იყოსო?!

შეთანხმდნენ, რომ - არა. კარგიც არის, რომ აკადემიკოსი არ გახდა. მისი ნებისმიერი, ერთი პატარა მონოგრაფიაც კი სადოქტორო დისერტაციაა. რეგალიებს, სტატუსებს არ ჰქონდა მისთვის მნიშვნელობა. ჰოდა, იმას, რასაც არ სცნობდა, არც ფლობს.

- სიცოცხლის ბოლომდე ახერხებდა მუშაობას?

- ბოლო 5 წელი ავად იყო, ვერ მუშაობდა. გონება ხშირად ღალატობდა, მაგრამ მე ყოველთვის მცნობდა... ეჭვი მაქვს, რომ მას უბრალოდ, უფროსებთან ურთიერთობა მობეზრდა და „ვერცნობას“ მხოლოდ იმიზეზებდა. ერთი თვალით საერთოდ ვერ ხედავდა, მეორეთი - ძალიან ცუდად. ერთხელ, მის ოთახში შევედი, შუქი ავანთე. საწოლში მჯდომს წინ გადაშლილი წიგნი ედო, - ვკითხულობო. მჯერა, მართლა კითხულობდა, მხოლოდ - არა თვალებით...

მგონია, რომ მეტაფიზიკური კონტაქტი ჰქონდა - ხან იოანე ზოსიმესთან, ხან რუსთაველთან, ხან გიორგი მერჩულესთან ურთიერთობდა...

14 წლის ვიყავი, როცა გარდაიცვალა. მისი დაკრძალვის დღეს ასევე, თვითმფრინავის გატაცებისას გარდაცვლილ აეროპორტის თანამშრომლებს კრძალავდნენ. უმაღლეს სასწავლებლებს ავტობუსები მიაყენეს და იძულებით წაიყვანეს სტუდენტები მათ დაკრძალვაზე მხოლოდ იმ მიზნით, რომ პავლეს დაკრძალვას არ დასწრებოდნენ. ნეშტი მწერალთა კავშირიდან გამოასვენეს. დისიდენტი მწერლები ითხოვდნენ, რომ მთაწმინდაზე დაეკრძალათ. ბოლშევიკი მწერლები კი ამბობდნენ, - დიდუბეში უნდა დაიკრძალოსო. ბოლოს, დისიდენტებმა მოილაპარაკეს: ფეხით გამოვასვენებთ და მთაწმინდის ასახვევს რომ მივუახლოვდებით, გავთხრით საფლავს და დავასაფლავებთო.

თავს უფლება მივეცი და მე, პატარა ბიჭი ჩავერიე: მართალია, მთაწმინდა ეკუთვნის, მაგრამ ფორმა მიულებელია! სათამაშო ხომ არ არის, ასე ატარონ-მეთქი?! დიდუბის ეკლესიაში, ბოლოს და ბოლოს, თამარ მეფეს აქვს ჯვარი დაწერილი. ასე რომ, მწერალთა კავშირიდან პავლე ფეხით მიასვენეს დიდუბის ეკლესიამდე. პანთეონის კარიბჭესთან, სასახლეს მამაკაცები გამოეცალნენ და ქალები შეუდგნენ; მანამდე ასეთი ფაქტი ნიკოლოზ ბარათაშვილის გადმოსვენებისას მოხდა.

- ბოლო დროს რაზე მუშაობდა?

- ხეთურ იეროგლიფებზე. როგორც იცით, მან საგალობლების 60% გაშიფრა. ეს იყო მსოფლიო მოვლენა. ვფიქრობ, მხოლოდ მეცნიერული ლოგიკით ამის ახსნა წარმოუდგენელია. მგონია, რომ მას გარკვეული „მეტაფიზიკური გასაღები“ მიეცა არამატერიალური სამყაროდან... პავლე თავად ამბობდა, რომ ხეთური იეროგლიფები ანუ კაცობრიობის მიერ დღემდე წაუკითხავი ტექსტები ამოხსნა. ამ საკითხებზე ვმუშაობთ. როცა საბოლოოდ დამტკიცდება, ეს იქნება უმნიშვნელოვანესი საჩუქარი კაცობრიობისთვის.

ზორენა ლაბაძე

ვინ ეკლა მიხა ხელაშვილი?

ჩარგლის სასაფლაოზე (რაზიკაშვილთა გვარის პანთეონში) ლუკა რაზიკაშვილის საფლავის გვერდით 25 წლის ბიჭის, მიხა ხელაშვილის საფლავია, თავისი ძალმოსილი სიტყვითა და ცხოვრების წესით სიცოცხლეშივე რომ იქცა ლეგენდად.

სამწუხაროდ, ბევრმა ჯერ კიდევ არ იცის, რომ საყოველთაოდ ცნობილი ხალხური ლექსი „ლექსო ამოგთქომ ოხერო“ მიხა ხელაშვილს ეკუთვნის.

რატომ გახდა საჭირო მისი შემოქმედების გახალხურება, რატომ იყო აკრძალული მისი ხსენება, რომელმა ქართველმა მწერალმა გაისვარა მისი სისხლით ხელები? გვესაუბრება იმ პიროვნების შვილი, ვისი წყალობითაც გადარჩა მიხა ხელაშვილის ლიტერატურული მემკვიდრეობა - ჩვენი სტუმარია მწერალი გიგი ხორნაული:

- შუა ფხოვს რომ გაივლით, არაგვის ხეობა საგრძნობლად ვიწროვდება, გზა მიდის გაღმა-გამოღმა აყუდებულ ფრიალოებს შორის. გვხვდება დასახლებული ადგილები და სალოცავები, ზარის ჭალა, გოგოლაურთა, ხოშარა, ლაშარი, მის მოპირდაპირედ ღელის, თამარის სალოცავია. ღელისა და ახადის გორის შუა მდინარე წაწადა მიიკვლევს გზას. წაწადის მარჯვენა ნაპირას მიემართება ახადში ასასვლელი ბილიკი. სწორედ ამ სოფელ ახადში დაბადებულა და გაზრდილა მიხა ხელაშვილი, უფრო სწორად ხელაიშვილი - მიხას წინაპრები ხელაიშვილები იყვნენ, მიხას მამა ზურაბი დაიწერა ხელაშვილად.

მიხა ხელაშვილი დაიბადა 1900 წლის 25 იანვარს. ბედნიერმა ზურაბმა და მისმა მეუღლემ თამარმა ხატს ზვარაკი შესწირეს შვილის ბედნიერებისთვის. მიხამ ბავშვობა ახადში გაატარა. გამორჩეული ბავშვი ყოფილა გარეგნობით, ნიჭიერებით, ბავშვობიდანვე ვერ იტანდა დაუმსახურებლად სხვის დაჩაგვრას და ყველას ესარჩლებოდა. მიხას სოფლის ეკლესიაში მიუღია დაწყებითი განათლება და ღვთის მსახურობა გადაუწყვეტია. ახადიდან მიხა ჩარგალში დიაკვნად გაამწესეს. სწორედ აქ დაუახლოვდა ვაჟა-ფშაველას ოჯახს. გამორჩეულად ჰყვარებია მისი ვაჟი ლევანი. აქვე გაუცნია მეზობელი სოფლიდან კაწალხეველი ვანო ხორნაული, მამაჩემი, რომელმაც შეინახა მიხა ხელაშვილის ლიტერატურული მემკვიდრეობა.

- რატომ და როგორ იქცა სოფლის დიაკვანი საზოგადოებისთვის საშიშ პიროვნებად?

- როგორც გითხარით, მიხა ბავშვობიდანვე ვერ იტანდა ვინმეს დამცირებას და დაჩაგვრას, მიუხედავად იმისა, რომ დიაკვანი იყო, ყველგან იარაღ-ასხმული დადიოდა. ამაზე კიდეც საყვედურობდა ბარისახოს მღვდელი, ღვთისმსახური მეომარივით რატომ დადიხარო. ამაზე მიხა ღიმილით პასუხობდა, - მთიელ კაცს ყოველთვის სჭირდება სავაჟკაცო ზნესა და საქმეში იარაღი, რას მერჩით, არავის ვუშავებ და არავის ვაწუხებო. საერთოდ, მთიელი მოწინავე ახალგაზრდები, რომლებიც მიხას გარშემო იყვნენ შეკრებილნი, ხშირად ბჭობდნენ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობისა და მამულის განთავისუფლების გზების შესახებ. მიხა თავისუფალ საქართველოზე ოცნებობდა, რადგან ის თავის ზნე-ხასიათით იყო თავისუფლების მოყვარე, მებრძოლი, ბობოქარი სულის კაცი.

ჩარგალში ცხოვრების დროს, მიხას შეუყვარდა ჩარგლელი მდიდარი მეცხვარის, ფოცხვერა ბაჩიაშვილის უმცროსი ქალიშვილი დედუნა, სხვებისგან თვალტანადობით გამორჩეული, მიხას პოეზიაზე შეყვარებული გოგო.

ვაჟა-ფშაველას მეზობლად ცხოვრობდა დედუნას ოჯახი. მიხამ ხელი სთხოვა დედუნას. ფოცხვერამ უარით გაისტუმრა, - გოგოს ყმაწვილქალობა მოიმიზეზა. სინამდვილეში კი, თავისი ოჯახის შესაფერის სასიძოს ეძებდა. მიხას მაინც არ დაუყრია ფარ-ხმალი და გადაუბირებია კიდეც დედუნა, რომ მამის ჩუმად გაჰყოლოდა ცოლად, მაგრამ ვერ მოუსწრიათ დაოჯახება, ისე გარდაცვლილა ფოცხვერა ბაჩიაშვილი. დედუნას მამის დაკარგვამ დააბრკოლა მათი ქორწინება.

შემოდგომა იყო, ვაჟა-ფშაველას შვილს - ლევან რაზიკაშვილს კომისარი კოლა ჯანგნელიძე ესტუმრა მილიციელებით. თანასოფლელი ახალგაზრდები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ სროლაში, ეს არ მოწონებია კომისარს, - რა სროლა გაგიმართავთო, უსაყვედურა მასპინძელს. შეჯიბრება-გართობა გვაქვსო, თავი იმართლა ლევანმა. მილიციელებმა იქ ახლო მყოფ ქალებს, რომლებიც ცხენებს აძოვებდნენ, ლაზღანდარობა დაუწყეს. სწორედ ამ ქალებს გამოესარჩლა და მილიციელებს შეეკამათა მიხა ხელაშვილი. კომისარი მიხას მიუხტა და მაუზერი წაართვა. ამ დღიდან გახდა მიხა ხელაშვილი მილიციელებისთვის ხალხის მტერი. მიხა იძულებული გახადეს ტყეში გასულიყო. მთავრობას ერიდებოდა, თუმცა ხალხს არაფერს უშავებდა.

სწორედ ამავე პერიოდში გახდა მიხა ხელაშვილი ქაქუცა ჩოლოყაშვილის რაზმის წევრი და ქაქუცასთვის გამორჩეული და ნდობით აღჭურვილი ადამიანი. შორიდან უწევდა მიხას დედუნასთან ურთიერთობა, მისთვის თვალის შევლება. მას ოფიციალურად ცოლ-შვილი არ ჰყოლია, მაგრამ დედუნამ მიხასგან გააჩინა თამარი, რომელსაც მამის მზრუნველობა და მოფერება არ ღირსებია. მიხა ჭოგრიტით უყურებდა ოჯახს, რომ ათასჯერ აწიოკებული ოჯახი კიდევ არ შეეწუხებინათ.

ქაქუცას რაზმის წევრი იყო ლევან რაზიკაშვილიც, მიხასთვის ყველაზე სანდო, საიმედო და თანამოაზრე მეგობარი. მწყემსები და მგზავრები თვითონვე აწვდიდნენ სარჩოს, მიხა არავის აწუხებდა. პირადი ცხოვრება და ბედნიერება შორს დარჩა, ჩუმი და მოპარული გახდა მისთვის წუთისოფლის ლხენა და ნეტარება. ავტორიტეტით, გარეგნობით, ძალ-ღონით, სისწრაფით, სროლითა და მელექსეობით გამორჩეულმა მიხამ ძალაუნებურად დაჯაბნა და დაჩრდილა ჩარგლის ახალგაზრდობა, ამიტომაც ემტერებოდა მას ზოგიერთი მათგანი.

მოღალატეთა რიცხვში იყო ვაჟა-ფშაველას შვილად ცნობილი მწერალი ვახტანგ რაზიკაშვილი, რომელსაც დედუნაზეც დაედგა თვალი და ეს გარემოებაც იყო მიხა ხელაშვილის მტრობის მიზეზი. ლექსად შეუთვალა ტყიდან:

„ეგრე უთხარით ვახტანგსა,
ხელაშვილ დაგმდურებია,
ჩემგან რა გინდა, რას მეძებ,
რაისთვინ მიმზირდებია,
იცოდე, იქ ნუ გაივლი,
სადაც ხელაის გზებია,
თავის გვარდავიწყებულო
რაზიკაშვილი ხდებია“.

რატომ იყო ვახტანგ რაზიკაშვილი გვარდავიწყებული, მიხასთვის და საერთოდ, ჩარგლის საზოგადოებისთვის, ეს ცალკე თემაა და ვფიქრობ, საგანგებოდ ამ თემაზე საუბრისთვისაც მოვიცლით. იცოდა მიხა ხელაშვილმა კომუნისტები დიდხანს რომ არ აცოცხლებდნენ, ვაჟა-ფშაველას შვილსაც არ აპატიეს თავისი გიმნაზიელი მეგობრის ქაქუცას ფშავიდან გაცილება. მიხას კი აშკარა თანამებრძოლეობას, იარაღით ხელში ბრძოლას ვინ აპატიებდა.

ქაქუცა ჩოლოყაშვილის სახელს შეეწირა ვაჟა-ფშაველას სიძე, უფროსი ქალიშვილის, თამარის ქმარი - შალვა უწუკლიშვილი. მას პეტერბურგის უნივერსიტეტი ჰქონდა დამთავრებული და ბრწყინვალედ სცოდნია გერმანული ენა.

ერთხელ, შალვა ერწოდან თიანეთში მიდიოდა ცხენით, ივრის პირას თიანელ კომუნისტ-კომკავშირლებს სუფრა ჰქონიათ გაშლილი. მოუწვევიათ შალვა და უთქვამთ, - ისეთი სადღეგრძელო გვითხარით, ჩვენ რომ არა გვქონდეს დალეული, ჭკვიანი კაცი ხარ, კარგ რამეს იტყვიო. შალვას უთქვამს, - მოდი მაშინ, ქაქუცა ჩოლოყაშვილს გაუმარჯოს, ვიცი, თქვენ იმას არასდროს ადღეგრძელებთო.

მეორე დღესვე დაუპატიმრებიათ შალვა და გადაუკარგავთ. მიხას უამრავჯერ აუწიოკეს სიძე-დის ოჯახი სოფელ აფხუშოში. დედასაც მივარდნიან, გვითხარი, სად არის შენი ყაჩაღი შვილიო. მიხას დედა, რომელიც არაერთხელ აუწიოკებიათ, აფხუშოში შვილ-სიძესთან გახიზნულა. დის

და სიძის ოჯახიდან ყველაფერი წამოუღიათ, რისი წაღებაც შეიძლებოდა, საქონელი გაურეკავთ, ხოლო მიხას მოხუცი დედა, მაშინ, როცა მიხას და და სიძე არ იყვნენ, წამებაში შემოკვდომიათ - გვითხარით, სად არის შენი ყაჩაღი შვილიო.

ვერ ბედავდნენ ჩარგლელები მიხას დედის დასაფლავებას, მიხამ გააბედვინათ. ტყიდან დაუნახავს, საფიხვნოში ყოფილან რაღაცაზე სათათბიროდ შეკრებილნი, მივარდნილა ორივე ხელში იარაღშემართული, დედა მომიკალით და დამარხვა აღარ გინდათ, დამარხეთ, როგორც წესია, თორემ განანებთო. ჩარგლელებს ყველა წესი დაუყენებიათ მიხას დედისთვის და საფლავიც ეკლესიასთან გაუთხრიათ.

საფლავში ჩასვენების წინ მოსულა მიხა, დედა დაუტირია და წასულა. იმ იმედით მოვიდა დედის დაკრძალვაზე, იქნებ ვინმემ ზურგში მესროლოსო. უთქვამს კიდეც ვიღაცას, მოდი, ვესროლოთო. ვიღაცა გასჯავრებია, ასე საჯაროდ კაცის კვლაში ნაშოვნ ფულს ღმერთი არ შეგვარჩენსო. ხელაშვილის დასაჭერად და ხელში ჩასაგდებად ჯილდო იყო დაწესებული, კომუნისტებმა მისი მეგობრების მოსყიდვა დაიწყეს.

1925 წლის 25 იანვარს ყინვისგან შეწუხებული მიხა დაღამებას ვეღარ დაელოდა და თავისი ძმადნაფიცის სახლში, რომელთანაც ფიცვერცხლი ჰქონდა ნაჭამი, შებინდებისას მისულა. ლუკა მარცვალაშვილს მეტისმეტად „გახარებია“ ძმადნაფიცის მისვლა. მაშინვე ხინკლის თადარიგს შესდგომია და მისი მეორე მკვლელისთვის, ლევან გარსევანიშვილისთვისაც შეუტყობინებია, რომ მიხა მასთან იყო.

ფშაური წესის თანახმად, სტუმრის პირის გაპარსვა პატივისცემად ითვლებოდა, ეს წესი დაუყენებია ლუკას. სხვა ყველაფერთან ერთად, მიხა ხელაშვილი წინათგრძნობის ნიჭითაც გამოირჩეოდა და დარწმუნებული იყო, რომ ეს მისი საბედისწერო სტუმრობა იყო. უთქვამს კიდეც, გული მიგრძნობს,ღალატს მიპირებ,ბარემ ყელში გამამისვი ეს სამართებელი, ლუკავ, და აქვე დამამთავრეო.

ლუკას ტირილი დაუწყია, რის თქმას მიბედავ, როგორ ვიკადრებ მაგ ზნედაცემულ საქმესო. ხინკლის ჭამის დროს უმატა ღვინის დალევას, როგორც ჩანს, საკუთარ თავს ამხნევებდა სიკვდილის მოლოდინში. ახლა ვაზნა მიუწვდია ლევან გარსევანიშვილისთვის და უთქვამს, - ტყვია დამკარი და უცებ გამათავებსო. ვითომ იმანაც ძალიან გაიხარა მიხას ნახვით, არაყს აძალებდა, სიცივეა და გაგათბობსო.

გვიან გაჭრა პურის არაყმა, მაგრამ, როცა გაჭრის, დაბანგულივით ააგდებს კაცს. მთვრალი მიხა, ვითომდა მეტი სიფრთხილისთვის, ემანდ მოღალატეები მოსაკლავად არ მოსულიყვნენ, საბძელში დაუძინებიათ.

მართლაც დააყენეს თავზე მათ ის აქტივისტი კომკავშირლები, რომელთაც ხელაშვილის დედის ცოდვა ედოთ და ახლა მიხას მოკვლითაც იყვნენ დაინტერესებულნი. ლუკა წინ გაუძღვა ლამპით, უკან ლევანი მიჰყვა ფეხზე შემდგარი თოფით, ლუკამ მიუნათა, ლევანმა თავში დაჰკრა.

ზოგის თქმით, ლევანს ხელი აუკანკალდაო და ბოლო მომენტში იქვე მყოფმა, კაცის კვლაში გაწაფულმა კომკავშირელმა დაჰკრაო. ეს კომკავშირელი კი ვახტანგ რაზიკაშვილი გახლდათ.

მიხას მოკვლის ამბავი იმ დღეს დამალეს. ვახტანგი გაიქცა მაღაროსკარში მილიციისთვის შესატყობინებლად, მეორე დღეს ჩუმად მოვიდნენ, ყასიდად ატეხეს თურმე სროლა, ვითომდა, მიხა ჩვენ მოკალითო. გამთენიისას ჩამოიტანეს მისი ცხედარი და საფიხვნოში დადეს ხალხის საჩვენებლად და დასაშინებლად. თან იმახდნენ, მოკვლა არ გვინდოდა, მაგრამ გაქცეულს შემთხვევით მოხვდა ტყვია შუბლშიო. მერე ცხენგამობმულ ყალზე დააკრეს და იქ დააგდეს მილიციის ეზოში.

იმდენხანს ეგდო, ვიდრე მისმა ტანსაც-

მელმა ფერი არ დაკარგა და ცხედარი არ გაიხრწნა, ვიდრე ნახევრად შეჭმულს მილიციამ გადაგდება არ დაუპირა. ძმაზე მლოცველმა აფხუშეველმა დამ - სალომემ, რომელიც ზაზა და ლელა რაზიკაშვილების ბებია გახლავთ, გასაოცარი სიმტკიცით ცნობილმა ქალმა, საბძელში გაბნეული მიხას ტვინი და სისხლი მოკრიფა და დედის საფლავთან დაფლა.

საიდუმლოდ ჩავიდა დუშეთში ღამე. მიხას ბარისახოელი მეგობრის, მილიციაში ჩამდგარი ხევსურის დახმარებით მოიპარა ძმის ცხედარი, ხურჯინით აჰკიდა ცხენს და მალვითა და ღამე მოგზაურობით აიტანა ჩარგალში და დედის საფლავის გვერდით თავის ტვინ-სისხლთან ერთად დამარხა.

გასაოცარი დამთხვევაა, მიხა ხელაშვილი 1925 წელს 25 იანვარს მოკლეს, რა დღესაც მას 25 წელი შეუსრულდა. გასაოცარი გამბედაობით გამოირჩეოდა მიხას საქმეები, ის საბჭოს შენობაში შეუვარდა კომკავშირლებს, ლენინის სურათი ჩამოიღო კედლიდან და ფეხით დაამტვრია. იმ დროს, როცა ლენინს კაცობრიობის ბედნიერების მომტანად და ამომავალ მზედ ხატავდნენ. მან კი დაცინვით დაწერა და „ახალი ქრისტე“ უწოდა:

„შენ სურათს „ახალო ქრისტევ“,
ერს თაყვანს აცემინებენ,
ვით პირველყოფილ კერპისთვის
ყველას თავს ახრევინებენ,
შენი სახელის წიგნაკებს
სოფლებში არბენინებენ,
ვინც არ გილოცავს, იმ პირებს,
„ჩეკაში“ აქნევინებენ.
მარქსისტთა სახარებასა
წირვაზე ასმენინებენ,
თვითონ სახსნილოს მიირთმევ,
სხვებს მარხვას აჭერინებენ,
მზაზედა სვლეპენ სხვის შრომას,
მშრომელს კი აცქერინებენ,
შენი მიმდევნი შენს სიტყვით
ხალხს ერთურთს ათელვინებენ“

მიხა ხელაშვილს დააბრალეს კომისარ მისრიაშვილის სიკვდილიც, ამაზე მიხამ არაჩვეულებრივი შედევრი დაწერა, სადაც გარკვეულია, რომ მისრიაშვილის სიკვდილთან მიხას საერთო არ ჰქონია:

„შენს მოკვლას მე მაბრალებენ,
ცოდვიანს მეძახიანო,
გაზაფხულ როდის დადგება
შაშხანავ აგახმიანო,
ბევრისა დედა ვატირო,
ბევრ უჭკო დავაჭკვიანო,
კომუნისტების მტერი ვარ,
ხელაშვილს მეძახიანო“

- როგორც ჩანს, კომუნისტები არ იცნობდნენ მიხას ლიტერატურულ მემკვიდრეობას, ამიტომაც, გაბედა მამათქვენმა ვანო ხორნაულმა მისი ლექსების შენახვა, შემდეგ კი დაბეჭდვა და გამომზეურება.



- მიხა ხელაშვილის „ლექსო, ამოგთქომ ოხერო“, პირველად ვახტანგ კოტეტიშვილს შეუტანია ხალხურ პოეზიაში. ეს ლექსი მისთვის მამაჩემს, ვანო ხორნაულს მიუწოდებია. რა თქმა უნდა, ვახტანგ კოტეტიშვილმა იცოდა, რომ ლექსი ხალხური არ იყო, მაგრამ იმისთვის, რომ ეს შედევრი და საკუთარი თავი გადაერჩინა, ავტორი შეგნებულად არ დაუსახელებია. თუმცა დიდი გამბედაობა იყო მისი მხრიდან ამ ლექსის ხალხურ პოეზიად გამოცხადება. აკი, ამისთანა გაბედვებს შეეწირა კიდეც სიცოცხლე ვახტანგ კოტეტიშვილისა.

მახსოვს, შინაურ სტუმრიანობისას მამაჩემი მიხა ხელაშვილის ლექსებს მღეროდა ფანდურზე და მის შესანდობარსაც თვალცრემლიანი ამბობდა. ჩვენთან კი არასოდეს წამოსცდენია, რომ მიხას ნაწერები სწორედ მასთან ინახებოდა. სახლში არავინ მიპოვოსო, წაუღია და ერთი დიდი ხის ფუღურეროში დაუმალავს და ჩვენთან გაავრცელა ამბავი, ის ხე მოსადევრიანია, საშიში ადგილია, ეშმაკის საბუდარია, იქ არ გაიაროთ, თორემ დაიხელთებით, ანუ გაგიჟდებითო. ჩვენც გვეშინოდა და სათოფეზე არ ვეკარებოდით იმ არემარეს, სადაც თურმე მიხას ლექსები ინახებოდა.

მიხას თავისი მოკვლის წინა დღეს დისთვის, სალომე ხელაშვილისთვის უთქვამს, თუ მომკლეს, ჩემი ნაწერები ვანო ხორნაულს ჩააბარეთ, ის მიმიხედავსო. რა ნდობა ჰქონდა ასეთი 19 წლის ბიჭისა, არ ვიცი. მამას წამოუღია ის ნაწერები სალომესგან და თვითონ რაც ჰქონდა სახლში, ისიც დუმატებია. მეტად საიმედოდ შეუფუთავს, ისე, რომ ხანგრძლივ ჟამთასვლას გაუძლო და ვერც ქარმა და ვერც წვიმამ ვერაფერი დააკლო.

1965 წელს მიხას ქალიშვილი, თამარ ხელაშვილი, რომელიც ქვემო ქედში იყო გათხოვილი, მისულა მამაჩემთან და უთქვამს, - მამიდა სალომესგან ვიცი, რომ მამაჩემის ლექსები ჩაგიბარებია და თუკი სადმე გაქვს, გადამაწერინეო. ვისთანაც კი მეგულებოდა, ყველას კომუნისტების შიშით ცეცხლში ჩაუწვავსო. მამაჩემს მიუსწავლებია გაღმა ხეში, სადაც ინახებოდა მიხას ნაწერები და თან უთქვამს თვალცრემლიანს, - იქნებ დადგეს დრო და გამოცემაც მოხერხდეს, ახლა კი ამ ამბავს ნურავის ეტყვიო.

1961 წელს კახეთში დიდ ფოლკლორისტულ ექსპედიციაში მონაწილეობის დროს პანკისში, ჩემი ბიძაშვილის, გოდერძი ხორნაულის ოჯახში აღმოვაჩინე მიხა ხელაშვილისა და მისი ძმის, პავლე ხელაშვილის ლექსების რვეული.

გასაიდუმლოების მიზნით პირველი ფურცელი ამოხეული ჰქონდა, ასევე, საიდუმლოდ გადმოვწერეთ მე და მაშინ ჩემმა საცოლემ - ნანა კოტეტიშვილმა. ჩემი ბიძაშვილის მეუღლე ბაბალე, მიხა ხელაშვილის ნათლული იყო. სწორედ მას უჩუქებია ეს რვეული მიხასთვის. ასე გავხდი მიხა ხელაშვილის ლიტერატურული მემკვიდრეობის გამომქვეყნებელი და სამზეოზე გამომტანი. საავტორო უფლებაც მივიღე მიხა ხელაშვილის ლიტერატურულ მემკვიდრეობაზე, რადგან უკვე ხელთ გვქონდა მიხას ნაწერები, ფოლკლორის განყოფილების არქივშიც მოვძებნეთ მიხას ხალხურად დაბეჭდილი ლექსებიც, დავუკავშირდი ბაჩანას შვილიშვილებს, ლელა და ზაზა რაზიკაშვილების ოჯახებს, მათი ბებია იყო მიხა ხელაშვილის და - სალომე.

- რა ბედი ეწიათ იმ ადამიანებს, როგორ გაგრძელდა მათი ცხოვრების გზა, ვინც ხელი გაისვარეს მიხა ხელაშვილის სისხლში?

- მიხა ხელაშვილის მკვლელს ჰპირდებოდნენ იარაღს, სამსახურს, ას მანეთსა და ყოველგვარი გადასახადისგან განთავისუფლებას, მაგრამ მკვლელები მხოლოდ თოფით დასაჩუქრებულან. თანაც, მხოლოდ ლევან გარსევანიშვილს მიუღია კაცის კვლაში ჯილდო, მეტს არავის. იგი მოსისხლეებმა მოკლეს იმავე ზაფხულს. ლუკა მარცვალაშვილი გამოცდილ ძებნილს, გოგია ჭიჭოშვილს მოუკლავს შირაქში, ტარიბანაში. ლუკას უთქვამს შეიარაღებული კაცისთვის, ვინა ხარო. გოგიას უპასუხია, მიხა ვარ ხელაშვილი, მოვიდა აღსასრულის დღეო.

წამებად იქცა ვახტანგ რაზიკაშვილის ცხოვრებაც, რომელიც საოცრად დახლართული ჯაჭვით არის გადაბმული მიხა ხელაშვილის ბედთან. ყველაზე ტრაგიკული კი ის გახლავთ, რომ მიხას საყვარელი დედუნა ვახტანგ რაზიკაშვილის შვილის დედაც გახდა. აღსრულდა მიხას წინათგრძნობა, „ცოტა ხანშია ცოლიცა, სხვისა ჭირს გაალხინებსო“, თუმცა ჭირიც არის და ჭირიც! ■



... დედაშენი არის ღმერთი!

შენ რომ ზიხარ და უყურებ, ისიც რომ გიყურებს. შენ რომ დედას ეძახი და ის შვილს გეძახის, ამიტომ შენ გგონია ღმერთი არ არის? შენ ღმერთი ვინ გგონია?

წვერებიანი ბაბუა?

ღრუბლებზე ზის და ჰაერს რომ იბანს, წვიმა მოდის?

ღმერთი ისე ნათელია, ისე ახლობელი, ისე ახლო და ისე უბრალო, რომ როდესაც ხედავ, არ იცი რომ ღმერთია, ამაშია ღმერთის უბედურება, ამიტომ არ სწამთ ღმერთისა. ღმერთი რომ სხვაგან იყოს, შორს ჩვენგან, ცალკე და მაღლა, ღმერთი რომ ჩვენში არ იყოს, მაშინ ყველა იწამებდა.

ამაშია საქმე! ღმერთი მაშინ უნდა იწამო, ღმერთის სახე რომ არ აქვს, რომ არ ჰგავს ღმერთს, რომ არ გეუბნება - „ღმერთი ვარო“, ჰურს რომ გიყოფს, სადილს რომ გიკეთებს, ტანზე რომ გაცმევს, თავზე რომ გახურავს, გიღიმის და გეფერება, გკოცნის და ტირის შენი გულისთვის, კვდება შენი გულისთვის, ცივა, წყურია, შია შენთან ერთად, სულს ამლევს ეშმაკს შენი გულისთვის, მაშინ უნდა იწამო...

აბა, ღმერთმა თუ თავისი სახე გაჩვენა, კედელთან მიგაყენა, ეური აგიწია და თვითონ თუ გითხრა „ღმერთი ვარ და მიწამეო“, მაშინ რაღად უნდა ღმერთს შენი რწმენა?

ასეთ ღმერთს შენ კი არა, ყველა იწამებს. ღმერთი მაშინ უნდა იწამო, შენ რომ გგავს, მე რომ მგავს, დედაშენს რომ ჰგავს, გასაგებია?

- ნოდარ დუმბაძე -

სკოლის მოსწავლეებს დაავალეს წერილი მიეწერათ ღმერთისთვის. გთავაზობთ ამონარიდებს:

მეოთხე კლასელი:

„ყვავილები უკეთესი გამოგივიდა, ვიდრე ადამიანები“

მეოთხე კლასელი:

„საიდუმლოდ გეტყვი, როდესაც ვხედავ მარტოხელა ქალს, მე შენს მაგივრად მრცხვენია.”

მესამე კლასელი:

„მე ჯერ პატარა ვარ, მესამე კლასში ვსწავლობ. ცოდვები ჯერ არ მაქვს, მაგრამ აუცილებლად მექნება”

მეორე კლასელი:

„გამარჯობა ღმერთო, როგორ ხარ? რას შვრები? როგორა საქმეები ჯანმრთელობასთან?”

მეოთხე კლასელი:

„შენ თუ სამყაროს დასასრულს მოაწყობ, ვინ ილოცებს შენთვის?”

მესამე კლასელი:

„რისთვის სჯი კეთილ ადამიანებს?”

მეოთხე კლასელი:

„ადამიანები ისე იტანჯებიან დედამიწაზე, ნუთუ შენს ჯოჯოხეთში უარესია?”

მესამე კლასელი:

„მე შენ რა თქმა უნდა მიყვარხარ, მაგრამ დედა და მამა უფრო, ხომ არაუშავს?”

პირველ კლასელი:

„შეიძლება რომ არ მოვკვდე?”

მეორე კლასელი:

„აი ეკლესიაში სანთლებს რომ ყიდიან, შენი ბიზნესია?”

მეორე კლასელი:

„ღმერთო სად არის ქრისტე ახლა? რას აკეთებს?”

მესამე კლასელი:

„შენ გაქვს გონება, თუ მთლიანად სულისგან შედგები?”

მესამე კლასელი:

„პირველ რიგში რა გააკეთა ქრისტემ, როდესაც აღსდგა?”

მეორე კლასელი:

„რატომ მათხოვრობენ ღარიბები ეკლესიასთან - შენ რომ აღნიშნო, ვინ მისცა ფული?”

მესამე კლასელი:

„ესე იგი თუ სწორად გავიგე ევოლუცია, შენ ჯერ შექმენი ადამი და ევა და შემდეგ ადამიანი წარმოიშვა მაიმუნისგან ხო?”

მეორე კლასელი:

„ღმერთო, თუ უფლებას მივცემ ჩემი სნიკერსი ჩაკბიჩოს - ეს სიყვარულია?”

მეორე კლასელი:

„რატომ ზრდი ადამიანს წლების განმავლობაში და მერე ბახ! - და ის მკვდარია?”

მეორე კლასელი:

„რისი გაკეთება შეიძლება ცხოვრებაში, რომ დედამ არ მცემოს?”

პირველკლასელი:

„როგორი იყო როდესაც ჯერ არაფერი არ იყო? მაგრამ რაღაც ხომ მაინც უნდა ყოფილიყო?”

მეორე კლასელი:

„იქნებ, შემიძლია რამით დაგეხმარო?”

მესამე კლასელი:

„რატომ მსურს სულ რამე ცუდი გავაკეთო? შენ ასე მცდი?”

მესამე კლასელი:

„რა გაგიკეთა ასეთი მამაჩემმა, რომ მას სულ არ უმართლებს?”

მესამე კლასელი:

„ახლა, მეორედ შექმნიდი ადამიანს?”

მეორე კლასელი:

„რა არის როდესაც ხალხს არ უყვარხარ, და უბრალოდ ეშინია შენი?”

მეოთხე კლასელი:

„რა იქნებოდა დედამიწაზე, ადამს და ევას რომ არ დაერღვიათ შენი კანონი ვაშლებთან დაკავშირებით?”

მეოთხე კლასელი:

„მინდა ვიცოდი რას აპირებ, დედამიწა ისევ დაიტბორება თუ დაიწვება?”

მესამე კლასელი:

„რატომ ლაპარაკობდნენ ადრე ცხოველები, ეხლა კი არ შეუძლიათ? ნუ გაიხსენე, გველიც კი ელაპარაკებოდა ევას”

პირველკლასელი:

„შენ ბედნიერი ხარ?”

მესამე კლასელი:

„რატომ ჩუქნი შენ ცხოვრებას, ხოლო მისი წართმევა ყველას შეუძლია?”

მესამე კლასელი:

„რა უნდა გავუკეთოთ ცხოველებს, რომ ჩვენთან ერთად მოხვდნენ სამოთხეში?”

მეოთხე კლასელი:

„შენი ადამიანი შენი მსგავსი შექმენი, და უცხოპლანეტელი?”

მესამე კლასელი:

„ისე არ მოგსვლია? ვიღაც გესიმპათიურება, ის კი შენსკენ არც კი იყურება”

მეორე კლასელი:

„როდესაც გიყვარს, რატომ მოგწონს ყველაფერი, ერბოკვერცხიც კი?”

მეორე კლასელი:

„რამდენჯერ შევცდები სიყვარულში? სამჯერ უკვე არის”

მეოთხე კლასელი:

„რისთვის დავიბადე მახინჯი?”

მეოთხე კლასელი:

„მე ძალიან გარცხვენ?”

მესამე კლასელი:

„შეიძლება ხანდახან დაგესიზმრო?”

მეორე კლასელი:

„მიეცი ჯანმრთელობა, ბედნიერება დედას, ბებიას, ალექსანდრეს და ჩემს სხვა მამებს”

მესამე კლასელი:

„მინდა რომ ახალგაზრდობაში კარგად და ბედნიერად ვიცხოვრო, მოხუცებულობაში მარტო ბედნიერადაც შეიძლება”

მეოთხე კლასელი:

„გააკეთე ისე, რომ მეორე სიცოცხლეში საფრანგეთში ბიჭად დავიბადო”

მეოთხე კლასელი:

„არ შეიძლება, როდესაც ვცელქობ, არ მეჩხუბონ, მე ხომ ჩემი მხიარულებისთვის ვცელქობ”

მეოთხე კლასელი:

„ამბობენ, რომ ადამიანი სიკვდილის შემდეგ, ვიღაცის სახით ბრუნდება უკან. გთხოვ მინდა ვიყო ჩემი ძაღლი, ის კი ჩემს ადგილას იქნება და ჩვენ კვლავ ერთად ვიქნებით.”

მეორე კლასელი:

„მომიწყე ხანგრძლივი და მხიარული ცხოვრება”

მესამე კლასელი:

„გააქრე ჩემი ცოდვები”

მეორე კლასელი:

„მოდი შევხვდეთ სიკვდილამდე”

მესამე კლასელი:

„გააკეთე ისე, რომ დედიკო და მამიკო შერიგდნენ. ღმერთო დამეხმარე”

მეორე კლასელი:

„ჩემთვის არა, კაცობრიობისთვის გთხოვ. გააკეთე ისე, რომ ყველა 11 წლით უფრო დიდხანს ცხოვრობდეს, ვიდრე უწერია”

მესამე კლასელი:

„ნუ ბრაზდებით ადამიანებზე”

მეოთხე კლასელი:

„ღმერთო, პირველად რომ გნახავ, არაფერს არ გთხოვ. შენ იფიქრებ - რა მორცხვი ბიჭია და მერსედესს მაჩუქებ”

მესამე კლასელი:

„შენ დაპირდი დაიცვა სუსტები, დაჩაგრულები... რაღაც ამას ვერ ვხედავ”

მესამე კლასელი:

„გამოგვიგზავნე დედამიწაზე შენი შვილი, ჩვენ მას ჯვარზე არ გავაკრავთ”

მეოთხე კლასელი:

„ძალიან მინდა, რომ ბავშვთა სახლიდან ბავშვებმა იპოვონ კარგი მშობლები”

მესამე კლასელი:

„გთხოვ გააკეთე ისე, რომ ხალხი არ კვდებოდეს და კოღოები არ იყონ”

მეორე კლასელი:

„ღმერთო, მოდი მოვრიგდეთ. მე მჯერა შენი, შენ კი - ჩემი”

მეოთხე კლასელი:

„გადაარჩინე ჩვენი სულები ინვალიდობისგან”

მეორე კლასელი:

„მიშვილე და შენ როცა დაბერდები, ჭიქა წყალს მოგაწვდი”

მესამე კლასელი:

„მე გთხოვდით რომელიმე ცხოველს, მაგრამ თუ ძნელია, ფუმფულა სათამაშოზეც თანახმა ვარ”

მეორე კლასელი:

„ჩვენ ერთად დავდიოდით ბაღში, მერე პირველ კლასში და მერე მან მითხრა „ჩვენ სხვადასხვანაირი ადამიანები ვართ“. მე უარესად გავხდი, ვიდრე მოვკვდი.”

მეოთხე კლასელი:

„ნუ აი ჩვენ ვსწავლობთ, ვსწავლობთ და რისთვის? ხომ მაინც მოვკვდებით და ჩვენი ცოდნა დაიკარგება”

მეოთხე კლასელი:

„მეორედ როდის მოვა იესო ქრისტე? ხომ უნდა მოვემზადოთ, თორემ იგივე იქნება, რაც პირველად მოსვლისას”

მეორე კლასელი:

„გთხოვ, მომიტევე ჩემი ცოდვები. ვიცი, ბევრი ჩავიდინე, მაგრამ არ მეგონა თუ არსებობდი”

მეოთხე კლასელი:

„შეგიძლია თუ არა ცოდვები მაპატიო? თუ არა, მაშინ მე გავაგრძელებ ცოდვილობას, დაწყნარებული სულით”

ჟურნალი ეშინოდა დიდ ქალაქში

მარტო სიარული

აქამდე ლამაზ-ლამაზ პორტრეტებს და შტრიხებს, საინტერესო და ორდინალურ ადამიანებს ჟურნალისტი ნანული ცხვედიანი გვაცნობდა ჩვენი ჟურნალის მკითხველებს. დღეს ვეცადეთ სარკე მისი მისამართით შეგვებრუნებინა და ახლა ის გაგვეცნო თქვენთვის.

მისი ბავშვობა ფოთიდან იწყება. - პალიასტომის მოლივლივე ტალღებიდან, მამისეული პატარა ცისფერი სახლიდან და დიდი, კოლორიტული სამეზობლოდან... 9 წლის იყო, როდესაც ოჯახი ქუთაისში გადასახლდა.

შემდეგ იყო წარმატებები სკოლაში, მრავალჯერ გაიმარჯვა რესპუბლიკურ ოლიმპიადებში... ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტის, ქართული ენისა და ლიტერატურის მიმართულებაზე სწავლობდა... აქტიურად ჩაერთო დიდი ქალაქის კულტურულ ცხოვრებაში... სკოლის ოცნებამ, ჟურნალისტი გამხდარიყო თავისთავად ჰპოვა ასრულება... და უძველესი, ყოველდღიური გაზეთის, „ქუთაისის“ ჟურნალისტი გახდა. 35 წელია ქუთაისის პრესის მუშაკია. ახლახან კი მისი წიგნი „გახსოვს, ქუთაისო!“ გამოვიდა, რომელსაც დიდი გამოხმაურებები მოჰყვა.

- ნანული ცხვედიანის პერსონა...

- ფოთში დავიბადე. ჩემს ადრეულ ბავშვობას შავი ზღვის სანაპიროს, პალიასტომის ტბისა და პატარა მდინარე კაპარჭინას განუმეორებელი სურნელი ასდის. სულ მახსოვს ჩვენი პატარა, მოტორიანი ცისფერი ნავი, რომლის კიჩოზეც პატარა გოგოს მიყვარდა ჯდომა და ახალგაზრდა მამის დიდი იმედით პალიასტომის ტბის მოლივლივე ტალღებში ლაღად შეჭრა. ზოგჯერ ვერცხლისფრად მოელვარე კეფალები ამოხტებოდნენ, ზოგჯერ გარეული იხვები გადაუფრენდნენ სივრცეს, ნიავს კი ტორფისა და ლაქაშების უცნაური სუნი მოჰქონდა.

ნინოშვილის უბანში ვცხოვრობდით, კეცხოველის ქუჩაზე, დიდ სამეზობლოსთან ერთად. ცენტერაძეების, გუჯაბიძეების, ბერიძეების, ნიკოლეიშვილების, ნასარიძეების, ტიკარაძეების, სარჯველაძეების, ხოშტარიების გვერდით, ძალიან თბილი რუსი, სომეხი და უკრაინელი მეზობლებიც გვყავდა, ერთ ოჯახად ვიყავით, ჭირი და ლხინი საერთო გვქონდა.

განსაკუთრებით მიყვარდა კეთილი და ალერსიანი „წიოწია“ იულია, რომელიც დილაუთენია გადმოგვაწოდებდა ხოლმე ალუმინის დიდ ტაშტში ჩაყრილ, დანამულ ქორფა კიტრებს, ან თავის ნახელავ ალუბლის კისელსა და კატლეტებს მოგვართმევდა. მისი ქმარი, ძიაძია ანდრეი სტაროვერი იყო და გრძელ, ჭაღარა წვერს ატარებდა.

ის და მისი თანამორწმუნეები განცალკევებულად მოძრაობდნენ, ახლო ურთიერთობა არც ჰქონდათ მეზობლებთან. სამაგიეროდ, შვილები - თითქმის ჩემი ტოლი, „ჩოლკიანი“ გალკაია და მისი უფროსი და, კოხტა, წარმოუდგენელად მშვენიერი ნინა ჩვენი დიდი მეგობრები იყვნენ.

ფოთიდან ერთი ხნიერი კაციც დამამახსოვრდა განსაკუთრებულად - ვინმე ლულუნა კვარაცხელია, რომელსაც ყოველთვის ხაკისფერი სამხედრო კიტელი და ლურჯი გალიფე ეცვა და ვირტუოზულად დააჭენებდა ლამაზ ცხენს. ზოგჯერ მთელი ძალით გამოაქანებდა თავის ქურანს და ვახტანგ ბიძიას დიდი სატვირთო ავტომანქანის ძარაზე შეაგდებდა, იქ კი, ყალეზე აღმართული ცხენის ზურგზე, გამარჯვების ყიჟინას დასცემდა. მერე მისი სიჩაუქით აღტაცებულ ბავშვებს დიდსულოვნად დაგვირიგებდა ჯიბეებიდან გამოღებულ ხაჭაპურის მტვრიან ნაჭრებსა და მწვანე ლიმონებს. უფროსები ამბობდნენ, ლულუნამ ომში მიიღო მწვავე კონტუზია და მას შემდეგ არის ასეო...

ხუთი წლის ასაკში, ჩემი დაჟინებული მოთხოვნით, ვისწავლე წერა-კითხვა, ეს მას შემდეგ მოხდა, როცა აპრილის მზიან დილას დავინახე, როგორი ჟრიამულით აფრიალებდნენ ჩემი ოჯახის წევრები და მეზობლები ფოსტალიონის მიერ ახალმოტანილ დიდ გაზეთს. პირველ გვერდზე უცნაურქუდიანი (თურმე - კოსმონავტის სკაფანდრიანი) ახალგაზრდა კაცის ფოტო იყო დაბეჭდილი. წარამარა ვკითხულობდი, რა წერია აქ, რატომ არის ყველა ასე გახარებული-მეთქი. მაგრამ უფროსებს სად ეცალათ, რომ ჩემთვისაც წაეკითხათ რაიმე, მხოლოდ ის მითხრეს, ეს მოცინარე ლამაზი ბიჭი იური გაგარინია, კოსმოსში გაფრინდა ხომალდითო. აი, მაშინ გადავწყვიტე, მეც მესწავლა კითხვა და იური გაგარინის ამბების გასაგებად უფროსებივით მეც გამეშალა ის ვეებერთელა ფურცლები, თურმე გაზეთი რომ ერქვა.

- პირველი შემოქმედებითი ცდა...

- მეორე კლასში დამეწერა პირველი უბადრუკი ლექსი, რომელიც მამაჩემის მშობლიურ რაჭას მივუძღვენი. იმხანად სერგო კლდიაშვილის მოგონებებში ამოვიკითხე, რომ მისი მეგობრები ღამეებს ათენებდნენ რითმების ძიებაში. რითმა რაც იყო, ამას ჩემით მივხვდი: ლექსს რომ განსხვავებული დაბოლოებები ჰქონდა, იმით.

ჰოდა, დავიწყე საქველმოქმედო ოცნება: დიდი რომ გავიზრდები, რითმების წიგნს დავწერ და პოეტებს აღარ დასჭირდებათ ღამეების გათენება, ჩემს წიგნში ამოიკითხავენ მათთვის სასურველ, მზამზარეულ რითმებს-მეთქი. სხვათა შორის, ისიც მეგონა, რომ პოეტები კლუბებში, წითელმუდგადაფარებულ მაგიდებთან კორპორაციულად ისხდნენ და ასე ერთობლივად ქმნიდნენ ნაწარმოებებს.

სკოლაში კარგად ვსწავლობდი. იმხანად წერის დედანი იშვიათი საშოვნელი იყო და ჩემი საყვარელი კლარა მასწავლებელი, რომლის წითელი „ფრიადებისა“ და მიმზიდველად ჩახუჭუჭებული ხელმოწერის მიბაძვასაც ისე გულმოდგინედ ვცდილობდი სავარჯიშო რვეულში, ჩემი სუფთა წერის რვეულს ნიმუშად ატანდა ხოლმე ბავშვებს.

ერთხელაც „ცუდი“ რამ შემემთხვა.

კლარა მასწავლებელმა დფაზე აგვიხსნა, როგორ იხატება ფოთოლი, გადაშლილი ან დაკეცილი წიგნი, მერე კი დაგვავალა, სახატავ რვეულებში ის დაგვეხატა, რაც თავად გვსურდა. მე გავიხსენე მეზობლის ქორწილში შორიდან დანახული სურათი და ფერადი ფანქრებით, საკმაოდ ოპერატიულად დავხატე „ცეკვა ქართული.“

არც კაცის ლაღად მოკეცილი მარჯვენა მუხლი დამვიწყებია, არც - ქალის ხელების მოძრაობა, მეტიც - ქალის მკერდისა და კაცის შარვლის პიკანტური ნაოჭებიც

გამოვსახე. ის იყო, ხატვას ვამთავრებდი, რომ კლარა მასწავლებლის შეკივლება მომესმა: „უზრდელო შენ! ეს რა არის, ა? ესაა ფოთოლი და წიგნი? ამოხიე, ჩქარა, ეს საშინელება, ჩემმა თვალებმა არ დაინახოს!“ თავზარდაცემული დავემორჩილე და მერე მთელი ორი დღე პერმანენტულად იმის შიშით ვიცხოვრე, გაბრაზებულ მასწავლებელს მშობელი არ დაებარებინა სკოლაში და ჩემი ცუდი საქციელის შესახებ არ მოეყოლა.

შეიძლება ითქვას, ცხოვრებაში პირველ ცენზურას და სისასტიკეს სწორედ ამ ადრეულ ასაკში გადავაწყდი.

- ქუთაისთან პირველი შეხვედრა...

- 1965 წლის ზაფხულში დავტოვეთ მამაჩემის საკუთარი ხელით აშენებული პატარა, ცისფერი სახლი, ხეხილიან-ტალავერიანი ეზო, თვალცრემლიანი მეზობლები და ორი დიდი სატვირთო ავტომანქანით გამოვეშურეთ ქუთაისისაკენ.

პაპუჩია ერთ-ერთი მანქანის ძარაზე ოჯდა, რომ საოჯახო ნივთებისა და ავეჯისათვის ყურადღება მიექცია, მე და ჩემი უმცროსი და ციცინო კი (ამჟამად საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის თავმჯდომარე ციცინო ცხვედიანი) დედიკოსთან ერთად ვისხედით და გზას გაფართოებული თვალებით გავყურებდით.

არასოდეს დამავიწყდება ქუთაისთან პირველი შეხვედრა. სიცხისაგან გახურებულ ასფალტზე დახეთქილ-დამსკდარი ლეღვისა და ადესის მარცვლების გამაბრუებელი, არომატული სურნელი ტრიალებდა, გადასასვლელზე კი ჩემი ტოლი ჭრელკაბიანი გოგონა დამოუკიდებლად გადარბოდა და მე ძალიან მიკვირდა, რომ მას სულ არ ეშინოდა ასეთ დიდ ქალაქში მარტო სიარული.

ქუთაისისა და ფოთის მეშვიდე საშუალო სკოლები იმხანად დამეგობრებულები იყვნენ და მე და ციცინოც სწორედ აქ შეგვიყვანეს. მახსოვს, გრძელნაწნავებიან და თეთრბაფთებიან მესამეკლასელ გოგოს ახალი თანაკლასელები რომ შემომეხვივნენ და საუბარი დავიწყეთ, როგორ გამაოგნა და შემაძრწუნა იმან, რომ არც ერთმა მათგანმა არ იცოდა, სად იყო თეთრი ხიდი, თეთრი ქვები, ოქროს ჩარდახი - ლევან ასათიანის, დავით კვიცარიძისა და ზურაბ კუხიანიძის წიგნებიდან ასე რომ მიყვარდა, შორიდან ვეთაყვანებოდი და სწორედ მათ გამო მომიხაროდა ქუთაისისაკენ ცხრა წლის მეოცნებეს.

- მოსწავლეთა სასახლის ხატვის წრეში დადიოდით...

- დიახ, მოვიდა ის დღეც, როცა პირველად მივეახლე ჩემს სანატრელ ადგილებს და მეტიც, მათი დახატვაც კი დავიწყე. ეს მაშინ, როცა პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის ხატვის წრეში, ჩვენი ჯადოქა-

რი პედაგოგის - ალექსანდრე ტოგონიძის ხელდასხმით დავიწყე ხატვა და პლენერებზე სიარული. ალიოშა მასწავლებელმა ჩემი კომპოზიციების პირველი პერსონალური გამოფენაც მომიწყო, მისი წყალობით გავხდი რესპუბლიკური სასწავლო-შემოქმედებითი ოლიმპიადის ლაურეატი და მედალოსანიც, მრავალი დიპლომისა და სიგელის მფლობელიც.

პირველი ადგილი და პირველი ხარისხის დიპლომები მოვიპოვე ქართული წერის რესპუბლიკურ ტურებზეც და, შეიძლება ითქვა, უკვე გამოიკვეთა ჩემი პროფესიული ორიენტაციაც - ან სამხატვრო აკადემია, ან ჟურნალისტიკის სპეციალობა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

სამწუხაროდ, ვერც ერთი! დედაჩემი მწარედ ატირდა, 16-17 წლის ბავშვი მარტო როგორ გაგიშვა თბილისში, ნანუა, ჩემო გოგო. ჰოდა, რაკი მუდამ ვიყავი მორიდებული და დამთმობი უფროსი შვილი, დავემორჩილე მშობლის ნებას - ქუთაისში დავრჩი.

- საინტერესო სტუდენტობა გქონდათ... ხელნაწერი ჟურნალის ორიტომეულის პასუხისმგებელი რედაქტორი იყავით. აქტიურად ესწრებოდით პრემიერებს სახელმწიფო დრამატულ და საოპერო თეატრებში, კონცერტებს, გამოფენებს...

- სკოლის დამთავრებისთანავე დიდ მისაღებ კონკურსში გავიმარჯვე და კიდევ 12 ბედნიერ აბიტურიენტთან ერთად გავხდი ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტი, ქართული ენისა და ლიტერატურის მიმართულებით.

გვასწავლიდნენ ძალიან კარგი პროფესორ-მასწავლებლები. ერთი მათგანი განსაკუთრებულად უნდა დავასახელო - დოცენტი დავით მაჭავარიანი, ეს ძალიან მკაცრი, მარტოსული, გაუცინარი, სინამდვილეში კი დიდსულოვანი და კეთილშობილი კაცი! შეიძლება ითქვას, ქართული ენისა და პოლიპერსონალური ზმნების მთელ საიდუმლოს დაგვაუფლა, ქართული ენის სილამაზეს გვაზიარა.

მეორე კურსზე რომ გადავდიოდით, მე ზაფხულში დამოუკიდებლად დავამუშავე თემა - „ქვემო რაჭის მეტყველების თავისებურებანი სოფელ ქვიშარის მცხოვრებთა მაგალითით და ამავე სოფლის ტოპონიმიკა.“

პირველ სექტემბერს ჩემი უმკაცრესი ლექტორის ლმობიერი მცირე ღიმილიც დავიმსახურე და მისი ვერდიქტიც: სტუდენტთა საენათმეცნიერო წრეს მეოთხე-მეხუთეკურსელი ფრიადოსანი, გამორჩეული სტუდენტი კი არა, ამიერიდან თქვენ, სწორედ თქვენ უხელმძღვანელებთ, მეორეკურსელო ცხვედიანო!

ყურებს არ დავუჯერე, მაგრამ ინსტიტუტის ახალგაზრდა მწერალთა წრის ხელმძღვანელობიდან სასწრაფოდ რომ გამათავისუფლეს და ენათმეცნიერების სიღრმისეულად შესასწავლად გამამწესეს დავით მაჭავარიანის დიდი ხათრითა და პატივისცემით, მერე რაღას ვიზამდი.

დაიწყო არაჩვეულებრივი სტუდენტური მუშაობა - ძალიან საინტერესო თემებით. წრეს მონდომებული მომხსენებლებიც ჰყავდა, მკაცრი ოპონენტებიც და დისკუსიაში მონაწილეთა დიდი აუდიტორიაც. გამოვუშვით ხელნაწერი ჟურნალის ორი ტომიც, რომელთა პასუხისმგებელ რედაქტორადაც ბატონმა დავითმა მე დამნიშნა.

პარალელურად, ჩვენი ფაკულტეტის დეკანის, განათლებული და პატრიოტი კაცის, პეტრე ვაჭრიძის ხელმძღვანელობით, აქტიურად დავდიოდით პრემიერებზე სახელმწიფო დრამატულ და საოპერო თეატრებში, კონცერტებზე, გამოფენებზე, მხატვრის სახელოსნოებში. მისივე დიდი ძალისხმევით, სხვადასხვა დროს მოვიწვიეთ: მურმან ლებანიძე, ანა კალანდაძე, ფერეიდნელი ქართველები, კიდევ ბევრი საინტერესო ადამიანი, რეზო ინანიშვილთან შეხვედრა კი პირადად ჩემი თაოსნობით და ჩემი კურსელების დიდი მხარდაჭერით ჩატარდა. ახლაც განსაკუთრებულად ვინახავ მაშინდელ ფოტოებს, რეზო ინანიშვილის შესანიშნავი ხელნაწერი ბარათი ქუთაისის სახელმწიფო ისტორიულ მუზეუმს გადავეცი.

- სტუდენტი იყავით, როდესაც თქვენ მიერ დაწერილი რეცენზია მოიწონეს იმავდროულად, რესპუბლიკურ ლიტერატურულ კონკურსში თქვენმა დოკუმენტურმა მოთხრობამაც გაიმარჯვა...

- მესამე კურსზე ვიყავი, როცა რეჟისორმა გოგი ქავთარაძემ მესხიშვილის თეატრის სცენაზე „დიდოსტატის მარჯვენა“ დადგა. ქანდარაზე ძლივს ვიშოვეთ ბილეთები მე და ჩემმა მეგობრებმა. იმ ღამით თვალი

არ მომიხუჭავს, ისეთი მძაფრი შთაბეჭდილების ქვეშ აღმოვჩნდი საქართველოს სახალხო არტისტის, შოთა პირველის მიერ განსახიერებული ფარსმან სპარსით - ამ უსამშობლოო, მარტოსული კაცით.

დილით, ცხელ გულზე, გავაშანშალე მოზრდილი წერილი და თეატრში გავუგზავნე შოთა პირველს. მაყურებლის თვალით ვაფასებდი სპექტაკლის რეჟისურას, სამსახიობო ანსამბლს, სცენოგრაფიას, შოთა პირველის მიერ სრულიად განსხვავებულად, საკუთარი აქტიორული შტრიხებით უზადოდ შესრულებული პორტრეტის სირთულეს. თამამად და ახალგაზრდული დაუნდობლობით ვაკრიტიკებდი სპექტაკლის ზოგიერთი მონაწილის ზედაპირულ თამაშს. ახლა, ამ გადასახედიდან, მგონი, ზედმეტად მეტიჩარა ბავშვიც ვიყავი, მაგრამ წერილმა არაჩვეულებრივი შედეგი გამოიღო: მეორე დღესვე შოთა პირველი ინსტიტუტში მობრძანდა ჩემს გასაცნობად, მანამდე კი, როგორც მოგვიანებით შევიტყვე, თურმე პარტიის საქალაქო კომიტეტის დარგობრივი სფეროს ხელმძღვანელობა ჩაუყენებია საქმის კურსში: ერთი პატარა გოგო აღმოვაჩინე, რომელსაც უყვარს თეატრი და როგორმე გავზარდოთ ჟურნალისტად, ვინც თეატრზე დაწერს. აი, ასეთი კადრით უნდა გადახალისდეს რედაქციაო. სახალხო არტისტის სიტყვა მაშინ ჰაერში კი არ განიბნეოდა. სასწრაფოდ დარეკეს ინსტიტუტში, დამიბარეს ქალაქკომში, მაგრამ მესამეკურსელი რომ აღმოვჩნდი, ამან გეგმები დროებით შეცვალა.

თუმცა ყველაფერ ამას უშედეგოდ მაინც არ ჩაუვლია - მაშინვე გამიჩნდა დაუძლეველი ამბიცია, რომ, დიახაც, მემუშავა ჟურნალისტიკაში და ვყოფილიყავი ქალაქში გამმავალი უძველესი, ქართულენოვანი, ყოველდღიური გაზეთ „ქუთაისის“ კარგი თანამშრომელი. უნიჭიერესი ჟურნალისტების, პრესაში ჩემი პირველი მასწავლებლების - სერგო მაღლაფერიძისა და რუთა ბერიძის პირველ საგაზეთო დავალებებსაც (ინტერვიუები, რეპორტაჟები, კორესპონდენციები) თავი ყოველგვარი რედაქტირების გარეშე გავართვი და ერთ მშვენიერ დღეს რედაქტორმა გივი მეფისაშვილმა ხელი მოაწერა ბრძანებას, რომლის თანახმადაც, 1979 წლის ოქტომბრიდან გაზეთ „ქუთაისის“ კორესპონდენტი და ლიტერატურული მუშაკი გავხდი.

ჰო, ამას კიდევ ის უძღოდა წინ, რომ მწერალთა კავშირისა და ჟურნალ „განთიადის“ მიერ გამოცხადებულ რესპუბლიკურ ლიტერატურულ კონკურსში, რომელშიც ცნობილი მწერლები მონაწილეობდნენ, ჩემმა დოკუმენტურმა მოთხრობამ - „მე ვინ დამიმტვრევს ფრთებს“ მესამე ადგილი და ფულადი პრემია მოიპოვა.

- პირველი ნაბიჯები საბჭოთა დროში მოგიწიათ. მუშაობა არ გიჭირდათ?

- არ იყო მთლად ადვილი. მაგრამ მთელი ყურადღება იმაზე გადავიტანე, რაც შეიძლება, საინტერესო ფორმით მეწერა, კარგად შემესწავლა ჟანრული სპეციფიკა და ამით მაინც შემერბილებინა ის იდეოლოგიური ჩარჩო, რასაც იმხანად ჩვენი ნაწერებისაგან ითხოვდნენ. ასევე ყველგან ვეძებდი საინტერესო თემებს, რესპონდენტებს.

არადა, რა დრო იყო! ეტყობა, პროფესიული თვითგადარჩენის მძლავრი ინსტინქტი გამოვიმუშავე და, რაღაცნაირად, გვერდი ავუარე წერის კონიუნქტურულ ფორმას. მახსენდება, როგორ დამიბარა ერთხელ პრესის სახლში მჯდომმა მთავლიტმა, ანუ საბჭოთა ცენზორმა, თავისებურად კარგმა ადამიანმა, და „ტრენინგი“ ჩამიტარა: არასდროს გამოიყენო სიტყვათშეხამება: „გაერთიანებული ავიარაზმი“, არ ახსენო საჯარისო შენაერთის ნომერი, საიდუმლო ქარხანა „ვოსხოდი“ ან „ზარია“ და ასე შემდეგ. რატომ? იმიტომ, რომ მტერს ინფორმაცია არ მისცე! იმიტომ და იმიტომ!..

ამან რედაქციაში მეც და ჩემს თანათაობელ ჟურნალისტებსაც კანონთან შინაგანი სიფრთხილე და იმის შიშით წერა გვასწავლა, ემანდ ცენზორმა არ დაგვიჭრას ნაწერიო, ფაქიზად ვარჩევდით სიტყვებს, ფრაზებს. სამწუხაროდ, ასე ჩამოგვიყალიბდა თვითცენზურა შიგნით, ჩვენში.

იყო კიდევ ერთი მძიმე მომენტი - მასალის თემა და შინაარსი წინასწარ უნდა შეგვეთანხმებინა განყოფილების გამგის, პასუხისმგებელი მდივნის, ან რედაქტორისათვის, რადგან, სულ ადვილად შეიძლებოდა, რედაქციას რაღაც მიზეზით დაეწუნებინა, აღარ დაბეჭდილიყო და ჩვენი რესპონდენტების წინაშე ფრიად უხერხულ მდგომარეობაში აღმოვჩენილიყავით. დღევანდელი ჟურნალისტებივით თავისუფალი არჩევანი კი არ გვქონდა!

ზოგჯერ ძალიან საინტერესო ფაქტს ოპერატიულად გადავწყდომივარ, მაგრამ, ზემდგომთან შეთანხმებამდე ვერ დამიწერია. ამ დროს ხომ თემა „ცივდება“, ემოცია მკრთალდება, ნაწერს სხივი ეკარგება ინტრიგასთან ერთად.

- 35 წელი იმუშავეთ ქუთაისის პრესაში, აქედან ბოლო 15 წელი რეგიონული დამოუკიდებელი გაზეთ „პოსტსკრიპტუმის“ რედაქტორი იყავით. გაავლეთ პარალელი გასული საუკუნის 80-იანი წლებისა და ახლანდელ ჟურნალისტიკას შორის...

- იდეოლოგიურ ჩარჩოებში მკაცრად მოქცეული, მაგრამ შემოქმედებითად კარგად განვითარებული ჩვენი და უფროსი თაობის ჟურნალისტები დიდ ყურადღებას უთმობდნენ მასალის ჟანრულ მრავალფეროვნებას, სიღრმეს და სიცხადეს, ენისადმი ფაქიზ დამოკიდებულებას, ლექსიკას, ორთოგრაფიას, სათაურების აკადემიურობას.

სამაგიეროდ, ახლანდელები შეუდარებელნი არიან წყაროების მოძიებაში, ასევე - ინფორმაციის წერისას მხარეების შეუდარებლად მაღალ დონეზე დაბალანსებაში.

მართალია, წერის ნიჭი და კულტურა დღეს იშვიათად აქვს მოსაწონი ვინმეს, მაგრამ, სამაგიეროდ, ჟურნალისტების ერთიან მასას - თანამედროვე უახლესი ტექნოლოგიების მოშველიებით და ენერგიულობით - ოპერატიულად, თითქმის ფაქტის მოხდენისთანავე გამოაქვს ინფორმაცია მკითხველის (მაყურებლის, მსმენელის) დიდი აუდიტორიის წინაშე.

ახალი მედია პირდაპირ სასწაულებს ახდენს ოპერატიულობის თვალსაზრისით

თუ ადრე პუბლიცისტიკა ყვაოდა, ახლა ნიუსი მეუფეობს. ადრე ჟურნალისტები ცოტანი იყვნენ და თავმდაბლობის გამო არც უწოდებდნენ საკუთარ თავს „ჟურნალისტს“, ახლა პირველი კურსის სტუდენტსაც ჟურნალისტი ჰქვია და დიდ ტრენინგებზე დადის რედაქციის სახელით. მთავარი, რაც მომწონს ახალი თაობის ჟურნალისტებში, ის არის, რომ თამამად შლიან ფაქტს საინფორმაციო საბაბის მიხედვით და პატარა-პატარა ნიუსებად და სიუჟეტებად ანაწევრებენ.

ჩვენ მეორეხარისხოვან დეტალებსაც კი ვერ ვთმობდით და, შედეგად, „ზეწრებს“ ვაფრიალებდით გაზეთის ფურცლებზე. თუმცა, აქვე დავძენ, რომ ადრე მეტი პასუხისმგებლობა იყო საზოგადოების წინაშე, ფაქტები, ციტატები, ტიტულები, ციფრები მკაცრად გადამოწმდებოდა ხოლმე. კიდევ ერთი: ახლა უახლესი ტექნიკური აღჭურვილობაა, როგორც ვთქვი, მოვლენის ადგილიდან სულ რაღაც წუთებში, პირდაპირ გადმოცემა მასალა, ჩვენ კი წიგნაკებისა და ავტოკალმების თაობა ვართ, ხელით ვიწერდით ინტერვიუებს, ხელითვე ვაქცევდით სტატიებად და რეპორტაჟებად. პირადად მე ჟურნალისტური საქმიანობის მეთექვსმეტე წელსღა მეღირსა დიქტოფონი.

- როგორ დაიწერა წიგნი „გახსოვს, ქუთაისო?“

- საჯარო ბიბლიოთეკაში, სადაც ბოლო სამი წელია, ძველი გაზეთების ბიბლიოგრაფიის შექმნაზე ვმუშაობ, ძველ კომპლექტებს ვათვალიერებდი და აღმოვაჩინე, რომ თურმე წლების მანძილზე შევხვედრივარ ძალიან ბევრ საინტერესო ადამიანს და დამიწერია მნიშვნელოვან თემებზე. დამენანა სადღაც-სადღაც, ჟურნალ-გაზეთებში მიმობნეული ეს დიდი ინფორმაცია, რომელიც, ჩემი აზრით, საყურადღებო შეიძლებოდა ყოფილიყო ახალი თაობის მკითხველისთვისაც.

ვიფიქრე, ამ ათასობით წერილიდან მხოლოდ ქუთაისთან გარკვეული კუთხით დაკავშირებული თემები ამომერჩია. სულ

სამასამდე პორტრეტი, ინტერვიუ, რეპორტაჟი და სტატია შევარჩიე, აქედან კი საბოლოოდ 150-მდე „მოვიწონე“. ჩემი წიგნის დიზაინერი, საუკეთესო კოლეგა და ადამიანი, ირმა ბახუტაშვილი, ლამის ხელჩართულ ომს მიცხადებდა ყოველი „ამოგდებული“ მასალის გამო, მაგრამ მკაცრი ავტორი ვარ. ისე, გამონაკლისიც ბევრჯერ დავუშვი - წიგნში შევიტანე ისეთი წერილები, რომლებიც მაინცდამაინც არ მომწონდა, მაგრამ რესპონდენტისა თუ თემის გამო გავხდი „კეთილი“. წიგნი სულ 660-გვერდიანია, შეიცავს უნიკალურ საარქივო ფოტომასალას. და სულ რომ არ მოველოდი, ისეთი დიდი გამოხმაურება მოჰყვა ქუთაისში.

- 35 წლის განმავლობაში კულტურის საკითხებზე მუშაობდით და ქუთაისის კარგ მეისტორიედ გიცნობენ. ყველაზე მეტად რომელ ამბავს გაიხსენებთ ახლა?

- „კარგი მეისტორიე?“ - ამ შეფასებას, გულწრფელად ვიტყვი, არ ვიმსახურებ. ისე კი, ვწერდი ეკონომიკის, პოლიტიკის და, განსაკუთრებით, სოციალურ თემებზეც, მაგრამ ქუთაისის ბოლო ასწლეულის ისტორია და კულტურის სფეროში მიმდინარე ამბები ყოველთვის ყველაზე მეტად მაინტერესებდა.

ჩემს წიგნში „გახსოვს, ქუთაისო?“ ალბათ, განსაკუთრებით ღირებულია გალაკტიონზე,პიპინია მიქელაძეზე,ლადო ასათიანზე, სანდრო ცირეკიძეზე, ძველ ქუთათურ ოჯახებზე მოპოვებული დოკუმენტური მასალა.

- ალბათ, იყო რეპორტაჟები, რომელიც სხვადასხვა მიზეზის გამო წიგნში არ შეიტანეთ...

- წიგნში არ შემიტანია ის რეპორტაჟი, რომელიც ჩემს მეგობართან, ნინო ცირამუასთან ერთად 1980 წლის 5 ნოემბერს მოვამზადე მერაბ ბერძენიშვილის საბრძოლო დიდების მემორიალის გახსნისას. ათასობით ადამიანი ჩამოვიდა საქართველოს ყველა კუთხიდან, ცივი, სუსხიანი ამინდის მიუხედავად, ყველა უაღრესად ბედნიერი იყო, რადგან ასეთმა ღრუბელმაც ვერ დაჩრდილა მასობრივი სიხარული, ეროვნულობის ის საყოველთაო განცდა, რასაც გრანდიოზულ სტელაზე აღმართული ბრინჯაოს თმაგაშლილი დედა, მამულისათვის შობილი მისი მოზრდილი თუ ჯერაც ჩანასახში მყოფი შვილები, ქონგურებზე ახმიანებული ბრინჯაოს შვიდი ზარი და, რაც მთავარია, მარადისობიდან ცხენდაცხენ გამოჭრილი, წელს ზემოთ შიშველი, დაკუნთული მზეჭაბუკი იწვევდნენ. მზეჭაბუკს ხელთ ეპყრა ზეაღმართული სატევარი, რომლიდანაც მარადიული ლურჯი ცეცხლი იფრქვეოდა. ეს არ იყო საბჭოთა კონიუნქტურით გაკეთებული ძეგლი, ეს სრულიად ქართული, დიდი ეროვნული იდეისა და შინაარსის ნაწარმოები გახლდათ.

იცით, კიდევ რა მოხდა? ლენტი რომ

გაიჭრა, უთვალავი მტრედი აუშვეს ცაში და ერთ-ერთი მათგანი მარჯვენაზე დააჯდა მერაბ ბერძენიშვილს. ზუსტად ამ დროს თითქოს „ცა გაიხსნა“ - ღრუბლები გაირღვა და მზის ნათელი სვეტი დაეშვა მემორიალზე, რომლის შუბლზეც შვიდი საკრალური ზარი სხვადასხვა ხმით წკრიალებდა!

ამ ძეგლს დაანგრევდა მოაზროვნე ადამიანი? თანაც, ახალგაზრდა დედისა და პატარა გოგონას სიცოცხლეც რომ ემსხვერპლა, ნამდვილი დამნაშავე კი მიაფუჩეჩეს!

ძალიან მტკივა ეს ამბავი და წიგნში შეტანას მოვერიდე, იქნებ დამავიწყდეს როდესმე.

სიჩქარის გამო, წიგნში შეტანილი არა მაქვს კიდევ ერთი საინტერესო რამ. ერთხელ საქართველოს სახალხო მხატვარმა, რეზო გაბრიაძის მუზამ, ცნობილმა მოქანდაკემ და კოლორიტულმა კაცმა, ვალერიან მიზანდარმა გამომცდელი ღიმილით მკითხა, შენ თუ იცი, მხატვარი გიორგი მაისურაძე სად არის დაკრძალულიო? როგორ არა, მწვანეყვავილას მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში, წარწერაც ხომ აქვს საფლავს-მეთქი. არა, გენაცვალე, საფლავის წარწერა კი არის, მაგრამ იმ ქვის ქვეშ გიორგი მაისურაძის ნეშტი არ განისვენებს, ცარიელიაო.

დიდად რომ გავიოცე, ბატონმა ვალიკომ მიამბო, 50-იან წლებში, როცა პანთეონი ოფიციალურად გაიხსნა, ქუთაისის სხვადასხვა სასაფლაოდან გადმოასვენეს მიცვალებულები. გიორგი მაისურაძე საფიჩხიდან წამოიყვანეს და, სანამ საფლავს მოაწყობდნენ, დროებით დაფლეს წმინდა გიორგის ეკლესიის კედელთან, იქ, სადაც ახლა აგურებია ამოშენებული. მერე, რატომღაც, აღარ ჩაასვენეს ამ ახალგაჭრილ საფლავში და იქვე დატოვეს, წარწერა კი არის, მაგრამ...

ვთხოვე, ჩემს მოსწავლეებთან - ნორჩ ჟურნალისტებთან ერთად ამყვით პანთეონში და მაჩვენეთ ის ადგილი, სადაც რეალურად განისვენებს დიდი ქართველი მხატვარი-მეთქი. კიო, ხალისით დამთანხმდა. მომდევნო დღეებში ცუდი ამინდები იყო, მერე თვითონ გახლდათ შეუძლოდ, კიდევ რაღაც მოხდა და უცებ... ვალიკო მიზანდარი არ გარდაიცვალა?!

წლების მანძილზე მაწვალებს ეს ფაქტი, ვის არ ვკითხე, ვის არ მივმართე და არავის ახსოვს. არადა, მხოლოდ მე ხომ არ მომიყვებოდა ამ ისტორიას! ისიც საკვირველია, რომ ბატონი ვალიკო მხატვართა ორგანიზაციის თავკაცი იყო, თუ ასეთ ინფორმაციას ფლობდა, რატომ არ დააყენა საკითხი „ზემდგომის“ წინაშე? ეტყობა, რაკი მძიმე რეჟიმი იყო, არ მოხერხდებოდა მაშინ ასეთი ცუდი შემთხვევის გახმიანება.

- როგორია თქვენი თვალით დანახული ნამდვილი ქუთაისი? რა მოგწონთ და რა არა? როგორ ქალაქს ისურვებდით?

- ქუთაისს აქვს თავისი ძლიერი მისტიკა, მარადი სული, რომელსაც, ვფიქრობ, მხოლოდ რეზო ჭეიშვილი და რეზო გაბრიაძე ჩასწვდნენ ნაწარმოებებით - „მუსიკა ქარში“ და „ქუთაისი ქალაქია“. ეს არის ძალიან გამორჩეული ტრადიციების, ცოტაოდენ სნობური სოციუმის, თვითმყოფადი არქიტექტურული განაშენიანების ქალაქი.

სამწუხაროდ, ბოლო წლებში ხელისუფლებაში მოსულმა გაუნათლებელმა ჩინოვნიკებმა ძლიერ აურ-დაურიეს წარსულიდან შემორჩენილი ფასეულობები, უხეშად ხელყვეს ტრადიციული კოლორიტული არქიტექტურა, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები. მაგალითად, ოპერის თეატრის მორთვა-მოკაზმვისა და სახურავზე რაღაც შუასაუკუნეების რომაელ მოქალაქეთა ჯგუფის დამონტაჟების შემდეგ, იქვე, ფალიაშვილის ძეგლთან, დაუნდობლად მოჭრეს ისტორიული ბულვარის კუთვნილი ორი დიდი ხე, რათა „რეაბილიტებული თეატრის“ საზეიმოდ გასახსნელად ჩამოსული საბავშვილისათვის ღია აუდიტორია მოეწყოთ და გამოთავისუფლებულ ადგილზე სკამები ჩაედგათ საგანგებოდ შერჩეული საზოგადოებისათვის. ეს 170 წლის ბულვარი ერთ დროს აკაკი წერეთლის, მამია გურიელის, გიორგი შარვაშიძის, კირილე ლორთქიფანიძის, დავით კლდიაშვილის, ნიკო ნიკოლაძის, გიორგი ზდანოვიჩ-მაისაშვილის, კირილე ზდანევიჩის, დიმიტრი ყიფიანის, რაფიელ ერისთავის, დავით მეველის, ვასილ ამაშუკელის, გალაკტიონის, ცისფერყანწელებისა და სხვა გამოჩენილ ადამიანთა სულიერი სავანე იყო.

აკაკის თქმით, „ქუთაისის პარლამენტი“, ანუ საზოგადოებრივ აზრთა საფიხვნო გახლდათ, - და დღეს იქ სხვადასხვა უსახური ნაგებობაა ჩადგმული, ასწლოვან ხეებს შორის სავალი ბილიკები - შემცირებული, შადრევანთა აუზები და შიგა მოედნები - გაფართოებული, მანქანების სადგომები კი - ჩამოსაჯდომ მერხებთან უხეშად შემოჭრილი. განა დრო არ არის, ქუთაისის საკრებულომ საგანგებო დადგენილება მიიღოს, რათა ბულვარი გადაარჩინოს ხელყოფისა და სხვა და სხვა დროს თანამდებობებზე მოხვედრილ უღირს ადამიანთა მადისაგან?

მარტო ის რად ღირს, რომ უკვე აღარ არსებობს, მოჭრილია ის ისტორიული ჭადარი, რომლის ჩრდილქვეშაც კოტე მარჯანიშვილი, უშანგი ჩხეიძე, შალვა ღამბაშიძე, ახალგაზრდა გიორგი შავგულიძე და სხვა კორიფეები სცენისაგან თავისუფალ დროს იდგნენ!

სიახლე და თანამედროვეობა უთუოდ უნდა შემოვიდეს, მაგრამ არა - ღირებული სიძველის განადგურების ხარჯზე?

ვისურვებდი, ქალაქს როდესმე ჰყოლოდეს ისეთი ხელისუფალი, ვინც ქუთაისის მცოდნე, პროფესიონალ ადამიანებს გვერდით ამოიყენებს, შექმნის საზოგადოებრივ ჯგუფს და ყოველი ახალი ობიექტის აშენებამდე, ძველი შენობების დანგრევამდე, ქუჩებისათვის სახელების მიკუთვნებამდე, მემორიალური დაფების გაკვრამდე, მასობრივი ღონისძიებების ტრადიციად გადაქცევამდე მათ აზრს მოისმენს!

განა შეიძლება, ქალაქს ჰყავდეს ისეთი ადამიანები, როგორიცაა, მაგალითად, სამუზეუმო საქმის დიდი მცოდნე და გამოცდილი გიდი გურამ გეგეჭკორი, მრავალი წიგნის ავტორი და საარქივო დოკუმენტაციის შეუდარებელი მკვლევარი, ისტორიკოსი მერაბ კეზევაძე, ძველისძველი ფოტომასალისა და გამოცემების კოლექციონერი და ქუთაისის კოლორიტის ფაქიზი შემფასებელი, მწერალი სოსო იარღანაშვილი, სხვა მსგავსი პროფესიონალები და არ ჰკითხო მათ რჩევა მშობლიური ქალაქის სასარგებლოდ?

- თქვენ ამბობთ, რომ თქვენი წიგნი არის ფიქრები ქუთაისზე. ნამდვილი ქუთაისი, - როგორი იყო და ვინ ქმნიდა ასეთ ქალაქს? რისი ნოსტალგია გაქვთ?

- ნამდვილი ქუთაისი „ხაშლამა კაცებისა“ და მედროვე კაცუნების მიღმაა, მისტიკის წიაღშია დანთქმული. ის არც ჭიჭიკიაბიჭიკიას უგემოვნო ანეკდოტებისაა, არც „შავი გაგების ბიჭებისა“ და არც ხელოვნურად შექმნილი „ქალაქის კოლორიტების“.

როცა ვამბობ, რომ ქუთაისს ყოველთვის ჰყავდა და ჰყავს განსაკუთრებული სოციუმი, ვგულისხმობ ისეთ ადამიანებს, როგორიც იყვნენ: პიპინია მიქელაძე, კოლია ქვარიანი, ჟორჟიკა იაშვილი, ოთარ (მეობა) სულაბერიძე, პეტრე ჭაბუკიანი, ვალიკო მიზანდარი, ვახტანგ გიორგაძე, გუჩა იოსელიანი, ბაყუჩია (ვახტანგ) მეგრელიშვილი, ამურ ფხაკაძე, ალეკო კვიმსაძე (ფიშტერა), ილო ფოტოგრაფი, მარკოზიჩი (ჟორა გრძელიშვილი), ოთარ ქანდარია, ბერნანდ (ფრანცია) ნებიერიძე, ლილი ნუცუბიძე, რუთა ბერიძე, ნესტან კვეიძე, პეტრე ვაჭრიძე, რეზო ჯავახაძე და სხვა მრავალი, ყველას რას ჩამოვთვლი!

აი, ყოველთვის იმ ქუთაისის ნოსტალგია მაქვს, როცა ეგზომ ფასეული იყო მშობლიური ქალაქის სიყვარული და ერთგულება, კეთილმეზობლობა, თანადგომა, სხვისი აზრის დაფასება, შესანარჩუნებელი ტრადიციის შენარჩუნება, ცუდის - დავიწყება და გაუქმება.

- თქვენს წიგნში არაერთ კარგ მწერალთანაა ინტერვიუ, ანდა მასზე მოგონებაა გამოქვეყნებული რომელ საუბარს გამოყოფდით?

- საერთოდ, თხუთმეტამდე ინტერვიუ მაქვს რეზო ჭიშვილთან - სრულიად სხვადასხვა თემაზე. ზოგჯერ თავადაც მიკავშირდებოდა, სათქმელი რომ დაუგროვდე-



ბოდა საქვეყნო საკითხებზე. მასთან სტუმრობა, „ინტერვიუსგარეთ საუბრები“ კიდევ უფრო საინტერესო იყო.

მე განსაკუთრებით მოვიგონებდი 2008 წლის მწიფობისთვის 20-ს, როცა ბატონმა რეზომ თავისი რომანიდან „ასკილის წითელი ყვავილი“ შერჩეული 340-349 გვერდები ხმამაღლა წამიკითხა და ავტორისეული კითხვის განუმეორებელ ფენომენს მაზიარა. მაშინ მითხრა, რომ დუგლას (ია) ხეიძის პროტოტიპი სოლიკო ხაბეიშვილია,მისი დღიურები წაუკითხავს და იქიდან ბევრი ფსიქოლოგიური ნიუანსი წამოუღია. ჩემს შეკითხვაზე - წერის დროს საკუთარ გამონათქვამებზე, გროტესკულ და იუმორისტულ პასაჟებზე თავად თუ გეცინებათ-მეთქი, მან უბრალოდ მიპასუხა:უფრო ხშირად ვტირიო.

ასევე ახლო ურთიერთობა მქონდა ოტია იოსელიანთან. როგორ ვნანობ, რომ რედაქციაში მისი ხშირი სტუმრობისას დიქტოფონს არ ვრთავდი ხოლმე. არაჩვეულებრივი მთხრობელი იყო, დინჯი, კეთილგანწყობილი, გაწონასწორებული. ისეთი მკაცრი, გამქირდავი და „დიალექტზე მოსაუბრე“ კი არა, საზოგადოებას რომ ჰგონია. მისი მოსმენის შემდეგ მრჩებოდა უზარმაზარი შთაბეჭდილებები, მწერლის ჭიქაში ბოლომდე შეუსმელად დატოვებული უშაქრო ყავა და ნიკოტინით ერთიანად გაჟღენთილი სამუშაო ოთახი.

მე არ ვეწევი, ამიტომ საფერფლე არც მქონდა და წყალტუბოს რედაქტორის მიერ ნაჩუქარ, რომელიღაც კარსტთან ნაპოვნ ჯამისებრ ქვას მივართმევდი ხოლმე. ახლაც შენახული მაქვს ეს რელიკვია, ზედ ბატონი ოტიას სიგარეტების ნამწვავებია დასრესილი.

- ქუთაისი „ცისფერყანწელების“ ქალაქია. რამდენად ახსოვს ეს თავად ქალაქს?

- მკრთალად! - ვთქვათ სიმართლე. ამ ბოლო დროს ფონდის „ცისფერყანწელთა ხსოვნისათვის“ ხელმძღვანელმა, ქალბატონმა ნინო ჩხიკვიშვილმა თბილისიდან გამოაცოცხლა ჩვენი ქალაქი, „შეაწუხა“ ქუთაისის მერია და, შესაბამისად, ამათი ფინანსური მხარდაჭერით ჩატარდა კიდეც „ცისფერყანწელთა“ კარგი საღამო - სპექტაკლები, მემორიალური დაფები გაუკეთდა პაოლოსა და კოლაუს მამისეულ სახლებს, გამოიცა უნიკალური ფოტოალბომი. მაგრამ ეს, ვფიქრობ, ჯერ კიდევ ცოტაა.

იქნებ, ისევ ქალბატონმა ნინომ იაქტიუროს და ოფიციალურად დააყენოს ერთი საკითხიც, რომელზეც მე 90-ანი წლებიდან უშედეგოდ ვწერ და ჩემს წიგნშიც არის შეტანილი არაერთი საინტერესო დოკუმენტური მასალა. მოკლედ, იქნებ დაადგეს საშველი საფლავდაკარგული „ცისფერყანწელის“, „ქართული პროზის ბატონიშვილის“, უნიჭიერესი მწერლისა და გამომცემლის, სანდრო ცირეკიძის სახელის დარქმევას ქუთაისის რომელიმე ქუჩისათვის.

- სურვილი, რომელიც არ აგისრულდათ...

- ვერ დაიბეჭდა ჩემი იდეით და ჩემ მიერ შედგენილ-დაწერილი, ჩემივე რედაქტორობით შეკრული, ა-5 ფორმატის, 700-გვერდიანი, სამენოვანი, უხვად ილუსტრირებული ენციკლოპედია „იმერეთი“. გამომცემლობა „პოსტსკრიპტუმის“ დაკვეთით, ორი წელი ვიმუშავე ათასობით ინფორმაციაზე, კიდევ ორი წელი - გურამ წიბახაშვილთან და ირინე აბჟანდაძესთან ერთად, ფოტოგადაღებებისათვის, ფეხდაფეხ შემოვიარე იმერეთის ყველა რაიონი და თითქმის ყველა სოფელი. იყო უმძიმესი, ურთულესი და ძალიან საინტერესო სამუშაო, მაგრამ მთელი ჩვენი ნაშრომი წყალში ჩაიყარა. დაუფინანსებლობის გამო ეს პროექტი აღარ (ან ვეღარ) განხორციელდა.

- სამომავლოდ რას აპირებთ?

- არა მაქვს დიდად ამბიციური გეგმები, ალბათ, საჯარო ბიბლიოთეკის რამდენიმე თანამშრომელთან ერთად ძველი გაზეთების კვლევას განვაგრძობ, თან, პარალელურად, ახალი ჟურნალისათვის დავწერ სტატიებს - მაინც ვერ ვეშვები ჟურნალისტიკას. კიდევ ერთ თემას საიდუმლოდ დავტოვებ - ისე, ინტრიგისათვის...

ესაუბრა

თამარ ზაიშმელაშვილი

ამერიკაში:

ნიუ-იორკში:
164 Brighton 11 St.
Brooklyn NY 11235
Tel: 718-934-1700
Alt: 347-500-5037

ნიუ-ჯერსში:
84 Harbor Drive,
Jersey City, NJ 07305
Tel: 201-333-5555

დელავარეში:
4 Lewis circle
Wilmington, DE 19804
302-930-0705

ფილიალები:
თბილისი
ქუთაისი
რუსთავი
ბათუმი
გორი
ბოლნისი
თელავი
მარნეული

Barami
LOGISTICS

Tel: 201-333-5555
www.barami.us

ამანათები

4-5 სამუშაო დღეში
აშშ-დან საქართველოში
ერთი პაუნტი - 2.50$-დან;

ამანათების გამოგზავნა საქართველოდან

ავტომობილების

ყიდვა-გაყიდვა
საქართველოსა და ამერიკაში;

ავტომობილის, კომერციული
და პირადი ტვირთის

შიდა გადაზიდვები

აშშ-ში.

ჩვენს საიტზე www.barami.us
დარეგისტრირებით თქვენ გაგიადვილდებათ:
- კრედიტ-კარტით გადახდა;
- ამანათის სტატუსის შემოწმება;
- ამანათის ადგილიდან აღების შეკვეთა

www.barami.us
www.baramicar.com
www.facebook.com/Barami.us

მანჩასჯ
ქასჯასხოძე

საბა

ჰომსნი-ეპოპეა

ამრუნდემიანი საუკუნე

პირველი კამარა

ჟურნალის წინა ნომრიდან დავიწყეთ დაბეჭდვა ემიგრაციაში შექმნილი ამ ქართული რომანისა, რომელიც „მამულის“ მკითხველებისათვის ექსკლუზივია, რადგან იბეჭდება წიგნად გამოცემამდე კი არა, არამედ წერის დასრულებამდე - რომანის მხოლოდ სამი ტომია დასრულებულია.

რატომ საბა?

მხოლოდ იმიტომ, რომ ერთხელ და სამუდამოდ გაქარწყლდეს მითი ევროპის უგულობისა. ერთხელ და სამუდამოდ უნდა დაინგრეს მითი „ალოდინეს და მეთხუთმეტე კაცად შევიდა“...

ევროპა, მართალია ალმაცერად გვიყურებდა და დავიწყებულიც ვუავდით, მაგრამ რაფინირება აძლევდა იმის საშუალებას, რომ ეფიქრა მაინც ეოველ წინადადებაზე სიღრმისეულად.

სწორედ იმიტომ საბა, რომ კარგად გავაანალიზოთ, ახლა მაინც, ჩვენი ორიენტირი. დანარჩენი რომანის ფურცლებზე...



ნიკიფორე ირბახი - კრისტოფორო დე კასტელის ალბომიდან

კარგად იცოდა როსტომ მეფემ, თუ საიდან მოხვდა ეს უცნაური კაცი ლევანის სასახლეში. თვითონაც არაერთხელ შეხვედრია მას და ყველაფრის მიუხედავად ეს მეგრელი ჯვრის მამა, როგორც მას ოდიშელნი უწოდებდნენ, ბოლომდე გამოუცნობი დარჩენილა ისპაანელი ყულარაღასისთვის და ქართლის მეფისათვის. ნიკიფორეს ლევანთან გამოჩენამ და ლევანის შორს მიმავალმა მიზნებმა მეტისმეტად დააფიქრა როსტომი:

ლევანისთვის ბრმად ხელის შეწყობა არ შეიძლებოდა.

მან ფოთის მიტაცებით და რუხის ციხე-ქალაქის აშენებით, მართალია, სპარსეთს ზღვაზე გასასვლელი გაუხსნა, მაგრამ ამით ირიბად საფრთხე თვით ქართლის ტახტსაც დაემუქრებოდა ახლო მომავალში და ცოლისძმისთვის იმერეთის განადგურებაში ხელის შეწყობა თვითმკვლელობის ტოლ-ფასი იქნებოდა. ამიტომ საიდუმლო მოლაპარაკება ოსმალეთთან გამართა. ამის შესახებ არც სპარსეთს გაუგია არაფერი და არც ოდიშს, მით უმეტეს იმერეთს. ამ მოლაპარაკების შედეგად აგრძნობინეს ლევანს, შეჩერებულიყო, გამანადგურებელი დარტყმა არ მიეყენებინა ქუთაითისისთვის.

ლევანის გეგმები ხომ იმ უცნაური ნიკიფორეს თავში იხარშებოდა.

ევროპამ სხვანაირად გადაუბრუნა ტვინი ნიკოლოზყოფილ ნიკიფორეს.

განა ცოტაა -

რვა წლიდან იზრდებოდა კათოლიკურ სამყაროში. როცა საქართველოში ჩამოვიდა, თეიმურაზი გვერდიდან არ იცილებდა, მისი აზრებით საზრდოობდა. რომის პაპებსა და კარდინალებში გამოზრდილი ბავშვი ივერიაში ევროპელად ჩამოვიდა. ყველაფრის მიმართ თავისებური შეხედულება გააჩნდა. ერთი რაც იყო, ქართული ენა არ ჰქონდა დავიწყებული. თუმცაღა თავი გამოჭედილი ჰქონდა ნიკოლო მაკიაველის მოძღვრებით, მარტინ ლუთერისა და ჟან კალვინის მსოფლჭვრეტას უპირისპირებდა იგნასიო ლოიოლას ქმედით ნაბიჯებს, საზრდოობდა ჰორაციუსის ნააზრევით და კითხულობდა შექსპირის პირველ ბეჭდურ გამოცემებს. გასიგრძეგანებული ჰქონდა ქრისტეფორე კოლუმბისა და ფერნანდო მაგელანის შორეულ მოგზაურობათა რაობა.

ერთის სიტყვით,

ნიკიფორე ირბახი აღარ იყო მარტოდენ ქართველი,

ან გაევროპელებული კათოლიკე ბერი,

იგი მსოფლიო კაცი იყო...

ასეთების დრო მოდიოდა.

გალილეო გალილეის ლექციებსაც დასწრებია ძმაბატებისგან უჩუმრად. მეცნიერის სიტყვებმა, რომლითაც მან თავის აუდიტორიას მიმართა -

„ვარსკვლავები თქვენს ღირსებებზე მეტყველებენო," -

მთელი მისი ცხოვრების შინაარსი წამართა. ამ დამატყვევარი ლექციის შემდეგ სრულიად განსხვავებულად დააკვირდა ცის კაბადონს, პირადად გალილეისგან შეიძინა კომპასი და გამყიდველისგანვე ისწავლა მისი ხმარების წესი. ამ ისედაც უცნაურ კაცს ფრთები ესხმებოდა; ბევრი რამ ჰქონდა გაგონილი გალილეის კვლევებზე - იდუმალ ესაუბრებოდა მცირერიცხოვან აუდიტორიას მოაზროვნე თავის ახალ თეორიაზე სამყაროს ჰელიოცენტრული სისტემის შესახებ. საგანგებოდ აფრთხილებდა თავის ლაბორატორიაში შეკრებილ სანდო მსმენელებს:

- არსად გაამხილოთ ამის შესახებო.

არც გაუმხელია ნიკიფორე ირბახს ევროპაში არავისთან გალილეისთან ურთიერთობა, მეცნიერს არ შეუქმნიდა საფრთხეს მხილებით.

ნიკიფორეს ხელთ იყო მსოფლიოს გარშემო ოთხგზის გადაცურვის საკაცობრიო გამოცდილება.

გულისყურით ადევნებდა თვალს ჯორდანო ბრუნოს სასამართლო პროცესებს; ეს სასამართლო განხილვები დასრულდა თუ არა, კონგრეგაციამ დამნაშავედ სცნო დომინიკელი ბერი, რომლის გადაწყვეტილებასაც მხარი დაუჭირა პაპმა და გადასცა იგი საინკვიზიციო ტრიბუნალს. მანაც თავის მხრივ დაადგინა, რომ ძმაი ჯორდანი გამოუსწორებელი და მოუნანიებელი ერეტიკოსია და ამიტომ კოცონზე დაწვით უნდა დაისაჯოსო.

მართლაც, თებერვლის ერთ სუსხიან დღეს შუა რომში ნავონის პიაცასა და პალაცო ფარნეზეს ნახევარგზაზე კამპო დელ'ფიორის მოედანზე, რომელსაც თარგმანებით ყვავილთა ველი ჰქვია, კოცონზე დასწვეს ეპოქის მოაზროვნე.

მსოფლიო ისტორიასთან ერთად სიკვდილით დასჯის ამ ცერემონიალს ღრმნად დაფიქრებული უყურებდა და ხედავდა თხუთმეტი წლის ყმაწვილი ტომითა და მოდგმით უცხოელი, რწმენით ქრისტიანი, მართლმადიდებლობასა და კათოლიკობას შორის გახიდული. ამ დღემ სულით ხორცამდე შესძრა ნიკიფორე ირბახი, ქართველობაში ნიკოლოზ ჩოლოყაშვილ-ირრუბაქიძე.

ყველაფრის მიუხედავად მისი შეგნებისთვის ხელი არ შეუშლია ამ მოვლენებს, რათა ბერად შემდგარიყო და თავი უფლისთვის დაეთმო. სწორედ ბერად შედგომის შემდეგ საერისკაცო სახელი ნიკოლოზი ნიკიფორედ გარდასახა.

ეს რომის წმიდა ბასილის ბერძნულ ეკლესიაში მოხდა, სულ მალე პოლიტიკური მიზნების გამო მართლმადიდებლობა კათოლიკობით შეცვალა და კლიმენტ VIII-ს ეწვია, რათა ეთხოვა მისთვის შეწევნა ივერიისა და მეფე თეიმურაზისა. საერთოდ, ნიკიფორესათვის რელიგია წარმოადგენდა მიზნის მიღწევის ერთ-ერთ უმთავრეს საშუალებას და მისი სახესხვაობა დიდ სირთულეს არ წარმოადგენდა. მთავარი იყო, საჭიროების აუცილებლობა და იგი მზად იყო არათუ ქრისტიანობა, საერთოდ ღვთისმოსაობაც დაეთმო.

ნიკიფორესთვის თუ მნიშვნელოვანი იყო წმიდა თავდადების მაგალითები, არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო თავის გადარჩენის მარადი ინსტინქტი, რომელიც ბოლოს ჩვე-

ვად გადაექცა და იგი ყოველთვის ცოცხალი გამოდიოდა ნებისმიერი ხიფათისგან. სარწმუნოებრივი ცვლილებები მას დიდ ცოდნას ავალებდა იმ სარწმუნოებისა, რომელსაც იგი ღებულობდა და იმდენად დიდ ცოდნას, რომ მისი მეთაურები დაერწმუნებინა იმაში, რომ იგი ეს-ესაა შეუდგა ჭეშმარიტ რწმენას. თანამოსაუბრე ბოლომდე ვერასდროს იგებდა, რა იყო ნიკიფორესთვის ჭეშმარიტება. მისნაირ ხალხს ევროპაში კოცონზე წვავდნენ, სპარსეთში თავს ჭრიდნენ, ივერიაში თვალებს თხრიდნენ, ან განკვეთის სასჯელს ადებდნენ. ნიკიფორე კი ყოველთვის თავის სიმაღლეზე იდგა და ამ სიმაღლის ხელოვნურად მომატებას არ ცდილობდა, რადგან იცოდა მეფეთა და მღვდელთმთავართა ზნე-ჩვეულებანი. ისიც კარგად უწყოდა, მისნაირ ადამიანებს რას უწოდებდნენ ევროპაში, მუსლიმანურ ქვეყნებსა და თვით საქართველოში.

პირველთათვის ნიკიფორე ერეტიკოსი იქნებოდა,

მეორეთათვის დერვიში,

მესამეთათვის განდგომილი და მეროჭიკე ბერის ანაფორაში გადაცმული უცხო ქვეყნებიდან შემოგზავნილი ჯაშუში.

ნიკიფორე იმ ხალხის წრეში ტრიალებდა, ვინც საკაცობრიო ისტორიას ქმნიდა, მეფე იქნებოდა ეს, პაპი და კარდინალი, თუ მეცნიერი და საზოგადოებისთვის საშიში პიროვნება. იგი არც ერთ მათგანთან არ თაკილობდა ურთიერთობას. იგი არასოდეს არ ფლიდობდა და არც თვალთმაქცობდა არავისთან, მხოლოდ საკუთარ თავს წარმოაჩენდა განსაკუთრებული მზერის ფოკუსიდან და მეფეები და პაპები მას თავიდან მხოლოდ იმიტომ არ იცილებდნენ, რომ სურდათ ბოლომდე ამოეცნოთ ეს ამოუცნობი ადამიანი. ამასობაში კი ნიკიფორე თავის საქმეს პირნათლად ასრულებდა. უნდა ითქვას ისიც, რომ მას პირადი საქმე არასოდეს ჰქონია, გარდა პატრონის დავალებისა, ხოლო ამ პატრონს თვითონ ირჩევდა.

ეს პატრონი კი ჯერ თეიმურაზ კახთა მეფე იყო,

შემდეგ კი ლევან დადიანი.

სხვა პატრონი მას არასოდეს ჰყოლია. არადა, ყველას ისე აჩვენებდა თავს, თითქოს ის „ყველა“ იყო მისი ერთადერთი მფარველი და კეთილისმყოფელი. არავის არ ეპირფერებოდა, ყოველთვის იმას ახლიდა პირში ყველა ძლიერს ამა სოფლისას, რასაც ფიქრობდა, თუნდაც ეს მათთვის მწარე და არასასიამოვნო მოსასმენი ყოფილიყო.

პატრონთა გარდა იგი არავის უყვარდა, არც ეშინოდათ, მხოლოდ უფრთხოდნენ და მისგან რაც შეიძლება შორს იჭერდნენ თავს, ეს თვითონ ნიკიფორე არ ანებებდა თავს, ისინიც ვერასგზით ვერ უსხლტებოდნენ ხელიდან, რადგან ნიკიფორე ისეთ ხლართებს ხლართავდა, რომ იგი საჭირო პიროვნება ხდებოდა „ძლიერთა ამა სოფლისათა“-სთვის.

ისინიც ეძებდნენ მას,

თან გაურბოდნენ,

მაგრამ მაინც ეძებდნენ.

ნიკიფორემ საკუთარი თავისგან ერთგვარი სივრცე შექმნა, რომელიც თან დაჰქონდა კუსავით. დაცარიელებულ სივრცეს კი ვერაფრით ავსებდნენ, თუ არა ისევე ნიკიფორე და მისი პერსონის ატანა. იგი ზედმეტს არავის არასფერს თხოვდა. არც გავლენას ეწაფებოდა და არც პატივდიდებას. გავლენა თავისით მოდიოდა. სასახლეთა კულუარებში მუდამჟამს ცდილობდნენ, ხელში ჩაეგდოთ ეს უცნაური კაცი, იგი კი ყოველთვის მოუხელთებელი რჩებოდა მათთვის. კარგად იცოდა ნიკიფორემ, ელიტასთან რომ გაება თამაშები, აუცილებლად დაღუპავდნენ და იმ ოქროს წონასწორობას დააკარგვინებდნენ

რითაც ასე მომხიბლავია,

რითაც ასე საჭიროა,

რითაც ასე აუცილებელია

ნიკიფორე ირბახი.

ამიტომ მის ნაცნობთა სიაში არ ეწერა დიდგვაროვნები. იყვნენ კი სახელმწიფოთა უმაღლესი და უმდაბლესი წარმომადგენლები. კონტრასტი უაღრესია ისეთივე, როგორიც თვითონ ნიკიფორეა.

ჯერ კიდევ ყმაწვილმა გამოიმუშავა ისეთი თვისება, რომლითაც საკუთარი თავის აშკარა უპირატესობას აგრძნობინებდა ყველა გარშემო მყოფთ ისე, რომ ეს გამაღიზიანებელი არ ყოფილიყო, რა თქმა უნდა, გარკვეულ დრომდე. ეს გარკვეული დრო მისთვის საჭირო იყო იმისთვის, რომ გასცლოდა იქაურობას, სადაც იმ წუთს იმყოფებოდა. ასე იყო:

სწავლის დროს ყველანაირად ცდილობდა ცოდნოდა პედაგოგებზე მეტი, ხოლო დროთა განმავლობაში გალილეის გავლენის წყალობით ცდილობდა სცოდნოდა ისეთი რამ, რაც არავინ იცოდა. ამ უკანასკნელის განხორციელებას ხელს უშლიდა, არც მეტი და არც ნაკლები, საქართველო და მისი სავალალო ბედ-იღბალი, მასზე ზრუნვა და მისთვის თავდადება.

სწორედ განათლების სრულყოფის გზაზე მყოფს მოუსწრო თეიმურაზის უსტარმა, რომლითაც კახთა მეფე სთხოვდა საქართველოში დაბრუნებას. მანაც თადარიგი დაიჭირა და რომის პაპთან ითხოვა აუდიენცია. შეხვედრაზე პაპს განუცხადა, რომ იგი ივერიაში უნდა დაბრუნებულიყო. პაპმა პავლე V-მ შესთავაზა ნიკიფორეს პადრე გვილელმოსთან ერთად წასულიყო.

თანაც დასძინა პაპმა:

- პადრე თავგადასავლების მოყვარულია და ვიდრე ჩვენ შემოგვაკვდება ხელში, შენ წაიყვანე თან, იქნებ ოსმალოს ისარმა მიეწიოს, ან სპარსის ხრმალმა დააოკოს, ან სულაც იბერთა შორის კინკლაობისას შუაში ჩამდგარს აქედან ერთი მუშტი მოხვდეს, იქიდან - მეორე და ამით გონსმოსული დაგვიბრუნდეს ან ცოცხალი, ან მკვდარიო.

- კეთილი და პატიოსანიო, - დათანხმდა ნიკიფორე პონტიფიკოსს.

და მართლაც,

კონსტანტინოპოლ-ყოფილი ისტანბულის გავლით შე-

მოვიდნენ ქართველთა ქვეყანაში ნიკიფორე და გვილელმო და ეწვიენ მეფე თეიმურაზს. ნიკიფორე ჩასვლისთანავე კარის მოძღვრად აკურთხეს, პადრემ კი სამისიონერო საქმიანობა დაიწყო. რომიდან ჩამოსული მოძღვარი იმთავითვე ეუცხოვა ქართველობას, ერთი ხანი თვით მეფეც კი ნანობდა:

- რატომ ვიხმე ნიკიფორე კახეთსო. ყოფილიყო რომსა და ფლორენციაში, გენუასა და ვენეციაში და ეფილოსოფოსა იქ და აქ მის გარეშე გაცილებით წყნარად ვიქნებოდითო.

მაგრამ თვითონაც პიიტიკოსმა ძალიან მალე აუღო ალღო ამ უცნაურ კაცს. ნიკიფორე აცნობდა სპარსეთ-ოსმალეთთან ომში მიჯაჭვულ პატრონს მსოფლიოში მიმდინარე სიახლეებს. თეიმურაზი ერთი ხანი არ იჯერებდა ბევრ რამეს, მაგრამ როდესაც ნიკიფორემ გალილეის კომპასი უჩვენა და მისი გამოყენების წესი გააცნო მეფე დაფიქრდა და მეტი გულისყური ათხოვა თავის ერთგულ ქვეშევრდომს.

სულ ცოტა ხანში რჩევებისთვისაც იბარებდა თავისთან, რათა მოესმინა გასაოცარი საზრისი თავისი მოძღვრისა. ნიკიფორე იყო ის, ვინაც ურჩია თეიმურაზს, აბასთან მტრობა-მოყვრობას მასთან საქმიანი ურთიერთობა ჯობსო.

- მივცეთ პონტოსზე გასასვლელი, ამის გამო ჩვენ საჭირო ვიქნებით მისთვის და ჩვენს შეჭმაზე არ იოცნებებს და ვინც კი მოგვინდომებს ავს, თვითონ დაგვიცავს თავისი კაციჭამიებითო. გადამტერება, თუნდაც დამოყვრება კი მსხვერპლის მიახლოვებაა ლომთან და მეტი არაფერიო.

- როგორ მოახერხებ ამასო, - ჰკითხა მეფემ.

ჩაეღიმა ნიკიფორეს.

- ლევან დადიანი ხომ ნათესავად გეკუთვნისო?" - ჰკითხა მოძღვარმა.

თეიმურაზმაც დაუდასტურა.

- ესე იგი მასთან მოლაპარაკება არ გაგვიჭირდება, იგი ოსმალებს უნდა დავაპირისპიროთ, ისედაც არ უნდა იყოს ოდიში ოსმალოს მოყვარული და მადლიერი.

ხელი ჩაიქნია მეფემ:

- ლევანი ყმაწვილია, ჯერ ხეირიანადაც ვერ გამეფებულა ოდიშს, ვინძლო გურიელებმა და იმერელმა ბაგრატიონებმა ტახტი წაართვანო.

- არხეინად იყავი, მეფევ ბატონო, - მხარზე დაადო ხელი ნიკიფორემ, - ლევანი ის კაცი არაა, ვინმეს რომ დააჩაგვრინოს თავი. ორ-სამჯერ ვარ შენახვედრი მთავართან და იმთავითვე შევიცანი მასში ძალა დავითისეული. მას ხელი უნდა შევუწყოთ და ლიხს იქითა საქართველო მის ფერხთით იქნება გართხმული.

- კარგი, დავუშვათ ლევანთან ყველაფერი ისე იქნა, როგორადაც ბრძანეო, - შეაწყვეტინა თეიმურაზმა ნიკიფორეს მსჯელობა, - აი, აქეთ, ლიხს აქეთ რა ვქნათ?

- ესეც იოლად გადასაწყვეტი საქმეა. შეირთე ლუარსაბის დაი ცოლად, ეს ის იქნება, რაც შააბასის შემთხვევაში გითხარი მსხვერპლის მოახლოებისა.

- მსხვერპლის მოახლოებისა? - გაუკვირდა თეიმურაზს და ამ სიტყვამ ეგზომ დააფიქრა.

- დიახ, მეფევ ბატონო, მოახლოებისა. შენ გზა გაგეხსნება ქართლის ხელში ჩასაგდებად. მერე ერთი მტკიცე, გადამწყვეტი და სწორი ნაბიჯი და შენ ქართლ-კახეთის მეფე გახდები. უკან მომადლიერებული და მოქრთამული აბასი, წინ გალაღებული ლევანი მათი დამაკავშირებელი ერთმანეთთან შენ იქნები მხოლოდ. აბასი ანგარიშს გაგიწევს ზღვაზე გასასვლელის დაკარგვის შიშით, ლევანი აბასის შიშით ვერრას გეტყვის სიაუგეს. სპარსეთისთვის ოდიშის მიწაზე ფეხის დადგმა იმას ნიშნავს, რომ იგი ოსმალეთის ზურგში აღმოჩნდეს. მადა არ გაეზრდება შაჰს, მეტისმეტად შორსაა ოდიში სპარსეთისგან, და მიტომ. ოდიშიც, გამხნევებული ამათ მოკავშირედ გაიხდის აბასს ოსმალოსთან ბრძოლაში. შენ კი ამ თამაშში უჩინარი იქნები, ამასთანავე მთავარი მოთამაშე და ყველასი და ყველაფრის წარმმართველი. ბოლოს ლევანსაც დავათმობინებთ იმერეთის ტახტს, რადგან გორგასლიან-დავითიანი საქართველოს პატრონი ოდითგან ბაგრატოვანნი ყოფილან... ლევანს კი თავის სამთვაროს ხელუხლებლად დავუტოვებთ საბატონოდ. ერთიანი საქართველოს მეფის მორჩილების ფიცით. საქართველოს მთიანეთი კი მუდამ იმათი მოიმედე იყო, ვინც ბარში ბატონობდაო.

ხანგრძლივი პაუზის შემდეგ მეფემ ნიკიფორეს უთხრა:

- ლამაზად ლაპარაკობ, ღირსო მამაო, მაგრამ ერთობ სართულო საკითხებს ეხები და შეიძლება ისე არ წარიმართოს საქმეები, როგორც შენ დაგეგმე. მერე ხომ მთლად დაგვემხობა თავზე მთელი სამეფო.

- შენ ნება გამოთქვი ამისი და დანარჩენს ნაბიჯ-ნაბიჯ მე შეგასრულებინებ ისე, რომ მე არც კი გამოვჩნდები...

- რათა მე დამბრალდეს ყველაფერიო? - ჩაეღიმა თეიმურაზს.

- არა, რატომ დასაბრალებლად. საამყოდ და მატიანეში ჩასაწერად, რომ თეიმურაზ I-მა კახთა მეფემ დავითისდარი საქმე გააკეთა და აღმატებულიც. ორ მტერთა შორის მყოფმა ერი გააერთიან და აღადგინა ქვეყნის სიძლიერეო.

- რატომ ხარ ასე დარწმუნებულიო?

- ეს ალღოს კარნახი არაა, რომელიც შეიძლება შეცდეს. ეს არის გათვლა-გაანგარიშება ადამიანურ გრძნობებზე, იმ ადამიანებისა, რომელთანაც შენ გიწევს ურთიერთობა და მათი ნება-სურვილის გათვალისწინება გმართებს. მერე ყველა შენ დაგემორჩილება. საქართველო დიდი ქვეყანა არაა. მისი გაერთიანება და ერთი გვირგვინის ქვეშ მოქცევა საგარეო ვითარებიდან გამომდინარე რთული არაა, მაგრამ ურთულესია შიგნით საქართველოში ვითარების მოწესრიგება. თუმცაღა ესეც შესაძლებელია. მაგრამ ყველაზე საშური საქმე ის იქნება, თუ ყველა მონაპოვარს შეინარჩუნებთ შენცა და შენი შთამომავლებიც. სწორედ ამას და, შეიძლება ითქვას, მხოლოდ

ამას სჭირდება დიდი ჭკუა და გამჭრიახობაო.

- ერთი გონივრული რჩევა მივიღე ახლა, - დაასკვნა თეიმურაზმა, - ლუარსაბთან დამოყვრებაო. ლუარსაბისა და შააბასის დამოყვრებით ხელშეუხლებლობას მოვიპოვებ, თანაც ისეთს, როგორიც აროდეს ჰქონიათ კახთ-ბატონებსაო.

- ცდები, მეფევ ბატონო, - გაიქნია თავი ნიკიფორემ, - შაჰთან დამოყვრებით შეიძლება თავიც კი დაკარგო, არათუ მხოლოდ ტახტი. შენ პიიტიკოსი კაცი ხარ და ქვეყნიერებას შაირის სამყაროთგან უყურებ. მეც მიყვარს წყობილსიტყვაობა, თავადაც ვწერდი ლექსებს, მაგრამ როდესაც სახელმწიფოებრივ საქმიანობაზე მიდგება ჯერი, იქ კალამი გვერდზე უნდა გადავდოთ და ყველაზე არაპოეტური, იქამდე ვერაგული საქმენი ვაკეთოთ. ამას მოითხოვს ქვეყანა ჩვენგან და არა ლამაზად შეთხზულ ლექსებსო.

სიბრაზისგან ალმური მოეკიდა თეიმურაზს სახეზე. რა ექნა, არ იცოდა, ესღა მოიფიქრა:

- მეტეხის ტაძრის მოძღვრად გამიმწესებიხარ, მამაო ნიკიფორეო... - ცივად უთხრა თანამოსაუბრეს, ცივადვე დაუკრა თავი და დარბაზიდან ჩქარი ნაბიჯით გავიდა. ალბათ იმიტომ, რომ დაწყებული ლექსი დაემთავრებინა.

იმ წელიწადს მართლაც სამი ქორწილი ჩატარდა, თეიმურაზმა ყური არ უგდო ნიკიფორეს რჩევას და თავისი დაი მალევე ცოლად შერთო შააბასს. სულ მალე შააბასი შემოეწყო კახეთის ციხე-ქალაქებს და მოყვრის დარბევა დაიწყო. თეიმურაზმა საუცბათოდ მოძებნა პადრე გვილელმო, რათა სასწრაფოდ წარეგზავნა რომს და დახმარება ეთხოვა რომის პაპისთვის. ისიც დაუშურებლად გაემზადა წასასვლელად და მცხეთას არც კი იყო გაცდენილი, რომ მეკობრები დაესხნენ თავს და მოკლეს.

ბევრი მითქმა-მოთქმა ატყდა პადრეს მკვლელობის გამო. ზოგი სპარსეთის მსტოვრებსა და მოენეებს აბრალებდა, ზოგი სპარსეთის მოყვარულ ქართველ დიდებულებს, ასე რიგად რომ ელოდნენ აბასის ზეიმით შემოსვლას ივერიის მიწაზე,

ზოგი საეკლესიო მესვეურებს აბრალებდა, გულის წამღებად რომ ჩიოდნენ კათოლიკე ბერმა და მისმა მსტოვარმა ნიკიფორემ მრევლი წაგვართვაო,

ზოგი იმასაც ამბობდა, მექალთანე იყო პადრე გვილელმო და ერთ სოფელში გლეხ ქალს შევარდნია სახლში და გააუპატიურა. მერე მისმა ქმარმა, თუ ძმამ სისხლით აზღვევინა ცოდვაო,

ზოგი სულაც წიწამურის ტყეებში ჩამალულ მეკობრეებს აბრალებდა, ასე რომ იყვნენ გაწამებულნი მგზავრები მათგან.

ერთის სიტყვით, არსებითად ვერავინ ვერაფერი დაადგინა, დროც არეული იყო.

თეიმურაზს მოახსენეს პადრეს მკვლელობის ამბავი თუ არა, მეტეხის ტაძრითგან მოიხმო მამაო ნიკიფორე და შესთავაზა, რაც შეიძლება მალე დაეტოვებინა საქართველო, რადგან მტერი აოხრებდა კახეთის სანახებს. თვითონაც აპირებდა გახიზვნას დასავლეთში.

- აკი გითხარი, მეფევ ბატონო, არ გმართებს აბას ყაენთან არც მტრობა და არც მოყვრობაო...

- მაინც ვერ გავიგე რა უნდა მექნა, - უპასუხა თეიმურაზმა.

- უკვე გვიანაა, ამის ახსნაო, - უთხრა ნიკიფორემ.

- სად ინებებს თქვენი მეუფება თავის შეფარებასაო? - ჰკითხა მეფემ, - როცა გადაივლის განსაცდელი, მაშინ დაგაბრუნებ საქართველოშიო. გნებავს ეუროპას წაბრძანდი, გნებავთ ჩემთან ერთად იმერეთსა და ოდიშში გადავსახლდეთ. თქვენი აქ დარჩენა საშიში იქნება. ხომ ხედავთ, თქვენი თანამგზავრი პადრე გვილელმო მოკლეს უკეთურებმა. არადა, მის წარგზავნას ვაპირებდი რომის პაპთანაო. არ დაგვაცალეს, შინაურთაგანი იყო გამცემი, ხოლო ამ მოგზაურობის წინააღმდეგი - ან უშუალოდ მკვლელი, ან დამკვეთი. სხვა მიზეზი გამორიცხულია. შენც ეუროპელ მსტოვრად მიაჩნიხარ მტერს და ეს მაფიქრებინებს იმას, რომ შენც უნდა გაიხიზნო იქედან რაც შეიძლება სწრაფადო.

- მაშინ, თუ ასეა, იერუსალიმს წავალ, წმინდა ქალაქს მოვილოცებ. საწირავს გავცემ ივერიის მეფეების სახელზე, თუ ამის ნებას დამრთავ, იქნებ უფალი შეგვეწიოს, მოწყალება გაიღოს ჩვენს ტანჯულ სამშობლოზე და გადაარჩინოს შაბასის განსაცდელისგან.

- შესაწირავთა წიგნს მოგართმევ და ჩემი კაცების თანხლებით ამაღამვე დატოვებ საქართველოს. ძვირფასეულობასა და სამკაულებს სულ ცოტა ხანში სამეფო ბეჭდით დავლუქავ და მოგართმევ, საჭირო თანხას ხაზინადარი გადმოგცემსო.

მართლაც ყველაფერი საჩქაროდ აღასრულა თეიმურაზ მეფემ, რადგან დაყოვნების დრო არ იყო. თავადაც ჩქარობდა, ლიხის ქედზე უნდა გადაესწრო აბასისთვის, რათა ხელში არ ჩავარდნოდა შაჰს. გამომშვიდობებაც ხანმოკლე იყო მეფესა და მოძღვარს შორის. არც ერთმა იცოდა, შეხვდებოდნენ თუ არა ისინი ოდესღაც ერთმანეთს. ამიტომ ორივე დუმდა, აღარ იყო ყვედრების, არც რჩევა-დარიგებების დრო საკუთარი გონების აღმატებულების გამოსავლენად. ახლა, ამ საშიშ ადგილებს უნდა გასცლოდნენ. შეყოვნება ნიშნავდა, ხელში ჩავარდნოდი მთელის ავლა-დიდებითა და ჭკუა-გონებით შაბასს. სპარსეთის ლომი კი რას მოიმოქმედებდა, ამას წინდაწინ ვერავინ გათვლიდა.

გასაქცევად მოსახერხებელი სამოსით შეიმოსენ. შავი ფერის იყო ეს სამოსები, ღამით აპირებდნენ ქვეყნიდან გაპარვას. მართლაც, ტყე-ტყე იარეს ყველასათვის შეუმჩნევლად მამაო ნიკიფორემ და მისმა ამალამ. დღისით ისვენებდნენ და შებინდებისას განაგრძობდნენ გზას. ორ დღეში დატოვეს საქართველო და მცირე აზიაში გადაინაცვლეს. ანატოლიის გავლას, ბუნებრივია, უფრო დიდი დრო დასჭირდათ. ახლა იგრძნო ნიკიფორემ, თუ

როგორი მცირე იყო საქართველო და როგორი დაუცველი გარემოცული ძალებისაგან. ამანაც დააფიქრა და ისე დააფიქრა, რომ ისე ჩააღწიეს იერუსალიმამდის, ვერ გაიგო. ყველაფერს მამაო ნიკიფორეს მხლებლები უზრუნველყოფდნენ -

გადაადგილების სისწრაფესაც,

საშიშროებისაგან თავდაცვასაც,

მიმართულებასაც,

შესვენების ადგილმდებარეობასაც განსაზღვრავდნენ;

საკვების მოპოვებაზეც ზრუნავდნენ.

ისინი ხედავდნენ, რომ მამაო რაღაცაზე ფიქრობდა და ისე ფიქრობდა, რომ გაიტაცა ამ ფიქრებმა. განსაკუთრებით ეს მესოპოტამიის დაბლობის გადავლისას შენიშნეს, ხოლო როდესაც ეფესოსა და ანტიოქიას გასცდნენ და ფეხი შედგეს არაბეთის უდაბნოში, მამაო ნიკიფორე მეტად ჩაულრმავდა თავის ფიქრებს და თითქმის საკვებსაც არ იღებდა, არც სასმელს ეტანებოდა მაინცა და მაინც, მხნედ კი გამოიყურებოდა, ოდნავადაც არ დასუსტებულა. მის მცველებსა და თანმხლებით უკვირდათ, როგორ პოულობდა მამაო საკუთარ თავში ძალას, გამკლავებოდა უდაბნოს სიმხურვალეს თითქმის უჭმელ-უსმელად. სხვა შემთხვევაში მგზავრობის ყველა ტვირთს თვითონ აიღებდა საკუთარ თავზე. თითქმის უბრად იმყოფებოდა, ხანდისხან თუ წამოიძახებდა გაურკვეველ სიტყვებს. ამა თუ იმ ენაზე. იყო შემთხვევები, როცა ხმამაღლა ფიქრობდა, მაგრამ ვინაიდან ამალამ არ იცოდა ესა თუ ის ენა, ვერ გებულობდნენ მამაოს ფიქრთა შინაარსს. ერთხელ წამოსცდა მხოლოდ ქართული სიტყვები:

- ეხ, საქართველო, საქართველოო!

ეს იყო და ეს.

გამოლაპარაკებისას მხოლოდ მოკლე პასუხებს იძლეოდა. მას უგუნებობა არ ეტყობოდა, მხოლოდ ფიქრობდა და არ უნდოდა ამ ფიქრში ხელი შეშლოდა ყოფითი გარემოებების გამო.

ამ მდგომარეობაში იმყოფებოდა, ვიდრე არ მიაღწიეს გალილეის ზღვას. ისინი ბეთსაიდასთან ახლოს შეჩერდნენ.

საღამო ხანი იყო. ტალღების შხუილმა მოანდომა ზღვაში გაბანავება. წყალში შესული საამქვეყნოს მობრუნდა და შორს გასცურა. როცა ნაპირზე ამოვიდა, იკითხა:

- მალე მივაღწევთ თუ არა წმიდა ქალაქამდეო?

- იერუსალიმი ორი დღის სავალზეაო, - უპასუხეს ნიკიფორეს.

- ეს გალილეის ზღვააო?

დაუდასტურეს.

- ჩვენ ბევრი ვიმგზავრეთ, საშიში გზებიც გამოვიარეთ. ახლა ტანზე უნდა გამოვიცვალოთ და არაბი ბედუინების სამოსით შევიმოსოთო, - უთხრა ნიკიფორემ მხლებლებს.

მათ ერთმანეთს გადაულაპარაკეს:

- ნუთუ არაბული ენაც იცისო?

გაეღიმა მამაო ნიკიფორეს:

- არხეინად იყავითო, - უპასუხა მათ, - იმისათვის, რომ მშვიდობიანად ვიმგზავროთ ქვეყნიერებაზე, საამისოდ ყველაფერი ვიციო. ისიც, ვის რა ტყუილი და ვის რა მართალი ვუთხრა, რათა დამხმარენი და გულშემატკივარნი შევიმატოთო.

ორი დღე დაყოვნდნენ მგზავრები გალილეის ზღვის პირას. მერე უცებ აიყარენ და შეუსვენებლივ დღენახევარში ჩავიდნენ იერუსალიმს.

ქართველთა წიაღში რომ იგრძნეს თავი, მამაო ნიკიფორეს ჰკითხეს მისმა მხლებლებმა:

- ღირსო მამაო, რაზე ფიქრობდი მგზავრობის დიდ წილსო?

მაცდურად გახედა შემკითხველს ნიკიფორემ და შესცინა სახეში:

- ვფილოსოფოსობდი ჩემთვისო, ასე გზა უკეთ გაიოლდებოდაო.

ვერ გაიგო იმ შემკითხავმა, რომ პასუხის გამცემი ამ შემთხვევაში არც ტყუოდა და არც არაფერს მალავდა, განსხვავებით სხვა უამრავი შემთხვევისა.

- როცა რაიმეს დაფარვა მინდა, - განმარტა ნიკიფორემ, - ვერც სახეზე, ვერც საქციელზე ვერ შემატყობ, რაიმე თუ მაქვს დასაფარი და დასამალავი. ამ დროს ეჭვს არვის თვალში არ აღვძრავო. ეს წესი უნდა დაიმახსოვრო და ცხოვრებაში გამოიყენო.

განუწყვეტლივ მოჰქონდა მამაო ნიკიფორეს სავანერში ახალ-ახალი ამბები საქართველოდან, დილით უთენია გადაიცვამდა ან დერვიშის სამოსს, ან ბედუინივით შეიმოსებოდა, ან ბეგების აღკაზმულობით მოირთვებოდა. იდუმალ გადიოდა მონასტრიდან და დაღამებულზე ბრუნდებოდა. ამალას ბერების ანაფორები გადააცვა, რათა ტაძარში არ შექმნილიყო ზედმეტი უხერხულობა და მითქმა-მოთქმა. ზოგჯერ თვითონაც ლოცულობდა, ან წიგნთსაცავში მუშაობდა დილიდან დაღამებამდის.

ერთხელ შუა ლოცვის დროს, როცა საცეცხლურით ჩამოუარა ტაძარს, რაღაც უცნაურმა ძალამ გააჩერა. მხოლოდ გაჩერება არ იყო ეს, უფრო გახევდა გაოგნებისაგან.

ყვირილი უნდოდა, ხმას ვეღარ იღებდა,

უნდოდა თანმხლებთათვის რაღაც ენიშნებინა,

სხეული ვეღარ დაძრა ადგილიდან.

- ხომ კარგად ხარ, მამაო?

- აქეთ წამობრძანდი, თქვენო ღირსებავ, და დაჯექიო, - შესთავაზა მოსვენება ერთ-ერთმა თანმხლებთაგანმა.

- არაო, - ანიშნა.

- რა მოხდა, მამაო? - გაუმეორა კითხვა.

იქვე ვიღაცამ წყალი მიაწოდა. მანაც მოსვა წყალი, სული მოითქვა და უთხრა:

- რუსთველის ფრესკა!!! - გახარებულმა გადახედა თანმხლებთ, - ვიპოვე!!! მისი კვალი აქ არისო!!!

არც ერთმა თანმხლებმა არ იცოდა, ვინ იყო რუსთველი და რა მნიშვნელობა ჰქონდა ქართველობისთვის ამ აღმოჩენას. ვიღაცამ ესეც იკითხა:

- ვინ არის რუსთველი?

ამ კითხვამ კიდევ უფრო გააოცა მამაო ნიკიფორე:

- ამ დღეს ორი აღმოჩენა გავაკეთეო, - თქვა მან, - ერთი ის, რომ სულმნათი რუსთველის კვალს მივაგენი, მეორე კი ის, რომ ქვეყნად არსებობს ისეთი ქართველი, ვინაც არ იცის რუსთველის ვინაობაო.

მან, ვინაც არ იცოდა მეჭურჭლეთუხუცესი შოთას ვინაობისა და დამსახურების შესახებ, მოიბოდიშა:

- ესაო-და, წერა-კითხვა არ ვიცი და მწერალი საიდან მეცოდინებოდაო.

მამაო ნიკიფორემ დაჟინებით ჰკითხა:

- დაი თუ გყავსო?

- მყავსო, - უპასუხა.

- გათხოვილიაო?

დასტური უთხრა თავის დაქნევით.

- მზითევი თუ გაატანეთო?

- რა თქმა უნდაო, - და თავისით ჩამოყვა დაახლოებით, რაც ახსოვდა.

წიგნებიც ახსენა - ოთხთავი, საგანგებოდ მისთვის შეკვეთილი გადამწერთათვის,

- ...და კიდევ ერთი, შაირთა დიდი წიგნი, საგვარეულო წეს-ჩვეულებისამებრ შვილიდან შვილზე გატნეული მზითვად... და ეს წიგნი მეოთხე თუ მეხუთე თაობაა, რაც ოჯახიდან ოჯახში გადადის მზითვადაო.

- სწორედ ამ წიგნის დამწერია შოთა რუსთველიო, - განუმარტა მამაო ნიკიფორემ.

მერმე თვითონ ითავა ამ კაცის განსწავლა და ჯერ წერა-კითხვა დაასწავლა, შემდეგ კი მონასტრის წიგნსაცავში დაცული „ვეფხისტყაოსნის" ხელნაწერი მისცა და უთხრა:

- გაეცანიო.

მანაც კარგა ხანი მოანდომა წიგნის წაკითხვას. როგორც გამოირკვა, ზოგი რამ სცოდნია „ვეფხისტყაოსნიდან", ზოგი რამ პირველად შეიმეცნა. ბოლოს სხვათაშორისად ჰკითხა მამაო ნიკიფორემ:

- განათლებული და წარჩინებული ოჯახის შვილად გიცნობ, და ასეც არის. ეს როგორ დაგემართა ან შენ, ან შენს მშობლებს, წერა-კითხვა რომ არ დაგასწავლესო?

- ეჰ, ღირსო მამაო, - ღრმად ამოიოხრა ამ კაცმა, - სულმნათი მამაი ჩემი მუდამ-დღე სვიმონ მეფეს ახლდა ლაშქრობებში. მისი მარჯუენე ხელი ყოფილა. მეც საომრად მწვრთნიდა და როდესაც ქართლის მეფე იმერეთს გადავიდა და ზედიზედ სკანდას, კვარას, კაცხისა და სვირის ციხენი აიღო და შემოუდგა ქუთაითისს, მამამან ჩემმან მეფის დასტურით მალემსრბოლი წარმოაგზავნა დედა-ციხეში ჩემს წამოსაყვანად, დედას ჩემსას შეუთვალა „ჩვენმა მემკვიდრემ საკუთარი თვალით უნდა იხილოს საქართველოს გაერთიანება და ამისთვის ნორჩი მკლავიც უნდა გასარჯოსო. სწავლა-კითხვის დრო არ არისო, - წიგნად მისწერა, - ამას მერმეც მოესწრებაო. მართლაც ვინ გადავიდოდა მამის-ჩემის ბრძანებას. როცა იმერეთს გადამიყვანეს, სვიმონ მეფეს ქუთათისი უკვე აღებული ჰქონდა და ემზადებოდა ოდიშს გასალაშქრებლად, რათა დაეტყვევებინა მანუჩარ დადიანი და როსტომ იმერთა მეფეი. სვიმონ მეფისთვისაც და მამის-ჩემისთვისაც საბედისწერო ბრძოლა ოფშკვითს გაიმართა. მე მეფის კარავში ვთვლემდი, როცა მამაი დაიღუპა. მის მერმე შევიძულე ოდიშელნი და თუ ვინმე მათგანი შემომეგებება, უთუოდ თავს წავაცლი.

მერმე იყო, სულმნათმა სვიმონ მეფემ ჩემზე მეურვეობა იკისრა და გვერდიდან არ მიცილებდა. ოფშკვითს იმერელ დიდაზნაურთა ღალატის წყალობით ნაწვნევი მარცხით გათამამებული ოსმალები ლორეს ციხითგან გამოვიდნენ და შემოესიენ ჩვენს მამულებს. თურქთა შიშით ჩემი ოჯახი დედა-ციხითგან ტფილისს გაიხიზნა, მე კი ისევ მეფეს ვახლდი, ტაშირს რომ მიიჭრა და განდევნა მამულითგან შემოძალებული მტერი. არც მაშინ ეცალა ვისმეს, ჩემთვის რომ წერა-კითხვა ესწავლებინა.

როცა სვიმონ მეფე ალექსანდრე კახთა მეფესთან ერთად აბას ყაენს ეახლენ, რათა კავშირი შეეკრათ ოსმალო თათრის წინააღმდეგ. მამობილმა ისპაანს მეც წამიყვანა. მაჩვევდა სამეფო კარზე მოქცევის წესებს, მაგრამ წერა-კითხვას არა და არ მასწავლიდა. სამმა მბრძანებელმა ერთობლივად წიგნები მისწერეს რომის პაპს, ავსტრიის იმპერატორსა და ესპანიის მეფეს. წიგნები მე გამატანეს, ალექსანდრემ რომ ჰკითხა:

- რით ენდობი ამ ყმაწვილსაო,

სვიმონმა ღიმილით მიუგო;

- ნუ შიშობ, იგი გულადია, თან წერა-კითხვა არ იცისო. წიგნებს უვნებლად ჩააბარებს თავ-თავის პატრონსაო, თვითონ არ ეცოდინება წიგნებში დაწერილი შინაარსი, ისეო. მერმე მამა-შვილურად მომიბრუნდა და მითხრა:

- არ ინაღვლო წერა-კითხვა რომ არ იცი. მერწმუნე, შვილო, ზოგჯერ წერა-კითხვის უცოდინრობა სჯობს ნაკითხობასო. ყოფილა შემთხვევები, მინატრია, ნეტა სულაც არ მცოდნოდა წერა-კითხვაო.

- ნუ ფიქრობ, პატრონო და მფარველო ჩემო, - ვუპასუხე მეფეს, - ღმერთმა რაც მომმადლა და შენ რა წყალობაც მოიღე ჩემზე, იმის მადლობელი ვარო.

გაუხარდა მეფეს ჩემი პასუხი. წიგნები და ოქროს ფულებით სავსე ხუთი-ექვსი ქისა გადმომცა, გამომაყოლა თარჯიმნები და მცირე შეიარაღებული ამალა და ეუროპას გამისტუმრა. სრული ერთი წელი მოვანდომე წიგნების პატრონთათვის დარიგებას. არც პაპმა და არც მეფე-იმპერატორებმა არ ინებეს საპასუხო წიგნების მოწერა. ყველა მათგანთან თითო თვე ვიცდიდი, იქნებ რაიმე ზეპირად შეუთვალონ წიგნთა პასუხადო, მაგრამ ისე დავტოვე მათი სამბრძანებლოები, მათ არა გაუგიათ რა. შინ რომ დავბრუნდი, ვფიქრობდი, რა პირით შევხვდე

მეფეს-თქო, მან კი გულით გაიხარა ჩემი დაბუნების ამბავი რომ შეიტყო. თავისთან მიხმო. ყველაფერი გამომკითხა საპასუხო წიგნების გარდა. ვიუხერხულე და ვუამბე მეფეს:

- ასე იყო და ასე-მეთქი, მთელი თვე ველოდი პაპს, მერმე გადავედი აუსტრიას, მის იმპერატორსაც მთელი თვე ველოდი, მერმე ესპანიას გეახელი და მის მეფესაც მთელი თვე ველოდი, პასუხი არც ერთმა მათგანმა არ მოგცეს-თქო.

- ნუ ფიქრობ მაგაზეო, - დამიყვავა მეფემ, - ახლა ომი გვაქვს ოსმალოსთან. გორს შემოვეწყვეთ და უკვე ეუროპის გარეშე ვიომებთ, გადავდენით მტერს ქართლის სანახებითგანო.

მერმე იყო, გორი ავიღეთ და ახალი ომი წამოგვიწყო გადამთიელმა. მერმე ნახიდურთან დავმარცხდით და ფაცხისს ხელმეორედ დაატყვევეს სვიმონ მეფე. ბოლომდის ვახლდი პატრონს. ოსმალებმა შვიდკოშკაში რომ ჩაამწყვდიეს იგი, იქაც მისი ჭირისუფალი ვიყავი. თათარმა ვიღაც მორიგი ხარჭისგან ნაშობ მეფის შვილად ჩამთვალა.

- გული არ მოგივიდესო, - მითხრა სვიმონმა, - თავი რომ დააღწიო ტყვეობას, შენთვის ასე აჯობებსო. როცა მოვკვდები ჩემს ცხედარს გაგაყოლებენ და შენც სამშვიდობოს გააღწევ და მეც ქართულ მიწას მიმაბარებთ. მეტი უკეთესი მადლი რა გინდა, რომ ჰქნა ქვეყნად. მერწმუნე, არანაკლები საგმირო საქმეა ხრმალ-ფარის ქნევაზე მიცვალებულთა გაპატიოსნებაო.

- რასა ბრძანებ, მეფევ ბატონო, - ვუთხარი თვალცრემლიანმა, - ყველაფერი ისე იყოს, როგორც გენებოს, ოღონდ არა სიკვდილი. ჩვენ ერთად დავაღწევთ თავს ამ ტყვეობასაო.

- ასეც იქნებაო, - შემაწყვეტინა სიტყვა მეფემ, - ჩვენ ორივე ერთად დავაღწევთ თავს ამ ტყვეობას, ოღონდ შენ ცოცხალი და მე მკვდარიო. ბრძოლებსა და ტყვეობებში დავუძლურდი. ვიცი, რასაც ვამბობ, ვგრძნობ მოახლოებულ დასასრულს, და მიტომო.

ამ ნათქვამიდან ერთი წელიც არ გასულა, რომ ყველაფერი ისე მოხდა, როგორც სვიმონ მეფემ დასახა. რომ მოვიპოვეთ სიმშვიდე ტყვეობაში,სინანულით მითხრა მეფემ:

- ახლა კი ნამდვილად გასწავლიდი წერა-კითხვას, მაგრამ ამისათვის არაფერი გაგვაჩნიაო.

- ახლა აღარ დაგვჭირდება წერა-კითხვა-მეთქი, - დავამშვიდე.

- არაო, - მიპასუხა, - წერა-კითხვა ადამიანს ყოველთვის სჭირდება. უბრაოდ მაშინ გატყუებდი, რადგან შესაფერისი მოცალეობა არ გაგვაჩნდა და შენი უწიგნურობა მჭირდებოდა, რათა ეუროპაში გულდამშვიდებულს გამეშვი. ახლა ვნანობ და მაპატიე ამის გამოო.

მე ვერ ვხვდებოდი მეფის ამ სიტყვებს, ვიდრემდე შენ არ მასწავლე წერა-კითხვა, ღირსო მამაო და ვიდრემდე არ ვეზიარე რუსთველის ნაქმნს. გული არ მომდის მეფეზე, რადგან ქვეყნისთვის ასე იყო საჭირო, ახლა კიდევ როცა მშვიდად ვართ, მხოლოდ მაშინ ვისწავლე ის, რაც უნდა ესწავლებინათ ბავშვობაშიო.

- არ იფიქრო, - უთხრა დიდი ხნის დუმილის შემდეგ მამაო ნიკიფორემ, - რომ ჩვენ ოდესმე დამშვიდებულნი ვიყოთო. ახლაც კი, სამშობლოდან მოშორებით, თქვენ არ იცით, თორემ აქაც არა ვარ მშვიდად, სულ დავიარები წმიდა ქალაქში და ახალ ამბებს ვგებულობ საქართველოსას, იქ რომ ვერ გავიგებთ, ისეთსაც - რა ხდება ქართველ მეფეთა სასახლეებში, ხალხში რა განწყობაა, ვინ უპირებს ივერიას დალაშქვრას და აბას-ყაენის ლაშქარი სად დგას და რასა იქმსო. ასეთებს ბევრს გაიგონებ, თუ კარგად მიუგდებ ყურს აქაურობას. ზოგს თვითონ მოაქვს ამბავი, ზოგიც შენ უნდა გაიგონო, მიდგე, მოდგე და ისე. ვითარების გამოკეთების უმალ აქედან დავიძრებით და შინ დავბრუნდებითო.

ვინაიდან ფრესკაზე გამოსახული რუსთველი ნახეს ქართველმა მომლოცველებმა, მამაო ნიკიფორემ ისიც ივარაუდა, საეკლესიო დავთრებშიც იქნებ ყოფილიყო მოხსენიებული მგოსნის სახელი და ისევ წიგნთსაცავს მიაშურა. ყველა დავთარი და სიგელ-გუჯარი გადაიხილა, ბოლოს აღაპთა წიგნში მიაგნო მეჭურჭლეთუხუცესი შოთაის კვალს. ისევ მივიდა ფრესკასთან, ხმამაღლა წაიკითხა:

„ამის დამხატავსა შოთას შეუნდვნეს ღმერთმან. ამინო.“

მერმე დამარცვლით წაიკითხა და ხელი გააყოლა ფრესკის გვერდით დაწერილს:

„რუსთველი.“

იდგა აცრემლებული ღირსი მამა მონასტრის მარჯვნივ მეორე სვეტთან მაქსიმე აღმსარებლისა და იოანე დამასკელის დიდ ფრესკებს შორის ჩახატულ პორტრეტთან და ჩუმად „სულთათანას“ უკითხავდა „ამის დამხატავსა შოთას“ და შენდობას უთვლიდა მისი სულისათვის უფალს.

მონასტრის მიღმა ქვეყნიერებაზე დიდი ძვრები მზადდებოდა.

ერთ დღეს ნიკიფორე მოუსვენრად იყო.

სადღაც გადიოდა,

მერე ბრუნდებოდა,

მერე ისევ გადიოდა და

ასე გრძელდებოდა რამდენიმე დღის განმავლობაში.

მან მოსვენება მაშინ დაკარგა სრულად, როცა მეოთხე თუ მეხუთე დღეს მასთან თეიმურაზ მეფის მსტოვარი ჩამოვიდა.

- ისტანბულში ვარ და სასწრაფოდ ჩამოდი. მხლებლები მანდ დატოვე, ვინმემ რომ რაიმე არ იეჭვოსო, - იტყობინებოდა მეფე.

მართლაც მამაო ნიკიფორემ დაუძახა თავის მხლებლებს:

- სინაის მოსალოცად მივყვები ანტიოქიელ მომლოც-

ველებს და რამდენიმე დღე არ ვიქნებიო. აქ მელოდეთ და ერთი კვირის თავზე თუ არ ჩამოვედი, ან არ მოგაწვდინეთ ხმა, უჩუმრად წადით აქედან და დაიშალეთო.

სხვა არაფერი უთქვამს მამაო ნიკიფორეს, არც მისმა მხლებლებმა ჰკითხეს რამე, აზრი არ ჰქონდა, მაინც მიკიბ-მოკიბავდა რაღაცას და სიმართლეს მისგან ვერ გაიგებდნენ.

არავინ იცოდა რაზე თათბირობდნენ ნიკიფორე ირბახი და თეიმურაზ მეფე ისტანბულში, რა ხლართებს ხლართავდნენ. ერთი კი ამბად გაიგო მეფისგან ნიკიფორემ, ოსმალოსთან კავშირის შეკვრის წყალობით ორი-სამიოდე წლის წინ ომი გაუმართეს შააბასს და ლამის იყო არდებილი აიღეს.

- მძიმე მდგომარეობაში ჩავაყენეთ სპარსეთის შაჰი, მაგრამ შეგვეშინდა, არდებილის აღებით ზიანი არ მიეყენებინა აბასს დედის-ჩემისათვის - ქეთევანისათვის და ჩემთა შვილთათვისო.

ეს ამბები ყურმოკვრით განაგონი ჰქონდა ნიკიფორეს, მაგრამ დაწვრილებით არა. იგი ახლა მთელის არსებით ერთვებოდა საქმეში. ჩრდილში ჯდომის დრო წავიდა. სწრაფი მოქმედება იყო საჭირო. მეფისგან დავალება მიიღო, რა თქმა უნდა სამძიმო და საშიში, როგორმე უნდა დაეხსნათ აბას-ყაენის ტყვეობითგან თეიმურაზის დედა და შვილები ისე, რომ კვალი არ დაეტოვებინათ. საამისოდ აძლევდა რა ამ დავალებას, თეიმურაზმა კარგად იცოდა, რომ შეუძლებელი იყო ამ დავალების შესრულება, მაგრამ მაინც რაღაც იმედისმაგვარი ჰქონდა. ამ „რაღაცას" თვით ნიკიფორე ირბახის გონებაგამჭრიახობა განაპირობებდა.

- ჩემო მეფეო, - უთხრა მან, მოისმინა რა მეფის დავალება, - ეს სასოწარკვეთილი კაცის ნაბიჯიაო. მაგრამ რაც არ უნდა მოხდეს, შენ მაინც მეფედ დარჩები. მთელი საქართველო და ახლა უკვე ეუროპაც ქეთევან დედოფალს შესცქერის. ყველა სასწაულის მოლოდინშია და ჩვენც ჩვენის მეცადინეობით არ უნდა წავუხდინოთ მსოფლიოს ეს მოლოდინი. შენიც მესმის, მაგრამ ეს მოლოდინი უფრო ღირებული და ფასეულია, ვიდრე თქვენი დედა-შვილობის გრძნობა. გარემოებათა ვითარებამ დედოფალი ზეპიროვნებად აქცია. ჩემო მეფეო და დედის ღირსეულო შვილო, შენც უნდა იქცე ზეპიროვნებად. თუ არა ასე, ყეენი აქამდისაც მოუსწრაფებდა სიცოცხლეს როგორც დედოფალს, ასევე უფლისწულებს. აბასი თავის ტყვეებს თვალს არ აცილებს, ეს დავალებას, რა თქმა უნდა, ართულებს.

- შენ, ღირსო მამაო, შეგიძლია უარი მითხრა ამ დავალების შესრულებაზე, გული არ დამწყდება. კარგად მესმის, ამით შენს ძვირფას სიცოცხლეს საფრთხეში ვაგდებ, მაგრამ ივერიაში კაცი არ მეგულება შენსავით რომ შეასრულოს ეს დავალება. ამისდა მიუხედავად, მე იმასაც არ გამოვრიცხავ, რომ შენაც ვერ შესძლო ეს, იმდენად უცნაური კაცია შაჰიო.

- რასა ბრძანებ, მეფევ ბატონო, ქეთევან დედოფლისთვის თავსაც გავწირავ, რა სათქმელია, ჩემთვის დიდი პატივიცაა ჩემდამი ესოდენ დიდი ნდობის გამოჩენაო.

მამაო ნიკიფორემ უმალ აფრინა შიკრიკი იერუსალიმს. ჯვრის მონასტერში დარჩენილ თავის ამალას შეუთვალა:

- ჩუმ-ჩუმად დატოვეთ სათითაოდ მონასტერი. კავშირები არ უნდა გავწყვიტოთ, რათა სწრაფად მოვიძიოთ ერთმანეთი. საჭიროება სისწრაფეს ითხოვს, მაგრამ აუჩქარებელსო, - თანაც დასძინა, - ჩემი წარმოგზავნილი კაცის მეშვეობით მექნება თქვენთან კავშირი. მას უნდა უთხრათ, ვინ როდის და სად წახვალთ, სად დათქვამთ შეხვედრის ადგილსო.

ერთმანეთს გადაულაპარაკეს:

- მამაო ნიკიფორე სრულიად შემთხვევითაა მღვდელი, ან არადა მღვდლის ანაფორაში გადაცმული ჯაშუშიაო.

საჭირო თანხა ყველა მათგანს გადასცა ნიკიფორეს კაცმა. ისინიც სათითაოდ ჩუმად გაიპარენ მონასტრიდან ისე, რომ მათი წასვლის შესახებ არავის არაფერი შეუტყვია. ყველაზე ბოლოს შიკრიკმა დატოვა სავანე. მხოლოდ ამის შემდეგ მიხვდნენ ბერები, რომ მამაო ნიკიფორე და მისი კაცები მონასტრიდან გაპარულანო. გადაამოწმეს ტაძრის ქონება, ხომ არაფერია მოპარულიო. შემოწმების შემდეგ მოახსენეს წინამძღვარს:

- ყველაფერი ადგილზეაო. მამაო ნიკიფორეს და მის კაცებს არაფერი წაუღიათო...

- გამოდის, ვიღაცის მსტოვრები იყვნენ და რატომღაც თავს აფარებდნენ ჩვენს მონასტერსო. ღმერთმა უშველოთ, თუ სასიკეთო საქმისთვის აქვთ ხელი მოკიდებულიო, - დალოცა ტაძრის წინამძღვარმა და ბერებს დაავალა, როგორც აქამომდე იყო, განეგრძოთ მოღვაწეობა.

ბევრი რამ შეიტყო მამაო ნიკიფორემ სტამბულში ყოფნისას. ამბავი ჩამოიტანეს, აბას-ყეენმა ქართლის მეფე სვიმონს ვექილად გიორგი სააკაძე დაუნიშნესო. მანაც, არც აცივა და არც აცხელა, შემოირიგა თავისი მეტოქე თავადები, თეიმურაზ მეფესთან თავისი კაცი გამოგზავნა სტამბულს, რათა ერთიანი ძალით დასხმოდნენ თავს შააბასს, ან სულაც შემოეტყუებინათ ქართლში და სამუდამოდ დაეტოვებინათ იქ. ამას დაემატა ერთი უცნაური ამბავიც, რომელმაც მთელი ქვეყნიერება მოიარა:

გრძნობდა რა აბას-ყეენი საგარეო საშიშროებას, რომელიც გამოწვეული იყო თეიმურაზისა და მოურავ-ხანის კავშირის შეკვრით, ავადმყოფურად ეჭვიანი გახდა ყველაფერზე, საკუთარ შვილებზეც კი. ალბათ არც თუ უსაფუძვლოდ. იგრძნო შეთქმულების ნიავ-ქარი, საკუთარი შვილები ხუდაბენდე-მირზა და ისმაელი-მირზა დააბნელა. დაბნელებულმა ხუდაბენდემ მამაზე შურისძიების მიზნით საკუთარი შვილი ფატიმა თავისივე ხელებით დააჩრჩო. უსაზღვროდ უყვარდა შაჰს ფატიმა და მასთან ბედნიერად გრძნობდა თავს, მრისხანებისა თუ მწუხარების ჟამს ფატიმას იხმობდა და მასთან ურთიერთობით იქარვებდა დარდებს. ეს სიამოვნება მოაკლო სწორედ მამას

ბნელმა შვილმა. ამაზე გახელებულმა აბასმა და იმაზეც, რომ თეიმურაზ-ხანი არ ცხრებოდა და ჯერ ოსმალეთს გადაიხვეწა და იქედან ელჩები გაგზავნა რუსეთს ახლადარჩეულ მეფე მიშკა რომანოვთან, მოუსვენარი თეიმურაზ-ხანის შვილები ალექსანდრე და ლევანი დაასაჭურისებინა თავის ჯალათებს.

დამწუხრდა თეიმურაზი, ბუნებრივია ბავშვების გამოტაცებას აზრი აღარ ჰქონდა. ერთის ცხედარი და ერთიც ჭკვაზე გადამდგარი დააბრუნეს. ახლა სასწრაფოდ საჭირო იყო ქეთევან დედოფლის დახსნა, არავინ იცოდა როდის დადგებოდა მისი ჯერი. ნიკიფორეს რჩევით თეიმურაზმა იძულებითი უარი შეუთვალა გიორგი სააკაძეს კავშირის შეკვრაზე და ისე მიაწოდა ეს უარი მოურავხანს, რომ მისთვისაც გასაგები ყოფილიყო ამ უარის აუცილებლობა. თანაც თეიმურაზმა შესთავაზა სააკაძეს:

- კავშირი შეკარ გიორგი იმერთა მეფესთან. რაც არ უნდა იყოს, პატივმოყვარე კაცია და მარტო არ დაგტოვებს შაბასთან ბრძოლაშიო.

ცოტა ხანში ოსმალეთში ჩამოიტანეს ამბავი - გიორგი სააკაძე წვევია გიორგი იმერთა მეფესა და ლევან დადიანთანაც სტუმრობდაო. ეს უკანასკნელი შეუმოწმებელი ამბავი იყო, მაგრამ ამას არსებითი მნიშვნელობა არ ჰქონდა.

ახლა საჭირო იყო სწრაფად დაეხსნა თეიმურაზს თავისი დედა შაჰის კლანჭებიდან და მერმე უკვე ხელფეხი სრულად გაეხსნებოდა შურისძიებისათვის. თანაც თავს დამნაშავედ თვლიდა ქეთევანის დატყვევებაში:

- მარტო არ უნდა გამეშვა დედოფალი საზღვარზე შაჰთან შესახვედრად. მცირე ამალა რას გააწყობდა მრავალრიცხოვან ჯართან.

დატყვევებას გადარჩენილები უყვებოდნენ თეიმურაზს, რომაო დედოფალი კახეთის საზღვარზე დადგა და სპარსულად თხოვა აბასს:

- ომით ნუ შემოხვალ ჩვენს ქვეყანაშიო, თუ რამ გინდა ყოველისფერს უომრად მოგართმევს მეფე თეიმურაზიო. ამის თავდები მე ვიქნებიო.

გაეღიმა აბასს.

- ნუ ჯავრობ კეთილო დედოფალოო, მხოლოდ წავინადირებ კახეთის ტყეებსა და მინდვრებში და უკან დაბრუნდებიო. შენ კი შენის ამალით შინ მშვიდობით გაბრუნდიო, შაჰის ფიცით შემოგფიცავ, რომ მართალს მოგახსენებო.

შაჰის ფიცითა და პირობით დაიმედებული მშვიდად ბრუნდებოდა დედოფალი სასახლეში, რომ უცებ ყიზილბაშთა მარბიელები წამოგვეწიენ და დედოფალი დაგვიტყვევეს, ჩვენც ვიშიშვლეთ ხმლები და გადაწყვეტილი გვქონდა შევკვდომოდით დედოფალს, მაგრამ ბევრი მათგანი გაწყვიტეს, ბევრიც განაიარაღეს და დაატუსაღეს, ხოლო ვინც გადავრჩით უვნებლად, ტყეს შევაფარეთ თავი და სასწრაფოდ სასახლეში გამოვიქეცით, დაჭრილები ტყეში სამალავებში დავტოვეთ. სულ სამმა თუ ოთხმა კაცმა დავაღწიეთ თავი უვნებლად ამ შემოსევის პირველ ტალღას.

ამის შემდეგ მეფემ ლაშქარი შეკრიბა და დაუხვდა აბასის ჯარებს, მერმე დამარცხებულმა იმერეთს შეაფარა თავი.

ახლა სხვა დრო იყო. აბასს ჯერ არ შეეძლო გაელაშქრა კახეთზე, მითუმეტეს ვერ ხედავდა საამისო საფუძველს. სპარსი იქ უკვე იმყოფებოდა, სხვაფრივ თეიმურაზს ვერ გამოიტყუებდა. ქართლში სვიმონი იჯდა, უმწიფარა და მამამისივით მერყევი კაცი. ამისთვის მას მოურავ-ხანი მიუჩინა მეურვედ. მართალია გიორგი სააკაძე შაჰის მზეს იფიცებს, მაგრამ აბასი არც მას ენდობა ბოლომდე. ამისთვის მძევლად მისი შვილი ჰყავს და მოურავი უფრო ჭკუით იქნება. აბასი მას როგორც წინდახედულ კაცს, ისე იცნობს. თეიმურაზი დევნილობაშია. თუ რაიმე საფრთხეს შეუქმნის მას დედამისიც აქვე ჰყავს დატყვევებული. ლუარსაბ მეფეც აქვეა თადარიგში. ასეთ ძვირფას საჩუქრებს აბასი ხელიდან, აბა, გაუშვებს?! გაეღიმა შაჰს ულვაშებში, გაწვა მუთაქაზე და ჩილიმი გააბოლა. ერთ ხანს დაფიქრდა, მერმე ანიშნა მსახურებს, დაირა შემოიტანეს და სიამოვნებით გაადევნა თვალი თავის მერამდენეღაცა ცოლის ცეკვას, ეშხში რომ შეჰყავდა შაჰი მისი თეძოების მოქნილად თამაშს და მოშიშვლებული მუცლის ტალღისებურად ალივლივებას.

ის ღამე არასოდეს დაავიწყდება აბასს თავისი ვნებიანობით ერთის მხრივ და არასასიამოვნო ამბებით, მეორეს მხრივ. მეორე დღეს ამბავი ჩამოუტანეს განჯიდან - დედოფალ ქეთევანის ადგილსამყოფელს მიაგნეს გურჯებმა და ღამით სასახლეს დაცემიანო. ციხის მცველების ნაწილი გაუწყვეტიათ, ნაწილი კი განუიარაღებიათ, შეუკოჭავთ და დილეგში ჩაუმწყვდევიათ. მთელი ციხე შეითანთა ხელში მოექცაო. მაგრამ, ჰოი საოცრებავ, თვითონ დედოფალი წასულა უარზე და ტუსაღობის ადგილი არ დაუტოვებია. ასე უთქვამს:

- ეს ჩემი ტყვეობა ღვთის ნებაა და სხვა არაფერიო. მე რომ თქვენ წამოგყვეთ, ხვალ შაჰი ჯარს გამოგვაკიდებს და ივერიას ააოხრებსო.

ბევრი არწმუნეს დედოფალს, შაჰს ამისი ძალა არ გააჩნია ამჟამადო, მან კი მტკიცედ შეესიტყვა:

- თუნდაც ასე იყოს. მე ეს განსაცდელი უფალმა მომივლინა და თუ მისი ნება იქნება, თვით აბასი გამათავისუფლებსო.

ამის თქმის შემდეგ დედოფალმა მათ უბრძანა ციხის მცველები გაეთავისუფლებინათ და თვითონაც გასცლოდნენ იქაურობას. ასეც მოქცეულანო.

გაბრაზდა აბასი.

- ვინ იყვნენ? - იკითხა.

- დერვიშების ძონძებში შემოსილი თეიმურაზის მსტოვრები იქნებოდნენ, აბა, სხვა ვინ უნდა ყოფილიყოო.

- რამდენი იყოო? - ისევ იკითხა შაჰმა.

- ათიოდე კბილებამდე შეიარაღებული და იარაღის კარგი მხმარებელიო.

აბასი მარტო იმან კი არ გააბრაზა, რომ გურჯებმა ქეთევანის კვალს მიაგნეს და მისი დახსნა შესძლეს, რომ არა თვით დედოფლის დაჟინებული მოთხოვნა, არამედ იმანაც, რომ ათიოდე თუნდაც კბილებამდე შეიარაღებულმა კაცმა როგორ შესძლო მთელი ციხის აღება, ისე რომ თვითონ გამხდარიყვნენ ყველაფრის ბატონ-პატრონნი.

- ათიოდე კაცი თუ ამას მოიმოქმედებს, მთელი ლაშქარი თავრიზამდე ისე ჩამოვა, ერთხელაც არ შეისვენებს გზაშიო.

მთელს ქვეყანაში დაუწყეს ძებნა იმ ათიოდე შეიარაღებულ დერვიშს, განჯას რომ დაეცნენ, ქალაქმა კი წინააღმდეგობა ვერ გასწია,

ან იქნებ არ გასწია?

- ამისთვის ცალკე ვაზღვევინებ განჯის ათაბაგსო, - ფიქრობდა თავისთვის შაჰი.

- ახლა კი დაუყონებლივ სრულიად საიდუმლოდ დედოფალი აშრიფში გადაიყვანეთო. იმგზავრეთ ღამე და სწრაფად. აშრიფში შესაფერისი სასახლე მოუმზადეთ ქეთევანს და თადარიგი დაიჭირეთ კიდევ რომ აღარ მოაგნონ მას იმ დერვიშებმა. ცალკე გაარკვიეთ, განჯაში როგორ მიაგნეს დედოფალს, ან ქალაქში ვინ იცოდა დედოფლის ამბავი... დაკითხეთ ყველა - ციხის მცველები, განჯელნი, ვაჭრები და სოდაგრები და ეს დაკითხვა ისე უნდა აწარმოოთ, რომ ვერავინმა ვერაფერი იეჭვოს, ვის რა უნდა და რატომ. უახლოეს ხანში შედეგები მაცნობეთო, - ბრძანა შაჰმა და უსიამო ამბის გასაქარვებლად თრიაქს მიეძალა და ჰარამხანიდან მორიგი ცოლი იხმო.

ერთი ხანი მამაო ნიკიფორე დედოფლის მცველებთან ასე თუ ისე მაინც ამყარებდა კავშირებს -

ხან ქრთამით,

ხან მოტყუებით,

ხანაც თვალის ახვევით,

ესაო-და, მექქელი მოლა ვარ და ხილვა ვიხილე ალლაჰისა, ივერიელი დედოფალი უნდა მოვაქციოო. თანაც ყალბეჭდიანი ფირმანი უჩვენა: მბრძანებლის ნებით, როცა კი მოვიდოდა მოლა, ყოველთვის უნდა შეეშვათ დედოფალთან. ისიც ასე ახერხებდა ქეთევანთან თათბირს, მაგრამ ციხის დატოვებაზე ისევ უარს ამბობდა ტუსაღი. თუ მანამდის შეიძლებოდა უნდობლობის გამო არ წაჰყოლოდა, ახლა ნიკიფორეს თვით თეიმურაზის წიგნი ჰქონდა - შვილი ემუდარებოდა დედას, გაჰყოლოდა მის მიერ წარგზავნილ კაცებს.

ქეთევანმა მამაოს პირით შეუთვალა შვილს:

- მე ამ წიგნის გარეშეც გენდობოდით, რადგან ქართველები იყავით და, დარწმუნებული ვარ, ცუდს არრას შემამთხვევდით და არც ახლა გაქვთ ავი გამიზნული, მაგრამ, მერწმუნე, ეს უფლისმიერი განსაცდელიაო.

იკიფორე ყოველთვის გაწბილებული ბრუნდებოდა თავის სადგომში, მაგრამ მაინც ჯიუტად განაგრძობდა ქეთევან დედოფლის გადარწმუნებას. გონიოს ციხეში თეიმურაზ მეფეს უგზავნიდა წიგნებს, მისგანაც ღებულობდა ახალ-ახალ დავალებებს.

ერთხელაც სრულიად მოულოდნელად დედოფლის სათვალავი დაეკარგა. იგი აშრიფიდან საიდუმლოდ გადაეყვანათ, სად, არც მან, არც არავინ იცოდა. ნიკიფორეს იქ ყოფნა საშიში ხდებოდა, რადგან შაჰისთვის ცნობილი გახდა მისი ადგილსამყოფელიცა და საქმიანობაც; ეს აშრიფის ციხიონთა განწყობით დაასკვნა. ცოტა ხანში ისიც შეიტყო, რომ შაჰს რუსეთის ელჩები წვევიანო და სწორედ ამ გარემოებამ წაახდინა საქმე.

- ყოველთვის არასაჭირო დროს მოდიან ეს რუსები და უფუჭებენ ქართველებს საქმესო.

ნიკიფორემ იმდენი ჰქნა, რომ რუსთა მოლაპარაკების უმთავრესი მიზანი შეიტყო - ისინი ითხოვდნენ შაჰისგან ლუარსაბ მეფის გათავისუფლებას, თუნდაც გამოსასყიდის საფასურად. ახლა კი მიხვდა ნიკიფორე, რომ ლუარსაბ მეფის დღეები დათვლილიაო.

- ამ ღორებმაო, - გაიფიქრა ნიკიფორემ, - ლუარსაბს ხომ გაუფუჭეს და გაუფუჭეს საქმე, აღარც ქეთევან დედოფალს დაადგება უკეთესი დღეო.

შაჰი განსაკუთრებულად ფრთხილი გახდა ქართველთა მიმართ, თითქოსდა სათვალავიდან გადაკარგული ლუარსაბი ისევ თვალსაწიერში აღმოჩნდა და სულ მალე ირანელმა ჯალათებმა წამებით ამოხადეს სული ყმაწვილ მეფეს.

აბას-ყაენს, მართალია, არ ეწადა ყმაწვილის მოკვდინება, მაგრამ რუსთა ჩარევამ და ელჩობის დონემდე ამ საქმის აწევამ აფიქრებინა შაჰს:

- ქართველობა ამ მოლაპარაკებათა მიღმა რაღაც მუხანათობას არ მიმზადებდესო.

საჩქაროდ ტყვე ლუარსაბ ქართლის მეფე ჯალათებს მშვილდის საბელით მოაშთობინა გულაბის ციხის დილეგში, შირაზს. სარჩულად ლუარსაბის მოკვდინებას ეს უხერხული ამბავი დაუდო, რომელიც კარგად ჩარჩა გუნებაში -

ერთხელ ნადიმზე მიიწვია ახოვანი ყმაწვილი შაჰმა. დიდმარხვის დღეები იდგა და აბასმა ჯერეთ თევზი შესთავაზა,

პირი არ დააკარა შეთავაზებულ კერძს.

აბასსაც ეს უნდოდა - იჭვნეულად ჰკითხა ცოლის ძმას: - რად არ მიირთმევ ჩემს მოწოდებულ თევზსაო, იქნებ ფიქრობ მოწამლულიაო?!

- არაო, - უპასუხა ლუარსაბმა, - დღეს თევზით გამატეხვინებ მარხვას, ხვალ ხორცს შემომთავაზებ, ზეგ კი სრულიადაც სჯულის შეცვლას მომთხოვო.

- ჰოდა, შეიცვალეო, - ვითომც აქ არაფერიო, უთხრა ყაენმა.

- მთელი ქვეყანაც რომ მიბოძო საჩუქრად, შენს ბრძანებას ვერ შევასრულებო, - მტკიცედ უპასუხა ლუარსაბმა.

არადა მისი დაი და შაჰის ცოლი თინათინი არაერთგზის ურჩევდა ძმას:

- ნუ გამოიდებ თავს, თორემ შურით აღავსებ აბასს და რაღაცას მოგწევსო.

სულ მალე აუხდა დის ნათქვამი ლუარსაბს. იმ საბედისწერო ნადიმზე გაბრაზებულმა შაჰმა სტუმრის დილეგში ჩაგდება ბრძანა. შვიდი წლის განმავლობაში ჰყავდა გამოკეტილი ქართლის მეფე შაბასს. რუსის ჩარევამ დააჩქარა და დაასრულა ლუარსაბის ბედისწერა.

იქნებ იმ მავნებელ რუსსაც ეს ეს უნდოდა?!

ვინ იცის...

ქეთევანიც შირაზს გადაიყვანა აბასმა. იქ უფრო სანდოდ ეგულებოდა დატყვევებული, ვიდრე ჩრდილოეთით.

როგორც იქნა ნიკიფორემ იმამყული-ხანისგან საიდუმლოდ მიიღო წიგნი, სადაც იტყობინებოდა დედოფლის ადგილსამყოფელს. ეს იმამყული-ხანი უნდილაძეთა სახელოვან გვარს ეკუთვნოდა, ასე-რიგად რომ იყო განთქმული ალავერდი-ხანისა და მისი შვილების სახელები როგორც ივერიაში, ასევე სპარსეთსა და მთელს ახლო აღმოსავლეთში. ღიმილით გაიქნია თავი მამაო ნიკიფორემ წიგნის წაკითხვის შემდეგ და თავის თანმხლებთ უთხრა:

- დიდად უცნაური ხალხი ვართ ქართველებიო...

- რათაო, - შეეკითხენ თანმხლებნი.

- ახლა, ამ წიგნის დამწერი უნდა იყოს გვარად უნდილაძე და მრავალი წარჩინებული ქართველი, რომელთაც ერის და ქვეყნის ბედი არაფრად უღირთ, თავიანთი დიდგვაროვნული ჩამომავლობით უნდა ამაყობდენო?!

მამაო ნიკიფორეს არ ჩამოუსახელებია გვარები, თუმცაღა თანმხლებთ უნდოდათ გაეგოთ, თუ ვის გულისხმობდა ღირსი მამა იმ ავადსახსენებელ წარჩინებულ ქართველებში. მიუხვდა მოძღვარი დაუსმელ შეკითხვას, ისარივით რომ ტრიალებდა მათ თავებში და ცოტა ხნის შემდგომ დაუმატა ნათქვამს:

- რომელი ერთი ჩამოვთვალო, რომელმა დიდგვაროვანმა არ გაისვარა ხელი ქართველის სისხლში და მოღალატის სირცხვილეულ ლაფში არ ამოლაფა საკუთარი სინდის-ნამუსი. სამეფო გვარიდან დავიწყოთ თუნდაც და უციხოვნო აზნაურით დავამთავროთ. აბა გლეხს რაღა უნდა მოკითხო, როცა ქვეყნის წარჩინებული საზოგადოება უამრავ სისაძაგლეს სჩადისო.

ისიც უთხრა თანმხლებთ:

- რომ არა იმამყული-ხანი, ლუარსაბ მეფე რახანია მოკვდინებული ეყოლებოდა აბას-ყაენს, მაგრამ თავს ზემოთ ძალა არაა. მანვე გაუხანგრძლივა სპარსეთში მშვიდობიანად ყოფნა თეიმურაზის ვაჟიშვილებს, მაგრამ ამ შემთხვევაშიც გულბოროტი აბასის ნებამ შეიწირა უფლისწულებიცო. ახლა ჯერი ქეთევან დედოფალზე მიდგა და ვიდრემდე მასზედ არ იძევს შურს, ვერ მოისვენებსო. ამიტომ ისევ და ისევ იმამყული-ხანის მეშვეობით უნდა დავარწმუნოთ დედოფალი გაქცევაშიო.

იმავე ღამით დაიძრენ ქართველები შარაზის მიმართულებით. ისევ მოლებისა და დერვიშების სამოსი გადაიცვეს, უსაფრთხო რომ ყოფილიყო მგზავრობა. სამი დღის სავალი ორ დღეში დაფარეს. დღისწულ მიადგნენ ქალაქის გალავანს. კაცი წარგზავნა იმამყული-ხანთან მამაო ნიკიფორემ. იცოდა, სად უნდა მოეძია და ზუსტად მიასწავლა მისი ადგილ-სამყოფელი, ქალაქში რომ არ დაეწყო უთავბოლო სიარული და კითხვა-გაკითხვა. დღის დასალიერს მობრუნდა შიკრიკი იმამყული-ხანისგან და წიგნი მოუტანა დაბეჭდილი.

უნდილაძე იტყობინებოდა:

- შუა ღამით ციხიონს ეცოდინება თქვენი მობრძანების შესახებ და დაუბრკოლებლად შემოგიშვებს ქალაქშიო. ისეთი იერი მიიღეთ, თითქოს დაღლილები ხართ და ესესაა შეისვენეთო. ქალაქის მოედანზე ჩემი კაცი დაგიხვდებათ და თქვენს სადგომამდის მიგიყვანთ და მოისვენეთ. დილით სალოცავში შევხვდეთ და იძულებით სტუმარს შეგახვედრებო.

მამაო ნიკიფორე მიხვდა, რომ „იძულებით სტუმარში“ იმამყული-ხანი ქეთევან დედოფალს გულისხმობდა.

საქმე მართალაც გართულებულიყო, სიფრთხილე იყო საჭირო, რათა თავიც არ დაეკარგათ და იძულებითი სტუმრის მდგომარეობაც არ გართულებულიყო. ამიტომ ზედმიწევნით ყველაფერი ისე გააკეთეს, როგორც ხანმა მოსწერა. თანაც თავი დაიზღვია, გადაამოწმა პირადად ქალაქის შესასვლელ-გასასვლელები. გამოელაპარაკა ციხიონს. აბეზრობდა, მერმე თავი რომ მოაბეზრა, მცველმა ხმამაღლა დაუყვირა:

- გამეცალე, აბეზარო დერვიშოო!

- ვინ არის და რა გაყვირებსო? - ჰკითხა ციხისთავმა.

- ერთი დევრიშია, იმამყული-ხანთან მიმავალ მექქელ მოლას ელოდებაო.

- ჰო, ჰო, ვიციო, გადაეცი მაგ დერვიშს, დღეს ღამით უნდა ჩამობრძანდეს ის მექქელი მოლა და თუ ინებებს შენთან შეხვედრას, მაშინ შეგიშვებთ ქალაქშიო. იმამყული-ხანმა პირადად მთხოვა მექქელი სტუმარი არ დააყოვნოთ, შენც იცოდე და დანარჩენებიც გააფრთხილეო.

მამაო ნიკიფორესაც ეს უნდოდა. შესცინა ციხიონს და მანაც დაჰპირდა:

- ხომ გაიგე, რა თქვა უფროსმაო. ჩამოვა ამაღამ მოლა და თუ ინებებს, მაშინ შეგიშვებ ქალაქშიო.

- ახლა შემიშვიო, - დაეღრიჯა „დერვიში“.

- ხომ გითხარი, არ შეიძლებაო, ძლივს გამოვყარეთ ქალაქიდან შენისთანა უსაქმურები და ახლა შენ შეგიშვაო?!

- ფულს მოგცემო.

- საიდან გაქვს ფოლიო?

- კეთლმა ხალხმა მიწყალობაო, - უთხრა და რამდენიმე ოქროს დრაჰმა შორიდან დაანახა.

- კარგად მანახეო! - გაუბრწყინდა თვალები ციხიონს.

- რომ მომპაროო? - იჭვნეული დერვიშის სახე მიიღო მამაო ნიკიფორემ.

- ალლაჰსა გეფიცები, არ მოგპარავ, მხოლოდ ჩამოგართმევო, - ჩაიხითხითა ციხიონმა.

- თუ არ მომპარავ, მაშინ მოგცემო...

და „დაიმედებულმა დერვიშმა“ გაუწოდა ფული. მანაც ვითომც აქაც არაფერიაო, ჯიბეში ჩაიყარა.

- აბა, ახლა ამოიცანი ამ დრაჰმებში, რომელი იყო შენიო!

- ეს იყოო, - დაადო ხელი განურჩევლად რომელიღაც ოქროს მონეტას.

- არაო, - უთხრა ციხიონმა, - ეს შენი ფული არ იყოო, წადი ახლა, დამეკარგე აქედანო, - გამოეკიდა „დერვიშს'' ციხიონი.

ისიც „ტირილ-ტირილით'' გაეცალა იქაურობას.

რისი გაგებაც უნდოდა, გაიგო. დერვიშობანას თამაში იმისთვის დასჭირდა მამაო ნიკიფორეს, რომ ყურადღება გადაეტანა ციხისთავს მის მიერ გათქმული ამბისგან და დავიწყებოდა ისიც, რომ ვიღაცას სჭირდებოდა ამ ამბის ცოდნა მაშინ, როცა ყველაფერი ეს სჭირდებოდა ისეთ ვინმეს, რომელთა სათვალავში არც კი უნდა ჩაგდებულიყო.

მართლაც, ყველაფერი ისე გაკეთდა, როგორც დათქმული იყო. არავითარი ცდომილება. ყველაფერმა მშვიდობიანად ჩაიარა. მეორე დღესვე შეახვედრა იმამყული-ხანმა ნიკიფორე ბერი დედოფალს.

კარგა ხანს ისაუბრეს, რა თქმა უნდა, განმარტოებით, მერმე როდესაც გაქცევაზე მიდგა საქმე, მამაო ნიკიფორემ იხმო გვერდით ოთახში მყოფი იმამ-ყული ხანი და ორთავემ სათითაოდ აუხსნენ შექმნილი ვითარების საშიშროება. ისიც დაწვრილებით გაანდეს დედოფალს, თუ როგორ გაიყვანდნენ მას სამშვიდობოს, და რომ არც იმამყული-ხანსა და არც მის ხელქვეითებს საშიშროება არ დაემუქრებოდა. საერთაშორისო ვითარებაც უამბეს, არწმუნებდნენ, რომ აბას-ყაენი საქართველოზე ვერ წამოვა ომით და თუ წამოვა ქართველები საამისოდ მზად არიანო, ყოველი შემთხვევისთვის ამას ირწმუნება ქართლიდან მოსული წყაროებიო. გიორგი სააკაძე ტფილისსა და ქართლს მეთვალყურეობსო.

- აკი მოურავ-ხანი აბასის კაციაო.

- ეს ზედაპირულად ჩანსო, - უთხრა ნიკიფორემ ქეთევან დედოფალს, - სინამდვილეში კი სააკაძე ხელსაყრელ დროს ელოდება, რათა რისხვად დაეცეს სპარსულ გარნიზონებსო.

- გასაგებიაო, - თქვა ბოლოს დედოფალმა, - მაგრამ ისევ და ისევ უნდა გაგაწბილოთო. ახლა რომ თქვენ თან წამოგყვეთ, მაშინ მე გაქცეული და უკეთეს შემთხვევაში თავშეფარებული ვიქნები. ახლა კი თავგანწირული ვარ ქრისტესთვის და ამას ხედავს არათუ სპარსეთი და საქართველო, არამედ ეუროპაც. წინა დღეებში ითხოვეს აბასისგან ჩემი მონახულება იეზუიტებმა. შაჰმაც სიამოვნებით დართო ნება და მიასწავლა მათ ჩემი ადგილსამყოფელი. ისინიც მპირდებიან უსაფრთხო ადგილას გადაყვანას, მაგრამ იცოდე, ღირსო მამაო, გაქცევითა და თავის შველით ფასი და ღირებულება ეკარგება არათუ ქეთევან დედოფალს, არამედ თვით თავგანწირვას, ამდენი ხნის ტყვეობის ხიბლს. იქნებ თვით აბასსაც უნდოდეს ჩემი გაქცევა, იგი ხომ წამდაუწუმ მითვალთვალებს. ან გაქცევისას მოაკვდინებინებს ჩემს თავს მდევრებს, ან სამშვიდობოს გამაცილებს. ორთავე შემთხვევა მისთვის ხელსაყრელი იქნება. ამიტომ ვამჯობინე ლოდინი. რაც მოხდება, უფლის ნებით მოხდება ყველაფერიო.

ყველაფერი ნათელი და გასაგები იყო ნიკიფორესთვის. სადგომში მისულმა თეიმურაზ მეფეს წიგნად მისწერა, რომ დედოფალი განწირულია და შაბას-ყაენი მას ძალიან მალე მოაკვდინებსო.

ჯერ წიგნი არც კი ექნებოდა ჩასული თეიმურაზს, რომ აბას-ყაენმა ქეთევან დედოფალს რჯულის შეცვლა და ცოლად გაყოლა მოსთხოვა.

მტკიცე უარით გამოისტუმრა დედოფალმა შაჰის წარგზავნილები, მოსაფიქრებლად დროც კი არ დაიტოვა, ისე. მალე მოვიდა აბასის ბრძანება შირაზს:

- წამებით მოაკვდინეთ ქეთევანიო, თანაც ქალაქის შუა მოედანზე, საქვეყნოდ, არ დარჩეს არც ერთი მისი მომნახულებელი ამ სანახაობის უნახავადო.

ვეღარასფერს გახდა იმამყული-ხანი დედოფლის გადასარჩენად. შირაზიდან გასასვლელი კარიბჭენი ნიკიფორესთვისაც დახურული აღმოჩნდა. ვერც ქრთამით გააღწია ქალაქიდან და ვერც მოტყუებით. ბოლოს ციხიონნი დაემუქრენ კიდეც მოკვდინებით, რის შემდეგაც გაწბილებული მოძღვარი ქალაქში დარჩა, ვიდრემდე აღესრულებოდა დედოფლის წამებით მოკვდინება. იმ დღეს, როდესაც ნიკიფორეს სადგომში სამხედროები შეცვივდნენ და უბრძანეს მოედანზე გასვლა, მიხვდა, რომ ეს კახეთის დედოფლის უკანასკნელი დღე იყო.

თვალს ვერ უსწორებდა მამაო ნიკიფორე ეშაფოტზე ასულ დედოფალს. იხსენებდა ოციოდე წლის წინ კოცონზე დამწვარ ჯორდანო ბრუნოს და თვალები ეწვოდა, ადარებდა რა იმ შორეულ ევროპიულ და დღევანდელ აზიურ დღეებს ერთმანეთთან.

თუ ევროპისთვის განმანათლებლობა იყო ცოდვის მატარებელი, აზიისთვის რწმენის სიმტკიცე იყო ბოროტების წყაროთ-სათავე. შედარებისას განიცდიდა ადამიანური გონის სიბნელეს, სიბნელე რომ წარმოშობდა სიმხეცეს... და ფიქრობდა:

რომელი სიბნელე უფრო ბნელი იყო -

სარწმუნოებრივი თუ მოაზროვნეობრივი.

რწმენის შეცვლის მოთხოვნით ევროპაში სიკვდილით აღარ სჯიდნენ,

არც აზიაში კლავდნენ თავისუფლად მოაზროვნეებს...

მაგრამ იყო რაღაც აუხსნელი, რაც ერთიცა და მეორეც თანაბარზომიერად მიუღებელი იყო.

რაც აკლდა ევროპას, ის გააჩნდა აზიას და

რაც არ ჰქონდა აზიას,

ის მომადლებოდა ევროპას... და მიხვდა,

რომ ყოველივეს სათავე ადამიანის აზროვნების შეზღუდვა იყო, რომლის საპირისპიროდაც

ერთნი ღვთის ერთგულებისთვის იღუპებიან,

მეორენი კი ღვთით მიმადლებული სამყაროს შემეცნებისთვის...

და ეს შემეცნება იმდენად სრულმომცველი იყო და ფართო გაქანებისა, რაღაცნაირად რომ შემოეფარგლა ეს ამ ახალი აზროვნება, არ დაუჯერებდნენ:

ერთგან ერეტიკოსად მონათლავდნენ,

მეორეგან კი ჭკუაშემცდარ მოხეტიალე მოლექსედერვიშად.

ერთ შემთხვევაში თუ კოცონზე დაწვა არ ასცდებოდა, მეორე შემთხვევაში გარდაუვალი განდევნა მოჰყვებოდა ადამიანთა ყოველი სადგომიდან,

უარეს შემთხვევაში ჩაქოლავდნენ ქვებით.

გონს მაშინ მოეგო, როცა ყველაფერი დამთავრებული იყო. ქალაქის მოედანზე იდგნენ თვითონ და ერთიც თანმხლები, რომელსაც მკლავების მარწუხებში მოეცია იგი, თავად კი ხრმლის ვადაზე ეჭირა ხელი და მის ამომართვას ლამობდა. მიიხედ-მოიხედა ირგვლივ და მოქალაქენი მას უყურებდნენ. ერთიანად მოეშვა და მოითენთა. თანმხლებმაც გაუშვა ხელი. ხელის შეშვება და მიწაზე მთელი სხეულით დაცემა ერთი ჰქნა მოძღვარმა.

იმავე ღამით იეზუიტებმა მიაკითხეს მამაო ნიკიფორეს, დედოფლის ცხედარი უნდა გადმოგვცენ სპარსელებმაო და თქვენც შემოგვიერთდითო.

- საიდან იცით, ჩვენ წამებული დედოფლის ჭირისუფლები რომ ვართო? - დაეჭვებით იკითხა მღვდელმა.

- მთელმა ქალაქმა შეგამჩნია, თქვენო მოწყალებავ, და ჩვენ რით დაგვრჩებოდი უყურადღებოდო. იქამდე, შაჰსაც მოხსენდა თქვენი ამბავიო. ამიტომ უნდა ვიჩქაროთ და ცხედარი მაინც გავიტაცოთ ამ დაწყევლილი ქალაქიდანო.

მამაო ნიკიფორე მიხვდა, რომ ესენი სანდო ხალხი იყვნენ. ამიტომ დათქმული ადგილისკენ გაჰყვა მათ. ქალაქის განაპირა საკმაოდ ჩამობნელებული იყო, მაგრამ ლანდებივით ჩანდნენ შეკრებილი ადამიანები. მამაო ნიკიფორემ ნაბიჯს უმატა დ აიმ ლანდებში შეერია. ჩირაღდნები არ ჰქონდათ, ვინმეს რომ არ შეემჩნია, იმიტომ. მამაო ნიკიფორემ ნაბიჯს უმატა და იმ ლანდებს შეერია. ჩირაღდნები არ ჰქონდათ, ვინმეს რომ არ შეემჩნია. მამაო ნიკიფორემ იტალიელ იეზუიტთა გარდა პორტუგალიელი ბერებიც შეამჩნია. რამდენიმე სპარს ციხიონს ელაპარაკებოდნენ. ერთი ციხიონთაგანი ხმაზე იცნო ნიკიფორემ, დერვიშის სამოსით მორთული რომ გამოეცხადა ქალაქის შესასვლელთან და მექქელი მოლას მობრძანებას რომ ელოდა თითქოს. იცოდა, რომ სიბნელის, განსხვავებული მდგომარეობისა და ვითარების გამო ვერ შეიცნობდა ციხიონი მას, ამიტომ თამამად ჩაერთო საუბარში. „მექქელმა მოლამ“ ყველა განაცვიფრა ენების ცოდნით, ციხიონმაც მიაქცია ყურადღება და ხმაზე შეიცნო ის „მოხეტიალე დერვიში“. გაუღიმა მან მამაო ნიკიფორეს და სპარსულად მიმართა:

„მოწყალეო დერვიშოო...''

ყური აარიდა ამ ნათქვამს, თუმცაღა ყურადღებიდან არ გამოპარვია ციხიონის მიმართვა და მას სპარსულადვე უპასუხა:

- ახლა ამისი დრო არ არის, უნდა ვიჩქაროთ და გვამი ამაღამვე უნდა გავიტანოთ ქალაქიდანო.

ციხიონმა უთხრა ჭირისუფლებს:

- ქალაქიდან გაგატანინებთ ცხედარს, მაგრამ მისი ქვეყნიდან გატანა გაგიჭირდებათო.

პორტუგალიელმა ბერმა თქვა:

- ჩვენ გავიტანთ დედოფლის ცხედარს ქვეყნიდან. შაჰისგან ხელშეუხებლობის ფირმანი გვაქვსო.

- სპარსეთში ასეთი ფირმანი ჩვენც გვაქვსო, - შეეწინააღმდეგა იტალიელი იეზუიტი.

გაეღიმა ევროპელთა გულუბრყვილობაზე სპარს ციხიონს.

- მაგ ფირმანებსა და ხიდან მოწყვეტილ ფოთლებს ერთი ფასი აქვსო, - უთხრა მათ და ნიკიფორეს მიმართა, - მოწყალეო დერვიშო, გადაუთარგმნეო.

მანაც გადაუთარგმნა ყველას თავ-თავიანთ ენაზე ციხიონის ნათქვამი და თავისიც დაამატა:

- როცა ქარი მოუბერავსო.

- მაშინ რა ვქნათო? - იკითხეს ერთხმად დაბნეულმა ევროპელებმა.

- ნაწილ-ნაწილ უნდა გავიტანოთო, - დინჯად და მტკიცედ თქვა ნიკიფორემ.

საყოველთაო დუმილმა კითხვებით სავსე ეჭვები გამოხატა და არ იყო საჭირო კითხვის ხმამაღლა დასმა, ისე განმარტა ყველაფერი მამაო ნიკიფორემ:

- ცხედარი უნდა დავანაწევროთ. დავირიგებთ ამ ნაწილებს და ქვეყნის სხვადასხვა მხარეს წავალთ, ბოლოს ყველანი საქართველოში შევიკრიბებით, ერთარსად შევაერთებთ ცხედრის ნაწილებს და მერე მივცემთ მიწასო.

- დედოფალი ხომ წმინდანიაო, ქრისტიანობისთვის თავდადებულიო! - წამოიძახა პორტუგალიელმა ბერმა.

- ჰოდა, მით უმეტესო, - სიტყვა შეაშველა იეზუიტმა, - წმინდანთა ნაწილები ხომ მთელს საქრისტიანოშია გაბნეულიო.

და ასე გადაწყვიტეს...

და ასეც მოხდა...

მაგრამ მისიონერები ვერ შეელიენ წამებული დედოფლის წმინდა ნაწილებს და ის ინდოეთიდან ესპანეთამდე გაიფანტა.

ერთი სასწაული მოხდა ქეთევანის წმიდა ნაწილების შემობრძანებისას - კახეთის საზღვართან ქართველთა მხედრობა დახვდა მარტვილ დედოფალს. გზად ალაზანი უნდა გადაევლოთ. უცებ ძლიერი ქარიშხალი ამოვარდა და ერთ-ერთი წმიდა ნაწილი მდინარეში ჩავარდა. მდი-

ნარემ უმალ აღმა იწყო დინება და წმიდა ნაწილიც თან გაიყოლა.

ამის შემდეგ ალაზანი ხან აღმა ადის, ხან დაღმა და დაატარებს წმიდა დედოფალს ივერიაში და ეს გაგრძელდება მანამდის, სანამ სხეულის ყველა ნაწილი ერთად არ მოიყრის თავს.

იმასაც ამბობენ, რომ მდინარის აღმა დინებისას ქართველთა შორის ისეთი კაცი იბადება, რომელიც დინების აღმა იწყებს სვლას და თავის ერსაც აიყოლიებსო. ასეთ კაცებს სულკალმახას უწოდებენო. ისინი დედოფლის წმიდა ნაწილებს მიჰყვებიან და ერსაც ასევე დაატარებენო. როცა დინება ისევ დაღმა სვლას იწყებს სულკალმახა მაინც აღმა მიუყვება დინებას, მაგრამ ეს ქვეყანა ისე პატარაა, რომ თუ არ დინების სისწრაფე მას ქვეყნიერება არ ეყოფა შემოსავლელად და ამიტომ დინების სისწრაფის ძალას ისევ ქვევით ქვეყანაში ჩამოჰყავსო.

ხოლო დინების დაღმა დინებისას ქართველთა შორის ისეთი კაცი იბადება, რომელიც წყალს მიჰყვება და მისი ქვეყანაც წყალს მიაქვსო. ამიტომ ასეთ კაცს ერში სულწაწყმედილს ეძახიან და ერიდებიან ყოველის მხრივ მის გამეფებას. მეტწილად ამამლუქებენ დინების დაღმამავალობისას დაბადებულებს. განიცდიან და გლოვობენ მშობლები გატაცებულ შვილებს, მაგრამ მათი მომკითხავი არავინაა. მაინცა და მაინც უკეთეს ყოფაში აღმოჩენილები არც თვითონ ცდილობენ დაუბრუნდნენ მამაპაპეულ ფესვებს.

არის კიდევ ორი უკიდურესობა დინებისას - აღმავლობისა თუ დაღმავლობის ბოლო წერტილზე მისვლისა და მდინარის შეჩერებისა. ამბობენ ასეთ დროს იშვიათად იბადება ბავშვი და თუ იბადება, არავინ იცის ვინ არის ისო, არც მისი ბედის ასავალ-დასავალი იცის მაინცა და მაინც ხალხმაო, მხოლოდ ვარაუდებით თუ შეიძლება იმსჯელონ ამა თუ იმ კაცის განვლილი ცხოვრების უცნაურობის მიხედვით მდინარის რომელი გაჩერების წერტილზე დაიბადა იგი.

რა თქმა უნდა, შეცდომით, მაგრამ ხალხში დაიარებოდა აზრი იმის შესახებ, რომ თითქოს ნიკიფორე ირბახი მდინარის დაღმავლობის გაჩერებისას დაიბადაო;

რა თქმა უნდა, ნიკიფორე ირბახი არავინ იცის როდის დაიბადა;

რა თქმა უნდა ნიკიფორე ირბახი გაცილებით ადრე დაიბადა, ვიდრე ქეთევან დედოფლის წმიდა ნაწილი ალაზანს შეერთვებოდა;

რა თქმა უნდა, ალაზანი დედოფლის მარტვილობამდეც აღმა-დაღმა ივლიდა;

რა თქმა უნდა, ადამიანებიც მდინარის აღმა-დაღმავლობის ნიშნით დაიბადებოდნენ;

რა თქმა უნდა, ყველაფერი ერთ-არსად შეჯგუფდა ბოლოს და ასე მსჯელობდენ დღესაც ადამიანთა ბედიღბალზე.

ივერიაში დაბრუნებისთანავე ნიკიფორე ირბახი დაიბარა თეიმურაზ მეფემ და ევროპაში დაავალა გამგზავრება:

რომის პაპთან და ესპანიის მეფესთან წიგნები გაატანა, მათთან ერთად გზად რომელ ქვეყანასაც გაივლიდა, იმ ქვეყნის მეფე ენახა, თუ ამას თვითონვე ჩათვლიდა საჭიროდ და მათთანაც გაემართა მოლაპარაკებები სპარსეთთან ომში დახმარების შესახებ.

თავი გაიქნია ირბახმა იჭვნეულად:

- სად ეუროპა და მისი მონარქები და სად საქართველო თავისი მტერ-მოყვრითო. ეუროპა შორიაო. ვიდრე მე იქამდის მივაღწევ, აქედან ქვა ქვაზე და ამბის გამტანი არ დარჩებაო.

- უარს მეუბნებიო? - დანანებით ჰკითხა თეიმურაზმა.

- რა ბრძანებაა, ჩემო ხელმწიფევ, თუნდაც დღესვე წავალ, მაგრამ ეუროპა ყურის ძირში არაა. ეუროპაზე მეტად ლიხთ იმერეთი და ოდიში მოგეხმარება ჯარით, სურსათითა და ფულით. ეუროპას აროდეს ცხელა ჩვენთვის, თავისი საფიქრალით არის გართული. საბაბი გნებავს? იქაც ლუტერიანნი ავიწროვებენ ლათიანთა საქრისტიანოს, თუნდაც კალვინელნი. ესპანიას ზღვის მფლობელობა ეს-ესაა წაართვა ანგლიამ, დიდი არმადა ვერ მოუნელებია ესპანიას და ჩვენ გამოგვიწვდის ხელს?! ანგლია გნებავთ, იმასაც თავისი საფიქრალი აქვს, ჩაკეტილა თავის კუნძულებზე და ასწლოვანი ომის შემდეგ ცხვირს აღარ ჰყოფს დიდ მიწაზე, არც სხვას უშვებს თავის სამფლობელოებში მაინცა და მაინც. პრუსიაა და ლიტვა-პოლონელებმა ტევტონებს ისეთი დღე აყარეს, ჯერაც ვერ მოსულან გონს. აქეთ პოლონეთი ფრთხილობს, თავისი თავი გასჭირვებია, არავინ იცის რა დროს წამოესხმება თავს რუსეთი. რუსეთი რაცაა, შენც კარგად იცი, მეფევ ბატონო.

- აბა, საშველი არ არის?

- საშველი არის, როგორ არა. სრულიად ეუროპამ ჩვენი საჭიროება უნდა იგრძნოს. არც ჩვენ უნდა ვიყოთ მათთვის უცხონი და არც ისინი - ჩვენთვის. მიმოსვლა მეტი უნდა გვქონდეს. ჩვენს ენას ყური უნდა შეაჩვიონ. ბევრი მისიონერი უნდა ჩამოვიდეს საქართველოში, ჩვენგანაც ბევრი უნდა წავიდეს. ეუროპიული თამაში უნდა ვითამაშოთ.

- კი, მაგრამ, გვაცლის ამ ეუროპიულ თამაშს სპარსეთი და ოსმალეთი?

- ვიდრემდის სპარსეთი და ოსმალეთი ერთმანეთში მეტოქეობენ, ჩვენ არარა დაგვემართება. ოსმალოს ცალი ფეხი ევროპაში აქვს, მეორე აზიაში. გახიდულია ორ სამყაროში თათარი როდოსის კოლოსივით. სპარსეთს კი ეს ნაკლულობა აქვს: სავაჭროდ ეუროპაზე გასასვლელს ეძებს; ეუროპა კი ინდოეთში მისასვლელ გზებს ეძებს: ხუთწლიანი შუალედით ესპანიიდან ქრისტოფორო კოლუმბი გავიდა ზღვაში, პორტუგალიითგან კი ვასკო და გამა. ორივე ექსპედიციის მიზანი იყო ინდოეთში უმოკლესი გზის პოვნა. ერთმა ახალი მიწები აღმოაჩინა, მეორემ აფრიკას შემოუარა და წვალებ-წვალებით, მაგრამ

მანაც მიაღწია ინდოეთამდის. ეუროპას ინდოეთში ოქროულობა და აუარებელი ძვირფასეულობა ეგულება. ინდოეთის უმოკლესი გზა ეუროპიდან ინდოეთისკენ ივერიაზე გადის, ეს შენც კარგად იცი, მეფევ ბატონო. ამიტომ ეს უნდა გამოვიყენოთ ეუროპელთა მოსახიბლად და არა სპარსთან ომი და ბრძოლაო.

- კი მაგრამ, როგორ უნდა მოვხიბლოთ ეუროპა, როცა ჩვენ ჩვენი თავი გაგვჭირვებია. ეს გზა ხომ სახიფათოა ყოველის მხრივ. ათასი დაბრკოლებაა, ვიდრემდე ინდოეთამდე ჩააღწევ.

- ამიტომ ყველაფერს ომი კი არა, გონება სჭირდებაო, - შეეპასუხა ნიკიფორე.

- ეს როგორო? - სხარტად ჰკითხა მეფემ.

- სრულიად უბრალოდო: სპარსეთს სჭირდება ეუროპა, ეუროპას - ინდოეთი, ჩვენ - მშვიდობა. სპარსეთი ეუროპამდე ან ჩვენი გავლით უნდა მივიდეს, ან ოსმალეთის. ევქსინის პონტის გაღმაც ოსმალეთია. საკმარისია ქართულ სანაპიროებზე სპარსული ხომალდები გაჩნდეს, წონასწორობა შეიცვლება ზღვაზე. ამიტომ სპარსთან ომი კი არა, დაყვავება და გონივრული ურთიერთობა გვჭირდება. შენ მე პირველ ყოვლისა აბას-ყეენთან უნდა მგზავნიდეო. მასთან საქმის მოგვარება ნიშნავს ჩვენს მშვიდობას. მერმე ეუროპასთანაც მეტი სათქმელი გვექნება და ისიც მეტად მოიხიბლება ჩვენით და თვითონ ეუროპა აიძულებს ოსმალეთს ინდოეთში მიმოსვლას არ შეუშალოს ხელი. ახლა, მართალია, მოგზაურობათა თავდავიწყებაში არიან გადავარდნილი ეუროპიელნი, მაგრამ მალე მიხვდებიან, თუ უკვე მიხვედრილნი არ არიან, რომ წარმატებული მოგზაურობა არათუ რაიმეს აღმოჩენაში მდგომარეობს, არამედ იმაში, თუ რაოდენ დაზოგავს ხარჯებს ამ მოგზაურობებისას, თორემ ახლა სამყაროს ოთხივ მხარეს რომ გამიშვა, რაღაცას მეც აღმოვაჩენ. ადამიანები კარჩაკეტილობიდან სამყაროს უკიდეგანო სივრცეებს ეუფლებიან. შენ როგორ გგონია, მეფევ ბატონო, სულ ასე გაგრძელდება?

- აღმოსაჩენი რომ აღარაფერი იქნება და უჩვენოდაც გაიკვლევენ გზას, ჩვენ რაღა ვქნათ მერმეო?

- სამწუხაროდ, ჩვენც კარჩაკეტილ ცხოვრებას ვეწევით, სპარსეთმა და ოსმალეთმა ხრმალს და მიწას მიგვაჯაჭვა და ვერა ვგრძნობთ, ვერ ვხვდებით, როგორ იცვლება მსოფლიო აზროვნება. შენ ახლა მეცნიერობაში ნახე, რა წარმატებებს მიაღწიეს ეუროპიელმა სწავლულებმა. ჩვენში ომი უნდა შეწყდეს და გონება დავასვენოთ ფილაკავანით, მშვილდ-ისრით, აბჯრით, ხრმალ-მუზარადით. აღებ-მიცემობის დრო მოდის, ჩვენც აღებ-მიცემობაში უნდა გავსარჯოთ ჩვენი ოდითი მეტოქეები. ისეთი რამ უნდა შევთავაზოთ მათ, რაც აქამომდის აროდეს უნახავთ. ამისთვის ეუროპა გაგვანათლებს. ამისთვის უნდა გამოვიყენოთ ეუროპა. ვისწავლოთ მისგან, რაც სასწავლელია და ეუროპიული აზროვნებითა და მსოფლ-ჭვრეტით დაველაპარაკოთ მათ. მერმე სპარსეთისთვისაც მიმზიდველები გავხდებით არათუ იმისთვის, რომ გადაგვაშენოს და გადაგვაჯიშოს, არამედ იმისთვის, რომ ჩვენის წყალობით მეტი ისარგებლოს იმ მსოფლიო აზროვნებიდან. ჩვენ უნდა გავხდეთ კარიბჭე ეუროპასთან და ეს კარიბჭე ღია უნდა იყოს მათთვის, თორემ, ერთი დღე იქნება, ისინი შემოამტვრევენ მას, როგორც ცდილობდნენ ოდით. იქამდე, საომარი იარაღებიც მეტად დახვეწილი აქვს ეუროპას, ვიდრე სპარსეთს. ესეც უნდა ვისწავლოთ მათგან და დავნერგოთ ჩვენში. ხრმალის დრო მიდის, სამაგიეროდ ზარბაზნებისა და თოფის დრო მოდის. როცა შევიარაღდებით მეწინავე იარაღით, სპარსეთსაც შეეშინდება ჩვენი და ოსმალეთსაც. მას კი დრო მოიტანს. ჰოდა, ეუროპა რომ გამოწურავს ინდოეთს, ივერიაში ფეხი მოკიდებული ექნება უკვე და ჩვენც მისი განუყოფელი ნაწილი ვიქნებით. მათთვის ჩვენი დაცვა მარტო ქრისტიანული ღირსების კი არა საარსებო აუცილებლობიდან იქნება განპირობებული, თუ ვინმე ოდესმე შებედავს ჩვენს შებღალვასო.

- ლამაზად ბჭობ, ღირსო მამაო, მაგრამ ეს კი გავიწყდება, რომ საქართველოში ერთი მეფე არ ზის და აბას-ყაენს ეუროპაზე გასასვლელად სულ მცირე სამ მეფესთან და ორ მთავართან მოუწევს ურთიერთობაო. სხვა რომ არა, მე სისხლი მმართებს და ეს დაღვრილი სისხლი არ მომცემს მასთან თავისუფლად ლაპარაკის საშუალებას.

- მე მესმის შენი, ჩემო მწყალობელო ხელმწიფეო, მაგრამ შენც უნდა შეისმინო ჩემი. აბასს შენი დიდებული მშობლისა და შვილების სისხლში აქვს ხელი გასვრილი. მაგრამ შენ ხომ მეფე ხარ. შენ ვალდებული ხარ პირად გრძნობებზე ამაღლდე შენი ერის საკეთილდღეოდ და საჭიროების შემთხვევაში შენს დაუძინებელ მტერთანაც უნდა გააბა ურთიერთობა. ისეთ შემთხვევაში, თუ ჩვენ ირანს ეუროპისკენ გავუხსნით გზას, მისთვის უმჯობესი იქნება ხუთ მეფე-მთავართან ლაპარაკს, ერთს დაელაპარაკოს, ხუთ სამეფო-სამთავროს გადაკვეთას მისთვის ამჯობებს ერთი სახელმწიფო გადაკვეთოს. სპარსეთისთვის ასეთი საასპარეზო არე ჰერეთიდან ევქსინის პონტამდის გადაიჭიმება და დღეს რომ ივერიის გაერთიანების პირველ მტრად გვევლინება, მერმე ის გაერთიანებული ივერიის თავგამოდებული დამცველი გახდება, დამცველი თუ არა, ქომაგი და გულშემატკივარი მაინც.

- ბევრი რამ არ გესმის, ღირსო მამაო, სახელმწიფოთაშორის ურთიერთობაში, ამიტომ გირჩევ ისეთ სფეროებში ნუ შეიჭრები, რის შესახებაც არა გაგეგება რა. შენ მხოლოდ ის აღასრულე, რასაც გიბრძანებენ. ეს არის და ეს. შენი მსოფლჭვრეტით ჩემს მიზნებს ამსხვრევ. ამიტომ სახიფათოცაა შენთვის აკრძალულს მიღმა ფიქრიც კიო.

- დროის სუნთქვას ვერ გრძნობ, მეფევ ბატონო, - თავისთვის ჩაილაპარაკა ნიკიფორემ, - ჰოდა, ამის გამო მტკივა გულიო. მე განა შენს ნება-სურვილს ვეწინააღმდეგები, მე მსურს, რომ შენმა ნება-სურვილებმა სათანადო შედეგები გამოიღოსო. მე კარგად ვიცნობ ეუროპას,

შენზე კარგად, ჩემო მეფეო. მე ხომ ეუროპამ გამომზარდა. მე კარგად მაქვს შესწავლილი სპარსეთიცა და ოსმალეთიც. სპარსეთი ათასეული წლებია ჩვენი მეზობლები არაინ. ავი თუ გვახსოვს მაგათგან, კარგიც გვახსოვს. ოსმალეთი კი იმის შემდეგ დაგვიმეზობლდა, რაც ბიზანტიამ დაკარგა თავისი ხიბლი და გაქრა კიდეც ქვეყნიერების ზედაპირიდან, თანაც ისე გაქრა, ვერაფერი რომ ვერ აღადგენს ვერასოდეს. მეტსაც გეტყვი, ირანზე მეტი მტერი ჩვენთვის ოსმალეთია. არაფერს გეტყვი რუსეთზე, ის ჯერ ძალას იკრებს საკუთარ თავში. ჩვენის მეცადინეობით შორიდან გვითვალთვალებს, როგორც მხეცი სამომავლო ნადავლს, რომელსაც ორი მტაცებელი ვერ იყოფს და ამისთვის ერთმანეთს სამკვდრო-სასიცოცხლოდ გადაკიდებიან, ბოლოს ეს მომლოდინე ერთი ზუსტი ნახტომით რომ დაეპატრონოს ყველასფერს. იმედია, ჩვენს სიცოცხლეში ეს არ მოხდება და ჩვენი შვილების სიცოცხლეშიცო. დადგება დრო, სპარსეთიცა და ოსმალეთიც ხვეწნა-მუდარას დაგვიწყებენ, ოღონდ რუსეთს თავი დაანებეთ და ნუ გაგვიმეზობლებთ, სამაგიეროდ რასაც გვთხოვთ, ყველაფერს აგისრულებთ, წართმეულსაც უკან დაგიბრუნებთ და სხვასაც ბევრს გიფეშქაშებთო. ისინი კარგად შეხედავენ რუსეთის მზარდ საშიშროებას, მაგრამ უკვე გვიანი იქნება. ჩვენ დაწერილი წიგნივით საუკუნეებია გადაგვეშალა ეს ქვეყანა მისდაუნებურად, მაგრამ ჯიუტი უწიგნურებივით შევჩერებივართ თვალებში. არ გვინდა მისი წაკითხვა და ამოცნობა, ერთმორწმუნეობით ვიბრძავებთ თვალებს, და მიტომ.

ამ რუსეთის მადის აღძვრა ისევ და ისევ, მხოლოდ და მხოლოდ ჩვენი მიამიტური ბუნების ბრალი იქნებაო.

- შენ რატომღაც ჩემს გამოსაჯავრებლად ჩემს მეგობრებს ესხმი თავს და გავიწყდება რუსეთი და ოსმალეთი ჩვენი მოკავშირეები რომ არიანო, - იწყინა თეიმურაზმა რუსეთის აუგად ხსენება.

- ეს საუბრები შორს წაგვიყვანს, სჯობს ისევ ეუროპაში მოგზაურობასთან დაკავშირებული საკითხები განვიხილოთო, - შეწყვიტა თავისი მსჯელობა ნიკიფორემ.

- ასე სჯობსო, - დაეთანხმა თეიმურაზი და შეატყო ნიკიფორემ, როგორ გადაუვიდა გაცხარება მეფეს.

- თუ შესაძლებელი იქნება, ოციოდე ბავშვი შეკრიბე შენს სამეფოში და თან გამაყოლეო. - რად გინდაო? - იკითხა თეიმურაზმა.

- ეს ბავშვები ადრე თუ გვიან გამამლუქებისთვის არიან განწირულნი, არ აჯობებს მათ ეუროპის სხვადასხვა ქვეყანაში მივაღებინოთ განათლება და მერე ეუროპიული განათლებით დაგვიბრუნდნენ სამშობლოშიო?!

- ჩემო ნიკოლოზ, - მეფემ ერისკაცობის სახელით რომ მიმართა მამაო ნიკიფორეს, ამით ხაზი გაუსვა მისდამი მეგობრულ და შინაურულ დამოკიდებულებას. ეს იგრძნო ნიკიფორემ და შეემზადა მეფის ენაკვიმატობის მოსასმენად და ამანაც არ დააყოვნა, - ეუროპიული განათლებით შენც გვყოფნი და ახლა შენისთანა ოციოდე კაცი რომ ჩამოვიდეს აქ, ხომ გადაატრიალეს ეს სიმწრით შეკოწიწებული ქვეყანაო. ისე, სიმართლე გითხრა, ეს კარგი აზრია. მაგრამ რომის პაპთან რომ ჩახვალ, მასთან დააყენე ეს საკითხიც, ასევე ესპანიისა და სხვა ქვეყნების მეფეებთან. იქნებ ხარჯებიც მათვე გაიღონ. ჩვენ კი ჩვენდათავად ოცსაც გავგზავნით და ერგასსაც, თავიანთი მეთვალყურეებიანად. მთელს ეუროპაში გავაბნიოთ ეს ბავშვები და სხვადასხვა ხელობა, სხვადასხვა ხელოვნება, სხვადასხვა მეცნიერობა შევასწავლოთ. მართლაც, გამამლუქებას ეუროპიული განათლების მიღება აჯობებს, რა თქმა უნდაო. ამ ჯერზე ვერავის გაგატან, ღირსო მამაო.

ამაზეც დაყაბულდა ნიკიფორე ირბახი, იგი ევროპაში აუცილებლად გაარკვევს რომელ სასწავლებელში გაამწესებს ქართველ ყმაწვილებს, ხარჯებსაც დათვლის და წარუდგენს ხელმწიფეს. ისიც იმთავითვე იცის, ეს სახსრები როგორ მოაპოვებინოს გაპარტახებული ქვეყნის ხაზინას. ზოგადად ყველაფერი იცის, მეფე დაუგზავნის წიგნებს

მეფეებს,

პაპებს,

კარდინალებსა და

მთავრებს,

ამის მიღმა მან უნდა იღონოს ყველაფერი, ევროპას დაანახოს ინდოეთისკენ უმოკლესი გზა. მან ისიც კარგად იცის, რომ ქვეყნიერებაზე ახლა ზღვით მოგზაურობის დროა დამდგარი ათასგვარი დაბრკოლებისა და საშიშროების მიუხედავად. ევროპის გონიერებას ინდოეთის გზები კი არა, უფრორე ზღვის დაპყრობა და დამორჩილება სჭირდება. არაფერია, ეს სახადიც გადაუვლის ევროპას, მერმე დაწყნარებულ გუნებაზე იფიქრებს, იგი დაელოდება, აუცილებლად დაელოდება, ევროპაში იქნება თუ საქართველოში, იმ ნანატრ დრომდე მივა, როცა ამ ნასწავლი ყმაწვილებით გონ-გახსნილი ივერია ალექსანდრე მაკედონელივით ნანატრ ოცნებას დაუდებს საფუძველს და ევროპასა და აზიას ერთმანეთთან დააკავშირებს

არა ომით,

არამედ მიმოსვლით,

გაცვლა-გამოცვლით,

აღებ მიცემობით.

მაშინ ივერია თავის დანიშნულებას იპოვის კაცობრიობაშიო, - ამას ფიქრობდა ნიკიფორე ირბახი ევროპის გზაზე.

სხვას ფიქრობდა თეიმურაზი:

- ძლივას მოვიცილე ეს აბეზარი მღვდელიო, ყველაფერში ცხვირს ყოფს, რაც მისი საქმე არააო. სადა მცალიან მასთან ბოდიშობა, ქვეყანას უნდა მივხედო. მტრად მოსულია აბასი, ეს კი მასთან მეგობრობას მირჩევსო. შლეგია ეს საბრალო ხუცესი, აბა რა უნდა ვუწოდო ასეთ კაცსაო. იგი ევროპას კარგად იცნობს და იყიალოს აქეთ-იქითო. თუ ვინმე მეფეთაგანი გადააცდინა ჩვენდა სასარგებლოდ, ხომ კარგი, თუ არადა ერთხანს თავს მაინც დამანებებს და თვითონაც გაერთობაო.

ამას ფიქრობდა და თან ახალი ლექსის გამოცხო-

ბას შეუდგა, ფიქრობდა და წერდა მაღალ ზნეობრივ ლექსს, სპარსულ ყაიდაზე მოჭრილს და რუსთველურად გაწყობილს.

ამ ცხელ გულზე თეიმურაზს ლევან დადიანმა კაცი აახლა, თავისთან იწვევდა ოდიშს, უთვლიდა მამიდაისშვილი ბიძაშვილს:

- კარგა ხანია არ მსტუმრებიხარ, ვერც მე გეწვიე აბასის გამო კახეთსო. ეს წლები, ვიცი, დაძაბული გქონდა, ამიტომ თავი განიტვირთეო. არც მე მქონდა დალხენით საქმე, მაგრამ შენგან განსხვავებით შინ არც ერთი მტერი არ მიხტებოდა და შინადვე ვაგვარებდი მათთან ურთიერთობებსო. შენ კი დედა-ბუდიანად აგყარა წყეულმა შაჰმა და ვის კარზეც ხარ დღეს, ხვალ ისინი გაგიმტერდებიან და მერე კიდევ სხვის კარზე ხარ ატუზულიო. ჩამოდი ჩემსას, აბასის ჯიბრზე იცხოვრე ოდიშს რამდენი ხანიც გენებოს. მერმე ხელსაყრელი დრო იხელთე და დაიბრუნე შენი ტახტი. ერთხელ ასე ვქენით, მაშინ ნეტარხსენებულმა ლუარსაბმა არ დაგვიჯერა და გაიძვერა შადიმანს დაუჯერა. თავიც ამიტომ წააგო. იყავ ჩემსას. სასიკეთო ხმებიც მომდის ქართლითგან. წიგნში ამას ვერ გეტყვიო.

ასე იყო თუ ისე, თეიმურაზს უმალ ევროპას წარგზავნილი ნიკიფორე გაახსენდა და იფიქრა:

- ლევანთან სტუმრობა იმითაც იქნება სასარგებლო, რომ ამ ირბახს მას გადავულოცავ და მერმე, ასე უქნიათ, ერთმანეთს თავები ამტვრიონო. ღვთის წყალობასავით გამომეგზავნა ლევანის წიგნიო. ეჭვსაც ვერავინ აიღებს, თვითონ ლევანია ჩემი სტუმრობის მოთავეო. იქ დაველოდები ნიკიფორეს და ვუბრძანებ ელჩობის შედეგები ოდიშს მაცნობოსო. მართალია, ლევანს რაღაც გათვლა ექნება ჩემი ოდიშში სტუმრობით, მაგრამ ეს ჩემთვის მეორეხარისხოვანია. ის ჩემთვისაც ხელსაყრელად უნდა ვაქციო. ამ დამთხვეულ მღვდელს რომ ჩამოვიცილებ, მეტი ხეირი რა გინდა რომ იყოს! იქნებ ლევანსაც მოუტანოს ხეირი ნიკიფორემაო.

დევნილ მეფეს წიგნის წაკითხვის შემდეგ, რა თქმა უნდა, სახე გაებადრა, მაგრამ ლევანის შიკრიკს უბრძანა ერთი დღით მოეცადა, ვიდრემდე ოდიშის მთავართან საპასუხო წიგნს გაატანდა. ეს ერთგვარი თავპატიჟი იყო თეიმურაზისგან, მაგრამ საკმაოდ მოხერხებული და საქმიანი იერის შემძენი. შიკრიკმაც და ლევანმაც კარგად იცოდნენ, თეიმურაზი ამ მოწვევას რომ უყოყმანოდ დათანხმდებოდა. ამისათვის მასპინძელმა სტუმრის მისაღებად წინდაწინვე თადარიგი დაიჭირა და მეფისთვის სათანადო დარბაზი გამოყო.

არც თეიმურაზმა,

არც ლევანმა და

მით უმეტეს არც ნიკიფორე ირბახმა

არ იცოდნენ, რა ნაყოფიერი გამოდგებოდა ოდიშის ძლიერებისთვის კახეთის მეფის სტუმრობა.

არც ის იცოდნენ -

არც სტუმარმა და არც მასპინძელმა -

რა საჩუქარს უმზადებდა თეიმურაზი ლევანს ნიკიფორეს სახით.

ასე იოლად იცილებდნენ თავიდან დიდ კაცებს პატარ-პატარა მეფუკები და გონიერ კაცებს ხვდებოდათ ასეთი საჩუქრები, მაგრამ ამ გონიერ კაცებს ძალაუფლება არ ჰყოფნიდათ დროულად და ჯეროვნად გამოეყენებინათ ეს დიდი კაცები ქვეყნის სასიკეთოდ.

მამაი ნიკიფორე მუდმივად წერდა წიგნებს თეიმურაზ მეფეს, თუ რა გააკეთა, ვის შეხვდა, რა გადაწყდა, ასევე უხატავდა ევროპული ცხოვრების ზოგად სურათებს.

წერდა

მონარქებზე და პაპებზე,

მთავრებზე და გრაფებზე,

მინისტრებზე და ელჩებზე,

ხატავდა ამა თუ იმ ქვეყნის მდგომარეობის სურათებს... და საერთო ევროპულ განწყობებსა და მისწრაფებებზე. რის შემდეგ რას აპირებდა, სად უნდა წასულიყო და ვინ უნდა ენახა რა მიზნით.

წერდა

მნიშვნელოვანსა და უმნიშვნელოს,

მეცნიერულ სიახლეებზეც, თუ რა გზით მიდიოდა მსოფლიო აზროვნება.

წიგნების დაწერასა და გამოგზავნას ვერ ასწრებდა, რომ ახალი იწერებოდა, თეიმურაზიც კითხვას ვერ აუდიოდა.

ზოგი რამ გატაცებით ჩაიკითხა,

ზოგს ზერელედ ავლებდა თვალს,

წიგნის ზოგიერთ მონაკვეთს არც კითხულობდა, იმდენად არასაჭიროდ მიაჩნდა მეფეს.

მერმე ამ წიგნთა კითხვაც მოწყინდა და უკვე მიწერილები და ახლად მიღებულები და მომავალში დასაწერიც თავის გულუხვ მასპინძელს გადაულოცა წასაკითხად და გასაცნობად, იქნებ რამეში გამოგადგესო, თვითონ კი შაჰ-აბასთან თვალთმაქცური შერიგებით იყო დაკავებული და ისპაჰანს თავის ელჩებს აგზავნიდა. ლევანსაც გაუმხილა განაზრახი, მართალია, დადიანმა არ მოიწონა თეიმურაზის გადაწყვეტილება, მაგრამ იმედი გამოთქვა, რომ კახთ-ბატონი მოახერხებდა მოსისხლე მტერთან „შერიგებას". ოდიშის მთავარმა იცოდა, რომ მოურავ-ხანი ქართლში იყო და სარწმუნოდ მოდიოდა ამბები სააკაძის იდუმალი საქმიანობის შესახებ. ამიტომ არიდებდა თავის ბიძის-შვილს ნაადრევ დაზავებას. ნდობით მასაც არ ენდობოდა ბოლომდე, რომ გაემხილა სპარსეთთან მოახლეტული ომის შესაძლებლობა, არადა აწუხებდა თეიმურაზის სიჩქარე.

- იქნებ მართლაც საზავოდ მიეცეს ქართველებს საქმე და წარსდექი მერმე შენ, როგორც განზე მდგომი და უბრალო მოზავე. სიხარულით მიგიღებს აბასი, თუ საზავოდ არ მოგვეცა საქმე. კახეთი ხომ შენია და ღმერთმა მოგახმაროსო. თუ არ დაგანებეს ქართველებმა, ქართველის დამარცხებას რა უნდა?! - ჩაიხითხითა

ლევანმა და ნიკიფორეს წერილების საკითხავად წავიდა.

ნიკიფორე კი იტყობინებოდა:

გემით მშვიდობიანად ვიმგზავრეთ და ნეაპოლის ნავთსაყუდარში გავჩერდით. მე აქ ჩამოვედი, გემი კი გენუაში აგრძელებდა სვლას. აქ ადგილობრივმა აბატმა მიგვიღო, გამოიკითხა ჩვენი ჩამოსვლის მიზეზი და ივერთა მეფის ბეჭდიანი წიგნი რომ ვუჩვენეთ პონტიფიკოსისადმი მიწერილი, დიდად გაიხარა. სამტროდ მოსულნი ვეგონეთ თავდაპირველად და მესამე-მეოთხე ჭიქაში გამოგვიტყდა:

- თქვენი წიგნების ჩამორთმევა გვინდოდა, მაგრამ ვინაიდან თქვენც ქრისტიანები ხართ, საქრისტიანო მიგიღებთ როგორც მოკეთე ძმებსაო.

ესეც მკითხა:

- ასე ზედმიწევნით რად ისწავლე იტალიური ენაო?

- რომშიო, - ვუპასუხე.

არ მოელოდა ამ პასუხს, ეგონა სადღაც გადასაკარგავში მისიონერის მადლით ვისწავლე ენები. მერმე ასე მითხრა:

- მე ამ ხნის მოვიყარე და სულ ჩემს სააბატოში ვარ გამოკეტილი. დამიჯერებთ, ორი ფეხის გაწვდომაზეა აქედან რომი და ჯერაც არ ვყოფილვარ ამ მარადიულ ქალაქში. თქვენ კი, შორეული ივერიის შვილო, რომში ყოფილხართ განსწავლულიო. ისე აეწყო ჩემი საქმეები, ამ ქალაქიდან ჯერაც ვერ გავსულვარო, არადა, ვინ მიშლის?!

- ჰოდა, ამაზე კარგი საბაბი რა გექნება, მოწყალეო მამაო, წამოგვყევი და თავად წარგვადგინე რომის პაპთანო.

ამ წინადადებაზე დიდად გაიხარა აბატმა და თავის მსახურთ მგზავრობისთვის მზადება უბრძანა. მათ გაიკვირეს, მაგრამ რახან მასთან უცხოელი სტუმრები ვიყავით, დიდმნიშვნელოვან საქმედ ჩათვალეს და ფაციფუცით დაიწყეს მზადება, თან ჭორაობასაც მიჰყვეს ხელი. ერთ ღამეში რა არ ვიყავით მათ წარმოდგენაში, თვლა აღარაა. ჩვენს მოსასვენებელ კელიაში კარგად ისმოდა მათი საუბრები, რადგან ერთ დროს ჩვენი ოთახი და გვერდითა ოთახი ერთ დარბაზს წარმოადგენდა და რატომღაც ცალფა აგურით გაყვეს და კელიებად გადააკეთეს ისინი. ალბათ საგანგებოდ გააკეთეს ასე, უფრო იოლი რომ ყოფილიყო მიყურადება. მე ჩემს ქართველ თანმხლებთ ვუთარგმნიდი მათ ნაჩურჩულს, ისინი კი ჩუმად ხვიხვინებდნენ. ერთის სიტყვით, იმ ღამით გვიანობამდის გაგვართვეს ბერებმა. დილით ადრიანად გავემგზავრეთ რომში.

- ერთი რამ უნდა მოგახსენო, მეფევ ბატონო, - აგრძელებდა სხვა წიგნში ნიკიფორე მღვდელი, - ეუროპაში ამასობაში ლამისაა ცხენზე ჯდომას გადავეჩვიო. აქ მიღებულია ოთხთვალით მგზავრობა და ეს ოთხთვალა ისეა მოწყობილი, რომ ცხენით ერთი დღის სავალს სულ რაღაც საათსა თუ ორ საათში დაფარავ. ერთგვარი მარხილია, ოთხთვალაზე დადებულია მსუბუქად შეჭედილი პატარა ოთახი ორ მხრიდან რბილი სავარძლებით. მასში სულ მცირე ოთხი ცხენია შებმული, თუ შეძლებულ კაცს დაემგზავრები, რვა ცხენიც შეიძლება იყოს შებმული ორ-ორ წყვილად. ბუნებრივია, რაც მეტია ცხენი, მით მეტი აქვს სიჩქარე ამ მოწყობილობას. საამისოდ გზებიც მოწესრიგებულია, ოღრო-ჩოღრო და ორმოები რომ არ შეხვდეს მიმავალს. ასეთ დროს გარდაუვალი მარცხი ელოდება მგზავრს. გადახურულსა და ცხენებს შორის კაცი ზის და მართავს ცხენებს. მას ქუჩერს უხმობენ, ხოლო ამ მოწყობილობას კარეტა ჰქვია. მეტად კარგი რამ არის ეს კარეტები. ასევეა ღია კარეტები, საზაფხულოდ დადიან იმით წარჩინებული სენიორები, აბა გლეხობასა და უბირ ხალხს ვინ მისცემს ასეთ ფუფუნებას. ამ კარეტების ნახაზებს ჩამოგიტან და გაახლებ პირადად, მეფევ-ბატონო. ჩქარობს ეუროპა, აღარ ჰყოფნის ეუროპას ეუროპა და ახლად აღმოჩენილ სამყაროში მიუწევს გული. ასე ამბობენ, იქ ელ'დორადოაო. ჰოდა, დადიან ზღვაოსნები ამ ელ'დორადოს ქვეყნებში და მიჰყავს ხალხი და ჩამოაქვთ ქვეყნის რამ, აქამდისინ რომ არ უხილავს არათუ ეუროპას, არამედ აზიასაც და აფრიკასაც. ეს ნაკეთობებიო, ეს მცენარეულობებიო, ეს ქსოვილ-ნაჭრებიო, რა ვიცი კიდევ რა არა... ამბებიც უცნაური ჩამოაქვთ, გადარიეს პირდაპირ მთელი ეუროპა. პირამიდებიაო, ამბობენ - პირამიდები მე ეგვიპტეში მინახავს. არა, ისეთი არააო, ამბობენ, კიბეებიანიაო. თუ ღმერთმა ინება, იმ უცნაური პირამიდების მონახულება მსურს. ერთხელ ისე აღმიწერა ეს პირამიდები მეზღვაურმა, სიზმარში ვნახე. მერმე მისი ჩანახატი გავაკეთე და ვანახე მას.

- სწორედ ასეთიაო. შენ საიდან ნახე ეს პირამიდაო? - მკითხა, - ნანახი თუ გქონდა, რატომ მალაპარაკე ამდენიო.

გამეცინა. ვუთხარი:

- დამესიზმრა-თქო.

ალმაცერად გამიღიმა, არ დამიჯერა. ჰოდა, ასეთი ეუროპა, რომელიც გადასაკარგავში, ჩვენში რომ იტყვიან ცხრა მთასა და ცხრა ზღვას იქით, ელ'დორადოს ქვეყნებს იპყრობს და იმორჩილებს, ცხენზე ჯდომას, ბუნებრივია, აღარ დაყაბულდება და მალე თვითმავალ ეტლებსაც გამოიგონებენ. ჩემი აქ ყმაწვილობაში ყოფნისას გალილეი გვიამბობდა პირად საუბრებში ლეონარდო და ვინჩის ნახაზებზე. თურმე მას ჰქონია ორთქლის ძრავა დახატული.

- ჰოდა ეს ძრავა ამ კარეტებზე რომ დააყენოო, - გვარწმუნებდა გალილეი, - ეს კარეტები თავისით ივლიან ცხენების გარეშეო.

მე მაშინ კარეტებიც კი არ მენახა, როგორი იყო და ეს გონიერი ხალხი თვითმავლებზე გველაპარაკებოდნენ. საოცრებები ხდება, მეფევ ბატონო, ეუროპაში. ნათელი გონი იმარჯვებს თანდისთანობით ყველა სფეროში.

ღმერთო მაპატიე და ნუ შემრისხავ, მაგრამ რომის პაპსაც შეეკვეცა სამბრძანებლო. იქეთ ნემენცურ-პრუსიული მიწები დააკარგვინა ლუთერმა, მოგვიანებით კალ-

ვინელებმა. ბრიტანეთის კუნძულები რახანია გამოსულია ლათინთა სამწყსოდან. ფრანციაშიც ეწადათ, მაგრამ ვერრას გახდნენ, თუმცაღა იქ ისეთი კარდინალი მეფობს, რომელიც არათუ რომის პაპს, თავის საკუთარ მეფესაც არ ეპუება და თავის წინადადებებს კარნახობს. არმანუს რიშელიე ჰქვია სახელად. ჰოდა, მასთან უნდა გავმართო მოლაპარაკებები, ფრანციის იმედი თუ გვინდა გვქონდეს. ერთი ესპანიაა დარჩენილი, მტკიცედ რომა აქვს მოკიდებული ფეხი ლათინებს, ეშინიათ გრანადის ემირატი არ აღდგეს, ქვეყანაში მრავლად არიან მორისკები, და მიტომ. ეს მორისკები არაბულ-აფრიკული წარმოშობის ყოფილი მუსლიმანები არიან, ესპანია ოსმალოს უღლისგან განთავისუფლების შემდეგ რომ დაერია და გააქრისტიანა.

თავის მხრივ ესპანიას თვალი უჭირავს იტალიურ ქვეყნებზე და ნიდერლანდების რესპუბლიკაზე. ეს რესპუბლიკა თურმე ყოფილა უმეფო მმართველობა. ღმერთმა დაიფაროს ივერია და ივერიის მეფეები რესპუბლიკისგან. რომი ვიდრემდე იმპერია გახდებოდა, რესპუბლიკა ყოფილაო, - ასე მითხრეს პატრეებმა. სენატს ხალხი ირჩევდაო, სააჯო კარი რომ ჰქონდა დიდ დავით მეფეს ჩვენში, იმდაგვარი, ოღონდ უმეფოდ, ან მეფიანად, როცა მეფე ემორჩილება სენატს. ჩვენში ყოველთვის მეფის ნება ყოველგვარ დარბაზზე და სააჯო კარზე უმტკიცესი იყო და ჰგიეს უკუნისამდე. აი, თამარ მეფის დროს რომ მოისურვა ყუთლუ არსლანმა კარვის გამართვა, ისეთი მმართველობა უნდათ შემოიღონ მთელს ეუროპაში. ამის წინაპირობას თვით ეუროპიელი მეფეები იძლევიან თავიანთი უზნეობით. ესპანიის ჰაბსბურგები, მაგალითებრ, გადაეკიდენ საღვთო რომის იმპერიას, ექიშპებიან პირველობისთვის ერთმანეთს. ნემენცები ისე არიან დაქსაქსულნი, დედა შვილს ვერ აიყვანს - ზოგი კალვინელია, ზოგიც ლუთერელი, აქა-იქ კათოლიკობასაც მისდევენ. ყველაფერი ეს დამოკიდებულია არა მეფეზე, არამედ გრაფებზე, ეს გრაფები ჩვენში რომ მთავრები არიან, ისეთი ძალაუფლება გააჩნიათ. ყველა ერთად რომის პაპს ეწინააღმდეგება, ვერ უთმობენ სასულიერო სამბრძანებლოს, იმის იქეთ უკვე მეფეები ბატონობენ. არც მეფეებს აწყობთ მაინცა და მაინც ძლიერი საეკლესიო ხელისუფლება. ფრანციაში, ერთხელ უკვე მოგწერე კარდინალი მეფობს, როშელიე. მასთან წარვგზავნე სარწმუნო კაცნი და აუდიენცია ვითხოვე. ვგონებ, ყველაფერს კარგი პირი უჩანს. ის სარწმუნო კაცი ესპანიის მეფის ამბებსაც შემატყობინებს: რით და როგორ მოვინადირო ძლიერი მონარქის გული (ასე უხმობენ მეფეებს ეუროპაში).

ერთიც კარგი ცნობა მინდა მოგანდო, მეფევ ბატონო, გარდასულ საუკუნეებში იყო ასეთი კაცი გიუტენბერგი, რომელმაც ხატაელთა წაბაძვით მანქანა გამოიგონა და წიგნების ბეჭდვას მიჰყო ხელი. ეუროპაში დამკვიდრდა წიგნთა ბეჭდვის ხელობა. ლითონზე ასხამენ ასო-ბგერების ნიმუშებს, ლიტერებს უხმობენ ასეთ პატარ-პატარა ჩამოსხმულ ასო-ბგერებს. მერმეთ ასოთა ამწყობნი სიტყვებს კრებენ. უკულმითაა ჩამოსხმული ლიტერები, წაღმით რომ დაიბეჭდოს. მერმეთ ამ აწყობილ გვერდებს დაზგაში ამაგრებენ, საღებავს უსვამენ, მასზე დებენ ქაღალდს ან პერგამენტს. დაზგა დაწნეხავს დამაგრებულ გვერდებს და ქაღალდს ერთმანეთზე, მერმე აიღებენ ანაბეჭდს და წიგნებად კრავენ. ასე ასეულობით წიგნის დაბეჭდვა შეიძლება, გადამწერები აღარცაა საჭირო. ერთმა აქაურმა აბატმა შემომთავაზა ქართულად რომელსამე წიგნის დაბეჭდვა. ჩემის აზრით პირველად რაც შეიძლება დაიბეჭდოს იტალიაში, ეს სიტყვათ-ცნობარია იტალიურის თარგმნებით. ლათინებიც გაიგებენ ყოველისფერს და ქართველთათვისაც ხელმისაწვდომი იქნება იტალიური ენის შესწავლა და აქ რომ ჩამოვლენ სასწავლებლად ყმაწვილები, გაუიოლდებათ მეცნიერებათა დაუფლება იტალიურის ცოდნის გამო. ახლა ყველაფერს ვღონილობ, იქნებ ვინმე ლიტოგრაფი ვნახო, ქართული ანბანის ლიტერები რომ ჩამოგვისხას და დაამზადოს. ფრანცისკანელმა ბერებმა წიგნი მაჩუქეს, ლექსიკონს უხმობენ, სიტყვათა-განმარტებანია. ამის მაგალითებრ უნდა დავწერო იტალიურ-ქართული ლექსიკონი. აქაური სწავლულებიც გამიმართავენ ხელს. მათ იციან როგორ უნდა აიგოს სიტყვათ-განმარტებანი. უმთავრესი მონახაზები შემასწავლეს, რას უნდა მიექცეს ყურადღება - ასო-ბგერათა თანმიმდევრობას, ადვილი საძებნელი რომ გახდეს, თორემ სიტყვები აღირევა და ბევრიც გამოგვრჩებაო. ერთნი იტალიურის სიტყვებით მომამარაგებენ, მე ქართულ შესატყვისებს მივუთითებ. მერმეთ ერთიანად გადავხედავთ და წიგნად ავაწყობთ მას. ღმერთი მოგვიმართავს ხელს. ყმაწვილკაცობაში რომ ვიყავი აქ, ეუროპაში სახელგანთქმული მოლექსის შექსპირის ნაბეჭდი წიგნი შევიძინე რაღაც-რაღაც დანაზოგებით. ეს შექსპირი ისეთივეა ეუროპისთვის, ვითა ქართველთათვის რუსთველი. ოღონდ ესაა, რომ შექსპირის წიგნებს არავინ ამზითვებს.

ახლა ფრანციის კარდინალთან წარგზავნილი კაცისგან მივიღე წიგნი. რიშელიე თურმე დათანხმებულა ჩემთან აუდიენციას. რა ვქნა, პონტიფიკოსთანაც მქონდა ასეთივე აუდიენციაზე მოწვევა. აქაური პატრეები მირჩევენ სასწრაფოდ ფრანციაში გამგზავრებას.

- ის უფრო მნიშვნელოვანიაო, - მეუბნებიან, - პაპი სად გაგექცევაო, რიშელიე კი მეტად თავკერძა კაცია და მისი უგულებელჰყოფა შეიძლება ძვირად დაგიჯდესო. ხელმწიფეებს აუკრძალავს შენთან ურთიერთობას და სასახლეებიც საგულდაგულოდ დაიხურება შენთვისო. ამიტომ იჩქარე და დათქმული დღისთვის მის თვალსაწიერში იყავიო.

დოვლათიანი კაცია რიშელიე, ყველა ქვეყანაში ჰყავს თავისი ჯაშუში. შეიძლება ითქვას, მთელი თუ არა, ნახევარზე მეტი ეუროპა მუჭში ჰყავს მოქცეული. ამიტომ ვჩქარობ და ვწყვეტ ამ წიგნს. დანარჩენს გზადაგზა გაცნობებ, ჩემო კეთილისმყოფელო ხელმწიფეო.

დიახ, მეფევ-ბატონო, - აგრძელებდა სხვა წიგნში

ამბების თხრობას ნიკიფორე ირბახი, - შევხვდი არმანუს რიშელიეს. დიდებული აპარტამენტები აქვს პარიზის შუაგულში, გარეუბნადაც აქვს მამულები. კეთილგანწყობით მიმიღო კარდინალმა. დაწვრილებით გამომკითხა ივერიასა და ივერიის მეფეთა შესახებ. ბევრი რამ ჩვენი ქვეყნის შესახებ თვითონაც სცოდნია. წმიდა გრაალზე გამიმახვილა ყურადღება, ასე მითხრა:

- წმიდა გრაალისა და საუფლო კვართის მცველ ერს ვისი რა დახმარება გჭირიათო. ერთხანს ეუროპა ივერიის მეფე-ხუცესმა გადაარჩინა და გოგსა და მაგოგს შეუკრა ხელ-ფეხი და ჩვენსკენ სალაშქროდ არ გადმოუშვა, იმდენად მძლავრი დარტყმა მიაყენაო. აქ მენესტრელები მასზე საგალობლებს თხზავენო.

რიშელიეს კარგად სცოდნია აბას-ყაენის სიმხეცეთა ამბები.

- პორტუგალიელმა ბერებმა ქეთევან დედოფლის წმიდა ნაწილი აქ მოასვენეს და მეც პატივი მქონდა მესა აღმევლინა მისი წმიდა სულისთვისო.

ასე რომ, რიშელიე ცუდი სასაუბრო კაცი არ არის, თუმცაღა მასთან შეხვედრა ყოველთვის საფრთხილოა, არ იცი რა უდევს გუნებაში იმ წუთში, და მიტომ. ჯარით დახმარებას რაც შეეხება, ამაზე თავი შეიკავა, ჯარი აქაც მჭირდება და საკმაო რაოდენობისაო. ყმაწვილთა განსწავლაზე კი სიხარულით დამთანხმდა, ასე ბრძანა მისმა ბრწყინვალებამ:

- თუ ინებებს თქვენი ხელმწიფე და რამდენსაც ინებებს, ყველას ეუროპის საუკეთესო სასწავლებლებსა და აკადემიებში გავამწესებთ და თანხასაც თავიდან ბოლომდე პირადად მე გავიღებო.

სამხედრო დახმარებისთვის კი წიგნი მაახლა საშუამდგომლო ესპანიის მეფესთან, თუ რაიმე შეძლება ექნება, ორ-სამ კორპუს ჯარისას დაგახმარსო.

რიშელიემ პატივი დამდო და წვეულება გამიმართა, ფრანციის მეფეც მოიწვია ლიუდოვიკო მეათსამმეტე. ამ წვეულებაზე ველმოჟებმა მიმაბეს, თუ როგორ გადაარჩინა ხელმწიფე შეთქმულებას ინგლისელი ავანტიურისტ ჰერცოგ ბუკინგემისგან, რომელიც დედოფალს დაუახლოვდა მეფის ტახტიდან ჩამოგდების წადილით. რიშელიეს მოკვდინებაც ნდომებია თურმე. რომ არა სამეფოს პირველი მინისტრისა და კარდინალის მეცადინეობა, შეთქმულები საწადელს მიაღწევდნენ. ახლა იმდენადაა დაცული კარდინალის სიცოცხლე და უსაფრთხოება, რომ ამას მთელი პოლკი უზრუნველჰყოფს - პოლკი ჯარის დიდი შენაერთია ეუროპიულ ენებზე. ისიც მიამბეს, რომ რიშელიემ დედოფალსაც ერთ დროს გადააფიქრებინა და ხელი ააღებინა შეთქმულებაზე, რის გამოც ლიუდოვიკ მეფის განსაკუთრებული ნდობა დაიმსახურა და ამის შემდგომად ებოძა პირველი მინისტრის სავარძელი. ამჟამად მეფე და კარდინალი ლა-როშელის ალყას ხელმძღვანელობენ უკვე მერამდენე თვეა. მე ესპანიიდან ვადევნებ თვალს ამ ალყას. მოწინააღმდეგე ისევ ის თაღლითი ჰერცოგია. რიშელიემ ხერხი იხმარა და დამბა ააგებინა მოალყეებს. ამით ზღვიდან ჩაკეტა კუნძული. ეს დამბა ერთგავრი კედელია, ალექსანდრე მაკედონელი იყენებდა მას, შემოეწყობოდა რა აუღებელ ციხე-გალავნებს, დამბებს აგებდა და ამის მეშვეობით იღებდნენ ციხეებს. რიშელიემაც ამ ხერხს მიმართა. ამასობაში კარდინალმა თავისი მსტოვარი შეაგზავნა ლა-როშელში და ჰერცოგი ბუკინგემი მოაკვლევინა. დღეების საქმეა და ლა-როშელი დაეცემა. თანაც ჰუგენოტებსაც ჩაუვარდათ კოვზი ნაცარში. ეგონათ აუჯანყდებოდნენ პირველ მინისტრს, მაგრამ იძულებული გახდნენ საკუთარ ნაჭუჭში ჩაიკეტონ. ამით რიშელიემ ესპანიასაც აგრძნობინა, რომ ფრანცია ამის იქით საერთაშორისო ასპარეზზე დამოუკიდებელი მოთამაშეა და არა მისი ქვეშევრდომი. ჩვენც ასეთი ძალის წიგნი გაგვატანა ესპანიის მეფესთან ფილიპე მეოთხესთან.

აქაც თითქმის იგივე მდგომარეობაა, რაც ფრანციაში. ფილიპე ყმაწვილია, მოუშუშებელი, იტაცებს სასახლის კარის ცხოვრება, სახელმწიფოზე ოდნავადაც არ ზრუნავს. ქვეყანას გრაფი-ჰერცოგი გასპარ ოლივარესი მართავს - ფრიად საშიში პიროვნება. რიშელიესგან განსხვავებით იგი მხოლოდ ძალაუფლების მოხვეჭაზე ფიქრობს და არა მის გამოყენებაზე. იმდენად გაუმაძღარია ოლივარესი, გრაფისა და ჰერცოგის წოდებები გაიერთიანა, ჩვენში რომ ვთქვათ „თავად-აზნაური", რაღაც ამდაგვარი სჭირს. რიშელიეს წიგნი ლამის თავზე დამახია, მაგრამ დიდგვაროვნულმა წესიერებამ მაინც თავისი თქვა. თანაც აქაც, ამ გულგოროზი გრაფ-ჰერცოგის სასახლეშიც სმენიათ და საკმაოდ საფუძვლიანადაც ქეთევან დედოფლის შესახებ. ეს რომ შევიტყვე, ოლივარესს ვუთხარი:

- მე ქეთევან დედოფლის სახელოვანი შვილის - თეიმურაზის ელჩი ვარ-თქო.

დიდად გაიხარა გასპარმა, გულდასმით მომისმინა, მანაც რიშელიეს მსგავსად ჯარზე უარი მომახსენა, ყმაწვილთა გაწვრთნაზე კი სიამოვნებით დამთანხმდა:

- ესაო-და, თუ გნებავთ, მთელი ივერია ჩამოდით ჩვენთან გინდაც ისწავლეთ, გინდაც იცხოვრეთო. ჩვენც ხომ ივერიელები ვართ, ოღონდ პირენეების ივერიააო, თქვენ კი - კავკასიისაო. ეს მთელმა ესპანიამ იცის და გულწრფელად მოხარულნი ვიქნებით, თუ თავს დააღწევთ იმ კაციჭამია სპარსებსა და ოსმალებსო.

ხუმრობა მეგონა, თურმე გულწრფელი ყოფილა. რიშელიესგან განსხვავებით, რომელიც მუდამ ფხიზლობს, ძილშიც კი, ოლივარესი მუდამ მთვრალია, სიფხიზლეშიც კი. ერთიცა და მეორეც შესაშურად უძღვებიან თავთავიანთ საქმეებს. მართალია, ერთმანეთს ვერ იტანენ, მაგრამ ანგარიშს უწევენ ერთმანეთსაო. ამ დიდვეზირთა პაექრობაში გამოჭყენტილია თვით პონტიფიკოსი ურბანი.

ისიც რაა, თავის ნათესავებზეა გადაყოლილი. ლათინური ეკლესიის სამბრძანებლოში დახვავებულნი არიან კარდინალებად ბარბერინები -

აქეთ ეს ნათესავი,
იქით ის ნათესავი.

ახალი ჩამოსული ვიყავი რომში, როცა მიქელანჯელოს მიერ ოთხმოცი წლის წინ დამუშავებული წმიდა პეტრეს ტაძრის მშენებლობა დასრულდა და პაპმა საზეიმო მესა გადაიხადა დასრულებულ ტაძარში. ენით აუწერელი დიდებულებაა. ის თვითონ უნდა ნახო და განიცადო საკუთარი თავიცა და მთელი სამყაროც ამ ღვთაებრივ ტაძარში დგომით.

პონტიფიკოსს სახელი და გავლენა არ გააჩნია თავის მრევლში. ესპანელი და აუსტრიელი ჰაბსბურგებიც კი ვერ შეარიგა და ომი უკვე რამდენი წელია გაჭიანურებულია და ჯერ სადაა - არც თავი უჩანს ამ ეუროპიულ ომს და არც ბოლო. სამაგიეროდ ურბან მერვემ განაახლა გალილეო გალილეისთან ბრძოლა (გალილეის შესახებ ბევრი რამ გიამბე ტფილისშიც და აქეთ გამომგზავრების წინ ქუთათისის ციხეშიც). ჰოდა, ამ პონტიფიკოსს სურს გაიმეოროს იპოლიტო ალდობრანდინის, იგივე კლიმენტ მერვის ცოდვა, ჩადენილი ჯორდანო ბრუნოს და მასთან ერთად მთელი მოაზროვნე კაცობრიობის წინაშე. ეს ენის გასატეხი გვარი იმიტომაც დამამახსოვრდა ასე მწარედ, რომ ის თავგასატეხი ბეცი იყო. ეს რიცხვით მერვეები ბედისწერად აღიმართა მსოფლიო გონზე. ახლა ჯერი გალილეო გალილეიზე მიდგა. მიუხედავად იმისა, რომ ურბანმა გულთბილად მიმიღო და მოწაფეთა საქმეში ხელი გამიმართა, ცალყბად ჯვაროსნულ ომსაც დამპირდა სპარსთა და ოსმალთა წინააღმდეგ, იგი თუ გალილეის კოცონზე დაწვავს, არათუ იგი, მთლიანად მოაზროვნე ეუროპა ზურგს შეაქცევს ლათინთა სარწმუნოებას, ისედაც ბევრი მოიმდურეს საინკვიზიციო სასამართლოებით. ეს უკვე ყველაფრის გვირგვინი იქნება. მას თუ არა, იმედია დიად ინკვიზიტორს მაინც ეყოფა გონიერება და ურბანის უგნურებას ააცილებს ეკლესიასაც და კაცობრიობასაც.

კიდევ ერთი რამ უნდა მოგახსენო, ჩემო პატრონო, სასამართლოთა მსვლელობაზე თვალყურის სადევნებლად იტალიაში საგანგებოდ ჩამოვიდა ნიდერლანდის რესპუბლიკის ელჩი პიტერ პაულ რუბენსი. მე იგი ესპანიაში გავიცანი. გასაოცარი მხატვარია. გულჩათხრობილი კაცია რუბენსი - ცოლიშვილი რომ დაღუპვია, მის მერმე ელჩობას მოჰყო ხელი, ფრანციაშიც ყოფილა, პრუსიაშიც, ესპანიის მეფესთან მოლაპარაკებებს მართავდა იმხანად. ერთმანეთს დავედარეთ ოლივარესთან შეხვედრისას. კარგ განწყობაზე იყო ოლივარესი მაშინ, ასევე წარჩინებული ესპანელი მხატვარი გაგვაცნო - დიეგო ველასკესი. ერთმანეთში საერთო ენა მაინც ვერ იპოვეს ამ ორმა დიდმა მხატვარმა. პირველსავე დღეს წაკამათდნენ ფერწერის სფეროში. თავიანთი სიმართლის დასამტკიცებლად ორივემ ერთდოულად გააკეთა ჩემი და ოლივარესის ჩანახატი - ერთმა ერთი ხელის მოსმით, მეორემ დიდი დაკვირვების შემდეგ, მაგრამ გასაოცარი სისწრაფით. გამოგვიწოდეს თავ-თავიანთი ნამუშევრები და თავიანთი მრწამსის დამტკიცებას შეუდგნენ. მართალია, ჩვენ ბევრი ვერა გავიგეთ რა, მაგრამ ერთს რამეს ნამდვილად მივხვდი - ისინი თავიანთ სახელს დაიმკვიდრებენ კაცობრიობაში.

ჰოდა, რუბენსი აქ, რომში ჩამოვიდა პაპათან მოსალაპარაკებლად, რათა გალილეის თავდებად დაუდგეს მეცნიერის გასათავისუფლებად. ის რომ გავიგე, რუბენსი რომს ეწვიაო, მაშინვე მის სადგომს მივაშურე. გაიხარა მხატვარმა ჩემი ნახვით, გავახსენე ესპანიაში დაპირებული, - ქართული ასო-ბგერების გრავიურის გაკეთებას დამპირდა და მერმე იმის მიხედვით შენ თვითონ ჩამოასხმევინე ოსტატებს ლიტერებიო. გაეღიმა რუბენს.

- მე რომ ამ საქმისთვის არ ჩამოვსულვარ იტალიაშიო!

ისეთი სახე მივიღე, ღიმილს სიცილი მოაყოლა და დაპირება მაინც ამისრულა. ახლა წიგნად ვკინძავთ იტალიურ და ქართულ სიტყვათა განმარტებების კრებულს. როგორც კი დავასრულებ მასზე მუშაობას, იქვე გამოვეშურები საქართველოში და რამდენიმე ცალ წიგნს გაახლებ.

საცაა მიიწურება ჩემი მისია ეუროპაში და მით მეტად დავრწმუნდი ჩემი ვარაუდის მართებულობაში, მეფევ ბატონო. ეუროპა აღარაა ისეთი, რაც იყო ადრეულ საუკუნეებში. მას მუსლიმანური საშიშროება აღარ ემუქრება. მას შეუძლია ჩვენს მოსისხლესაც გაურიგდეს რაღაცის სანაცვლოდ და პირისპირ მარტო დაგვტოვოს უამრავ მტრებთან ისე, რომ არც კი შერცხვება ამისა. ეუროპაცა და მსოფლიოც საბოლოოდ მაინც მიხვდება, რომ ომი მათი კეთილდღეობის გამოსავალი არაა. ერთმანეთში დღეს მხოლოდ იმისათვის ომობენ, რომ ხვალ გონება დაეწმინდოს:

ვისაც ადრე - მით უკეთესი,
ვისაც გვიან - არა უშავს, და
ვისაც არა - მით უარესი.

ეუროპას გზები სჭირდება სარფიანი აღება-მიცემობისთვის. გზა კიდევ ჩვენ გვაქვს. იფიქრე ამაზედ, მეფევ ბატონო, და რაც დროულად დაუზავდები სპარსეთს, მით მალე დაიწყება ჩვენთვის სიახლეთა მთელი წყება სასიამოვნოც და უსიამოვნოც. სასიამოვნო სასიამოვნოა, უსიამოვნოს კი გონიერებით უნდა შევეგებოთ, რათა ვერაფერი დაგვაკლოს ახალდროების სიავემ. წიგნის ბეჭდვა წარმატებით დასრულდა. ყველას მადლობა შევწირე, ვინც მხარში მედგა ამ ხნის განმავლობაში და გამამართვინა წიგნის საქმე. ამაზე კარგი რა უნდა გამეკეთებინა ეუროპაში. კმაყოფილი ვარ ფრიად. მართალია, პოლკები და კოჰორტები არ მომყავს სპარსეთისა და ოსმალეთის დასარბევად, სამაგიეროდ მომაქვს წიგნები, რომლებიც ნებისმიერ იმპერიას ააშენებს და დაანგრევს. ყმაწვილების ეუროპიელად განსწავლა - აი, ჩემი მომავალი იარაღი მტერთანაც და მოყვარესთანაცო, -

ასეთი ამაღლებული განწყობით დაასრულა თავისი ეპისტოლეები კახეთის მეფე თეიმურაზთან ნიკიფორე ირბახმა.

მას ეგონა, მეფე მთელის გულისყურით კითხულობს ჩემს წიგნებსო. მიიჩქაროდა საქართველოსკენ მოგზაურობით დაქანცული და შთაბეჭდილებებით აღვსილი ბერი და გეგმებს გეგმებზე აწყობდა. ყველაზე თამამ მიზნებს ბოლოსკენ იტოვებდა, რადგან იცოდა, თეიმურაზი მშიშარა იყო სიახლეების მიმართ. ისიც იცოდა თავდაპირველად რით უნდა დაეწყო, რათა მეფე თვითონვე გაჰყოლოდა ამ სიახლეებს სიხარულით. მოდიოდა და რაც უფრო უახლოვდებოდა საქართველოს საზღვრებს, მით უფრო მეტად უცემდა გული.

მეფე თეიმურაზი ლეონ დადიანთან ეგულებოდა. მას ბევრი რამ სმენოდა ოდიშის მთავარზე - კარგიც და ცუდიც, თუმცაღა მას საკუთარი აზრი უკვე შექმნილი ჰქონდა მასზე და მის გაცნობასაც ესწრაფოდა. ლეონთან მას თავისი მიზნები ჰქონდა და ისიც იცოდა რა შეეთავაზებინა და როგორ შეეთავაზებინა. თავის იმედებსაც დადიანზე უფრო ამყარებდა, ვიდრე თეიმურაზზე. ლეონი მას გამბედავ და უშიშ კაცად მიაჩნდა, რომელიც არაფრისა და არავის წინაშე ქედს არ მოიხრიდა და უკანაც არაფრის გამო არ დაიხევდა. ნიკიფორესთვის ეს თვისება იყო მთავარი და გადამწყვეტი. ნიკიფორეს ლეონში ხიბლავდა საქმის კაცი. იმის იქით მისთვის ყველაფერი მეორეხარისხოვანი იყო. ისიც იცოდა, რომ მეფე თეიმურაზი მას აუცილებლად შეახვედრებდა ლეონს.

- იქნებ ლეონსაც ამზადებს მეფე ჩემთან შესახვედრადო, - ფიქრობდა და ამ ფიქრებში ვერც კი შეამჩნია,

როგორ შემოვიდა საქართველოში,

როგორ დახვდა მას დადიანის კაცები და

როგორ დაადგნენ ლევანის სასახლეს.

დადიანის კაცები სიტყვაძუნწები აღმოჩნდნენ. ნიკიფორემ იფიქრა, რომ ოდიშელნი ყველანი ასეთი ჯმუხები არიანო, მაგრამ ეს აზრი მაშინ გაუქარწყლდა, როცა ამ კაცებმა თავ-თავიანთი სოფლები გადაიარეს. საკმაოდ მხიარულები და ენამოსწრებულები ჩანდნენ მთავრის კაცები. იმათმა რა იცოდნენ, თუ ნიკიფორემ ზედმიწევნით იცოდა მეგრული სასაუბრო ენა, მასთან ერთად სვანურიცა და აფხაზურიც.

ეს ლევანის საგანგებო დავალება იყო - რაც უფრო პირქუშად მოაჩვენებდნენ დამხვდურები თავს სტუმარს, მით უფრო დაძაბული იქნებოდა იგი მასპინძელთან შეხვედრისას. კითხვებზე ცივად და მოკლე პასუხებს იძლეოდნენ:

- არ ვიცით,

- ყველაფერს ნახავთ,

- ყველაფერს გაიგებთ

და ასე შემდეგ.

როდესაც შეუძღვენ სასახლეში ნიკიფორეს და ნამგზავრმა მეგრულად მიესალმა ოდიშის მთავარს, ყველა სახტად დარჩა, თვით ლევანიც. მეყვსეულად მიხვდა მასპინძელი, რომ მას უბრალო მღვდელთან არ ჰქონდა საქმე. იმ წიგნებს ფსალმუნებისა და ჟამნის გამზუთხავი ვერ დაწერდა.

იმედები გაუცრუა ლევანმა ნიკიფორეს თეიმურაზ მეფესთან დაკავშირებით. სამაგიეროდ საკუთარი თავი შესთავაზა პატრონად. საუბარში ისიც დაუმატა:

- წიგნები, რომლებსაც თეიმურაზს წერდი, ყველა წავიკითხე გულდასმით და მსურს შენი მიზნები ჩემს სამთავროში განახორციელო. მე დაგეხმარები ამაში და თუ არ ვცდები, შენი მიზანიც მე უნდა ვიყოო. რაც შენ გსურს, იმას ვერც თეიმურაზი განახორციელებს და ვერც რომელიმე სხვა მეფე. ამას მე თუ შევძლებ მხოლოდ. ერთი მეგულებოდა კიდევ - გიორგი სააკაძე, რომელიც ოსმალეთში სიკვდილით დასაჯესო. ამიტომ გირჩევ, ჩემთან დარჩე, არაფერს მოგაკლებ, პატივში მეყოლები, ოღონდ ფეხზე დამაყენებინე ოდიში და შენს ნაფიქრსაც გაძლიერებულნი განვახორციელებთ. სიძლიერე მარტო მრავალრიცხოვანი ჯარის ყოლაში არაა. სიძლიერე სიმდიდრეშიცაა, ასე არ იწერებოდი ეუროპიდგანო?! თეიმურაზიც თანახმაა მე შეგიფარო და გიპატრონო. აი, მისი წიგნიც, შენ დაგიტოვა წასვლის წინ. ბაზალეთის შემდეგ მთლად აუვარდა თავში, სიკვდილმა ერთბაშად ორი მტერი ჩამოაცილა ერთმანეთზე მიყოლებით - შაბასი და მოურავ-ხანი. მას აღარ სცალია შენთვის და უკაცრავად, მაგრამ მაინც უნდა გითხრა, შენი თავი მე მომიგდოო. აი, ესეც, - და გაუწოდა თეიმურაზის წიგნი, სადაც მეფე ნებას რთავდა ნიკიფორეს თავისი შეხედულებისამებრ ან დარჩენილიყო ოდიშს და ლეონის მფარველობა მიეღო, ან ქვეყნიერების ოთხსავ მხარეს გზა ხსნილი ჰქონდა. არც იმას უშლიდა, მასთან დაბრუნებულიყო, ოღონდ ასეთ შემთხვევაში სასახლისგან შორს უნდა დაეჭირა თავი.

ლევანს ეგონა, ნიკიფორეს გული დაწყდებოდა თეიმურაზის მისდამი დამოკიდებულების გამო, მაგრამ როცა გრაგნილი დაახვია, ანთებულ ბუხარში მოისროლა და თავი ასწია, ლევანმა უსაზღვრო სიხარული წაიკითხა მის თვალებში. ამით უკვე დარწმუნდა, რა კაცთან ჰქონდა საქმე და ერთგვარად შეეშინდა კიდეც, ვაითუ მის სიძლიერეს ვერ გაუძლოს მთავრის სისუსტეებმა და ჯეროვნად ვერ გამოვიყენო ეს ღვთის ნაბოძი საჩუქარიო.

- დიდი პოეტები მხოლოდ დიდებულ შაირებს თხზავენ და ისინი დიდ სახელმწიფოს ვერ ააშენებენო. ხოლო რამდენად დიდი პოეტია თეიმურაზი, ამის პირუთვნელი შემფასებელი და დამფასებელი დროაო, - თქვა ნიკიფორემ და ახალ პატრონს მდაბლად დაუკრა თავი. მერმე მეგრულად მიმართა, - დროა თქვენო ბრწყინვალებავ, თქვენი ადგილ-მამული შემოვიაროთ და შევისწავლოთო.

- სწავლისთვის მცირე დრო მომიციაო.

- ორიოდ დღე ოდიშის შემოვლისთვის სავსებით საკმარისია სწავლისთვისო, - უპასუხა ნიკიფორემ.

- ასე ცოტაო?

- ჩვენ ქართველებს დიდი დრო ვინ მოგვცაო. დიდი დრო დიდ პოეტებსა აქვთ დიდი ლექსების საწერადო.

ორთავეს გულიანად გაეცინა.

უმოკლეს დროში ლევანმა და ნიკიფორემ პირველი გეგმა დასახეს - ზღვასთან ახლოს მდინარე ენგურზე გააშენეს სავაჭრო ციხე-ქალაქი რუხი და ამ ქალაქში ჩაასახლეს გოჭოურას ბრძოლის ალაფად ჩიხორიდან და ჩხარიდან წამოსხმული სომხები და ებრაელები.

ოდიშში გაცხოველდა აღებ-მიცემობა, გაივსო ხაზინა ავლა-დიდებით, მთელი ქვეყნისა და მეზობლების სიმდიდრემ ერთად მოიყარა თავი.

ხალხი მიმოდიოდა.

ოდიშმა საჭიროების ფუნქცია შეიძინა. მას უკვე ანგარიშს უწევდნენ ოსმალეთიც და სპარსეთიც. ლევანმა ნიკიფორეს ჩაგონებით ზარაფხანა გახსნა და ფულის მოჭრა დაიწყო ირანული მონეტების წაბაძვით. ეს საჭირო იყო შაჰის ყურადღების მისაპყრობად. ამის შედეგი იყო ის, რომ ნიკიფორე საიდუმლოდ გააგზავნა სტამბულს და იქ ვენეციის რესპუბლიკის რეზიდენტს შეხვდა, რომელიც სპარსეთის გავლენიან პირებთან საქმიანი და ახლო ურთიერთობა ჰქონდა. ერთი კვირის განმავლობაში არწმუნებდა ნიკიფორე ირბახი რეზიდენტს ოდიშისა და ზოგადად საქართველოს კეთილ-საიმედოობაზე. ვენეციას თავისი მოთხოვნები ჰქონდა:

- ოდიშის ისე გაძლიერება მოითხოვა, რომ დანარჩენ სამთავრო-სამეფოებზე უპირობო გავლენა უნდა მოეპოვებინა;

- ზღვაზე გასასვლელის უსაფრთხოება უნდა უზრუნველეყო;

- ოსმალეთი უნდა შესუსტებულიყო ოდიშსა და მთელს დასავლეთ საქართველოში.

მერმე კიდევ ჰქონდა პირადი მიზნები, რომლებიც უყოყმანოდ უნდა დაეკმაყოფილებინა ოდიშის მთავარს. მართალია, ეს ღირსების შემლახავიც კი იყო, მაგრამ დიდი საქმისთვის ამასაც უნდა გაუძლოს ძლიერმა მთავარმაო.

სტამბულში ყოფნისას ნიკიფორემ საბაჟოების გახსნის აუცილებლობაზეც ესაუბრა ვენეციელ რეზიდენტს და ამაში მართლაც დაარწმუნა, რომ საბაჟოებით გაცილებით იოლი სამეთვალყურეო იქნებოდა ოსმალეთის საზღვაო ფლოტი.

- ვენეციის ბეჭდით ევქსინის პონტში გამოჩენილ ხომალდებს ხონთქარი არრას დაუშავებსო, - არწმუნებდა ნიკიფორე რესიდენტს.

- მხოლოდ იმ შემთხვევაშიო, - ჩაუჭრა სათქმელი ოდიშის ელჩს რეზიდენტმა, - თუ ეს ხომალდები ოსმალეთის ნავსადგურებში შევაო.

- ამისათვის ქრთამებია საჭირო ჩვენის მხრივ, სულთანთან მოლაპარაკებები კი თქვენის მხრივო.

- რა საჭიროებისათვისო? - იკითხა რეზიდენტმა, - ოსმალეთი ხომ თავს არ გესხმით, თქვენ ხომ დამოუკიდებელი მეფეები გყავთ, ფულს თქვენსას ჭრით, ჯარი თქვენი გყავთ, დამოუკიდებლად აბამთ კავშირ-ურთიერთობებს, ვისთანაც მოისურვებთ, აბა, შეხედეთ ევროპას - ელლადა ჩაყლაპა პირის პირველსავე გაღებისთანავე, ზედ მაკედონია მიაყოლა, რუმინეთი, ბულგარეთი, სამხრეთ სლავები, ხორვატები, სერბები, სლავთა საჰერცოგო - ისე შეჭამა, თვალიც არ დაუხამხამებია. ემუქრება პრუსიას, საღვთო რომის იმპერიას. შიშის ზარს სცემს თვით ვენეციის რესპუბლიკას... თქვენ კი გსურთ და ჩვენც მოგვიწოდებთ ჩვენ-ჩვენი მოქმედებებით გავაღიზიანოთ ეს დაძინებული დრაკონი.

- ცდები, თქვენო მოწყალებავო, - შეაწყვეტინა საუბარი ნიკიფორემ, - ამ ჩვენის ნაბიჯებითა და მეცადინეობით თვით ოსმალეთიც დარჩება არათუ კმაყოფილი, მოგებულიც კი.

- მოგებული ის ახლაცაა, რაში სჭირდება მას ზედმეტი თავატკივება ივერიითო? - რიტორიკული კითხვა დასვა რეზიდენტმა.

- მხოლოდ იმისთვის, რომ ეუროპაში ფეხშედგმულმა ჩადრიანმა ოსმალეთმა ახალ დროებას ფეხი აუწყოს და საშიში არავისთვის გახდეს და არავინ გახდეს მისთვისაც საშიში. ეუროპისკენ ჩვენ თუ მივისწრაფით, ოსმალეთიც იგივეს აკეთებს, ცალი ფეხი შუა ჩამოდგმული აქვს მანდ და ამით თავისი ერის გაკეთილშობილებას ცდილობს. ეუროპა კარს უკეტავს, ან მოკრძალებული ღიმილითა და თავაზიანი რევერანსებით ცდილობს განერიდოს მას, თავიდან აიცილოს მასთან ურთიერთობა. თუნდაც იმიტომ, რომ სხვა სარწმუნოებისანი არიან. შეიძლება ეუროპისთვის ხონთქარზე უფრო საშიში პრელატები იყვნენ, მაგრამ ამაზე ხმამაღლა არავინ საუბრობს, ან თუ საუბრობს, ვაი იმას.

- კარგია, ღირსო მამაო, მაგ აზრებით ევროპაში რომ არ ცხოვრობთო, - გაეღიმა რეზიდენტს და ამით თავიანთი შეხვედრის რეზიუმე მოხაზა.

არა გამოვიდა რა ამ შეხვედრიდან, თუმცაღა ნიკიფორეს გადაწყვეტილი ჰქონდა ლევანს ყველაფერი გაეკეთებინა ქვეყნის გაძლიერებისთვის და გაერთიანებისთვის.

საზღვაო ვაჭრობამ გაცხოველებული სახე მიიღო. ოსმალეთის თვალის ასახვევად ნავსადგურობას მდინარეთა შესართავები ასრულებდა, ან ხმელეთში ღრმად შესული სამდინარო ნავთსაყუდელები, ხოლო რაც ოსმალთა სამეთვალყურეოს წარმოადგენდა, ესენი იყო ფოთი, კემხელი - თურქულად ყულევი, ანაკლია და ტყაყურუ. ეს უკანასკნელი ისე მოხერხებულად იყო აგებული ზღვის სანაპიროზე, რომ თუ არა საგანგებოდ, ისე ვერასგზით მიაგნებდი ამ ქალაქს.

ამ ნავსადგურებიდან ქვეყანა მარაგდებოდა:

მარილით, გამხმარი თევზით,

ხელოსნობის სხვადასხვა ნაწარმით,

ფუფუნების საგნებით,

ქვეყნიდან კი გაჰქონდათ:

ტილო, აბრეშუმი, ცვილი, თაფლი;

გაჰყავდათ ტყვეები.

ნიჩბიანი ნავები მდინარეებს აღმა მიუყვებოდნენ ქვეყნის შუაგულისკენ და ბაჟსაც ბოლო ნავსაყუდელში იხდიდნენ. საბაჟოები გაემართათ მდინარე რიონზე ქუთათისთან ახლოს, მდინარე ხობზე თვით ხობის მონასტრის სიახლოვეს, მდინარე მოქვზე მერხეულთან. დიდი საბაჟოები ჭალადიდში, ქარიატასა და ხორგაში მოეწყოთ. მისიონიც ხშირად მიმოდიოდა რომსა და ოდიშს შორის. სოფელ განარჯიაში მთელი უბანი გაშენდა სამისიონერო და მას წიფურიონი უწოდეს ოდიშელებმა. ნიკიფორეს წაქეზებით ლევანმა ახალის ძალით დაიწყო ქალაქთა შენებანი და ისიც ევროპიული გამოცდილებითა და ევროპელთა მონაწილეობით.

საზღვარიც მყარი ჰქონდა ლევანს თავისი სამბრძანებლოსი -

დასავლეთიდან ზღვა და მეტად არასანდო ოსმალთა სამხედრო ხომალდები იცავდნენ ოდიშს, თუმცაღა, რუსთა ხელმწიფესთან შეთანხმებით დონელი კაზაკები გამუდმებით არბევდნენ თურქულ ფლოტს, ამის გამო ოსმალნი ოდიშისთვის ვერ იცლიდნენ სათანადოდ, ხოლო ლევანი მოხერხებულად გადი-გამოდიოდა ევქსინის პონტზე.

ჩრდილოეთით ლევანის სამბრძანებლოს საზღვარი მდინარე კელასურის მარცხენა ნაპირზე გადიოდა და მიჰყვებოდა ფანავის ქედს. მას სვანეთისგან ეგრისის ქედი ყოფდა, ენგურის ხეობით კი სადადეშქელიანოს გადასცქეროდა სოფელ ხუდონიდან.

ლეჩხუმიდან ქვემოთ ცხენისწყალი ყოფდა მოდავე იმერეთსა და ოდიშს ერთმანეთისგან, გურიასთან საზღვარი კი მდინარე რიონი დაადგინა ლევანმა, თუმცაღა გურიის რიონისპირა რამდენიმე სოფელი ჰქონდა ან მიტაცებული, ან საჩუქრად მიღებული გაგურიელების სანაცვლოდ. ლევანმა ოდიშს ახალი სატახტო ქალაქი ზუგდიდი გააშენა - „სასახლე დადიანთა, დიდშენი და პალატებიანი, ზღუდეგოდოლიანი“. მან მამა-პაპისეული ჭაქვიჯაშს ზუგდიდი მხოლოდ იმიტომ ამჯობინა, რომ ზღვამ დაიკავა დიდი ადგილი ქვეყნის ყოფა-ცხოვრებაში. მითუმეტეს აფსუებთან განუწყვეტელი ომები აიძულებდნენ დადიანს მტერთან ახლოს ყოფილიყო დასახლებული, რათა პირველსავე შესაძლებლობისთანავე ერთი ამოსუნთქვით ჩაეყლაპა ყოფილი აფხაზთა სამთავრო გააფხაზებული აფსუა-გადამთიელებიანად. საზღვარიც ცვალებადი იყო ჩრდილო-დასავლეთით - ან იყო ზღუდედ კელასური გამყოფად ოდიშ-აფხაზეთისა,

ან კიდევ უფრო ჩრდილოეთით დიოსკურიასთან ახლოს. მართალია, აფსუებმა რბევებით მოაოხრეს მიწები და მამულები დიოსკურიიდან ჰიპიუსამდე (ესე იგი ცხენისწყლამდე). კი, ჰქონდათ ლეონ-მთავრის შიში, თავიანთი და ოდიშელთა შესაძლებლობებიც კარგად ჰქონდათ გასიგრძეგანებული და მხოლოდ ჩამორბენა-თარეშებს კმაყოფილდებოდნენ.

ლევანმაც გააძლიერა სამთავროს თავდაცვა - ქვეყანაში მომრავლდა ციხე-სიმაგრეები როგორც რაოდენობით, ასევე სიძლიერით -

რუხის, ჭაქვაჯის, შხეფის, ხეთის, თამაკონის, ლიას, ჯგალის, სათამაშიას ციხე-სიმაგრეები;

ციხეები იყო უნაგირას ქედზეც გურიისა და იმერეთის სამეთვალყურეოდ;

გარდა კელარუსის კედლისა, რომელიც სიჩქარის გამო ზოგ ადგილებში საძირკვლის გარეშე, პირდაპირ მიწაზე შენდებოდა, აფხაზეთ-ოდიშის გზებს ჩხორთოლისა და სათანჯოს ციხეები, ენგურზე გადასასვლელებს რუხთან ერთად ოცარცეს ციხეც იცავდა (ერთი მარჯვენა, მეორე კი მარჯვენა მხრიდან). რუხში მეციხოვნეებს ზარბაზნებიც ჰქონდათ. შეკეთდა კოდორის, მოქვის, ღალიძგას, ოქუმის ციხეები.

ლევანის ბრძანებით ყველა თავადი და აზნაური ვალდებული იყო თავისი ჯარით დაეცვათ აფხაზეთ-ოდიშის საზღვრები მორიგეობით. ციხეები ლევანმა უნაგირას ქედზეც განალაგა გურიისა და იმერეთის დასარბევად. არც სვანეთს ენდობოდა მაინცა და მაინც ოდიშის მთავარი - მაგანას წყალგამოყოფ ქედზე ჭყონდიდისეული ციხის ახლო-მახლო ომუნეს ციხე ააგებინა,

ჭანისწყლის ხეობაში ლაყორიას საყარაულო კოშკი, ჯგალისა და ჩქვალერის პატარა ციხეები.

ზოგიერთ ციხესიმაგრეს მხოლოდ თავშესაფრად იყენებდნენ. მათ გალავნებით საზღვრავდნენ და ტყეებში აგებდნენ. მშვიდობიანობისას ეს ციხეები ცარიელდებოდა.

დადიანმა კარგად იცოდა ბრძოლაში ზარბაზნის ფასი, ამიტომ საფრანგეთიდან მოიწვია ზარბაზნების ოსტატი და ოცდაათი ზარბაზანი ჩამოასხმევინა, ასევე მრავლად შეიძინა თოფები. ფრანგ ოსტატს შეგირდებად მიუჩინა ოდიშის გამოიცდილი მელითონეები და შეასწავლა ზარბაზნების ჩამოსხმა. მან შეაიარაღა თავისი ჯარი და იგი გაწვრთნა თოფის სროლაში მდგომარე, მწოლიარე მდგომარეობაში, გაქცეულ ცხენზე ჯდომისას.

ერთის სიტყვით, ოდიშში ვაგლახად ვერც ერთი ურდო ვერ შემოიჭრებოდა. ციხე არ იყო დარჩენილი ოდიშში ზარბაზანი ერთი კი არა, ათიოდე რომ არ ყოფილიყო, მეთოფეების ასეული რომ არ მდგარიყო თითოეულ ციხეში.

ქვეყანაში მშვიდობამ დაისადგურა, ამოისუნთქა გლეხმა, მეტადრე ბარაქიანი წლები წაეწყო ერთმანეთს. ლევანმა ეკლესიებსაც მიხედა. თავისი დოვლათის დიდი ნაწილი ტაძარ-მონასტრებს შესწირა. მისი მეცადინეობით მოხატეს წალენჯიხისა და ხობის ეკლესიები, აშენდა კორცხელის ტაძარი. როცა ლეონ ოდიშის მეფე „ანაკოფიის ზღვიდამ მთამდე ააშენა ზღუდე აფხაზთა გამოუსვლელობისთვის“, ამ კედლის მშენებლობაში მას ბედიის, მოქვისა და დრანდის ეფისკოფოსები ეხმარებოდნენ.

აღმოსავლეთ საქართველოში სპარსეთის მოახლოების გამო მცხეთაში საეკლესიო ყოფა-ცხოვრება მყარად არ იდგა. უხუცესი სრულიად იბერიის უნეტარესი კათალი-

კოსი და მისი სვიტა მომხვდურთა გამუდმებული თავდასხმის მოლოდინში იყვნენ. ხშირად იხიზნებოდნენ და წიგნებს მთაში მალავდნენ. მცხეთის ტახტი ამ მხრივ მორყეული იყო და არავინ იცოდა როდის დაემხობოდა, ან თუ არ დაემხობოდა, საბოლოოდ ვისი ნების გამტარებელი იქნებოდა, არავინ იცოდა.

სხვა მდგომარეობა იყო დასავლეთ საქართველოში. საერთო მძიმე ვითარების მიუხედავად ლევანმა ოდიშში საეკლესიო მოღვაწეობისთვის საუკეთესო პირობები შექმნა. ქვეყანა ასე თუ ისე გარეშე დარბევებისგან დაცული იყო. საგარეო ვაჭრობის განვითარების წყალობით ოდიში გამდიდრდა. სიმდიდრის დიდი ნაწილი ეკლესიებს ხმარდებოდა. დასავლეთ საქართველოს ანუ უმრწემეს სრულიად იბერიის უწმიდეს პატრიარქს, იმერეთის არაერთგზისი დარბევის შემდეგ, ლევანმა ბიჭვინთაში მიუჩინა ტახტი და ბიჭვინთის მთავარეფისკოფოსის ტიტული უბოძა. სწორედ ლევანმა აქცია ბიჭვინთა საქართველოს საეკლესიო სუვერენად.

ნიკიფორეს რჩევით ლევანმა ,,ვეფხისტყაოსანი'' წაიკითხა და იმდენად მოიხიბლა, რომ მის კარზე მოღვაწე წიგნთა გადამწერ მამუკა თავაქარაშვილს გადააწერინა და დაასურათებინა რუსთველი, მოწვეულ ოქრომჭედლებს კი ოქროთი და პატიოსანი ქვებით შეამკობინა წიგნის ყდა.

არც ამას დაჯერდა ნიკიფორე - იერუსალიმის ჯვრის მონასტერს აქამდის არსებული ყველა ბეგარა და ვალი გაასტუმრებინა ლევანს. მერმე ერთ ხანს ამ მონასტრის ეფისკოფოსად წარგზავნა თავისი მარჯვენა ხელი - ჯვრის მამა, როგორც ოდიშში უწოდებდნენ ნიკიფორეს, თან დაავალა:

- თუ შესაძლებელი იქნება და ამაზე ადგილობრივი ბერ-მონაზვნები დაგთანხმდებიან, იქნებ ჩემი და ჩემი ცოლის ნესტან-დარეჯანის ფრესკებით მოახატვინოთ წმიდა მიწაზე ქართული სალოცავიო.

ყველაფერ ამას ნიკიფორე რუსთველთან სიახლოვის გამო აკეთებდა, და დათანხმდა:

- იერუსალიმის პატრიარქს გამოვთხოვ თქვენსა და თქვენის თანამეცხედრის ფრესკებსო. მთელს საქართველოში ხომ ერთი შენ დარჩი მამულის მეჭირნახულედ - ლუარსაბი მოკლეს, კახეთი დაიპყრეს და ბედოვლათი თეიმურაზი ხან სად აფარებს თავს, ხან სად. იმერეთს არამტკიცე და უნებისყოფო პატრონი ჰყავს. მხოლოდ შენ შექმენი ამ აბრუნდულ საუკუნეში მტკიცე სამეფოსამთავრო და ვის, თუ არა შენ, გეკუთვნის ფრესკის დაწერაო.

წიგნიც აახლა ლეონმა იერუსალიმის პატრიარქთან და ბოლოში ნიკიფორემ დაურიდებლად მიაწერინა:

,,ხელმწიფეთა ხელმწიფე დადიანი ლეონ.''

წლების შემდეგაც ფიქრობდა როსტომ-ხანი ამ უცნაურ ნიკოლოზყოფილ ნიკიფორეზე და ქართველ მეფეთა უნიათობაზე გადაჰქონდა ყოველჟამს ყურადღება. როგორ შეიძლებოდა ნიკიფორე გყოლოდა სასახლის კარზე და იგი ოდიშისათვის მიგეგდო. თეიმურაზმა მისი ჩამოცილებით კახეთის სამეფო გაანადგურებინა დაუძინებელ მტერს. ლეონმა გონივრულად გამოიყენა ეს უცნაური კაცი, ჯვრის მამის წყალობით დადიანმა სამთავრო კი არა, სახელმწიფო შექმნა.

- ბევრი ინატრებს ასეთ სახელმწიფოსო, - ნანობდა როსტომ ხანი და გაიხსენა ნიკიფორესთან ერთ-ერთი არასასიამოვნო შეხვედრა, როცა მღვდელმა საქვეყნოდ პირში მიახალა ქართლის მეფეს:

- შენ, გონიერო კაცო, ასე რომ მოგაქვს თავი შენის გონიერობით, ის გონიერება მაშინ გამოჩნდებოდა, მარაბდის ველზე გიორგი სააკაძესთან გვერი-გვერდ რომ გებრძოლა და მის წინააღმდეგ სპარსთა კოჰორტებს არ წაჰყოლოდიო.

ამ ბრალდებას ხშირად ამბობდნენ როსტომის მისამართით, რაც იგი ქართლის მეფედ გახდა, მაგრამ სითამამე მხოლოდ ნიკიფორემ გამოიჩინა და პირში მიახალა ეს სამდურავი. მაშინ მას პასუხი არ ჰქონდა ჯვრის მამის საყვედურზე. ახლა, ამ მიხრწნილებაში მას შეუძლია გამართლება მოუპოვოს ყველაფერს - სიკარგესაც და სიავესაც. ესაა რომ, მან სათანადოდ ვერ შეაფასა თავის დროზე ნიკიფორეს გონიერება, თორემ ისინი ერთად საარაკო საქმეებს გააკეთებდნენ.

მხოლოდ ლევანმა გამოიჩინა ის გონებაგამჭრიახობა, რასაც სპარსეთის შაჰის კარზე ასე გულმოდგინედ სწავლობდა როსტომი. იქნებ განგებამ იმიტომ არ დაანახა მას ეს უცნაური ბერი, რომ როცა მათი ცხოვრების გზები გადაიკვეთებოდა, ერთმანეთს აუცილებლად შეუშლიდნენ ხელს. ვიღაც ზედმეტი იქნებოდა ამ თამაშში. სავარაუდოდ თვითონ ხოსროვ-მირზა, რადგან იგი სპარსულად იყო მოწამლული, ნიკიფორე კი ქართულად, მათი სარბიელი კი ქართული არეალი იყო და არა სპარსული. ევროპიულობამ მხოლოდ ხიბლი შესძინა ნიკიფორეს ქართულობას და სხვა არაფერი.

ბევრი რამ ნახა ცხოვრებაში ჯვრის მამამ, ისევე როგორც როსტომმა - იქნებ უფრო მეტიც

სმენია, განუცდია, უნახავს, უკეთებია.

ყოველისფერში ერთი თავით მაღლა იდგა ნიკიფორე ამ ცხრა ათეულ წელს მიტანებულ ბერწ მეფეზე.

- ლევანი და ნიკიფორე! - ხმამაღლა წარმოთქვა როსტომმა, - ალბათ ერთმანეთისთვის გაჩნდნენ ამ ქვეყნად და ამ საუკუნეშიო. ერთხანს დაფიქრდა და ბოლოს თავისი ნაფიქრი თავისსავე გასაგონად თქვა:

- მე ბეწვის ხიდზეც მივლია, დანის პირზეც, ოღრო-ჩოღრო გზებზეც, შეცდომა არსად დამიშვია, მაგრამ ასეთ შედეგს, როგორიც ლევანმა მიაღწია ნიკიფორესთან ურთიერთობით, ვერ შევძელი, მიუხედავად იმისა, რომ ამ გზაზე ბევრი შეცდომა დაუშვეს ლევანმაც და ნიკიფორემაც როგორც ცალ-ცალკე, ისე ერთად.

* * *

ერთი უცნაურობა მოხდა იმერეთსა და ოდიშს შორის ალექსანდრე იმერთა მეფის ძმის - მამუკას დატყვევე-

ბის გამო. მეფემ ლევანთან თავისი შვილი ბაგრატი გაგზავნა მოსალაპარაკებლად. მოლაპარაკების ნაცვლად ბაგრატ უფლისწული საპატიო მძევლად დაიტოვა ოდიშის მთავარმა. ქუთაისში ბაგრატის ასავალ-დასავალი არა იცოდნენ და იცნობდნენ რა ლევან დადიანს, კარგს არრას ელოდნენ მისგან. სასახლეში გამოიტირეს კიდეც უფლისწული. დედოფალი საყვედურობდა ქმარს:

- დარტყმის ქვეშ როგორ დააყენე შენი შვილიო. უბირი ხალხი ბაგრატის წახდენას მე დამაბრალებს, როგორც დედინაცვალსა და ტახტის მოსურნესო. ახლავე აღვიკაზმები და ომით წავალ ოდიშზე, რახან შენ ამისი ძალა არ შეგწევსო.

ამის მომსმენი თეიმურაზი კახი-ბატონი და მამაი ნესტან-დარეჯანისა - დედოფლისა იმერთ ქვეყნისა, მეყვსეულად ჩაერთო საუბარში და შვილს დაცხრომა ურჩია. იმხანად როსტომ ხანისგან დამარცხებული თეიმურაზი ქუთათისს იყო შეხიზნული და უთხრა მასპინძელს:

- ლევანი ჩემი მამიდაის-შვილია, მე მის ფიცხ ბუნებას კარგად ვიცნობ, მენდეთ, მე წავალ მოლაპარაკებაზე დადიანთან, ბეგრატ უფლისწულს გამოვიხსნი ტყვეობიდან, თუ ცოცხალია. ასე რომ, ჩემო შვილო, ლევანთან შებმას არ გირჩევ, დაუნდობელია ოდიშის მთავარი. ჩემი დიდი ხათრი აქვს, ჩემს ხელში გამოიზარდა, დედაჩემმა ასწავლა წერა-კითხვა, მამაჩემმა ნადირობა და ომი. პაპაჩემს მცირე-მცირე ლაშქრობებში დაჰყავდა. ახლა მასთან ჩემი კაცია - ნიკიფორე ირბახი. მას წიგნი გავუგზავნე თქვენდა უკითხავად, ვთხოვე ემეთვალყურა, რათა ლევანს არაფერი მოეწია ბაგრატისთვის. პასუხმაც არ დააყოვნა. ნიკიფორე მწერს, დიდ განცხრომაში ჰყავს ლევანს ბაგრატიო. იქამდე, თავისი ქალიშვილის - ძილისანის ცოლად შერთვა შესთავაზა. ბაგრატს გულში ჩავარდნია ქალიშვილი. რამდენიმე დღე ინადირებენ და ბაგრატს იმერეთის საზღვრამდის თვითონვე მოაცილებსო. მას მწერს ნიკიფორე ირბახი. თუ გნებავს, სიძევ-ბატონო, ვეწვევი ლევანს და მშვიდობას გამოვთხოვ იმერეთისთვისო.

მართლაც გაემგზავრა თეიმურაზი ლევანთან. დიდად გაიხარეს ბიძაშვილ-მამიდაშვილებმა ერთმანეთის ნახვით. ისადილეს, ივახშმეს, ბაგრატი მოაყვანინა ლევანმა, რათა დარწმუნებულიყო თეიმურაზი ნიკიფორეს წიგნის მართებულობაში.

- ეჭვიც არ მეპარებოდაო, - უთხრა თეიმურაზმა.

- ეჰ, ჩემო ძმაო, იმერეთში ცუდი თვალით მიყურებენ და ის კი არ იციან, რაოდენი სიკეთე მსურს მე არათუ იმერეთისთვის, არამედ მთლიანი საქართველოსთვის, ამაში ბაგრატიც დავარწმუნეო.

მერმე მამუკა ბატონიშვილზე ჩამოუგდო თეიმურაზმა სიტყვა, მის ხსენებაზე ნირი ეცვალა ლევანს.

- როგორ ფიქრობ, შენ რომ ტყვედ შაბასი ჩაგავრდნოდა, ასე იოლად გაუშვებდიო?!

- კარგი, თუ ძმა ხარ, სად ურჯულო აბასი და სად ერთი სისხლისა და ხორცის ხალხი, სარწმუნოებითაც ქრისტიანი.

- არ იცი შენ მისი აზრები, თორემ შენი ხელით ჩააკლავდი მას იმ დილეგში, სადაცა მყავს დამწყვდეულიო. ასეთი ხალხი, რომ იცოდე, შაბასზე უარესები არიან. საშუალება რომ მისცე, დედაბუდიანად გააჩანაგებს მთელს ოდიშს. მე და ნიკიფორემ სახელმწიფოს დავამგვანეთ ეს მხარე. შენ კარგა ხანია ჩვენსას არ ყოფილხარ და ბევრი რამ არ იცი. მოდი და აღმართე ხელი ამ რუდუნებით აშენებულ ქვეყანაზე, ხელებს წაგამტვრევ ძირში, შენც კი. რის ფასად დამიჯდა ასეთი ძლიერი ოდიში, არავინ იცის -

რა სისხლის ფასად,
რა წყევა-კრულვის ფასად,
რა უძილო ღამეების ფასად,
რა უმადურობის ფასად,
რა ცბიერების ფასად,
რა სასიკვდილო ხიფათების ფასად.

არც ერთ ბატონიშვილს არ ავარევინებ აქ მდგომარეობას! თუ დაგვცალდა მე და ნიკიფორეს, ერთიანი დროშის ქვეშ გავაერთიანებთ ივერიას. აი, მყავს იმერთა უფლისწული, დავუშავე რამე? პირიქით, ზავისა და მშვიდობის ნიშნად დამოყვრება შევთავაზე. მეტი რა უნდა მექნაო?! ჩემსა და ალექსანდრეს შორის მშვიდობა რომ არ ჩამოვარდეს, ამ ყმაწვილს ქალს მაინც არ დავუკავებ, მითუმეტეს თვითონაც მოწადინებულია საამისოდო.

- რას ითხოვ მშვიდობის სანაცვლოდო?

- ნახევარ იმერეთსო, - მტკიცე და დაუფიქრებელი პასუხი მისცა ლევანმა.

- ეს როგორო?

- ახლა კარგად დამიგდე ყურიო, - დინჯად დაიწყო ლევანმა, - შენ ეს ნათქვამი, თუ გინდა, ახირებად ჩათვალე, მაგრამ ეს ახირება არაა. ახლა დააკვირდი - ბაგრატი იმერეთის ტახტის მემკვიდრეა. მე ჩემი შვილებიდან ორი თავიდანვე ჩამომაცილეს, ერთი კუტი დაიბადა და დაბადებიდან მალევე მოკვდა, ერთიც დამბლადაცემული. დამრჩა ძილისანი, რომლის მემკვიდრეც მისი ქმარი იქნება, ანუ ბაგრატი, ანუ რაც მე ომით ვერ შევძელი მთელი ათწლეულების მანძილზე, იმას შევძლებთ მშვიდობით, ქორწინებით. ამისთვის ნახევარი სახელმწიფოს გაღება არ ღირსო?!

- ეჰ, ლევან, ლევან, რაღაცას მუხთლობ, მაგრამ მე ჯერ ამას ვერ მიგიხვდი.

- რახან ვერ მიმიხვდი, თეიმურაზ, ესე იგი არ ვმუხთლობ, ღმერთმანი.

- ყველაფერი ეს ნიკიფორეს ოინებია, არა?!

- თუნდაც, მაგრამ გამართლებული და მართებული ჩემთვისაც და ალექსანდრესთვისაც. თუ როსტომიც მხარს დამიჭერს და ამაში ჩემი დაი მარიამი შემიწყობს ხელს, ქართლის სანახებშიც გადავინაცვლებთ და მერმე საქართველოს გაერთიანებას აღარაფერი დააკლდება.

- კახეთ-ჰერეთი?

- აი, ეს დააკლდება და იმედია კეთილგონიერებას გამოიჩენ, თეიმურაზ-ჩემო.

- შორს მიდიხარ, ლევან, ღმერთმანი!

- შორს მივდივარ, შორს!.. - კვერი დაუკრა ლევანმაც.

... და მართლაც შორს წავიდა!..

* * *

რომის პაპს თხოვდა ერთგული ნიკიფორეს პირით:

- იქნებ ოდიშში აბრეშუმისა და შალის დამზადების ოსტატები გამომიგზავნოთ, რათა ჩემს ხალხს ძაფის დართვისა და ქსოვის თქვენეული ხელობა შევასწავლოო, საამისო დაზგებს მე თვითონ შევისყიდი და ჩემივე სახსრებით წამოვიღებო. ამ მრეწველობის ელჩებს მიწით სახლებითა და მსახურებით უზრუნველვყოფ.

ნიკიფორეს სასწავლებლად ათეული რჩეული ბავშვი გააყოლა. სანამ წარგზავნილები მარადი ქალაქს ჩააღწევდნენ, პაპი ურბანი გარდაიცვალა და ყველა აქამომდის მიღწეული შეთანხმება ჰაერში გამოეკიდა. ახალი პონტიფიკოსი - ინოკენტი საქართველოს შორეულ ქვეყნად თვლიდა და არ იწუხებდა მასზე ზრუნვით თავს. მხოლოდ დამყოლი ღიმილითა და ზერელე ლოცვა-კურთხევით ცდილობდა აბეზარი სტუმრისგან თავის დაღწევას.

დაასწო ლევანს -

ურბან პონტიფიკოსის ნაცვლად ყოველთა შემუსვრილი სიკვდილი დაუხვდა ტახტზე დამჯდარი.

ო, როგორ არ ცდილობდა ოდიშის მთავარი როგორმე არ გადაყროდა გზაზე ამ უჩინარ მხედარს, მაგრამ საქმე გაფუჭდა. ლევანმა ამას ცხადლივ შეხედა:

ირონია?! უფრო მეტიც...

აბუჩად აგდება კაცთა შესაქმისა. გონებაში იმანაც გაუელვა ლევანს, რომ ნიკიფორე სადრაც შეყოვნდა და ამის გამო სიკვდილს საშუალება მიეცა დამჯდარიყო თავის ტაზტზე, ყალიონი გაებოლებინა და ბუხრიდან თეთრი კვამლი ამოეშვა ნიშნად იმისა, რომ ცხოვრება ვატიკანში გრძელდება.

- ეტყობა, დაბერდა ნიკიფორე და ვეღარ გათვალა რაღაც, რაც საუკეთესოდ გამოუვიდა სიკვდილსო, - თავისთვის მსჯელობდა ოდიშის მთავარი რუხის ციხის რუხ დარბაზში, თვითონ რომ ჩააბნელებინა მსახურთ საგანგებოდ.

ახალი ძალისხმევა იყო საჭირო, ახალი თაობის პრელატები რომ შემოებრუნებინა ივერიისკენ და მარტო ლოცვა-კურთხევით არ შემოფარგლულიყვნენ.

- ეჰ, სიკვდილო, სიკვდილო! - ამოიოხრა ლევანმა და სიკვდილივით მანაც გააბოლა ყალიონი, ოღონდ რუხი ფერის კვამლი ამოუშვა პირიდან ნიშნად იმისა რომ ოდიშში ცხოვრება და სიმშვიდე მთავრდება.

გააბოლა და გასცქეროდა რუხის ციხის ბასტიონიდან ენგურის ხეობას.

გასცქეროდა და გაახსენდა კიდევ უფრო ადრე როგორ დაასწრო მას სიკვდილმა და საყვარელი ცოლი ნესტან-დარეჯანი წაართვა. აქაც ცოტა დააკლდა ლევანს მაშინაც, ჰაქიმები მოიყვანა მასთან, მაგრამ ფეხად დაასწრო სიკვდილმა და აქაც დაჯდა თავის ტახტრევანზე იგი მთელის თავისი დიდებულებით. არადა, მთელს ოდიშს უკვირდა, და არა მარტო ოდიშს, რატომ უყვარდა ეს აშარი დედაკაცი ასე გაგიჟებით ლევანს. ვინც კი იცნობდა ჭილაძის ქალს, ამბობდნენ:

- ჯადოქარია და ვირის ტვინი აჭამა, თან რაღაც მომწამვლელი ელექსირები დაურთოო.

დაემხო ლევანი ჯერ არგაციებული ცოლის ცხედარს და გულამოსკვნილმა დაიტირა იგი.

მხოლოდ ამ სურათის მაყურებელნი მიხვდნენ, რაოდენ გამოუცნობია სიყვარულის ძალა. ვერავითარი ვირის ტვინი და ელექსირები ვერ განაწყობდნენ კაცს ამგვარის ძალით. ასე სიყვარული მხოლოდ საღი ცნობიერებით თუ მოხერხდებოდა მხოლოდ. მერმე იგლოვა და სიკვდილის ჯიბრზე მთელს სამთავროში დააგზავნა ბრძანებები ეკლესია-მონასტრებისთვის ნესტან-დარეჯან დედოფალი ცოცხლად მოეხსენებინათ მეუღლესთან ერთად და ამ ბრძანების პირუთვნელად შესრულება დაავალა ისევ და ისევ ჯვრის მამას. ხანი რომ გამოხდა ჰკითხა ლევანმა ნიკიფორეს:

- როგორ ასრულებს სამღვდელოება ჩემს ბრძანებასო?

- რა გითხრა, მოწყალეო ხელმწიფეო ლეონ, ყველა ეკლესიაში აღესრულება დედოფალ ნესტან-დარეჯანის საჯანმრთელო პარაკლისი და ჟამის წირვებზე ხელმწიფე ლეონთან ერთად დილითაც მოიხსენიება როგორც ცოცხალი.

- კარგად გიცნობ, ნიკიფორე, მე შენ, ამ ნათქვამში ან რაღაცას მალავ, ან რაღაცით უკმაყოფილო ხარ.

- სწორად შეგინიშნავს, ლეონ ბატონო, რა მოგახსენო და, უკმაყოფილო კი ვარ.

- რით ხარ უკმაყოფილო, ღირსო მამაო? - ასეთი ლოცვები დედოფალს არ წაადგება, ეს მხოლოდ შენს სულს ამშვიდებს. დამშვიდებული ლეონ დადიანი კი ჩემს გაგებაში მხოლოდ მკვდარია.

- მაშინ შენ თვითონ აღავლინე ჩემი და ჩემი ცოლის საჯანმრთელო ლოცვა და მერმეთ პარაკლისი გადაუხადე ნესტან-დარეჯანსაო. ამით სიკვდილს დავამარცხებო.

- როგორც მიბრძანებ, ისე მოვიქცევი, მაგრამ ეს იცოდე, რომ სიკვდილს მხოლოდ ქრისტე ამარცხებს ან ქრისტეთი გაჯერებული კაცი.

- ჰოდა, ილოცე ჩემთვის ქრისტეთი რომ გავჯერდე.

და ნიკიფორემ დაიწყო ლოცვა:

„მერმეცა გევედრები კეთილმორწმუნისა და ღვთივდაცულისა ხელმწიფისა და დიდისა თავადისა ოდიშისა ლეონისა და მხევლისა მისისა დიოფლისა ნესტან-დარეჯანისა, სიმტკიცისა, ძლევისა, მშვიდობისა, ჯანმრთელობისა და ცხოვნებისათვის, მიტევებისა ცოდვათა მათთვის, რათა უფალი ღმერთი ჩუენი, უმეტესად შეეწიოს და წარემართოს მათ ყოველსა შინა და დაუმორჩილნეს ქუეშე ფერხთა მათთა ყოველნი მტერნი და მბრძოლნი,

მიეც მათ დაწყნარებული ცხორება და ჩუენცა მათთან ერთად ვცხოვრობდეთ.

- ამინ! - დაადასტურა ლოცვა ლევანმა, პირჯვარი გადაისახა, ჯვარს ემთხვია და მოემზადა თანამეცხედრისათვის „სულთათანას" აღვლენის მოსასმენად. ნიკიფორემაც მშვიდად აღავლინა დედოფლის პანაშვიდი. ამ პანაშვიდის შემდეგ ყველა ეკლესიისთვის მოხსნა ის უხერხული დავალება, რითაც ოდიშის მთავარი ავალდებულებდა მღვდელთმსახურთ მიცვალებული მოეხსენებინათ როგორც ცოცხალი.

ერთ-ერთი პანაშვიდის დროს ლევანმა თვალნათლივ დაინახა სიკვდილი, როგორ იჯდა თავის ტახტრევანზე, უყურებდა ლევანს და გულიანად ეცინებოდა, რადგან სიკვდილს არ უყვარს ისეთი ადამიანები, რომელბიც მას ანგარიშს არ უწევენ და თავკერძანი არიან. ამათ დასასჯელად და ჭკუის სასწავლებლად ჰადესის უფლისწული ყველაფერს აკეთებს ცინიზმის მთელი გამოვლინებით. ისინიც, ვისთვისაც კეთდება ეს, კარგად ხედავენ და გრძნობენ ამას. ლევანმაც შეხედა მაშინ სიკვდილს და შურისძიება გადაწყვიტა, მაგრამ როგორ, ეს არ იცოდა.

სანამ სიკვდილზე ფიქრობდა, ძილში ისევ მისი ხარხარი შემოესმა. უცებ წამოხტა, არა შეშინებული, არამედ გაოგნებული. შუა ღამე იყო. საძინებლიდან დარბაზში გავიდა, იფიქრა:

- აქედან ხომ არ შემომესმა ეს არაადამიანური სიცილიო?

უკან გაბრუნება დააპირა, ავ სიზმრებს მიაბრალა ყველაფერი, გვერდზე სამჯერ გადააფურთხა და მიაძახა სამგზის:

- ფუი ეშმაკსო! - და პირჯვარი გადაისახა.

შებრუნება ვერ მოასწრო, რომ ისევ ის სიცილი შემოესმა. ადგილზე გახევდა ლევანი, ოდნავი შიში შეეპარა სხეულში, მაგრამ გონს მოეგო, არ ეკადრებოდა მას - ოდიშის მძლეთა მძლე მთავარს, ლევანს რაღაც უცნაურ სიცილზე შეშინება.

- ვიღაც მთვრალი გუშაგი იქნება, გზა რომ აბნევია და თავი ვეღარ ააქვს ხელში.

დარბაზიდან გავიდა. იქ სრული სიჩუმე იყო.

ჩავიდა კიბეებზე. იქ ღამის გუშაგი მართლაც იდგა და დარაჯობდა სასახლის სიმშვიდეს.

- ახლა შენ გაიცინეო? - ჰკითხა იჭვნეულად ლევანმა.

- რასა ბრძანებ, მეფევ-ბატონო, სიცილს როგორ გავბედავო, თანაც ღამით, თანაც მარტო, სასახლეს ხომ ძინავს...

- არა, არა... - გაიფიქრა ლევანმა, - ეს კაცი ნასვამი არ ჩანს, საკუთარი თავი რომ ვერ აიყვანოს ხელში. არც ჭკუა-შემცდარსა ჰგავს, ისე საღად მიპასუხა.

- ახლა შენ სიცილი არ გაგიგონია?

- რას ბრძანებთ, ლევან ბატონო, სასახლეში სრული სიჩუმეა. დაძინებითაც არ დამძინებია, რაიმე რომ გამომპარვოდა. გუშინ საღამოს შემდეგ ვფხიზლობ, ჩემო ხელმწიფევ.

ეს თქვა თუ არა გუშაგმა, ისევ შემოესმა ლევანს ის არაადამინაური სიცილი. ხმა დილეგიდან მოდიოდა.

- არც ახლა გაგიგია რამეო?

გუშაგი უხერხულობისგან შეიშმუშნა.

- კარგი, კარგი წამომყევიო, - უბრძანა და დილეგისკენ მიუთითა.

გუშაგმა იქვე დაკიდებული ჩირაღდანი ჩამოხსნა და გზა გაინათა. ცოტა ხანში სიჩუმე მხოლოდ დილეგის რკინის კარის ჭრიალმა დაარღვია. კიდევ ერთხელ შემოესმა ლევანს ხარხარის ხმა.

- ახლა, ახლაო? - ჰკითხა თანმხლებს.

- არც ახლაო... - უხერხულად შეჰღიმა სახეში გუშაგმა.

ეს შეღიმება აღიზიანებდა დადიანს.

- დამიდასტურე მაინცო! - გაღიზიანება კილოშიც დაეტყო, - თუნდაც მომატყუე, მაგრამ დამიდასტურე!

ამის თქმა მოასწრო და ისევ შემოესმა სიცილი. თავის მკვეთრი მოძრაობით და მისკენ უცებ შემოხედვით მიხვდა გუშაგი და უთხრა გაუხედავად.

- კი, ახლა შემომესმაო.

ისე უცაბედად თქვა, რომ ლევანს გაეღიმა და უთხრა:

- არაფერიც არ გსმენია... და თუ ტყუილს იტყვი, ისე მაინც თქვი, ვინმე რომ დააჯეროო.

მერე ხმას გაჰყვა და მამუკა უფლისწულის საკანთან მიიყვანა სიცილმა. სასწრაფოდ გააღებინა გუშაგს კარი. თვითონ შეანათა ჩირაღდანი დილეგში და ტუსაღი მკვდარი აღმოაჩინა. კუთხეში კი დალიჭზე სიკვდილი ისვენებდა.

- ჩემი ხელით მიგაღრჩობო! - მივარდა ლევანი სიკვდილთან, მაგრამ სიკვდილს მხოლოდ გაეცინა.

ეს იყო და ეს.

სულ ბოლოს კი სიკვდილმა უკანასკნელი შვილიც მოუკლა და საკუთარი თავი დაანახა კიდევ ერთხელ.

გამწარდა ლევანი. აღარაფერი შეარჩინა არსთა განმრიგემ მრისხანე მთავარს.

ყველაფერი ხელიდან ეცლებოდა. ძლივს შეკოწიწებული ოდიში უპატრონოდ და უმემკვიდრეოდ რჩებოდა.

სიკვდილი კი სულ უფრო და უფრო გამაღიზიანებლად ეთამაშებოდა მას.

რა უნდოდა, არ იცოდა,

არც თვითონ მას, არც სიკვდილს.

რაღაც აუხსნელი ხდებოდა მის გარშემო. ყოველთვის ერთი წუთით აგვიანებდა ლევანი, სამაგიეოდ ფეხად ასწრებდა მას სიკვდილი. ერთხელ ისიც იფიქრა:

- დავუმეგობრდები და იქნებ ამით მაინც დამანებოს თავიო.

არ გამოვიდა, სწორედ ამ ფიქრისას გადმოლახეს კელასურის კედელი აფსუებმა და რბევა დაუწყეს ოდიშს. მსწრაფლ ამხედრდა ლევანი და ზოგი მოთარეშე ამოწყვიტა, ზოგიც კი გადარეკა ოდიშის საზღვარითგან... და ისე გადარეკა, რომ კარგა ხანი დასჭირდებოდათ გადარ-

ჩენილებს, სურვილი რომ მოსვლოდათ ოდიშზე ხელა-ხალი გალაშქრების. მაშინაც სიკვდილმა შეახსენა თავი, ლევანმა კი ვერ მოასწრო მისთვის ეთქვა:

- დავმეგობრდეთო, - ისე გაქანდა მომხვდურთა და-სახვედრად.

აქაც ერთი წუთი და ერთი ნაბიჯი დააკლდა.

ახლა?

ახლა აღარაფერი დარჩა - აღარც ნაბიჯი და აღარც ქვეყნიერების დასასრულამდის სავალი.

ყველაფერი დამთავრდა.

სიკვდილსაც ეს უნდოდა და კმაყოფილმა უთხრა ლევანს: - ახლა უკვე ჩემი წასვლის დროაო, - თქვა, ხელები დაიფერთხა და წასვლა დააპირა.

ლევანმა შეაჩერა:

- მოიცაო!

სიკვდილი შემობრუნდა.

- რა გინდაო? - ჰკითხა.

- ასე იოლად თავს ვერ დააღწევ ჩემგანო.

გაეღიმა სიკვდილს. ხელი ჩაიქნია და კედლისკენ გაბრუნდა გასაუჩინარებლად. ამ დროს ლევანმა იქვე დადებულ ლახტს დაავლო ხელი და სიმწრისგან მთელის ძალით თავში იხეთქა.

სიკვდილი გაშეშდა.

იგრძნო, რომ ლევანმა თავი მოიკლა, თუმცაღა იგი ჯერ კიდევ ფეხზე იდგა და გახეთქილი თავიდან ტვინის ნაგლეჯები და სისხლი მიმოფანტულიყო ოთახში.

ეს ლევანის სიკვდილი იყო და ლევანმა ამით თავისი სიკვდილი მოკლა.

მართლაც შორს წავიდა ლევანი -

ამჯერად მოუსავლეთში.

მისი უკანასკნელი სიტყვები იყო:

- ყველაფერი ოხრად დამრჩაო, - თქვა და უსულოდ დაემხო შვილის ცხედარს.

- მეცო, - დაუდასტურა სიკვდილმა და უკვალოდ გაქრა.

მსწრაფლ მოედო ლევანის სიკვდილი მთელს ქვეყანას. ვიღაც გლოვობდა და გაიძახოდა:

- რა გვეშველებაო!

ვიღაცას გაუხარდა და შვებით ამოისუნთქა:

- გვეშველაო!

ლევანის სიკვდილის ამბავი იმავე საღამოს ჩამოვიდა ქუთათისის სასახლემდის. მიხრწნილობაში მყოფი ალექ-სანდრე განცვიფრდა, რაღაც დიდი ლოდი მოწყდა გული-დან. მან დიდი მეტოქე დაკარგა, რითაც იმერთა მეფე სიცოცხლეს იხანგრძლივებდა. არ ეგონა ალექსანდრე მეფეს ლევანს თუ მიეკარებოდა სიკვდილი. სულ ამბობდა:

- სიკვდილს ლევანისი ეშინია, დააშინა დადიანმა იგი, და მიტომო.

იმავე საღამოს გაუდგა ზუგდიდისკენ გზას, თან ჯარი იახლა, რათა დაერბია თავისი მტრის ბუნაგი. ლევანის სიცოცხლეში რაც ვერ მოახერხა, მისი სიცოც-ხლის მერე მაინც შესძლო ფეხი დაედგა ოდიშის მამულზე თავისუფლად, ისე, რომ სადღაც ჩირგვებიდან მზაკვრულად არ წამოეპარება ლევან დადიანი. რა თქმა უნდა, ეშინოდა ისკანდერ-ხანს, როგორც მას ოსმალეთში უწოდებდნენ. ეშინოდა იმისა, რომ ლევანის სიკვდილის ამბავი სატყუარა არ ყოფილიყო თავად დადიანის მიერ მოფიქრებული. მისგან ყველაფერი იყო მოსალოდნელი. მაგრამ ოდიშის სიღრმეში რომ შევიდნენ და სოფლების რბევას არავინ გამოქომაგებია, მერე მიხვდა, რომ ლევანი მართლაც მკ-ვდარი იყო. ასე მიმოარბია დამწუხრებული ოდიში ალექ-სანდრე იმერთა მეფემ და როგორც კი ზუგდიდის სადა-დიანო სასახლეში შევიდა, მოკრძალებით მოიხადა ქუდი და ღირსეული მოწინააღმდეგის ცხედარს სამეფო პატივი მიაგო. დაკრძალვაც მეფური გადაუხადა ლევან დადიანს.

ყველაფერი აირია ოდიშში ლევანის შემდეგ. მისი ხელმონაკიდებიც კი საეჭვო ხდებოდა ახალი მთავრის-თვის. ყველგან შეთქმულება ელანდებოდა ვამეყს. ასე ამბობდა:

- მეორე ლევანის ლანდი არ მასვენებს ამ სასახლეში, უნდა დავანგრიო ზუგდიდი და თავიდან ავაშენოო.

ისევ „მეორე", და არა „პირველი", ან „ერთადერთი".

ამ ახირებას მსწრაფლ შეასრულებდა, რომ არა ჯვ-რის მამის გაფრთხილება:

- ხალხს გადაიმტერებ ვამეყ-ბატონოო.

- ეს ვინ არისო! - დაიღრიალა გაცეცხლებულმა და კარის-კაცს უბრძანა, შეთქმული ნიკიფორე მღვდელი დილეგში გამოემწყვდია.

შეშინდა კარის-კაცი.

- ეს როგორ ვქნაო?

ბრძანების შეუსრულებლობისთვის საკუთარი ხელით წააცალა თავი კარის-კაცს. მერე თვითონ წაავლო ხელი ქეჩოში და თავად ჩაამწყვდია ბნელ დილეგში საგანგებოდ ყარაულები მიუჩინა.

- უთვალთვალეთ, ნახეთ, რას იზამს ეს უცნაური მოხუციო.

ბნელში ჩამწყვდეულმა გაიხსენა თავისი პატრონები ლეონი და თეიმურაზი. ინანა კიდეც:

- რად არ დავუჯერე თეიმურაზ მეფეს და თან არ გავყევი რუსეთსო. აკი მითხრა, ლევანის შემდეგ აქ შენ აღარ დაგედგომება და ჩემთან წამოდი, დამეხმარე რუსებ-თან მოლაპარაკებაში.

ისიც ინანა ნიკიფორემ თეიმურაზს რომ უპასუხა და ამით გაანაწყენა თავისი ყოფილი პატრონი.

- შენ თუ რუსეთშიც მიმატოვებ და მერმე რა ვქნა მე იმ წყეულ და ცივ ქვეყანაშიო.

არაფერი უპასუხა თეიმურაზმა, არ განაწყენებულა, მხოლოდ წავიდა მოსკოვს დახმარების იმედად.

იხსენებდა ევროპას -

პრელატებსა და მეფეებს,

გრაფებსა და კარდინალებს.

- რა ცხოვრებაგამოვლილმა სად ამოვყავი თავი და

სად ვამთავრებ ცხოვრებასო?! - ესეც ინანა.

რუსთველის ფრესკა დალანდა იმ სიბნელეში.

ერთ საღამოს, საქმე რომ არა ჰქონდა რა, ვამეყმა იკითხა: - რასა იქმს ის დამთხვეული მოხუციო?

- არაფერსო, - მიუგეს, - ზის თავისთვის და საკუთარ თავს სხვადასხვა ენაზე ელაპარაკებაო.

- ქართულად არ ელაპარაკებაო? - ყურები ცქვიტა ვამეყმა.

- შეიძლება ელაპარაკება, მაგრამ მაშინ, როცა ჩვენ არ ვუსმენთ.

- ჰოდა, განუწყვეტლივ უსმინეთ. ჰკითხეთ, რა უნდა, რას ითხოვსო.

რამდენიმე ხნის შემდეგ დაბრუნდნენ ვამეყთან ციხიანნი და მოახსენეს:

- ჯვრის მამა გალილეის ჭოგრიტს ითხოვსო.

- როგორ თუ ჭოგრიტს და როგორ თუ გალილეისო? სადაც გინდათ, ეძებეთ, იპოვეთ და მიუტანეთ, გავიგოთ, ერთი, რა არის ეს გალილეის ჭოგრიტიო.

მართლაც ეძებეს, ეძებეს და იპოვეს მხოლოდ ერთი გრაგნილი იტალიურ ენაზე შედგენილი. მიიწვიეს მისიონერები და გადაათარგმნინეს. თურმე ეს რომში ჩატარებული კონგრესის სხდომების შედეგად გაცემული სინამდვილის მოწმობა იყო, რომლითაც რომის წმიდა ეკლესია ნიკიფორე ირბახს ცნობდა ივერთა მეფის თეიმურაზის ელჩად და შუამდგომლობდა ესპანეთის მეფესთან პონტიფიკოსის სახელით, რათა მონარქს ყოველგვარი დახმარება გაეწია ქართველთა სამეფოს ელჩისთვის.

- ეს გასაგებია, მაგრამ გალილეის ჭოგრიტი?

ჰოდა, ამ ჭოგრიტის ძიებაში კიდეც მიიცვალა დილეგში გამომწყვდეული მეგრელთა ჯვრის მამა. ყურის მგდებლებმა ვამეყს ასეთი ამბავი მოახსენეს:

- ვამეყ-ბატონო, შენ რომ დაგვაბარე, უყურადეთ ჯვრის მამას ქართულად თუ იტყვის რამესაო, მოგახსენებ: ნიკიფორემ ერთადერთხელ თქვა ქართული სიტყვები და ისიც სიკვდილის წინო.

- რაო, რა თქვაო? - დაეკარგა მოთმინება ვამეყს.

- ასე თქვა: მე დავბრუნდები ამ აბრუნდულ საუკუნეშიო.

- მართლა? - მიამიტურად იკითხა ვამეყ-მთავარმა და უბრალოდ გაეცინა.

* * *

ჰოდა, ლევანისა და ყველაფრის შემდეგ ალექსანდრე იმერთა მეფის ხელდასხმით ოდიშში გადადიანდა ვამეყ ლიპარტიანი. ამით გაანაწყენა ოდიშის მთავრის ტახტის დასაკუთრებისთვის მებრძოლი ლევანის ძმისწული ლიპარიტ იესეს ძე. ვამეყით უკმაყოფილონი ლიპარიტის გარშემო დაირაზმენ და იმერეთის მეფეს ომი გამოუცხადეს. ბუნებრივია, ვამეყმა დახმარებისთვის ალექსანდრეს მიმართა. მანაც სწრაფად შეკრიბა ლაშქარი და ლიპარიტსა და მის მომხრეებს დაერია ბანძასთან. ამის შემდეგ ალექსანდრეს დიდ ხანს აღარ უცოცხლია. მოასწრო რა გურიაშიც თავისი კაცის - დემეტრე სიმონისძის გაგურიელება, ლიპარტთან ერთად ლევანის მიერ გურიელად დასმული ქაიხოსროს დამარცხების შემდეგ, სული განუტევა.

მართალია, ქაიხოსრო ოსმალოს წყალობით მაინც დაბრუნდა გურიელად, მაგრამ იმერთა მეფის მიერ მოსყიდული მაჭუტაძის წყალობით დააცხრეს სამარადჟამოდ ქაიხოსრო - დასვენების დროს მისდა მოულოდნელად განისვენა. ამ დასვენება-განსვენებისთვის მაჭუტაძეს თავადობა უწყალობა თვითონ განსვენებისთვის გამზადებულმა ალექსანდრემ.

ერთის სიტყვით, ყველაფერი აირია ლევანის სიკვდილის შემდეგ. დაიწყო სიკვდილთა მთელი წყება:

ტფილისს გარდაიცვალა ცხრა ათეულ წელს გადაცილებული როსტომ ხანი. ბევრი იჯავრა როსტომმა ორიოდ წლის წინ რომ კახეთი ჩამოართვეს. სიბერეც თავისას შვრებოდა და მალევე გარდაიცვალა. ბედის დაცინვა ამ სიკვდილში ის იყო, რომ მისი ცხედრისთვის საქართველოში არ მოიძებნა ადგილი და მისი ანდერძისამებრ დაკრძალეს სპარსეთში, ქალაქ ყუმში, შაჰ აბას I-ის განსასვენებლის გვერდით.

მემკვიდრედ თავდაპირველად იმერთა მეფის გიორგის ვაჟი მამუკა ჰყავდა დასახელებული, მაგრამ ლევანი რომ გაჯიქდა და არ გაათავისუფლა ტყვეობიდან მამუკა, როსტომმა მუხრანბატონთა სახლში დაიწყო შვილობილის ძებნა. საბოლოოდ ვახტანგზე შეაჩერა თავისი არჩევანი და სწორედ იგი ავიდა მამობილის ტახტზე ვახტანგ V-ის, იგივე შაჰნავაზის სახელით.

შაჰნავაზიც მალევე ჩაერთო ქართულ შიდა სამზარეულოში: დასავლეთ საქართველოში ყველაფერი აირია ლევანისა და ალექსანდრეს სიკვდილის შემდეგ. თვით ალექსანდრეს სიცოცხლეშიც იმერეთს მისი ცოლი ნესტან-დარეჯანი განაგებდა - ზურაბ არაგვის ერისთავის ნაქვრივალი. ბაგრატ უფლისწულს არ შეარგო მეფობა დედინაცვალმა, თავდაპირველად მას ცოლად მიჰგვარა თეიმურაზ კახთ-ბატონის შვილიშვილი და თავისი ძმის შვილი, შემდეგ კი სულაც დააბრმავა და ტახტი ჩამოართვა. ნესტან-დარეჯანი ცოლად იმერეთის ბაგრატიონთა გარე წარმომადგენელს ვინმე ვახტანგ ჭუჭუნაიშვილს გაჰყვა და იმერეთის მეფედაც იგი გამოაცხადა. იმერელმა დიდგვაროვნებმა აქეთ ვამეყ დადიანთან აფრინეს კაცი, იქით შაჰნავაზსა და ახალციხის ფაშას სთხოვეს დახმარება. შაჰნავაზსაც და ვამეყსაც სწორედ ეს უნდოდათ. ერთი დასავლეთიდან, მეორე კი აღმოსავლეთიდან შეიჭრნენ იმერეთში და ტახტის მიმტაცებლები შეიპყრეს. ჭუჭუნაიშვილი დააბნელეს და ასლან ახალციხის ფაშამ თან წაიყვანა, ნესტან-დარეჯანი კი თავად-აზნაურებს შემოაკვდათ ხელში. ვამეყმა ისარგებლა შემთხვევით და თავი იმერეთის მეფედ გამოაცხადა. ქართლსა და ოდიშ-იმერეთის სამეფოს შორის საზღვარად მდინარე ბუჯისწყალი დადვეს. მერმე შაჰნავაზს არ მოეწონა ვამეყის გამეფე-

ბა და ოდიშზე გაილაშქრა. დადიანი ოჯახიანად გადაიხვეწა. ქართლის ლაშქარი მტკიცედ იდგა ლევანის მიერ აგებულ ყველა ქვითკირიან ქალაქში. შაჰნავაზმა ლევანის ძმისწული შამადავლე ლევან III-ის სახელით გაადადიანა, ვამეყი კი სვანეთში მოაკვდინეს, მისი ოჯახი კი მძევლად ჩაიგდო ხელთ ერთგული მსტოვრების წყალობით.

და კიდევ:

ჯერ ძმაზედ, მერმეთ ქმარზედ დამწუხრებულ მარიამ დედოფალს, რომლისთვისაც როსტომ მეფის სიკვდილი უკვე მეორე დაქვრივება იყო, ხელი თვით შააბას მეორემ თხოვა. დედოფალს მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი უარი ეთქვა ურჯულოსთვის და თანაც ქრისტიანული წესი არ აძლევდა ამის უფლებას. ბოლოს მოიფიქრა:

ნაწნავები შეიჭრა და აბასს გაუგზავნა, არაფერი შეუთვალა, ისე. დახედა თუ არა მთლად გაჭაღარავებულ ნაწნავებად დაწნულ თმებს, მიხვდა დედოფლის შემონათვალი. ბევრი კი სმენოდა მის სილამაზეზე, ღვთისმოსაობაზე, კდემამოსილებაზე, გონიერებაზე, ყველაფრის მიუხედავად მოხუცი ცოლი არ სურდა. ამიტომ ბრძანა, ცოლად გაჰყოლოდა ქართლში მისი განსვენებული ქმრის მემკვიდრეს შაჰნავაზს. შაჰის რაყამის მიხედვით ამ ქმედებით მარიამი ქართლის დედოფლობას შეინარჩუნებდა სიკვდილამდე.

- ამისთვისაც მადლობაო, - ჩაილაპარაკა თავისთვის მარიამ დედოფალმა და მესამე საქორწილო მზადებას შეუდგა. დაბოლოს: ამ სვეგამწყრალ თეიმურაზსაც დაადგა როგორც იქნა საშველი და მაინც იპოვა თავისი საბოლოო ნავსაყუდარი.

რომ დაებედა სხვის კარდაკარ წოწიალი, არც სიბერეში მოკლებია ეს „სიამოვნება". ლევანის სიკვდილმა მას ქუთათისში მოუსწრო. ერთხანს როსტომ ხანისგან გაწბილებული იმერეთს აფარებდა თავს, ოდიშში არ ჩავიდა, რადგან ლევანი როსტომის მოკავშირედ ეგულებოდა. იჯდა ქუთათისში, მაჯამურ ლექსებსა თხზავდა და უქიმერიონის სასახლეს აივნითგან გადასცქეროდა რიონის შხუილს.

უცებ ბაგრატის ტაძრის ზარების რეკვა შემოესმა. ეს ისეთი დრო იყო, როცა ტაძრებში დასრულებულია ღვთისმსახურება. აიფიქრა:

- მტერი ხომ არ მოადგა ქუთათისის ციხესაო.

ამ დროს მასთან მიიჭრა გახარებული მასპინძელი და მიახარა ლევანის სიკვდილი.

თეიმურაზის თვალწინ გადაირბინა ლევანის ცეცხლოვანმა და მოუსვენარმა ბავშვობამ, მათი ბედნიერი დღეები თავიანთი პაპის ალექსანდრეს კარზე. ყველაფერი წარმოუდგა თვალწინ, რაც გულს დაწყვეტდა დევნილ მეფეს. სწორედ ლევანის დაკრძალვის დღეს მას იდუმალ დაუკავშირდნენ კახეთითგან უჩუმრად გადმოსული ბიძინა ჩოლოყაშვილი და ძმები ქსნის ერისთავები. კახეთი ახსენეს და დაკრძალვიდან მეორე დღეს დათქვეს აჯამეთის ტყის პირას შეხვედრა.

თეიმურაზმა მოუსმინა შალვა და ელიზბარ ერისთავეებს, თუ რა ხდებოდა კახეთში. ბოლოს ბიძინამ სთხოვა, ემეთაურა მეფეს ამ აჯანყებისთვის, თანაც დაამატა, ეშუამდგომლა იმერთა მეფესთან, მაშველი ჯარით დახმარებოდა. გულს გარედან მოისმინა თეიმურაზმა მგზნებარე ქართველთა საუბრები.

- მეთაურობაზე რა მოგახსენოთ და ალექსანდრე მეფესთან გიშუამდგომლებთო.

უშუამდგომლა, მაგრამ ისე უშუამდგომლა, რომ იმერთა მეფე მიხვდა თეიმურაზის ზერელე დამოკიდებულებას და მანაც ერთ ყურში შეუშვა ნათხოვნი, მეორედან კი გაუშვა. თეიმურაზს ხომ მოსკოვს ეჩქარებოდა.

საკუთარ თავს უელჩა და ვიდრემდე რუსთა ხელმწიფე მოსკოვის „არუჟეინაია პალატაში" მიიღებდა ტახტწართმეულ კახთ-ბატონს,

ფშავ-ხევსურ-მთიულნი და ადგილობრივი კახელები

თავს დაესხნენ ბახტრიონში თავმოყრილ ყიზილბაშებს და მუსრი გაავლეს მტერს.

ბახტრიონიდან მიადგნენ ალავერდის ციხეს და იქ უარესი დღე აყარეს გადამთიელებს. თავი ისე გამოიჩინეს

ზეზვაი გაფრინდაულმა,

ნადირა ხოშარაულმა და გოგოლაურმა,

რომ მათთვის მატიანეებში ადგილი არ აღმოჩნდა და მხოლოდ ზეპირსიტყვიერებამ შემოინახა მათი სახელები და საგმირო საქმენი.

ქართველები კი ამ დროს ერთმანეთში იმერეთსა და ოდიშს ვერ იყოფდნენ. საამისოდ კი საკმაო ადგილი იყო მატიანეში.

ასე, თუ ისე - თეიმურაზი გაწბილებული დაბრუნდა საქართველოში; - და მერამდენედ.

იქეთ დაქვრივდა,

აქეთ ბერად აღიკვეცა.

„დაშთა ციხესა შინა სკანდას ფრიად უპოვარი."

ეგონა, ამით ამოიწურებოდა მისი ამქვეყნიური ხეტიალი, მაგრამ შაჰნავაზის იმერეთში ლაშქრობისას მეფეყოფილი ბერი ქართლის მეფეს ტყვედ ჩაუვარდა. მანაც შაჰის ბრძანებით დატყვევებული მოხუცი სპარსეთს გაჰგზავნა. ერთის სიტყვით, ასტრაბადში ჩასვლისთანავე ეს მარტვილი მეფეც გარდაიცვალა. მას ვერც რწმენა შეაცვლევინეს და ვერც სპარსეთის სიმულვილი. გიაურმა სპარსეთის მიწა არ ინდომაო.

- ჰოდა, მივცეთ გურჯებს და რაც უნდათ, ის უქნიათ თავიანთ მეფესაო.

და გადაცეს თეიმურაზის გვამი ქართველებს. იგი კახეთს ჩამოასვენეს და ალავერდში დაკრძალეს.

ამ აბრუნდებიან საუკუნეში „დაბადებულა სულხან-საბა-ორბელიანი ქართულის ქორონიკონს ტმვ (1658), ოკტონბერს კდ (24), რომ ლათინურად ოთხი ნოენბერი იქნება „დღესა კვირიაკესა, ჟამსა შუაღამისასა."

დასაწყისი „მამული" N13, გაგრძელება შემდეგ ნომერში

MEDICAL DIAGNOSTICS

NOVEL

დაავადების დროულად აღმოჩენის შანსი

Novel Medical Diagnostics P.C.

☑ **MRI** დიაგნოსტიკა და მაგნიტო-რეზონანსული გამოკვლევები;

☑ ყველაზე ხელმისაწვდომი ფასი მათთვის, ვისაც დაზღვევა არა აქვს - მხოლოდ 200 დოლარად.

დაავადების დროული აღმოჩენა სიცოცხლის გარანტიაა!

Cell: 917-703-6549; Office: 855-668-3530
139-30 34th avenue, Flushing, NY 11254

ჰოროფსეი ღევ ტიახტენბეიგი წარმოგიდგენთ
11 მარტს, შაბათს, საღამოს 7 საათზე
MASTER THEATER on brighton Beach
დეკემბრიული თქმა ვი
ყაყაჩოფოთლი
კონცერტი ბილზე
ახალი და ყველაზე საყვარელი სიმღერები
www.russianConsulting.com
www.mastertheater.com;
www.russianhotline.com
www.teatr.com
Master Theater 718-732-3838;
Davidzon Radio 718-303-8888;
Glavs Travel 718-615-1617;
Mosvideofilm 718-825-6000;
Da Mikele Palace 718-897-4500;
Tickets delivery 718-934-1819.